



ჩანაწერები ინგას უბნიდან

ზამთრის ღამეებში
შემოკანული სიყვანის



გამთრის ღამეებიდან შემოქარული სიყვარული

ბათუმი 2016 წელი

რედაქტორ-შემდგენელი: ინგა გოგიბერიძე
რედაქტორი: გიორგი აღნიაშვილი
კომპიუტერული აწყობა: ნანა ჩიკვაიძე
გარე ყდის დიზაინი-ნინა მეგრელიძე

©ISBN 978-9941-0-9522-1
დაიბეჭდა: შპს „World Print“
ბათუმი, პუშკინის ქ.№65
ტირაჟი 200 ცალი



ახლა, როცა „ინგას უბნის“ რიგით მე-7 კრებული მზადდება, ოქროსფერი, გნებავთ-მზისფერი შემოდგომაა ძალაში. ნელინადის, ეს ის დროა, როცა სახლში შემოპარული სიგრი-
ლე, სითბოს ნაჩვევ ძვალ-რბილს გიყინავს, გარედან შემო-
სული ნელ-თბილი მზე კი თავისკენ გექაჩება... სწორედაც სეირ-
ნობის დროა, ფეხქვეშ შრიალებენ სისხლისფერი, მზისფერი,
ახლად ამონვერილი ნორჩი მინდვრისფერი ფოთლები,
ჭრელი ფოთლები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი
სინორჩის მწვანე ფერი, თანდათან კი ჯერ სინითლე გადაუვ-
ლის, შემდეგ სიყვითლე შეეპარება და ნელ-ნელა იწყებს
გამუქებასა და ხმობას. ფოთოლი ხის ტანისამოსია, ყველა ხეს
სხვადასხვანაირად აცვია, როგორც ჩვენ-ადამიანებს! და როცა
ხეებს შემოდგომა ტანისამოსს აცლის და შიშველს ტოვებს,
გგონიათ არ სცხვენიათ? სცხვენიათ და სწორედ ამიტომ მოდის
შემოდგომის შემდეგ ზამთარი და შიშველ ხეებს თეთრი
საქორწილო კაბებით მოსავს. დიახ, ზამთარში თხოვდებიან
ხეები... ჩვენი კრებულიც ზუსტად ამ დროს იხილავს დღის
სინათლეს და ხომ არ ჯობია, საქორწილო საჩუქრად
მივეძღვნად ჩვენს „პატარძლებს“?! მაშ ზამთრის შესაფერისად,
ყველამ ბუხართან მოვიყაროთ თავი, თბილ პლედებში გავეხ-
ვიოთ, ჟოლოს მურაბიანი ჩაი მივირთვათ და გავეცნოთ ჩვენს
კრებულს, მოვისმინოთ ერთმანეთის ნაამბობი და ერთად
გადავაგოროთ ზამთარი“.

ანნა გელაშვილი

მადლობთ მკითხველო, რომ გადაშალე ეს წიგნი.

პროფესიონალი პოეტი არ თქმულა ჯერაც, ლექსს სულიერი მდგომარეობა აწერინებს ადამიანებს. მისი გონების წრფელ ფიქრს, ხანაც ოცნებას, სიხარულს და ტკივილს სიტყვებად რომ მოსაეს ლექსის სხეულს, სულიერი განცდით ავტორი და კიდევ ხილია ზმანებასა და რეალობას შორის.

ლექსი სიტყვები და რითმები არ არის მხოლოდ, რადგან მისი სხეული ცოცხალია, ისიც იწყება და მთავრდება ავტორის ნებით, ისიც იბადება წარმოსახვით, ცოცხლობს ოცნებით და მთავრდება განცდით. ლექსის რითმები პოეტის გულის ფეთქვას ჰგავს, ხანაც თანაბრად, ხან კი ვნებით, ხანაც სიშმაგით რომ ანგრევს მკერდის კარიბჭეს და გონებაში, ფანტაზიით, წრფელი სიცხადით მუზის ტაძარში მსხვერპლს შეწირავს პოეზიასთან ზიარებისთვის.

ვიცი, ნაჩვევი ხარ ჩემო მკითხველო, დიად შემოქმედთა მრავალ ეპოქის ქარტეხილში გამოვლილი ქართული პოეზიის ხელთუქმნელ ნიმუშებს, დროს რომ გაუძლეს და დღესაც რომ ვნებით აგიბაგიბუგებს გულს, ვიცი, ვიცი და ამიტომაც, გთხოვ, მიიღე ეს ლექსები, როგორც მისი ავტორთა უხინჯო სიმართლე შენთვის გულით ბოძებული. იქნებ მომავალში, მრავალი წლის შემდეგ, კიდევ გხვდეს პატივი ლექსის ავტორთან შეხვედრისა, იქნებ მის ბენეფისზეც ოვაციით შეეგებო უკვე ნაცნობ სტრიქონებს და გახსოვდეს, რომ შენ იყავი პირველი მისი შემფასებელი ჩემო მკითხველო. ვინ იცის, ასრულდეს ჩემი სიტყვები, ვინ იცის... ვინ იცის

გიორგი აღნიაშვილი



გელაშვილი ანნა



მცირე სურვილი?	მშვიდობა ჩემდა! მშვიდობა თქვენდა!
და აქვე ჰობი?	ჰობი? სიცხლი ზღვარგადასული!
ერთი მიზანი?	სალამოს, ციდან ღრუბლის მონმენდა!
და ხასიათი?	გულის ყოფიდან გამომდინარე!
სულის მუსიკა?	წმინდა ღვთისმშობლის საგალობელი!
ერთი ციტატა?	„ვერ აადიდებს ცრემლი მდინარეს“
ერთი პოეტი?	ა.კალანდაძე, სულის მთრობელი!
თვალეების ფერი?	როცა ვიღიმი თაფლისფერია!
და როცა იწყენ?	უკუნ ღამეზე შავია ვგონებ...
ხელის ხელობა?	თითქმის გამომდის სულ ყველაფერი!
სიყვარულისთვის?	ახალ მიზეზებს გამოვიგონებ...
სარწმუნოება?	გულში მიღვივის უფლის სიონი!
ფერმწერ-მხატვარი?	ბერტა მორიზო, სალვადორ დალი!
აქვე საჭმელი?	ბავშვივით ფაფა, ხან – ბულიონი!

წვენი თუ წყალი? რალა თქმა უნდა წყალი და წყალი!
სულ დამავინყდა... ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი...
შენი სახელი? უბრალოდ ანნა, გრძნობის ასული!
ბოლოს რას გვეტყვი? კარგი სახელი მრავალწლოვანი,
სულში იმედი! სულ გაზაფხული..

ვინც ფიქრობს, რომ ბედნიერებისთვის მხოლოდ სიცოცხლეა საკმარისი, ის ზღვაში მოქცეულ შემის ნაფოტს ჰგავს, რომელსაც თავის ნებაზე დაატარებს წყლის მიმოქცევა და ბოლოს მისივე მსხვერპლი ხდება, ნაპირზე გამორიყული, სადღაც უმწოდ და უკვალოდ ლპება... პროზა და პოეზია კი სულიერი საზრდო, სიცოცხლის გამაბედნიერებელი საწყისებია... პროზა ისეთივე აუცილებელი ადამიანის სიცოცხლისთვის, როგორც-საკვები! პოეზია ისეთივე მნიშვნელოვანი როგორც-წყალი!

დანარჩენი კი თუ როგორ გაღვივდება ნაყოფი, რომელმაც ავტორის სიცოცხლე უნდა დაატკბოს, თქვენზე დამოკიდებული ძვირფასო მკითხველო! მეც სასოებითა და სიყვარულით განვდით თითოეულ ჩემს ლექსსა თუ მოთხრობას!

თოვლის ბებია

ომია... სიცოცხლეს მშვიერი მგელივით დატრიალებს სიკვდილი... აი, აიმრიზა ბედშავი, ვეება ფეხები მძიმედ ჩადგა სიცოცხლის პატარა ნაფეხურებში.

სიცოცხლეს გულში ჰყავდა ჩაკრული პატარა სიცოცხლე...

შედგა სიკვდილი, ცეცხლისფერი თვალები ავისმომასწავლებლად დაატრიალა... მარცხნივ თვალუწვდენელი ტყე-ღრე იყო შეჭრილი, მარჯვნივ გუმბათ ამოტილი ტაძარი. სად იქნებოდა სიცოცხლე, თუ არა ღვთის სახლში?!

ოხ, ღმერთო, უთუოდ მიაგნებდა ავბედითი სიკვდილი, თავის სიცოცხლეს როდი ჩიოდა, ის ეწადა მოკლე სიცოცხლე გადაერჩინა!

ერთადერთი საიმედო ადგილი საკურთხეველი იყო, მაგრამ ასეთი წმინდა ადგილი ხომ მხოლოდ იმ სიკვდილივით დაუნდობელი მდევარისთვის იყო ნებადართული წუთი-წუთზე, რომ უნდა დაესრულებინა ორი სიცოცხლე?

შიშმა აიტანა სიცოცხლე... მაგრამ, სიკვდილისთვის მაინც ვერ გაიმეტა თავისი ნაშობი სიცოცხლე, რომელიც ჯერ ძალიან მოკლე იყო, ის უნდა გაგრძელებულიყო, გაგრძელებულიყო და ფოთოლზე დაკოსებული წვიმის ნამივით დიდხანს ებრწყინა...

ასეც მოიქცა დედა სიცოცხლე და მხოლოდ შვებით ამოსუნთქვალა მოასწრო, რომ გულქვა სიკვდილმა კარები შემოაღო და სულთამბრძოლი სიცოცხლე შთანთქა...

საკურთხეველში ნაპოვნ გოგონას ომვამოვლილმა, სახლ-კარ დაქეცულმა ხალხმა მძიმე ბედი დაუნწრა:

„დედის ჩადენილი ცოდვის გამო ღმერთი დასჯის!“

„ღმერთი დასჯის!“

„უთუოდ დასჯის!“ – ასკვნიდა ქალი თუ კაცი და სიბრაღით აქნევდნენ თავს!

ღმერთი კი აგვიანებდა მის დასჯას!

20 წლის შემდეგ მეორედ შედგა ფეხი საკურთხეველზე...
ლაღად და ნებივრად გაატარა შეუღლების რთული პერიოდი, ერთი ეგაა თანამეცხედრე ბერიკაცობაში მაშინ, როცა „შვილიშვილებმა გულის გული გაიარეს“, ჯუჯუნა და ეჭვიანი გახდა, სწყინდა შვილიშვილების სიყვარული ბებიას რომ უფრო სწყალობდა...

რას არ აკეთებდა მათი გულის მოსაგებად:

ერთხელ იყო, დარჩეული თხილით, ერთი კალათის ნაცვლად, (რომელიც არასოდეს ჰყოფნიდათ ბავშვებს) ორი კალათი აავსო, თათარა მოადულა და აუარებელი ჩურჩხელები გაუფინა ბამბუკის ჯობზე... ტკბილი ქლიავის ტყლაპიც ორჯერ მეტი დაუსხა, ვიდრე ბებია, მაგრამ ბავშვები მაინც ბებიის გაკეთებულ წინა წლის ჩურჩხელას და ტკბილ ტყლაპს მიირთმევდნენ მაღიანად.

ბერიკაცი დიდი ხანი იყო ნანწყენი.

ბებია გულკეთილი ქალი იყო, ხშირად მალულად გაიხმობდა ბავშვებს, ბევრს ემუდარებოდა ბაბუასთან დაახლოვებულებს, მაგრამ ისინი უფრო და უფრო ჯიუტობდნენ და ბერიკაცს გაურბოდნენ. ამის გამო ქმარზე ნაკლებად როდი ნუხდა ქალი?!

ერთი ჩვეულება ჰქონდა ჩვენ კეთილ ბებიას... თავისებურად სწამდა უფალი. ხშირად ამბობდა, ღმერთი სამობითააო... ამიტომ უთუოდ სამჯერ უნდა ევახშმა, დაელაგებინა, შვილიშვილებისათვის სასუსნავი გაეკეთებინა...

თუ ბაღში მიმავალს, შინ რამე დარჩებოდა და მიბრუნდებოდა, მესამედ ისევ უნდა მიბრუნებულიყო თუნდაც ტყუილუბრალოდ.

ხშირად აწამებდა ეს რწმენა... ისიც ახსოვდა, უფროსებისგან, ომის დროს დედამ საკურთხეველში დამალვით რომ იხსნა სიკვდილისაგან.

ახლა კი, სწორედ საკურთხეველზე მესამედ ფეხის ვერ შედგმას აბრალებდა შვილიშვილის ავადმყოფობას... დალლას მოიმიზებდა, კომპის ძირში ჩაჭდებოდა და ფიქრობდა, ბოლოს რწმენა სძლეოდა, მაგრამ ღვთის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაეხებდა... არც ბაბუა იყო დიდათ განსწავლული ქრისტიანობაში, მეტიც, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ცოლის შიში, დასამშვიდებლად ამასაც ეუბნებოდა, ქალი თუ ხარ, რითი ხარ იმ კაცებზე ნაკლები, ანათორის ჩაცმამდე ღვთის რჯულის ათივე მცნება რომ აქვთ დარღვეულიო? ეს შუა ქუჩაშიც რომ ეთქვა, ბებია უმაღლესად ჯვარედინად შეჰყრიდა ხელებს გულზე, მუხლს მოიყრიდა და უთვალს პატიებას სთხოვდა...

მერე ქმრის ჩუმად ბაღში ჩავიდოდა თითქოს საქმეზე... მალინის ბუჩქს ამოეფარებოდა, აკანკალებულ ფეხებს მიწაზე მყარად გაამაგრებდა, ცერას, მაჩვენებელ თითსა და შუა თითს ერთმანეთთან შეყრიდა, ვით დაუჭკნობელი რწმენის თაიგული, უსახელო თითსა და ნეკა თითს კი ისე მაგრად აჭერდა ხელის გულს, გაშლისას დიდხანს ეტყობოდა და ეწვოდა ფრჩხილების ნახევარმთვარისებური რკალი... გულმხურვალე პირჯვრის გადანერის შემდეგ ჯერ ორივე ხელით ქვემოთ დაეშვებოდა, მერე მუხლებსაც დაადევნებდა და ამის შემდეგ შუბლის წვერს მორჩილად დაატანდა გრილ მიწას...

უკან აქომინებული ბრუნდებოდა... სულ უკვირდათ ბაბუას და შვილიშვილებს, განა რას აკეთებდა ბებია, ბალიდან აქომინებული და გულამოვარდნილი რომ ბრუნდებოდა?!

პატარა გოგო კი ზამთარმა, თბილ ქვეყნებში ვერ გაფრენილი ჩიტივით მობუზა და დაჩაგრა... მეტი ვეღარ გაუძლო უამისგან მოტეხილმა ბებია, საბოლოოდ სძლია გონებაში ღრმად გამჭდარმა რწმენამ...

მოხუცი ცოლ-ქმრის ნაფეხურებში მოხვედრილ თოვლს, გულის წამლები ხრამა-ხრამი გაჰქონდა...

ტაძრის კარებთან შედგა ბერიკაცი, ბებია მფართოშუშებიანი სათვალე მიაბარა, რომელშიც სამწყება კაპრონის ძაფი იყო გაყრილი... თვითონ კი მძიმე ნაბიჯებით მიატანა საკურთხეველამდე, ჯერ მარჯვენა ფეხი შედგა, მერე მარცხენა... ღვთისმშობელს საიდუმლოდ რაღაც ჩასჩურჩულა თუ არა, ტანში გამეფებულმა სისუსტემ, ქარბუქისგან მოგლევჯილი ფოთოლივით, უსულ-გულოდ დაუშვა ძირს...

ბერიკაცს ფეხები არ ემორჩილებოდა, ერთიანად უკანკალებდა ხელ-ფეხი, იქნებ იმიტომ რომ სახლში ვერ მიდიოდა კარგი ამბის საუწყებლად?

სახლს რომ მიუახლოვდა, გული ამოუჯდა, კარის სახელურს ჩაეჭიდა, ის იყო გულში გაფიქრებული უნდა ამოეგმინა: „ალბათ ღმერთმა უწყინაო...“ რომ პირზე სიტყვები შეახმა... ლოყაზე დაკიდებულ მწუხარების ცრემლს, სიხარულის ცრემლი დაეცა და ძირს ჩაიტანა... ხეიბარ გოგონას, რომელიც სათუთად ჩაფუთნული, ფრთხილი ნაბიჯებით მიმოდებდა ეზოში, ბავშვები ყიჟინით ამხნეებდნენ: „ნულარ გეშინია! ხომ ხედავ დადიხარ... თანაც ჩვენზე უკეთესად! მამ სირბილშიც გვაჯობებ მალე...“ ბერიკაცის აცრემლებული თვალები ამ სანატრელ სურათს მისჩერებოდა და უნებური ბურღლუნი ამოდიოდა ყელიდან: „ღმერთმა კი არ უწყინა, უსმინა, უსმინა... „ბავშვებმა მოლუშული ბაბუა რომ დაინახეს, გაუკვირდათ, განზე გადგნენ, რათა ფეხზე დამდგარი დაიკო გამოეჩინათ, რადგან იფიქრეს ვერ შენიშნაო.

გოგონა სიხარულით შესციცინებდა ბაბუას, მერე მორცხვად აისვეტა მის წინ და გულუბრყვილოდ ამოთქვა: – ბაბუ, ხომ არ გვიბრაზდები, რომ წელს თოვლის ბებია გავაკეთეთ? იქნებ სწყინს ბებიას, რომ სულ თოვლის ბაბუას ვაშენებთ?!

ბერიკაცმა ცრემლმორეულმა გახედა ეზოში უზარმაზარ თოვლის ბებიას, რომელსაც თეთრ კაბაზე ნახშირის სამი ღილი დაყოლოდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე ბებიას...

ეს, რა იცოდნენ ბავშვებმა, რომ თავიანთი თბილი ბებია, იმ თოვლის ბებიასავით გაყინულიყო, რომელიც ასე ამაყად იდგა ეზოში და მონატრებით და მადლიერებით უმზერდა ნახშირის თვალეებით, თავის სახლ-კარს, ქმარსა და შვილიშვილებს?!

ბერიკაცს ყველაზე მეტად უყვარდა ზამთრის მოსვლა... მასთან ერთად ხომ ცოლიც მოდიოდა, ოღონდ ეგაა დიდხანს არ ჩერდებოდა და ხშირად რამდენჯერმე აშენებინებდა შვილიშვილებს თოვლის ბებიას... დასანანი იყო, რომ მზის ამოსვლასთან ერთად, თოვლის ბებიაც მიწაში ლბებოდა...

იმ წელს, სევდისფერი ზამთარი დამდგარიყო მისთვის... თოვლი არ მოსულა, თოვლთან ერთად არც ბებია მოსულა და ბაბუამაც მაშინ მიაბარა ზეცას სული.

კეთილი ბებიის სახელი კი დიდხანი არ დავიწყებია სოფელს, აბა ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, როცა ათასობით ოჯახის ეზოში, თოვლის ბაბუა იყო აღმართული, მხოლოდ იქ იდგა უზარმაზარი თოვლის ბებია, ბაბუის ანდერძის თანახმად.

სანთლის ცრემლი

მოხუცმა ხელიდან-ხელში გადაიტანა დაჭმუჭნული ხელსახოცი... დავიღალეო-თქვა და რამდენიმე წუთი მოუნდა წამოწოლას.

ცუდათ ვარო-ამოთქვა. -ნუ გეშინია, ექიმს მოვიყვანთ!

-ექიმი რას მიშველის, არ მინდა ექიმი... -უმწოდ გაიქნია ხელი და მე და კარებთან ჩაცუცქეული შვილიშვილი სანოლთან გვიხმო: -60 წლის წინ დედაშენზე რომ ვიყავი, ბიჭო, ფეხმძიმედ... -სანოლზე წამოინია გაჭირვებით, შვილიშვილი რომ დაენახა, ის ამბავი გამახსენდა ახლა. მშობიარობა რომ დამეწყო, მთელი სამშობიარო ყვირილით ავიკელი-არ მინდა შვილი! - მეთქი. მართალია ეს სიტყვები ტკივილმა მათქმევინა, მაგრამ

ახლა რატომ გამახსენდა არ ვიცი, შვილი თუ მომენატრა... მუშაობს, ვერ მოიცალა ჩამოსასვლელად, თორემ ახლა რომ დედა მანახა....

–თვალეები დაბზარულ ჭერს ალაპყრო და პირგამშრალმა წაიბუტბუტა:

–სანთელი არ დამინთია რა ხანია!

–მე მოგიტან თუ არ გაქვს და დაანთე...– ვუთხარი მე და სანოლთან დამდგარი სკამიდან ერთი ნაჭერი ხაჭაპური შევთავაზე.

–მაგ სიკეთეს თუ იზამ...

–მიდი, ლევანი დედაჩემს გადახე და მოგანოდებს– გადავაბარე ლევანის, რადგან მართა ბებია ხაჭაპურს, დახმარების გარეშე ვერ შეაჭამდა.

ის არ გაინძრა...

–არ გესმის ბიჭო?

–შენ წადი! -ცივად მომიგო.

გავიქეცი, უკან წამში დავბრუნდი მაგრამ ლევანის მოგუდულმა ღმუილმა მიმახვედრა რომ დავიგვიანე... მე და ლევანიმ სანთელი ავანთეთ და დაკრუნჩხულ ხელში ჩავუდეთ... ხელი ისე მოეკუმა, თითქოს სანთელის დასაჭერად ჰქონდა გამზადებული.

მეზობლები, რომ მოვიდნენ და სახლის დალაგება დაიწყეს, ლევანიმ ბებიას ნახევრად დამწვარი სანთელი, ხელიდან გამოაცალა, იქვე ხატებთან დადო... მოხუცს სანთლის წვეთები ცრემლად დაღვროდა დანაოჭებულ გაქვავებულ ხელზე. – ბებიაჩემს, ეს სანთლის წვეთები არ მოაშოროთო, –მეზობლებს უთხრა ლევანიმ და წავიდა...

დედაშვილობა

მართაო—მეზობელმა კაცმა დამიძახა, -დღეს რეისი მაქვს შენი სოფლისკენ, მშობლებს ხომ არათუ ვარაუდობ? გაუგზავნიო?

მომერიდა უარის თქმა და კი-თქო გავძახე! დედამ ხუმრობით მითხრა, მშვიდობა ვართ მე და მამაშენი, ერთმანეთს ვჭამთო.. არაუშავს მწვადს და ხინკალს თუ არ შეჭამო, სუპი მაინც გააკეთეთ მეთქი-ვუთხარი. არც სუპის პრიპასები გვაქვსო, -ესეც ხუმრობით მითხრა.

მეზობელმა ისევ შემახსენა სალამოს-დილით 9 საათზე ჩანთა გამზადებული გქონდეს, აღარ მალოდინოო..

არც მე არათუერი მქონდა გასატანებელი... სუპისთვის, ოთხი ცალი კარტოფილი, ნალევი ტომატი, გაყვითლებული მწვანილი, ერთი მუჭა ვერმიშელი, ერთნახევარი ხახვი, (ნახევარი ნუხელ შეჭამა ჩემმა ქმარმა, საჭმელი უგემურია ისეო...) მეზობელმა თხილი მომიკითხა წინა დღეს, ბავშვებს აჭამეო, ისიც ჩავდე... დედამთილ-მამამთილის ჩუმიად ეზოში რამდენიმე ნაქარი მსხალი ავკრიფე და ისიც სასოებით ჩავუწყვე. შარკი რამდენჯერმე გადავკონე, ნაცნობი მძლოლი ათჯერ მაინც გავატრთხილე, ჩანთა არსად დაგეკარგოს, დედაჩემი დაგხვდება და მიეცი მეთქი...

შენ გენაცვალოს დედა, შენ რომ რაღაცეები გამოგვიგზავნე, გემრიელი სუპი გავაკეთებ, მე და მამაშენი ვჭამო ახლაო...რა ხანია მსხალი არ მიჭამია, მამაშენს თუ გადაურჩა, პირს გავისველებ... შენ გენაცვალოს შენი დედა ჩვენი გახარებისთვისო, -სალამოს მითხრა დედამ. მთელი დღე უსაბუთო გიჟივით ვიკრიჭებოდი და რატომღაც მეზობლებს უკვირდათ...

შინაბერასა და მუნჯი ქალის ამბავი

-ცაო! ადამიანის ცრემლი სხვის ჭირში ყალბია თუ გულწრფელი?

-გულწრფელი.

-ღიმილი სხვის ლხინში?

-ყალბი.

-რატომ? თუ ადამიანის ცრემლი გულწრფელია, ღიმილი რალატომაა ყალბი?

-იმიტომ რომ, ზოგს საკუთარი ჭირი ახსენებს თავს,

ზოგსაც ამ ჭირის საკუთარ თავზე გადატანა აშინებს, ღიმილი და სიხარულის განცდა კი ყველას თავის თავზე ურჩევნია...“

აბა, ვისაც ყველაფერის დამნახველი ცისა არ გჯერავთ, მომყევით ამ უზარმაზარ ეზოში, სადაც პატარა კობტა სახლი შუა გულში ისეა ჩადგმული, გეგონება ვიღაცას ზურგით მოეტანოს და ზედ მიწის გულზე დაედგას, სახლის პირველი ნაწილი აგურისგანაა ნაშენები, ზემოდან კი მეორე სართულად ხის ფიცრული ადგას, წინა ფასადზე მთელ სიგრძეზე შუშაბანდ ჩატანებული, აქედან კარგად სჩანს ოქროსფერ ქსოვილიანი მაგიდა სკამებითურთ, მაგიდაზე მომცრო ლარნაკში, რომელშიც დღე-გამოშვებით ენაცვლებიან ერთმანეთს მინდვრის ჭრელა-ჭრულა ყვავილები... მწვანედ აბიბინებულ მინდორში ჩადგმულია ქვის ბუხრისებური ფორმის ნაგებობა, რომლიდანაც კამკამა წყალი მოჩხრიალებს, რომლის ზედა ნაწილი, სადაც წყლის დამკვეთია მოთავსებული, თეთრად ლივლივებს მზის შუქზე. ეზოში ასევე თითო-ოროლა ქათამიც დააბიჯებს, ისიც სალამოს ხანს, დაბუდეებიდან ნახევარი საათით ადრე რომ, სახლის უკან გაშენებულ ბაღში, ქათმებს არ გაეჩანაგებინათ, წითელი პომიდორები, რომლებიც თავს იწონებდნენ და გამვლელ-გამომვლელთ თვალს უყენებდნენ...

ამ ეზოში ცხოვრობდა ერთი შინაბერა ქალი. მუდამ ჯარა-სავით ტრიალებდა, თავის უბედობას არც სხვასთან იმჩნევდა

და არც თავს უტყდებდებოდა. თანასოფლელები ბრაზობდნენ, – ნეტავრი რად იდგამს წელზე ფეხს, მაინც უშვილ-ძიროდ კვდებო, მაგრამ როგორც კი მის კარ-მიდამოს ახლოდან შეავლებდნენ თვალს, სიტყვები უკან მიჰქონდათ. რატომ? იმიტომ რომ სახლის პირველი სართული მთლიანად დასირისტიანებული იყო, ხის მეორე სართული აქა-იქ ჩამომპალიყო, ძველის ნაცვლად ახალი ფიცარი კი ისე ულამაზოდ და შეუფერებლად იყო მიჭედებული, დაკონკილ კაბას მოგაგონებდა. დაბზარული შუშებიდან ზღარბის ეკლებივით გამოეყოთ „სინებს“ თავი... ეზოში სარეველა, პატრონის მტერივით, მომრავლებულიყო, წყლის „მლანგი“ კი საიდანაც წყალი მოჩხრიალვებდა, ბავშვების ნაჩუქარი ფრჩხილის ლაქით იყო გაღებილი, ეს თითო-ოროლა ქათამი და მომცრო ბოსტანი კი წარმოადგენდა ქალის მთელ სარჩო-საბადებელს.

ვინც კი ქალის წარწარ ტანსა და მოღერებულ ყელს, თვალს შორიდან მოკრავდა, ლანძღვით ენას იქავებდნენ, მაგრამ როგორც კი ახლოდან დაინახავდნენ გაჭაღარავებულ თავსა და თვალის ირგვლივ მომრავებულ ნაოჭებს, ენაზე იკმენდნენ ხოლმე. სოფლის უსაქმური მამაკაცები დღენიდავ იკვებინდნენ: ღამ-ღამობით ჩემთან გართობაზე უარს არ ამბობს, დღე კი წმინდანივით მოაქვს თავიო.

თვითონ ქალს ყველა იმათგანი უარით ყავდა გამოსტუმრებული, მაგრამ, ერთს მეორეზე ეგონა, მეორეს მესამეზე და პირიქით, რომ ქალს იმისთვის არ ეთქვა უარი, ამის გამო იყო, რომ ათას ჭორსა და ტყუილს თხზავდნენ მასზე. ამ ჭორ-ტყუილს აყოლილი ქალებიქ ქოქოლას აყრიდნენ საბრალოს, –მრუშობით ირჩენს თავს და მაინც ყელი მოუღერებიაო, მაგრამ როგორც კი საკუთარი თვალით დაინახავდნენ ქალს, ბაზარში შუა გულ მზებზე, როგორ უჩრდილავდა და რწყავდა გასაყიდ პომიდორსა და მწვანილებს თავისი დაძონძილი

უშველებელი შლაპით, კაცების ნათქვამში ეჭვი ეპარებოდათ და სინანულით ევსებოდათ გული.

ეხ, ჩემო კარგებო ყველაფერის დამნახველი ცისა თუ არ გჯერავთ, იქნებ არც მე დამიჯეროთ, მაგრამ სათქმელი რომ გულში მოიყრის თავს და ყელზე მოგებტინება ან უნდა თქვა ან სულს ამოაყოლო... საბრალო ქალი თანასოფლელებს მხოლოდ იმიტომ არ მოსდიოდათ თვალში, რომ ჭირს არ იმჩნევდა, ყველას თვებში არ უვარდებოდა და თავის ჭირ-ვარამი სოფლის სამჭავროზე არ გამოჰქონდა, სწორი იყო, ლხინს თუ არ არგებდნენ, (რომელიც, ჰქონდა თუ არა საკითხავია.) ჭირის დროს იმათი ცრემლის ღვრა, თავის ცრემლს დაუშრობდა? ან ზოგიერთი კეთილისმსურველი რომ პირდებოდა კარგი საქმრო უნდა გამოგიძებნოთო, ორი კინკილა ქათამი შურდათ მისი და კარგ საქმროს გამოუძებნიდნენ და იმას დაუყენებდნენ მერე? ზოგმა შეიძლება სითავხედეთაც ჩამითვალოთ, მაგრამ ჩემი აზრით ადამიანზე საშიში ცხოველი ქვეყნის ზურგზე არ დადის! (აწი თუ აღმოაჩენენ არ ვიცი). სწორედ ადამიანის სიმხეციდან გამომდინარეობს ისიც, რომ კუჭში ჩაყრილი საჭმელი და დამძიმებული მუცელი მაინდამაინც სხვაზე დაცინვით უნდა მოინელონ...

იმ სოფელს, სადაც საბრალო შინაბერა ცხოვრობდა, ერთი მუნჯი ქალი შემოეჩვია, საიდან მოსულიყო არავინ იცოდა და არც არავის აინტერესებდა.

ერთ დღეს ბაზრიდან ბრუნდებოდა შინაბერა, მუნჯი, რომ შენიშნა, შეშინდა, არათფერი დამიშავოსო, რადგან გიჟად ჰქონდა სახელი გავარდნილი და გზას გადაუხვია, მუნჯმა გზა მოუჭრა, მის წინ პატარა ბავშვივით აიტუბა, მერე, გულზე ხელი მიიდო, თავი დაუკრა, თვალი ხარბად მოავლო და გატრიალდა. გული მიეწურა ქალს: მოსალმება ნდომია მე კი თავის არიდება ვცადეო.

იმ საღამოს ქალი ეზოს საქმეს რომ მორჩა და შინ შევიდა, სტუმარი ეწვია!

მუნჯი ატუზული იდგა ზღურბლზე. -რით დაგეხმარო? მუნჯი აზმუკუნდა, მაჩვენებელი და შუა თითი ტუჩებთან მიიტანა...

-ა, სიგარეტი გინდა? -უუუ, -თავი დაუქნია გაბადრულმა და მხრების აჩეჩვით და გულზე ხელის მიდებით ანიშნა, მიყვარს და რა ვქნაო. გაელიმა ქალს: აბა მე სად მაქვს სიგარეტი, არც ვენევი და არც ქმარი მყავსო -უუუ, -მუნჯმა პატარა ბავშვივით ზმუკუნით ამოისრისა თვალები. -ხო,ხო ცუდია ქმარი რომ არ მყავს-მიუხვდა შინაბერა. მუნჯმა ქალს თავი დაუქნია ხელები გაშალა, მერე შუა თითი ყურზე მიიკაკუნა და ჰაერში ცერა თითი აათამაშა, -რა კარგია რომ ჩემი გესმისო.

იმ დღის შემდეგ, ქალი ყოველთვის ყიდულობდა მუნჯისთვის სიგარეტს და მისი მადლიერი თვალების მშვერით ხარობდა. მუნჯიც აღტაცებით ღმუოდდა და პირდებოდა საქმრო უნდა გაგაცნოო. ხელით უღწერდა როგორი იყო, რა სიმაღლის, რა სისქის, უღვაშებზე რომ მიდგებოდა საქმე, მუნჯს სიცილი უვარდებოდა, მის სიცილზე შინაბერაც უნებურად იღიმებოდა... ცნობისმოყვარეებს ვერათვრით გაეგოთ ეს მუნჯი ქალი რას უყვებოდა, ასეთი აღტაცებით რომ იცინოდა ერთიცა და მეორეც? ის რომ სცოდნოდათ მუნჯი ქალს საქმროს გაცნობას პირდებოდა, ნეტავ რას დამართებდნენ საბრალოს?

ის კი იყო, თითონაც კარგად ხალისობდნენ, როცა მუნჯი საკუთარ განელილ ლანდს დასდევდა და გამეტებით ურტყამდა ჯოხს, ირგვლივ შემოესეოდნენ და სიცილით ძირს ხობავდნენ. ვაი მაშინ, თუ უეცრად შინაბერა ჩამოივლიდა, უცვბ დაიშლებოდნენ, მუნჯიც ამ დროს გულმიცემული მათკენ გადააფურთხებდა, სახეს ზიზლით დამანჭავდა, მერე ხელს გაბადრული სახით ქალისკენ გაიშვერდა და ორივე ხელის გულს გულზე მოისმევდა- ყველანი მეზიზღებით მართო ეს მიყვარსო...

შინაბერა დატუქსავდა ხოლმე მოსიერეებს, ენა თუ არ აქვს გული ხომ აქვს, რატომ დასციინითო, მაგრამ გული მათ არ ჰქონდათ და სხვა როგორ შეეცოდებოდათ?

იმ დღის მერე, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაისმა ქალის სახლში მონატრებული დაკაკუნების ხმა. მუნჯს ხელი ჩაებლუჯა სწორეთ ისეთ კაცზე, როგორსაც აღწერდა ხოლმე და ქალისკენ მიექაჩებოდა.

-უუუ, -აი მოგიყვანეო კაცზე ანიშნა შინაბერას და დაიმორცხვა. ორივემ მორიდებით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, მუნჯმა თვალებზე ხელები აიფარა, ებოში გაიქცა და იქიდან დაიწყო ჭვრეტა... ქალმა და კაცმა იმედის თვალთ შეხედა ერთმანეთს და თვალი მუნჯისკენ გააპარეს, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო და კმაყოფილი სახით ქაჩავდა სიგარეტს.

ასე გაიყო მუნჯისა და ქალის გზები. ქალი წავიდა სხვა მხარეში... და თქვენ თუ ფიქრობთ რომ, სხვა მხარესა და გარემოს შეუძლია ადამიანში იმ თვისების მოშლა, ზემოთ რომ ავლნიშნე და ცამაც დამიმონმა, ძალიანაც სცდებით.

ყველამ დაძრაბა ქალი, რალა დროს ამის გათხოვება იყო, ამ კაცს თავის თავის შენახვა არ ყოფნიდა, რომ დაემატაო, მაგრამ როცა შეიტყვეს საბრალოს შვილი აღარ ეყოლებოდა, რადგან ზუსტად იმ დროს როცა შეუღლდა გადამეტებულ სიხარულზე ქალობა დაკარგოდა, ყველამ გულზე დაიკრიფა ხელები და ქალს დახმარება შესთავაზეს. არც აქ არავინ გაიკარა და არც საკუთარი ჭირი გაამჟღავნა ვინმესთან, ეგ იყო, მუნჯის მიუსვლელობას განიცდიდა... ქმარმა მოუტანა ამბავი, სოფლელებს უჩივლიათ, ბავშვებს ერჩის ქვებს ესვრის და საგიჯეთში გამოუმწყვრევიათო.

ცხრა თვის შემდეგ, შუალამეს, ცოლ-ქმრის მყუდროება კარებზე ბრახუნმა დაარღვია. კაცს შეეშინდა ვინმე ოხერი არ იყოს თუ საქმე აქვს დილით გვესტუმროსო, მაგრამ როცა ბრახუნი არ შეწყდა და ცოლიც ჩააჭინდა, -გავულოთ იქნებ ვინ

არისო, თოფი მოიმარჯვა და სახელურს ბურღლუნით დანვდა, გაალო თუ არა კარები კბილებში გამოცრა -ფუ შენიო, და გველ-ნაკბენივით სახლი შევარდა...

მუნჯი გაბადრული იდგა კარებთან და გაოცებით გახევებულ ქალს ხელით ანიშნებდა სიგარეტი მომეციო.

-სად იყავი, საგიჟეთში? -სინანულით კითხა ქალმა და სიგარეტი გაუნოდა. -უუუ, -თანხმობის ნიშნად დავი დააქნია მუნჯმა, მერე, ხელი ზემოდ აწია, მაჯაზე შერჩენილი მსხვილი თოკი დაანახა და მეორე ხელით პატარა დასაკეცი დანა ამოიღო გულისპირიდან.

-გამოიქეცი?

-უუუ, -მუნჯმა თავი დაუქნია, და ქალს ხელი გულზე მოუ-თათუნა.

-ჩემს გამო?

-უუუ, ხა, ხა, ხააა... -თავი დაუქნია მუნჯმა და გულისწამლე-ბად გადაიხარხარა...

ქაბანა და მაპარონა

ბირჟას ვამაგრებდი, უბნის ერთ-ერთი ლაწირაკი რომ მომადგა, წერილი მომანოდა და ისეთი კისრისტეხით გავარდა, მეგონა ბომბი მომცა და გაქცევით თავს უშველა. წერილში სიყვარულს მიმხელდა უბნელი გოგო და მიუხედავად იმისა, რომ სახელი არ ჰქონდა მითითებული, მაშინვე ეჭვი ჩემს გვერ-დით მეზობელ ქაჯანაზე მივიტანე, ამის მიზეზად კი მისი ჩემდამი გადამეტებული ყურადღება მივიჩნიე.

ქაჯანას ოთახის ფანჯარა ჩემს აივანს უყურებს. ერთი კვირა ვამკობდი ქარაგმებით, ისიც ცოტა არ იყოს გაკვირვებით ეკი-დებოდა ჩემს უეცარ შემობრუნებას მის მიმართ, მაგრამ რადგან

მისი წერილი საბუთად მედო, დიდი მნიშვნელობა ამისთვის არ მიმინიჭებია.

ერთი კვირის შემდეგ, (ისევ ზემოთხსენებული წერილით ზურგამაგრებულმა) გავბედე და ყაჩაღივით გადავძვერი მის ფანჯარაში.

სიმართლე ვითხრათ, თუ რამე ემეტებოდა ყველაფერი თავზე დამამხო, მაგრამ მე როგორც „ჯელტმენმა“ ღირსეულად ავიტანე მისი შემოტევა და როცა ხელ-ფეხი გააჩერა, თავიდან თმაზე შერჩენილი მისი ბალიშის ბუმბლეები ჩამოვილაგე და ამოვიგმინე: - „რას მერჩი გოგო, მოყვრად მოვედი, მტრად ხომ არა მეთქი“ კოპები შეყარა, დოინჯი შემოილაგა და ჩემი ხმით გამომაჯავრა

- „ახლა არ მითხრა მე ძმა და შენ დაო...“ ისე მტკიცეთა და ბრაზით მითხრა დამონშება ვერ გავბედე და მიკიბ-მოკიბვითა და ოფლით დაცვარული სახის წმენდით სიმართლე შევაპარე...

„ახლა გადადი, დავფიქრდები და დაგიძახებო“ - შერბილებულად მითხრა და როცა გადასვლისას ხელი წამაშველა მივხვდი, ისევ მომიწევდა ამ ფანჯრით სარგებლობა.

იმის მერე, აგერ 1 წელია, როცა ხალხი ძილს მიეცემა, გადავძვრები ქაჯანას ოთახში და მის სანოლსა და მკლავებში ვნებავრობ.

დიდი მაიმუნი გოგოა, ჩაკეტავდა ოთახის კარს და თუ ოჯახის წევრთაგანი დაუკაკუნებდა, მიბეზები არ ელყოდა, - გახდილი ვარ, ვერ გავიღებ, წიგნს ვკითხულობ (ვერ იტანდა, როცა ვინმე კითხვას აწყვეტინებდა). მეც ამასობაში, გადავიპარებოდი უკან და როცა ქაჯანა მიხმობდა, ისევ მის სარეცელში ვუშვებოდი თავით. ასე დავძვრებოდი ყოველ ღამე ჩემი აივნისა და მის ფანჯარაში და ყოველთვის ერთნაირად ვიშვიშებდა - არიქა, არ დამლუპო ბებიაშენის ყბაში ნუ ჩამავდებ, ნელა ქენი, ნელა გადმოდი, არაფერი დაგიშავდესო, გაიძახოდა და დაფეთებული ისახავდა პირჯვარს. ამ დროს ვგიჟდებოდი მასზე და განგებ

ფეხს ფანჯრის რაფაზე, ხან გარეთ ჩავავლებდი ხან შიგნით, ისიც მეცემოდა და უკან გადამითრევდა, ერთი საათიანი ლექციის შემდეგ, თუ როგორ უნდა გადავსულიყავი, წასვლის ნებას მომცემდა, სამშვიდობოს რომ დამიგულეებდა, ერთს ისეთს ამოისუნთქებდა, თითქოს, ეს ესაა ჩამომხსნა ზურგიდანო.

ამ დროს მავინწყდებოდა ჩემს ქვემოთ მცხოვრები გოგო, რომელიც ჩუმად მიყვარდა და რომელსაც მაკარონას ვეძახდი, კალმის წვირივით წვრილი ფეხების გამო. მაკარონაზე ნაკლებად ლამაზი როდი იყო ქაჯანა, მაგრამ, სინაზის ნატამალი არ გააჩნდა - სულ ქაჯივით დარბოდა და ქაჯანაც ამიტომ დავარქევი. ბებიჩემი რომ ამბობდა, - ეგ გოგო ბევრ ბიჭს „მოიმწყვრევს“ და გააგიჟებს, ეშმაკის ფეხიანო, მეცინებოდა, მაგრამ მართლა ეშმაკის ფეხმა, თავბრუ ისე დამახვია, დაღამებას ვნატრობდი, მის ოთახში და შემდეგ საწოლში რომ მესკუპა.

დღისით კი სულ სხვანაირი იყო, ბირჟაზე ჩვენთან ერთად იდგა და როგორც სჩვევია, მოურიდებლად კისკისებდა... მაკარონას ედაქალებოდა და როცა მათ ერთად ვხედავდი, თავში ტვინი მერყეოდა... მაკარონა მორცხვად მიყურებდა, ქაჯანა კი ხელს მითყაპუნებდა ბეჭებზე, მიწვევდა, დამცინოდა...

-სირცხვილია, გაჩერდი, გეყოფაო, - არიგებდა მაკარონა და თვალეებს მიფახულებდა.

ქაჯანა და ბებიჩემი ვერასოდეს თანხმდებოდნენ და მუდამ ომი ჰქონდათ ერთმანეთში.

ერთხელ მოატყუა, გიო დაიჭირესო და მანამ არ უთხრა სიმართლე, სანამ გული ცუდად არ გაუხდა საბრალოს.

- უთხარი რამე ამ ეშმაკის ფეხსო, - შემომჩივლა ბებიამ.

- ამაღამ ვეტყვი, საწოლში-მეთქი, - ვუპასუხე, იმ იმედით, რომ ვერ გაიგონებდა (ყურს აკლია) და ქაჯანას, რომელიც ბებიჩემს ეტყანებოდა, თვალი ჩაუკარი. აყვირდა და აქაქანდა დასამუნჯებელი ბებიჩემი,

- ხომ გითხარი, ხომ გითხარი, ეს მაიმუნი შემოცდენს ბალანეს-მეთქი! -ყვიროდა ბებია მთელი უბნის გასაგონად... ამ ამბიდან მეორე დღეს მაკარონა გათხოვდა. გულის სიღრმეში გული დამწყდა, მაგრამ რადგან აღარათფერი მაკავებდა, გადავწყვიტე მისთვის მიმებაძა!

აივანზე სიგარეტს ვაბოლებდი და ქაჯანას ველაპარაკებოდი, მაკარონას ქალაბიჭა დაიკო რომ მესტუმრა და დის წერილი მომაჩვენა:

„მართლა ძალიან მიყვარდი. მეგონა, შენც იმავს გრძნობდი, რასაც მე... იმედი გამიცრუე. ჯერ კიდევ მაშინ უნდა მივმხვდარიყავი, წერილზე რომ არ მიპასუხე, მე კი შენმა მზერამ შემაცდინა“... -გკითხულობდი მაკარონას წერილს ენაჩავარდნილი და თავი ცუდ სიზმარში მეგონა!

სალამომდე ბოლთას ვცემდი, ერთი პირობა გადავიფიქრე კიდევ დილით დაგეგმილი მაგრამ, როცა სახლებში შუქი ჩაქრა, ინსტიქტურად გადავძვერი ქაჯანასთან და უნდა ვალიარო, ისე სიამოვნებით არასოდეს მოვფერებივარ, როგორც მაშინ... მეგონა, მასაც წამართმევდნენ და როცა დილის 5 საათზე ჩემს მკლავებში მონებივრე ქაჯანამ ხელ-ფეხის კვრით გამაღვიძა, - ადექი, უკვე თენდება, გადადი სახლშიო, - უშფოთველად ვიცვალე გვერდი და წავიბურტყუნე, - დღეს მე და შენ ჯვარი უნდა დავინეროთ და გამოძინება მაცადე-მეთქი, ქაჯანამ კოპები შეყარა, იჭვნულად დამაცქერდა, მერე განწილი თმა ჩემი რეზინის სამაჯურით აიკრა, ბალიშზე მძიმედ დაახეთქა თავი, ზურგი შემაქცია და ჩემსავით ნაიფრუტუნა-არც მე მანყენს გამოძინებო!“

სამსახურში მივდიოდი მაკარონა რომ შემხვდა, მივულოცე და მომილოცა. მეტი არათფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის... მერე აივნიდან გადმომდგარ ქაჯანას მიესალმა, ისიც დიდის ამბით შეხვდა ჩვენი დაოჯახების უნებლიე მოკეთეს და შინ მიიპატიჯა. წასვლისას მაკარონამ ისე შემომხედა, თითქოს

უკანასკნელი მზერა ყოფილიყო... იმ წუთში გული დამიმძიმდა, დიდი ლოდი მელო მკერდში, მაგრამ როცა ქაჯანამ ზემოდან პირჯვარი გადაინერა და გადამწერა, გულზე დანოლილი ქვა ბუმბულად მექცა... აი ეს სიტბო და მზრუნველობა მავინწყებდა ყველასა და ყველაფერს...

ჟიღლო მადებარი

- ალო, ირაკლის სთხოვეთ.
- არ ცხოვრობს ირაკლი აქ.
- აა, უკაცრავად.
- ალო, დათო შინაა?
- ვინ დათო, სხვაგან მოხვდით, გენაცვალე.
- კარგი,ბოდიში.
- ალო, გიორგის სთხოვეთ ერთი წუთით.
- სად რეკავ შვილო?
- ისაა...მუმლაძეებთან.
- სხვაგან მოხვდით.
- ალო, თორნიკეს სთხოვეთ, თუ შეიძლება.
- რომელი ბრძანდებით?
- მე...მე, თორნიკეს მეგობარი ვარ.
- სკოლის თუ უნივერსიტეტის?
- უნივერსიტეტის...
- აა, შემთხვევით ის ხომ არ ხართ, დაბადების დღეზე დედაჩემის ნაყიდი დათუნია რომ აჩუქაა?
- არაა, ის არ ვარ მე... მე, მე, სხვა ვარ...
- ვინ სხვა?
- რა მნიშვნელობა აქვს, მეგობარი ვარ, დამალაპარაკეთ თუ შეიძლება.
- საქმე იმაშია,რომ სახლში არ გახლავთ...
- ალო, ლექსოს სთხოვეთ გეთაყვა.

- ვინ ლექსოს, არ ცხოვრობს აქ ლექსო.
- აი, თქვენი მეზობელი რომაა...
- ვაიმეე, იცით, ლექსო საერთოდ არ მყავს მეზობელი, გეშლებათ რაღაც.
- უკაცრავად.
- ალო, ჯუბას სთხოვეთ.
- ვის ვთხოვო?
- ჯუბას.
- ალოო, უკაცრავად ვერ გავიგონე, ვის ვთხოვო?
- ჯუბას, ჯ უ ბ ა ს ქალბატონო...
- ეგ სახელი ჩემს დღეში არ გამიგონია, რას აღარ მოიგონებთ ეს ახალგაზრდები. სხვაგან მოხვდი შვილო სხვაგან.
- უუკაცრავად.
- ალო, გიგა სახლშია?
- წუთი წუთზე მოვა, ვინ კითხულობს?
- თანამშრომელი.
- თანამშრომელი? გეშლებათ რაღაც, ჩემი შვილი სკოლაში დადის ჯერ.
- აა, უკაცრავად, სხვას ვეუბნებოდი, კლასელი ვარ მისი... ალო, ალო, გესმით ჩემი? ალოო, გესმით ჩემი?
- ალო, ვისი ბინაა?
- თქვენ სად რეკავთ?
- მე? სერგი დამალაპარაკეთ ან ნოდარი.
- ბატონო? ვინ დაგალაპარაკოთ?
- დათო, ქალბატონო.
- ვინ დათო, ვინ სერგი და ნოდარი, ნორმალური ხართ თქვენ?
- მოიცა, არც მამუკა არ ცხოვრობს მად?
- ყაზარმა ხომ არ გგონია შვილო აქ? რას მაიმუნობ?
- ალო, გოჩა მინდოდა.
- გოჩაა? ვინ ხარ ასეთი, ჩემი გოჩას უბედურება რომ არ გაუგია?

ცა და მინა შეძრა ამ ამბავმა, ვააი ჩეემოლო თააგოლო, ჩეემო
 უბედუროლო ქმაროლო...
 -ა, უკაცრავად, უკაცრავად ნომერი შემეშალა ქალბატონო.
 -ალო, ავთო შინაა?
 -ჯერ არ გამოსულა შვილო, ვინ კითხულობს?
 -მეგობარი ვარ. როდის გამოვა?
 -სამი წელი კიდევ აქვს მოსახდელი, რომელი ხარ
 გენაცვალე?
 -არავიინ... შემეშალა... უკაცრავად...
 -ალო, ნიკა სახლშია?
 -კი... ვინ კითხულობს?
 -მეგობარი ვარ მისი, შეგიძლიათ დაუძახოთ?
 -მეგობარი? მოიცა, როგორ არ შემიძლია. ნიკაა... ნიკაა...
 ახლავე მოვა შვილო.
 -როგორც იქნა!!!
 -რა ბრძანებით?
 -არაფერი, ქალბატონო არაფერი...
 -აი, მოვიდა, ყურმილს გადავცემ...
 -ალოლო,- გაისმა ტელეფონში წვრილი,საშინლად წრიპინა
 ხმა... ვინ მკითხულობს?
 -ალო, რამდენი წლის ხართ?
 -მე? 9 წლის. ვინ ხართ? ალოლო, გესმით ჩემი? ალოლო...
 -ტუუუ... ტუუუ... ტუ...

ორ ლარად გაყიდული სიზმარი

ვისაც, ოდესმე ფული დაგიკარგავთ, ის ადგილი ხელებით გიპოტნიათ, ფიქრი ძილში ჩაგყოლიათ და ცხრა მთას იქითაც გადაგყოლიათ, ნაპოვნი კი არ დაგიფასებიათ, ან სულაც გაღებული მადლი გინანიათ, უკვე ვხედავ თქვენს სახეზე გამეფებულ სიმწრის აღმურს, თქვენთან კი ბოლიში, ვისაც არც დაკარგული გიდარდიათ და არც დათესილი სიკეთე გინანიათ...

გვერდიგვერდ ვისხედით ეზოში მე, მამა და დედა. მამას მეზობელთან გაქაფული სჯა-ბაასი ჰქონდა გამართული. შვენშინე, ჯიბიდან ორი ლარი გადმოუვარდა, ავიღე და მივანოდე, ურეაქციოდ გამომართვა და ჯიბეში ჩაიღო, ცოტა ხანში ფული ისევ სკამზე დაეცა, არც მაშინ არ განმიხორციელებია მზაკვრულ ფიქრი, ისევ მივანოდე. მამაჩემმა, ამჯერად მეორე ჯიბეში გადაიტანა ფული.

არც იქ მოასვენა ორი ლარი „მომჭრელმა“ მეორე მხრიდან, დედაჩემმაც რომ მიანოდა, პირველ ჯერზე მშვიდათ გამოართვა, მაგრამ მეორეთაც რომ იგივე განმეორდა, ნერვებმა უმტყუნა და ფული სიმწრისგან მოისროლა.

მამაჩემის ჯიბიდან ორმა ლარმა ეზოს ბოლოს ქვების გროვაში „დაიღო ბინა“. მე, ჩემმა დამ და ბიძაშვილმა, უშედეგოდ გადავჩხრიკეთ ის ადგილი და მისი შემოგარენი. იმ დღის შემდეგ, ყოველ დღე ვეძებდით იმ ორ ლარს და ძვრას, რომ ვერ ვუშვებოდით, იმ ქვების მომტანსა და იქ დამყრელზე ლანძღვით ვიოხებდით გულს. ვიჭიქით და ვოცნებობდით, ვინ იცის, რამდენ რამეს ვყიდულობდით იმ დაკარგული 2 ლარის წყალობით: „ბარამბოს ბატონს“, „როშენის ვაფლს“, „ბაბუშკინას“, ნაყინს, ნატახტარის ლიმონათს, ვანილის კრემიან „ტრუბოჩკას“, მარილიანი მზესუმზირას....

ერთ დღეს ძებნის პროცესში, მეზობელი ზედმეტსახელად-წერტილა შემოგვესწრო, დახმარების ხელი გამოგვიწოდა და ძირ-ფესვიანად გადაპოტნა ღობე-ყორე.

ჩვენ უკვე ხელი გვექონდა ჩაქნეული და მეორე ხელსაც ჩავიქნევდით, ბენვათი რომ არ მოესწრო ბეზიას და ათი ლარი არ მოეცა. ჰოი საოცრებავ, ამ დროს, მოვიდა წერტილა და ხელისგულზე დაკოსებული ორ ლარიანი აგვითამაშა.... ჰმ, ხელში ათი ლარი გვეჭირა და განა ღორები ვიყავით, ბავშვისთვის თავისივე ნაპოვნი წაგვერთმია? ოღონდ ის კი გავითვალისწინეთ, რომ წერტილას წილში აღარ გავიყვანდით.

ჩვენც და წერტილამაც იმ დღესვე ფული მალაზიაში დავტოვეთ. საღამოსვე, როცა ათი ლარის სასუსნავი მოვიწვინე, უნებურად წერტილას ხელისგულზე ორი ლარის გახსენებამ ტუჩი მომაკვნიტინა... ის ორი ლარი, რომ მქონოდა ძილის წინ თბილი ალუბლის კისელი სწორედაც, რომ მომიხდებოდა.

მაგრამ სხვა რა გზა იყო? დავდე თუ არა თავი ძილი არ იყო მოსული, სიზმარი რომ მოვიდა: გადაშლილია ტრიალი მინდორი, სად გორა არის, სად დაღმართი... ვაკვებ დიდი ორ სართულიანი უფანჯრებო და უკარებო შენობა დგას.

ვდგავართ მე და ჩემი შეყვარებული და ვფიქრობთ საით გავიქცეთ, რადგან მოგვბდევინ. მე უბეში დამალული ორი ლარი შევამოწმე და შენობის მეორე სართულისკენ გავემურეთ, ერთმანეთს ვეკვრით და რიგრიგობით ვსუნთქავთ. მოგვიახლოვდა მდედარი. იატაკი ჩავტეხეთ, ჩავხტით, პირველი სართულიდან პატარა ხვრელის წყალობით გავედით. აღმართს დაღმართზე დაშვება ვარჩიეთ, ვაკვებ რომ გავსწორდით, უშველლებელი მუხის ფულუროში დამალვა გადაწყვიტეთ. შევიდა ჩემი შეყვარებული, შევყევი მეც და... ჩემს თვალ წინ გადაიშალა გრძელი გვირაბი, გვირაბის ბოლოს, უზარმაზარ ჩიტის ბუდეში კვერცხის თავზე ბრწყინავს ჩემი ორ ლარიანი. მივრბივარ, მივრბივარ და მაინც ვერ მივალწიე იქამდე, რაც უფრო წინ მივდივარ, მით უფრო იზრდება მანძილი ჩვენს შორის, თანაც, ყოველი ნაბიჯის დადგამაზე ლურსმანი მერჭობა. ტკივილმა პიკს

რომ მიაღწია, რაც ძალა მქონდა, მოვიკრიბე და შეყვარებულს ვუხმე, რომელიც სადღაც გაუჩინარებულიყო-არ მინდა ის ორი ლარი გამოჩნდი და უკან დავბრუნდეთ მეთქი! ჩემმა ყვირილმა გამომაღვიძა, ფეხის ტკივილი ცხადშიც ვიგრძენი, დავხედე ფეხს და რას ვხედავ ბიძაშვილის წყალობით რკინის სარეცხის შპილკა დამცხრომია სვაფივით...

მეორე დღეს ბიძაშვილმა წერტილას თანდასწრებით მკითხა, გუშინ რა გესიზმრა ასეთი, რომ გაყვიროდი ორი ლარი არ მინდაო. მე გავამწვავე, ისეთი სიზმარი მესიზმრა, აბა ორი ლარი რაღად მინდოდა მეთქი? ჩამაჯინდა წერტილა, მეც გავჯიქდი,

ბოლოს ვუთხარ, ორი ლარი მომიტანე და გეტყვი მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, გაიქცა და მართლა მომიტანა. მეც სიტყვა შევასრულე და მოვუყევი, თუ რა, ეს თქვენი ფანტაზიისთვის მომინდია.

იმ ორი ლარით ნაყინი ვიყიდეთ და გემრიელადაც მივირთვით, მაგრამ... აი, ის ორი ლარი რომ გვექონოდა, მთელი სამი თვე რომ ვეძებეთ და ნაპოვნი ისე იოლად დავთმეთ, თითო-თითო „ბაბოლის“ კევაც ხომ მოგვივიდოდა? მოგვივიდოდა..





პოპიბერიძე ინგა



დაიბადა ულამაზეს ქალაქში, 1964 წლის 19 აპრილს, იმ თვეში, როცა ბუნება ყველაზე ლამაზია ალბათ, სითბო იღვრება ყველა მხრიდან. ამიტომაც მშემ გადამწყვიტა ჩემს გულში ჩასახლებულიყო და მზისფერი გავმხდარიყავი. ოქროს მედალზე დავამთავრე ქ. ბათუმის ვ.ი. ლენინის სახელობის №1 საშუალო სკოლა.

სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში გავავრძელე (ნუცას სკოლას რომ ეძახდნენ თბილისელები). გავავრძელე და წითელ დიპლომზე დავამთავრე კიდევაც, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით.

რამდენი ქართველი გადაიარა ჩვენმა ქვეყანამ, სწორედ ის დრო იდგა რუსული ენა მჭიდროდ, რომ იკიდებდა ფეხს სახელმწიფო დაწესებულებებში, ამიტომ სიხარულით ამიყვანეს აჭარის კულტურის სამინისტროში კადრების განყოფილების უფროსად. მხოლოდ ეხლა ვხდები, რომ იქ გატარებული წლები იყო ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის დასაწყისი. თეატრალური ფესტივალები, ბათუმური მუსიკალური შემოდგომა, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, ცნობილ მუსი-

კოსებთან, თეატრალებთან. ეს ქმნიდა ჩემს მეხსიერებაში ყოველივე იმას, რაც მხოლოდ მეოთხე წელია გადმოვიტანე ფურცელზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბათუმის საბავშვო ბიბლიოთეკაში მუშაობამ მომცა ის უნაპირო შესაძლებლობა, რომელიც საყვარელ ადამიანებთან, მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებმა მაგრძნობინეს.

სოციალურ გვერდზე შევექმენი ლიტერატურული-ფორუმის სახით ჯგუფი „ინგას უბანი“, სადაც უამრავი შემოქმედი ადამიანი გაერთიანებული. პოეტ ხათუნა შავგულიძის სიტყვებით, თუ ვიტყვი მათი ნიჭიერების ძებნაში, ჩემი მუზაც მოფრინდა და გამოვეცი შემდეგი წიგნები:

-ინგა გოგიბერიძე - მინიატურები - (იმედის დირიჟაბლი)- 2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე - „შენც წაიკითხე“ - პუბლიცისტური წერილები-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და მინიატურული შტრიხები თქვენი პორტრეტებისათვის - 2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ინტერვიუების კრებული-„.....ერთი ტონა ბლის მურაბა ჯილდოდ“ - 2015 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ამბავი ერთი ქალისა - 2015 წელი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და ეპიტაფიები - 2016 წელი

-ინგა გოგიბერიძე- „ასე მგონია ართაზე უკრავ“ - 2016 წელი

-ვარ შვიდი კრებულის „ჩანაწერები ინგა უბნიდან“ და ლიტერატურული კრებული „ბათუმს“ რედაქტორ-შემდგენელი.

ჩიტი

ეს მე ვარ ჩიტი და ვაკაკუნებ.... გამიღეთ კარი, დამიგვიანდა.
დამიგვიანდა მე აღმაფრენა და სიყვარულსაც შეაგვიანდა....
შემიფრთხილდა პანანა გული, ჩემს სუნთქვას ეკვრის რკინის მავთული.

გამიღეთ კარი, ეს მე ვარ გვრიტი, პატარა ჩიტი... რატომ არ გესმით?

გთხოვთ მითხრათ სწრაფად-ამ ჩემს სიყვარულს, ასე, ამდენი, რად შეაგვიანდა?

საიდან ვლიდა? ჰო, სად წავიდა?

სწრაფი წვიმების თქეშმა ჩასძირა თუ უძირო ტბის ფსკერზე უეცრად გაირიყა და გაირინდა, გაჩუმდა? გაჰქრა. სულ დაიკარგა.

ეს მე ვარ ჩიტი და ვაკაკუნებ, გამიღეთ კარი, დამიგვიანდა.

დამიგვიანდა მე საოცარი ფერების ერთად ცქერა და მზერა, დამიგვიანდა ალგორითმებად ქცეული ჩემი ეს აღმაფრენა.

დამიგვიანდა, სულ ყველაფერი. ამ ქვეყნად მოსვლაც და გაგრძელებაც.

დამიგვიანდა და ვაკაკუნებ... და ვაკაკუნებ... დამიგვიანებულს ვინ უღებს კარებს.

რკინის მავთული უფრო ღრმად მეკვრის და ველარ გეტყვი, რომ მე ვარ ჩიტი, პატარა გვრიტი... ვაკაკუნებ და ველოდები ჩაკეტილ კართან -გაღებულ კარებს!

შენთან მოსვლამდე

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო. დიდი და გრძელი პერგამენტის ერთი ნაჭერი. ქვად ქცეულ სიზმრებს ვაშორებდი პატარა ხაზებს. გულში ვიკრავდი არნახული გზების ნაპირებს. მზია და ზეზვა შემეცოდა, ამ სიყვარულით, გამოძენილი უსასრულობით, შენთან მოსული. ჩამომლილ კლდეებს ვეფარებოდი, წვიმების გუბეს დავეძებდი, კლდეებზე კი-ქვების ნატეხებს, შენი სახების გამოსაკვეთად. შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო.

უძირო ტბის ფსკერს, ვუგზავნიდი უუუუნა წვიმას, რომ ანარეკლი შენი სანდო გამოსულიყო. ამირანის ჯაჭვს ყოველდღიურად ხელს ვავლებდი, იქნებაც ერთ დღეს განყვეტილიყო. ხელის მტევნები სკდებოდა მხოლოდ... ჯაჭვი? მეორე მხარეს, ახალ ჯაჭვს ქმნიდა!... უსასრულოს და გაუნყვეტელს!

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო, დიდი და გრძელი პერგამენტის ერთი ნაჭერი.

მიწიდან ცამდე... ციდან მიწამდე...

უსასრულობამდე.

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო.

იმ კუნძულია

იქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან შორი. გადაქსაქსული მდინარეებით, ჩანჩქერებით და ვულკანებით. აქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან ახლოს, დაფარული ჩემი ფიქრებით და გულისთქმებით, გეიზერის ამოფრქვევებით. და განსხვავება ამ კუნძულთ შორის, ჩემი სულია, მოთარფათე, ალუბლისფერ-მომწვანო ფერის უხორცო ვნება... კი მიწისძვრაა ის თბილი გრძნობა, ქარს რომ ატან და ჩემთან მოაქვს. იქნებ შეჩერდეს სადმე ახლოს ოკეანესთან, რომ გადაყლაპოს ვეშაპმა იგი და დავრჩე მართო ქარებთან და თბილ წყლებთან ერთად. იქნებ

კიდევაც მომღერალმა შენმა თევზებმა, ვერ მიამაგრეს წითელ ფიჭვებზე განსხვავებული ალუბლისფერი და მომწვანო ეს ჩემი სული.....იქნებ და მინდა, უფრო მაღალი კუნძული მქონდეს, კუნძულში სული, სულში კუნძული და ვერ მიაგნოს, ვერც ცუნამა და ვერც ტორნადომ... კი, იქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან შორი. გადაქსაქსული მდინარეებით, ჩანჩქერებით და ვულკანებით. აქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან ახლოს, დაფარული ჩემი თიქრებით და გულისთქმებით, გეიზერის ამოფრქვევებით.

სოფელი

„ვას
სოფელი რაში განხარ
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსაა“.

გინდათ, მოგიტხროთ აბავი სოფელზე, ქალაქზე და სამყაროზე, მოგიტხროთ ამბავი სიყვარულზე, სიძულვილზე, სიცოცხლეზე ან არარაობაზე. ამბავი არაფერზე და ამბავი ყველაფერზე, ამბავი უტყვი, თვალხილული, არსაიდან მოსული. დიახ, საიდან მოვიდა, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ფიქრი იყო, ჩრდილად დარჩენილი, ოქრო, ვერცხლად გადაქცეული და ხმა, ექოდ შთანთქმული. საიდან მოვიდა, არ ვიცი, ქალაქად თუ სოფლად გაზრდილი, მთებში მოხეტიალე, კლდეში ნაწამები, მდინარეში ნალოლიავეები, ჩანჩქერის ხმად ქცეული და წყლის წვეთებად შთენილი.

საიდან მოვიდა, ვერ გეტყვით-ქალაქი უმზეო და უბალახო, სოფელი მზიანი და ველადქმნილი, სურნელი მოტკბო სიყვარულის და სუნი ძველი, სასაფლაოდან მოსული, თეთრი არშიით მორთული, ჰაერში მოფარფარე, მაგრამ მაინც მარტოსული. სურნელი მარილის, აღქმული ზღვის სიტკბოდ, სურ-

ნელი ტიტის, დანახული სიხარულით, ამოხეთქილი ქვაში ყვა-ვილად, ელექსირი ჯადოსნური, გადმოღვრილი ჯინის ღოქიდან, მონვდილი დევის ხელიდან და დამარხული ფერფლად სიყვარულით.

საიდან მოვიდა, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ფიქრი იყო ჩრდილად დარჩენილი, ოქრო, ვერცხლად გადაქცეული. სამყარო უტყვი, ხან ხმაურიანი-ქარიშხალი ქალაქში და სიო სოფელში, უვარსკვლავებო ზეცა ქალაქში და მოჭედილი ვარსკვლავებით ცა, სოფელში.

საიდან მოვიდა? არ ვიცი, მიტოვებული სოფლიდან თუ ხმაურიანი ქალაქიდან, ქვესკნელიდან-ხმა არარაობის, ზესკნელიდან-სუნთქვა ერთად ყოფნის.

ჯილდო? ჯილდო-სიცოცხლე, ნაპოვნი უწყლო მინაბე, ქვიშიან თიხაბე, ნამიან ბალახბე, ქალაქის ცათაბჯენებზე და სოფლის შარაგზაზე, მოკლე და გრძელ გზაზე, შორეულ წინაპარზე, დამტვრეულ და ჩამორღვეულ ორლობებზე, ფიცრით აჭედილ კარზე, დამშრალ ჭაბზე, ვერნაპოვნ ქვევრზე, გატეხილ ორშიმომზე და ჩამოღვენთილ ღვინის წვეთებად სიცოცხლეზე. ჯილდოდ ნაპოვნი ამბავი სოფელზე, ან სოფლის დედაკაცზე, მის უტყვ განჯინზე სავსე წერილებით, მის ჩუმ ვედრებაზე შავი ყვავილებით, ჭრელ წინსაფარზე, ლამაზი ღიმილით და საბუდარზე ფრთამოტეხილი წინილებით. ამბავი სოფელზე, ქალაქზე, ქვეყანაზე. ამბავი, უსასრულო გზაზე ან გზის დასაწყისზე, გზის ბოლოზე, მარჯვნივ, რომ გეძხის და მარცხვნივ მიდიხარ, მარცხნივ, რომ გენევა და პირდაპირ მიდიხარ, მარტოსულს გტოვებს სამყაროს წინაშე.

ამბავი? ამბავი უსასრულო, სირცხვილის ბეჭედს, რომ ირეკლავს ტბის ფსკერიდან, ასეთი სიცოცხლე ეშმას სულს უტოლდება, ზღაპრად და იგავად, სოფლად და ქალაქად ფინალის გარეშე... სოფელი ერთ ამბად.

სახმ

მოძებნე, რომელი სახეა შენი, შენი სახეა. მონახე. რომელი მთვარეა შენი, შენი ნათება. სახეა, უბრალოდ სახეანათელია თუ ბნელია... მაინც სახეა. რით ფარავ ამ ღიმილს? ჩადრით ან პირბადით, მზის სხვით, ჩანჩქერით, წყლის წვეთით, ულევ ვარსკვლავით და ღამის ნათებით. სახეზე მეგონა, რომ ჩადრს არასოდეს ავიფარებდი. ის ხომ ჩემს ღიმილს დაფარავდა... მეგონა, პირბადეს არასოდეს გავიკეთებდი, მაშინ ხომ შენ ვერაფერს დაინახავდი..... მოძებნე, რომელი სახეა შენი, შენი სახეა. მონახე. რომელი მთვარეა შენი, შენი ნათება. სახეა, უბრალოდ სახეა. ეს შენი სახეა.

ლელვის ხმ

ლელვის ხეს საოცარი ფესვები აქვს... მინაში, რომ ჩაიხედავ, მოგეჩვენება, თითქოს პარალელურ სამყაროში შედიხარ, იმ სამყაროში, სადაც გზები არასოდეს იკვეთება, არამედ პირიქით, გვერდი-გვერდ მიედინება სიხარულის და სიყვარულის ფესვებად.... აქ მოხვედრილი, თითქოს სხვანაირად სუნთქავ, არც კი გიჭირს, რომ მინაში ხარ... მიდიხარ და მოგსდევენ ფიქრები ტკბილ ლელვის ჩირად, რომელსაც ახმოვ და ისევ ლელვის ტოტებზე ჰკიდებ. მიდიხარ და მოგყვება პოეზია, ლელვის მარცვლებად, რომელსაც კვლავ ახმოვ და ისევ მინაში აბრუნებ სიყვარულის გასაღვივებლად.... ფესვები და ნაყოფი ერთნაირია, ტკბილი, როგორც სიყვარული.... მხოლოდ ეს არის - შავი და თეთრი ნაყოფის გარჩევა უნდა შეგეძლოს... თეთრი და შავი. შავი და თეთრი. ლელვის ხის გასარჩევი ჩვენი ნაყოფი.

დედას!

...მე ვიღებავ თმებს ...ჩემს თეთრ ჭალარას. შავი საღებავი ხშირად მენწვთება ბალიშისპირზე, გულისპირზე, სხეულზე....

შავი საღებავი დროებით მიღებავს ჩემს ნაწნავებს და არ რჩება სამუდამოდ ჩემს სხეულზე.... იგი რჩება ბალიშისპირზე, რომელზეც ვდებ თავს, რომელშიც ვაქსოვ ფიქრებს, სადაც ვაფერადებ სიზმრებს. მე ვიღებავ თმებს..... ჩემს თეთრ ჭალარას. სულ მეშინია, უდროოდ დროს არ გამოჩნდეს ჩემი ჭალარა და ვფიქრობ, რომ შავი თმები უფრო მიხდება ვიდრე თეთრი და არ მინდა ვინმემ იცოდეს, რომ მე ვიღებავ თმებს, ჩემს თეთრ ჭალარას... დედაჩემი არ იღებავს თმებს, ის სულ მთლად ჭალარაა და მას არ ეშინია, რომ არ იღებავს თმებს. ...დადის თეთრი. სულ მთლად თეთრი და უხარია, რომ არ იღებავს თმებს... მე კი ხშირად ვაცქერდები ბალიშისპირს, დარჩა თუ არა ლაქა ჩემი შავი საღებავის, დარჩა თუ არა ტკივილი, ჩემი ნათუქრალის, დარჩა თუ არა სიხარულის წვეთები... ხომ არ წაიშალა? ხომ არ დაიღალა ჩემი ნაცქერალი... მე ვიღებავ თმებს ...ჩემს თეთრ ჭალარას და ხშირად ვაკვირდები ადამიანებს. ხვდებიან თუ არა, რომ მე შეღებილი თმებით დავდივარ. რომ სინამდვილეში მე თეთრი თმები მაქვს და სულაც არ მინდა რომ შევიღებო იგი და მინდა, რომ სულ თეთრი თმებით დავდიოდე, როგორც დედაჩემი. დედაჩემი არ იღებავს თმებს... ის სულ მთლად ჭალარაა და მას არ ეშინია, რომ არ იღებავს თმებს.

დავმშვიდდი თითქოს, შენ რომ მეძახდი, ის ხმები აღარ მოდიან ჩემთან. დაუნყნარდი. თითქოს, შენ რომ მირჩევდი, ყველა ის ჩრდილი გადაიფარა შავი ლაქებით, გველთა ნაკბენით, ღრუბლების მტკვრით და ექოებით, ხმებით, რომლებიც ჩრდილებთან ერთად, აღარ მოდიან ასაღელვებელად...

დავმშვიდდი. დიახ, დავმშვიდდი, აღარ მანუხებს მე სიყვარული, ასე ძნელად და თავგამეტებით, გუშინ, ძალუმათ კარს, რომ მიმტკრევდა. დავწყნარდი... თითქოს, შენ რომ მირჩევდი, ყველა ის გზებიც გადანანილდა სხვადასხვა მხარეს და აღარ ვირჩევ ჩემთვის სასურველ მიმართულებას, ის რის წვერზე, რომ ძევს უჩუმრად. დავმშვიდდი, მაგრამ გულის კუნჭულში შიში დაბუღდა... შიში, სხვაგვარი. მე ვერ წარმოვთქვამ და ვერ დავარქმევ ამ შიშს სხვა სახელს, გარდა იმისა, რომ ეს სინყნარე, მოჩვენებითი, ძალიან მზარავს... დიახ, მაშინებს მე ეს სიმშვიდე.... დავმშვიდდი? თითქოს, შენ რომ მეძახდი, ის ხმები აღარ მოდიან ჩემთან? დავწყნარდი? თითქოს, შენ რომ მირჩევდი, ყველა ის ჩრდილი გადაიფარა შავი ლაქებით, გველთა ნაკბენით, ღრუბლების მტვერით და ექოებით, ხმებით, რომლებიც ჩრდილებთან ერთად აღარ მოდიან ასაღელვებელად?.... დავმშვიდდი? ნუთუ მართლა ასეა ახლა!

ისმ -იბაჰიჰიჰი!!

სამოთხის ვაშლის მურაბიდან წინაკაზე გადაინაცვლა... სხეული ისე უთრთოდა, როგორც შვლის ნუკრის გული კანკალებს შიშით. ქლიავის მწიფობის შემდეგ რკოს საძებნელად ტყეში წავიდა, იქ კი წაბლი დახვდა ფხვიერი და ნოყიერი. მხოლოდ თაფლის ერთ წვეთზე და სამოთხის ვაშლის მურაბაზე ოცნებობდა. ეგონა ტკბილი ცხოვრება კაკლის, თეთრი ბლის, შინდისა და ალუბლის მურაბეებით ტკბილი უნდა ყოფილიყო მუდამ, მურაბის წვეთები კი მარგალიტებად ყელზე ჰქონოდა შემოხვეული. ძნელი იყო სიტკბოს პოვნა... ყველგან წინაკა იყო მოშენებული, წითელი და მწაფანე, ჯანმრთელი, ლამაზი, გარეგნულადაც ჯანსაღი ფერითა და ხორციით, ულამაზესი ფოთლებით... სიტკბოს წვეთს მზე სჭირდებოდა, რომ სამუდამოდ

დაშაქრებულიყო მურაბები და ეს ცხოვრება, შაქრად გადაქცეული, თბილად შეგენახა ცივ სარდაფში..... ეს ჩვენი მზე კი სამოთხის ვაშლსაც და წინაკასაც ერთნაირად ანათებდა და ატკბობდა, ამიტომაც იყო ძნელი სიტკბოს პოვნა წინაკასა და სამოთხის მურაბას შორის... სამოთხის ვაშლის მურაბიდან წინაკაზე გადაინაცვლა... სხეული ისე უთრთოდა, როგორც შვლის ნუკრის გული კანკალებს შიშით.

თოვლის გამყიდველი!

მე ვნახე გუშინ თოვლის გუნდის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა თოვლს.

მე ვნახე გუშინ თოვლის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა სიციფეს.

მე ვნახე გუშინ თოვლის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა დარდს და ეს დარდი ზომების მიხედვით დაელაგებინა.

მე ვნახე გუშინ თოვლის გამყიდველი, დარდის და სევდის გაუზიარებელი კაცი, რომელიც ყიდდა გუნდას, სავსე ცრემლით და თოვლის უმანკო ფიფქებით.

მე ვნახე კაცი, მთლიანად თოვლი, რომელმაც დაჰყო საკუთარი ცხოვრება თოვლის გუნდებად, ზომების მიხედვით.

მე ვნახე კაცი, თოვლი კი არა, არც თოვლის პაპა, არც სიხარული. არა, ვნახე კაცი, რომელმაც უბრალოდ თოვლის გუნდა იკმარა.

მე ვნახე კაცი, რომელიც ყიდდა თოვლს.

რომელიც ყიდდა ნამს, წვიმას, ქარს და მზეს მოქცეულს თოვლის გუნდაში. მე უბრალოდ ვიხილე თოვლის გამყიდველი კაცი!

და მე უბრალოდ ვიხილე კაცი, კაცი, რომელიც იმედის ქათქათა გუნდებს აგროვებდა პატარებისათვის.

აგროვებდა და ზომების მიხედვით აწყობდა ,რათა პატარებს ხელები არ გაყინვოდათ.....

დიახ, მე უბრალოდ ვიხილე თოვლის, სევდის და თეთრი იმედის გამყიდველი კაცი. მე ვნახე გუშინ თოვლის გუნდის გამყიდველი. კაცი ,რომელიც ყიდდა თოვლს.



მაცვალა დავლაძე



მაცვალა დავლაძე 1959 წლის 30 მარტს დაიბადა ყველაზე ლამაზ ქალაქ ბათუმში. 1976 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა. 1979 ჩაირიცხა და 1984 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების და მეთოდის სპეციალობით. 2007 წლიდან ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. ლექსებს და მუსიკას პატარაობიდან წერს. 2010 წლიდან კი მუშაობას იწყებს მომღერალთა ღუეცთან - „არტი“. ლექსზე „გნამდეს ჩემი სიყვარულის“ ახალი სიმღერა შექმნა, რომელმაც მაცვალა დავლაძეს და ღუეცს წარმატება მოუტანა. (დათო შამილიშვილი და ვერა ბაბუციძე უკვე 2010 წლიდან ერთად მღეროდნენ, როგორც ღუეტი და ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მათი ტკბილი ხმებით.) 2013 წელს გამოცემულ პირველ კრებულს, მაცვალამ „თერთა ჰარმონია“ შეარქვა. მაცვალა გახლავთ „ჩანაწერები ინვას უბნიდან“ რამდენიმე კრებულის ერთ-ერთი ავტორი. ის შესანიშნავი პოეტი და გულისხმიერი ადამიანია. უამრავი წარმატება მას!

თავისუფლება მძღვნება მამას

აქამდე არვის არ ენახა
მის თვალზე ცრემლი...
მამის სასთუმალს მიჯაჭვული უფალს
შევთხოვდი.....
თავისუფლება მიანიჭე
მის სულს უფალო;
თავის უფალთან მიავლინე
ვედრებით, თხოვნით.
სანთლის ალივით უკანკალებს სუსტი
თითები, ცარიელ დოქის ფსკერს
მიუგავს ამ წუთის ყოფა.
მარადისობის ტკივილად იქცა ღამე უღვევი,
ჩამობინდული, სუსტი მთვარე დამცქერის უბრად.
მე კი ვბუტბუტებ....
თავის უფალთან...
თავის უფალთან..
და ვუსმენ დუმილს, სიჩუმის მეგზურს..
და ველოდები ღმერთის ფეხისხმას.
ბოლოს და ბოლოს ერთი გვაქვს- ბოლო,
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს!!!
აქამდე არვის არ ენახა მის თვალზე ცრემლი..
მამა მშობელის მიღეული დღეთა ვედრება.
...მიყვარხარ მამა!..

ნაადრევად მოფარვათჲ ფოთლებს..

შემოდგომის ყვითელ ხავერდს,
ფერს ოქროსფერს, უსაყვარლესს,
აერითმა ფოთოლთცვენა
მოფარვათჲ სიოს ალერსს.
კრთის ფერმკრთალი, გამომშრალი,
ნიაფს მიაქვს აქეთ-იქეთ,
ეტმასნება დედამინას
მზით მომჭკნარნი ნალვერდალით.
და შევყურებ ამ უმდიდრეს
შემოდგომის ფერს..
ვევედრები მზეს,
ნუ მოაკლებ,
ნუ მოაკლებ,
შენს სიყვარულს
წლების მიღმა გახუნებულ ფერს.
გაჩერებულ დროს,
ნუ მოაკლებ მზეს
ნაადრევად მოფარვათჲ ფოთლებს.
აღარ ვუსმენ მოტიალე ქარს,
რომ გაჰკვივის სივრცესა და ზღვას.
გრძნობის სხივით ამოფრქვეულ აისს,
ვევედრები ნუ მოაკლებ მზეს
შემოდგომის გაყვითლებულ ფერს,
ფერს ოქროსფერს, უსაყვარლეს ფერს!

რაც იყო ნავიდა...

რაც იყო ნავიდა...

უკვე მომხდარა,

უკვე მომეშვა დარდი.

ვინც არ ღირს სევდად,

ნულარ გავხდებით

ჩვენ მათი მსხვერპლის დარი.

რაც იყო ნავიდა...

მე, საკმარისად გადავიტანჯე.

აღარ მაღელვებს სულ ერთი ბენო

ფიქრიც კი შენზე.

უკვე მომხდარა,

უკვე მომეშვა დარდი.

დავივლი ისევ ნანვიმარ ქუჩებს,

და შემოდგომის ნისლში და თქორში

მზის ერთი ბენო სხივს

სხვის ნუგეშად მივუალერსებ.

მსურს ჩემს ფიქრებში სინმინდემ იმეთოს,

ფიქრთა მორევში სილაღემ გამათბოს

ოლონდაც, უფალმა ინებოს...

რაც იყო ნავიდა...

გადავიწყე გულო!

დეკემბერი

დეკემბერია, სუსხი თარეშობს,
აღვირახსნილი ყალყზე დამდგარა,
მინა დამზრალა, სურნელი ჩაკვდა,
ყვითელ ფოთოლთა ხროვა გამქრალა.
დეკემბერია. მზის სხივი შეკრთა,
დაკრუნჩხულ ტოტებს სუსხი ერევათ,
ბუნება ყვითელ ფერებში კვდება,
სევდა, ნაღველი მათოვს ფიფქებად.
ბუხრის საკვამურს ბურუსი ფარავს,
შემის ტკაცანი სიამით მატკობს,
საამურ სითბოს და გრძელ ღამეებს,
წარსულზე ფიქრი ჩვევია ამ დროს.
დეკემბერია. სუსხი თარეშობს,
ზღვა ბობოქარი ზვირთებით შხუის.
ღრუბელი წვიმას სეტყვად მოვლენილს
ქარაშოტებით გვაყრის და გვიხმობს..
ზეცის ფერები სადღაც გამქრალან,
ღრუბელი, ღრუბელს ჩახუტებია,
ცრემლები მახრჩობს, დარდი ნავარდობს,
გავყურებ გზების უსასრულობას.

მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს

გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავეჭეცი მზერას სევდიანს,
დასალიერში მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობებიც შენი ფერია.
ნისლის საბანით გაგიტობო სულს და
ცის მნათობების კოცონს დაგინთებ,
მინდა გიამბო იმ უთქმელ დარდზე,
რაც მოხდა ჩვენში, ფოთოლცვენის დროს.
მე შენთან მოვალ და გაგახარებ,
გაზაფხულს ისევ შემოდგომა ცვლის,
მოვალ და ყვითელ ფერებით მოვრთავ,
შენს მარტოობის სიცარიელეს.
ათოვს ქალაქის უბნებს და ქუჩებს,
თოლიის წივნივს ზღვა ახმოვანებს,
უფლება არ გვაქვს გადაგვარების,
ცრემლი მიძივებად ცვივა წამწამებს.
მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს,
შენი თვალები მეტყვის ყველაფერს,
ჩუმი ღამიდან მოპარულ ზღაპარს,
სევდიანი ხმით ქარი იმღერებს.
გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავეჭეცი მზერას დარდიანს,
დასალიერში მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობები შენი ფერია.

წვიმს... ბათუმური წვიმაა..

წვიმს. ბათუმური წვიმაა,
მოგონებები მათრობს,
წამში მოვლენილ ფიქრებში,
მომნატრებისა, ვდარდობ...
ზღვას გავყურებ და ღრუბლები,
მიმოფანტულან ჯარად,
წვიმა კი სევდას მიმატებს,
ცრემლიან თვალებს ვმაღავ.
ლექსის მტირალა აკორდებს
შემოდგომის ფერს ვუძღვნი,
წვიმს... ბათუმური წვიმაა,
ცა შეიბურა ნისლით.
კვლავ შემოდგომა მადარდებს,
ყვითელ ჩალისფერ სევდით,
სულში ზამთარი ჩასახლდა,
გონება გრძნობებს ებრძვის.
ქარი შეშლილი გნიასობს,
ტალღამ გააპო სივრცე,
წვიმს... ბათუმური წვიმაა,
ზღვა სევდას, ველარ ვიტევ.

ზღვასთან

ზღვის მოლივლივე ტალღა,
უკიდევანო ზოლი,
უნაზეს ფიქრთა წვიმა,
და აღმაფრენის წამი.
აქ მივჩვეულვარ ლოდინს,

აქ დავხატავ და შევქმნი,
აქ ულამაზეს რითმას,
გავითავისებ ლექსით.
ულამაზესი ხელი,
მზის სხივთა მწველი შუქი,
ეალერსება, კოცნის,
ლივლივა ტალღებს ზღვისას.
ტალღის ხმაურის რიტმი,
კვლავ აჰყოლია რითმებს,
და სასწაულის ზღაპრულ
იდილიასთან მიწვევს.
ვხედავ ჩამოშლილ ფიქრით,
აჩრდილს მილეულს ზეცად,
ნუ იბოგინებს სევდა,
ნუ წამოდგება ზევსად.
პალმების მწვანე ჯარი,
თვალის სანთერს ართობს,
მომეძალება ფიქრი და
ჩაიღვრება სითბოდ,
გავლალღები და ვიტყვი,
ზღვაო, მაჩუქე ზეცა,
მოვეფერები ტალღას,
ნაზად ვუგზავნი კოცნას.

და ისევ მოვალთ...

თითქოს ტალღები უზარმაზარი,
ზეცის სამყაროს უცხადებს ბრძოლას,
უსაზღვრო სივრცე და სტრიქონები,
ცის დასალიერს მიჰყვება ფონად.
ზღვის მღელვარებას იერი აკრავს

ჩემი ცხოვრების თანაზიარი,
დავემეგობრე ტალღების შრიალს,
დრომ ჩამიქროლა თავად ზიარით.
წუთით დავფიქრდი და შთავგონება
კვლამ მომეტმასნა მომავალ დღისა,
სულში ნაცნობი სიო ნავარდობს
უბრალოდ... შენთან ყოფნა მომინდა.
აღელვებული ტალღების რითმში,
შენზე ფიქრები მიყუჩებულან,
და ეს სიჩუმე, ეს უთქმელობა
ბოლოს მომიღებს, თუ არ ვიყვირე!
როცა ზამთარი კარებთან კვდება,
და იმ კარს მიღმა გაზაფხულია,
იქ ვერასოდეს, ვერ იბოგინებს,
რუხი ფიქრების შლეგი მანია.
აღბათ ცუდსაც და ცოტათი კარგსაც,
გავიხსენებდით ზღვის ტალღის რიტმზე,
აღბათ ისევე შევფიცებ ამ გულს
და ისევ მოვალთ ჩვენს პაემანზე.

ღამე უშგეო, უსინათლოა...

შუალამეა... ვუსმენ წვიმის ხმას,
ჟრუანტელივით გასცრა სხეულში,
თვალეები ცრემლით, სევდით ივსება,
აღარ მასვენებს ფიქრი ტიალი.
გულს ბაგაბუგი გაუდის...
ტკივილს გაჰყვირის სულის ალები,
ზეციდან მომსკდარან წვიმის წვეთები,
შხეილით, სეტყვანარევით....
მასხარებს ერთი ფურცელი რითმით,

ერთი შენსავით ლექსის მკითხველი,
ვისაც კი შესწევს ხილვის უნარი,
მზე დაინახოს ჭუჭრუტანაშიც.
და გაიჟღერა ფიქრის ორკესტრმა,
გადარაზული ახსნა ურდული,
ჰო! მასაც სურდა ერთხელ ენახა,
ჯავრი დაღლილი სიყვარულისთვის.
ღამე უმზეო, უსინათლოა,
მაგრამ ფიქრების მესაიდუმლე,
ფერმკრდალდებიან ძველი კადრები,
ჟამი-ჟამისგან მივიწყებული.
წარმავალია დროის ტალღები,
წარსულს, მომავლით გავებლანდები,
ალბათ ხიდი ვარ შუამავალი,
მათი ცხოვრების ანაბეჭდების.
სიხარულის და შვების ტაძარი,
სავსეა ნათელ შარავანდედით,
აქ დავბინავდეთ, ღამეც გადავა,
შევხვდეთ ალიონს გალაღებულნი.
ბედის სამზეოს იმედი კვებავს,
სამშობლოს მთებიც გამოიღვიძებს,
თორემ ვუფრთხილდეთ დამგვიანებლებს....
ჩვენ მომავალი მოგვკვივის მწარედ.
ვის დააკლდება უფერული ჩვენი სიცოცხლე
განწირული, უღონო ხვედრით,
ჩვენში, რომ უნდა ჰპოვოს იმედი,
თავშესაფარი... ღამე უმზეო, უსინათლოა...
გათოშილ ფიქრებს კვლავ აპრილი გამოაღვიძებს....
შევხვდეთ ალიონს გალაღებულნი,
მომავლის რწმენით!

სოფელი

(„ოდენი“ 2016, თარცხნალი, ჩემი საკონკურსო ლექსი)

ღვთისმშობლის ტაძრის
სავალ ბილიკს უხმოდ მივყვები,
თვალეებს მივსებენ თბილი ფერები
წმინდანთა თრესკის.
აზრის ნამცეცებს ვეზიდები,
ურმის ჭრიალში გაითანტნენ,
ქრებიან ცის ქვეშ.
გამინაპირა წარსულმა ექომ და
წინაპართა აჩრდილებთან საუბარს ვიწყებ...
ოცდაჩვიდმეტში გაუხვრიტეს გულის ფიცარი...
ზუზუნებს ტყვია.
უმედო წანწალ-წანწალით ჩანაცრდა ფიქრი,
სამყაროს ეშმად გადაიქცა, წივის და წივის.
მზად ვარ გავუძლო დროის დინებას
და გაუუმკლავდე სატკივარს ისევ.
კვლავაც წარსულში ჩავიძირე და გავიბლანდე.
სოფელს ამ წლების ტკივილის ტევრი
სისხლის წვიმებად კვლავ ამჩნევია,
დრო-ჟამთა ხვედრის. ოცდაჩვიდმეტის,
ბედის ბორბალმა ჩამოფეჭა დენთით
და დღემდე ბუდობს ტკივილი ბოლმით.
პატარა ქალი როიალზე უკრავდა სონატს-
ჟანდარმის ჩექმის ბრაგუნის ხმამ
შეაკრთო წამით,
კობეებს მძიმე ნაბიჯებით დააწვა დარდი,
თქვენ, ჩვენთან ერთად წამოხვალთო,
უბრძანეს რისხვით.
სიტყვა ნასროლი, როგორც ტყვია მესხად გავარდა...
მძიმე ჩექმებით, დამცინავ მზერით.

პატარა ქალთან შეჩერდა წამით...
მის შემკრთალ მზერას, სევდას და ნაღველს,
არათურისფერად არ ნათქვამ წამებს,
ველარ ავიღწერთ, ის-წაიყვანეს!...
და მას შემდეგ არვის უნახავს...
დარჩა ობოლი პატარა ქალი,
ობლის კვერავით გადაგორდა მისი ცხოვრება,
გავიდა წლები, დაქალდა და შეიღებები შობა...
ერთ-ერთ მათგანს კი, მეც მარგუნა მისი შვილობა.
სოფლის ორღობეს დაუბრუნდა, მის ძველ კერიას,
არც როიალი, არც გადია არ აბადია,
ეს ისტორია ბევრჯერ უთქვამთ წინაპართ ჩემთვის,
ოცდაჩვიდმეტმა შეინირა მრავალთა ბედი.
გავიდა წლები... ჩემს სოფლის შარას, წვიმით
ავსებულ ნაფეხურებს, აბელილ ტალახს,
მზესა და მთვარეს, ბალახის ნამს, ჯეჯილის
სურნელს, მეც ვიზიარებ...
დავანთებ ცეცხლს და ჩემი ოდიდან,
კვლავ ძველებურად კვამლი ამოვა.
აზრის ნამცეცებს ვეზიდები ფიქრის წყაროდან,
სოფლის ეზო-კარს, ერთ ღროს მხიარულს.
ჩალისფერ სევდის იმედით ვათბობ.
შარაგზის ბოლოს ნაცრისფერ ცის ქვეშ
რუხი სახლები მოჩანს იმედად...
იქ ბავშვობაა, იქ წარსულია
და მომავალიც დაიბადება.
ღვთისმშობლის ტაძრის
სავალ ბილიკს უხმოდ მივყვები,
სოფლის სალოცავს ნანგრევები
შემორჩა მხოლოდ.

ზარდახშა

ოქროსფერ ზარდახშას ხანი დასტყობია,
დრო-ჟამმა იერი ჩააქრო ბრწყინვალეების,
ფრთხილად შევეხე და გრძნეული ისტორია,
თვალწინ გადიშალა წარსული ეპოქის.
ეხლა ამ ზარდახშას ტონი მისცემია
წლების, რომლის მიღმა წარსული ტრიალებს,
ეხლა მოგონებას ხანი გაცვეთია,
მაგრამ მომავალი მის კვალზე ცქრიალებს.
აქ ამ ზარდახშაში ჩემს ფიქრებს ჩავალაგებ,
სურვილებს რომელნიც არა და არ ახდა,
ვინმე საუკუნის მერე გადახსნის და
იქნებ ასრულება ებოძოს წუთს და წამს.
აქ ამ ზარდახშაში ლექსებს ჩავალაგებ,
სიყვარულს გაჩუქებთ ყველას მოწინებით,
აქ ჩემს მეგობრობას კრძალვით შემოგფიცებთ,
რადგან მეტი განძი მე არ გამაჩნია.
ჩემს შვილებს, შვილიშვილებს არც კი ვადარდებდი,
მათთვის ყველა სიტკბო ეხარჯე რაც მქონია,
თუ კი გადახსნიან ამ ყუთს წლების შემდეგ,
ჩემი სიყვარული მათი მეგზურია...
ოქროსფერ ზარდახშას ხანი დასტყობია,
დრო-ჟამმა იერი ჩააქრო ბრწყინვალეების,
გზას გავაგრძელებ სანამდის შევძლებ და
მანამდის მიბოძეთ თქვენი სიყვარული.

მათ ერთმანეთი უყვართო ამბობენ..
ქვიშაზე გრძნობების ნაკვალევს ტოვებენ....
ქარები, წვიმები სულაც არ აღარდებთ,
ყვავილთ უდაბნოში დადიან დილაამდე.
მათ ერთმანეთი უყვარდათო ამბობენ...
ანა კარენინა ვრონსკისთვის ჩაღვრილა
სიტყვებით, ფიქრებით გულამდის, დილაამდის
და მერე ლიანდაგს მსხვერპლივით შეეწირა..
მათ უკვე აღარ სწამთ ძველი სიყვარულის...
რტოებჩამოყრილი ბებერი ხესავით,
წაქცეულ ღობერთან ხავსიან მინდორზე..
ასე უყურებენ წარსულის ექოდან...
დღეს კიდევ შევნატრით ძველ ვოდვეილებს
სკოლის ფანჯრებიდან... დარაჯად მოსულ
მიჯნურებს... რომელნიც ბაფთიან გოგონებს
ელოდნენ, პირველ პაემანზე...
ია კი სადღაც ჩრდილში ამოსული,
ჩურჩულებს ერთგულებას ვერხვის ჩეროში,
ჯერ არვის არა ხარ, სუფთა ხარ ფაქიზი,
მეცხრე ცაზე დახვალ ამ წუთისოფელში...
მათ ერთმანეთი უყვართო ამბობენ...
ქვიშაზე გრძნობების ნაკვალევს ტოვებენ....
ქარები, წვიმები სულაც არ აღარდებთ,
ყვავილთ უდაბნოში დადიან დილაამდე

მე შენ მიყვარხარ (ისტორია ერთი ქალისა)

მინდა გადმოქცეთ ისტორია ერთი ქალისა,
მწვანეთვალეობა, ქერათმიანი, პირ-მცინარისა,
რომელსაც ბედმა ქარაშოტები არგუნა წილად,
და მაინც მის სულს სიკეთე და სითბო შემოორჩა.
თვრამეტი წლისას სიყვარულით განებივრებულს,
გრძნობა ეწვია უცხო ტომის მზეჭაბუკისა,
ამ სიყვარულმა იქცა სისხლად, მკვებავად სულის
და განაცხადეს ერთად ყოფნა ახალგაზრდებმა.
ორმა ღვთიურმა მწვანეთვალეობა ორმა მავანმა,
ერთი სულისთქმა ამჯობინეს, ერთი გულისთქმა.
მზაკვარის კეტი კი ნელ-ნელა იღერებოდა
ცა მეხად მოსკდა
დედამინა შესძრა ქარებმა,
დარდის მფარველი ანგელოზი წუხდა, გოდებდა,
ნორჩი არსების, ორი მტრედის სულს მფარველობდა.
მონყვიტეს ვარდი და გათელეს შეუბრალებლად,
უცხო ტომისამ მისი პირმშო არ შეიცოდა,
წმინდა მინაზე გაემგზავრნენ, ძველ სამშობლოში,
ხან ქარავენებით, ხან ნავეებით, ზღვის ცისფერ შუქზე
გადააბიჯეს უმანკოთა წმინდა სანყისზე,
ასე დასრულდა სიყვარულის ის პოეზია,
რომელიც სულში ჩაიღვარა ცხელი ლავათი,
სივრცე გადასკდა მზის მცხუნვარე სხივთა პარპაშით,
ორი არსება უბედობლო გზებმა გარიყეს
და დღესაც ისევ დაეძებენ კვალს სიყვარულის,
კვალს ოცნებების და სინძინდის ასაშენებელს,
რომელსაც ესე ვუნოდებდით ჩვენ-კვალს ოჯახის..
დღესაც მისტირის ანგელოზი მზაკვარის ხარხარს,
მის გამარჯვებას ასამარებს საფლავის კართან.

ეს ისტორია ჩემთვის უთქვამთ მრავალი წლის წინ..
და დღეს შევასხი მორცხვად
ფრთები განბანილ წარსულს.
ფერი ეცვალოს სიყვარულის ამ ლაბირინთებს,
და ერთმანეთი მათ სულეებმა იპოვნონ მაინც.
ბათუმის ქუჩებს ახსოვს გოგონა მწვანეთვალეობა,
საკუთარ მშობლის მზაკვარებით წაშლილი ბედის,
კაფეში სადაც ჩაის სვამდნენ და ცახცახებდნენ,
ეხლაც შევიგრძნობ მათ გულისთქმას, უმანკო ღიმილს.
ესე დასრულდა ისტორია ერთი ქალისა,
მწვანეთვალეობა,ქერათმიანი, პირ-მცინარისა,
რომელსაც ბედმა ქარაშოტები არგუნა წილად,
და მაინც მის სულს სიკეთე და სიბოლო შემორჩა.
(ეძღვნება ჩემს მეგობარს დ.ბ.)





როდამ თევდორაშვილი



დავიბადე გარე კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში – ყანდაურაში (საგარეჯო).

სკოლის დამთავრების შემდეგ დაუამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

ვმუშაობდი თბილისში, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის რესპუბლიკურ ცენტრში რედაქტორად.

1999 წლიდან ვარ პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველის“, შემდგომში „ახალი სიტყვის“, ამავე დროს საზოგადოებრივი ორგანიზაციის – „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის“ წევრი, რომლის ხელმძღვანელია მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძე.

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ.

სკოლაში სწავლის წლებში ვიყავი საგარეჯოს რაიონული გაზეთის – „ივრის განთიადის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

ამ გაზეთში იბეჭდებოდა ჩემი კორესპონდენციები და ლექსები.

ჩემი ლექსები დაიბეჭდა თს უნივერსიტეტის გაზეთში - „თბილისის უნივერსიტეტი“, ჟურნალში „საქართველოს ქალი“, საბავშვო ჟურნალში - „დილა“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

2011 წელს გამოვეცი ლექსების კრებული – „ძახილი“.

ჩემი ლექსები შევიდა აგრეთვე გორის ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირის პრეზიდენტის, პოეტ დავით ახლოურის მიერ გამოცემულ თანამედროვე ქართული პოეზიის ხუთტომეულში და ანთოლოგიაში.

ა დ ა მ ი ა ნ თ

მოდი, ვიამბობ, რაც ჩემს ყურს მოსწვდა,
ჭემმარიტება გავაზიაროთ,
ჩვენ ვერ დაგვღუპავს სატანა, თუკი
ერთად დავდგებით, ადამიანო!
ნუ დაფნებდებით გადამთიელებს,
თორემ გეგმები დაგვრჩება გვერდზე,
დრო სწრაფად გარბის, ვუხმოთ გონებას,
ნუ გავაცინებთ მამონას ჩვენზე.
მინდა, იმედით გული გავითბო,
რად ვუმტროთ ერთურთს, რად ვაზიანოთ,
მო, სიყვარულით გული ავინთოთ,
ჩემი მინა-წყლის თანაზიარო.
ჩვენ არვის ვუხდით ხარკსა და ვალებს,
მამულზე დიდი არც არავინ გვყავს,
სამშობლო ჩვენი დაცვას გვავალებს,
უფალი ჩვენი გვიგზავნის ს ი ტ ყ ვ ა ს.
მიმტრობ? - შეგინდობ; გძულვარ? - მიყვარხარ,
მსურს გული შენთვის ავახმიანო,

როგორ არ უნდა მიყვარდე, ჩვენ ხომ
ღვთის შვილები ვართ, ადამიანო!
ჩვენ სიყვარული გენებით მოგვდევს
და ერთგულებაც ოდითგან ვიცით,
თავსაც ვწირავდით, გვიჭირდა ოდეს,
რა საჭიროა ფიცის და მტკიცის.
სიკეთის რწმენით ავივსოთ გული,
ამას გვასწავლის ქართველს რჯულია,
ჩვენ სიყვარულით ვძლევთ ბოროტებას,
რადგან უფალი სიყვარულია.

ადამის ძვე!

უნდა ხვდებოდე, ღელავდე,
რადგან ასე ხარ ოდით;
ადამიანო, ყელამდე
სავსე ხარ დიდი ცოდვით.
ღვთის ნებით თავის–უფალმა
ემმა დაისვი მხარზე,
განირე შენი უფალი
და გააკარი ჯვარზე.
ორი ათასი წლის შემდეგ,
ამდენი ტანჯვის ფონზე,
უბირი დარჩი დღემდე და
ველარ მოხვედი გონზე.
ბილიკს, ეშმაკის გათელილს
დაუფიქრებლად მისდევ
და დანაშაულს ჩადენილს
კვლავ იმეორებ ისევ.
...მე ცრემლით მოვთქვამ და ვჩივი –

ვერ იცან ს ი ტ ყ ვ ა – ქ რ ი ს ტ ე,
ჯვარზე აცვითო, გაჰკივი
და კვლავ ბარაბას ირჩევ.

ახალ ნელს გილოცავთ!..

ქვეყნად წყვდიადი რომ იყო,
მთაც კი არ იყო კლდოვანი,
ღმერთმა შეგვექმნა და შეგვექმნა
სამყარო ფერადოვანი.
...ჩვენ გადავგვარდით თანდათან
და დავემსგავსეთ მატყიებს,
ათასფერადი სამყარო
ერთფეროვანად ვაქციეთ.
ადამიანმა შეწყვიტა
ურთიერთნდობა, ფერება,
გამრავლდა უსამართლობა,
ათასი მანკიერება...
მან სიყვარული დაკარგა, –
ღიმილი სამარადისო,
გახდა ქვეყანა უფერო,
უზნეო და უხალისო.
ახლა, როდესაც ჟამია
და ვართ გადამწყვეტ ზღვარამდე,
ვცადოთ, როგორმე დავბრუნდეთ
ისევ სიკეთის კარამდე.
კვლავ სიყვარულით ავივსოთ,
მივიდეთ ოქროს ხანასთან
და სასწაულით გონების
დავბრუნდეთ ისევ მამასთან.
გისურვებთ, გონი ადამის

გასხივოსნდეს და განათდეს,
გულით გლოცავთ და გილოცავთ,
ქართველნო, დამდეგ ახალ წელს!..

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ს

იმდენს იტევდა შენი გონება –
სალი აზრებით საესე და დიდი,
რომ პოეზიის იდუმალებას
შენი უკვდავი ლექსებით ხსნიდი.
სულს ცეცხლს უნთებდი რითმებით წამში
ლექსის საამო სიმხურვალეში,
ნეტავ, რას გრძნობდი, პოეტო, მაშინ,
ღია ფანჯრიდან რომ გადაეშვი...
...ლანდები მუქი და ხმათა ექო...
შორს, მირაჟები მოჩანს ხედვაში...
სხეული შენი დაეშვა ქვემოთ,
სული გაფრინდა მაღლა, ზეცაში.
გულს პოეზიის შუქი მოჰფინე,
სხივი კაშკაშა, მარად უქრობი,
შენ სიტყვის მაღლი შეგვაცნობინე
და თავად დარჩი ამოუცნობი.

დაბადების დღე რომ მქონდეს...

ფრთები მესხმის და მივფრინავ
მაღლა–მაღლა,
მაქვზებენ ჩიტუნები,
მზის დარები,
დაბადების დღე რომ მქონდეს,

კარგო, ახლა,
მე საჩუქრად შენს ღიმილებს
ვინატრებდი.
მერე ენას ვისწავლიდი
ღრუბლებისას
და ზეციდან ჩემს სიყვარულს
დაგათოვდი,
დატოვებდი მაგ მოსაწყენ
დედამინას,
მზეს და ზეცას არასოდეს
არ დავთმობდით.
ყოველ დილით პირს დაგებანდა
მზის სხივები,
სინმინდე და სილამაზე
დაგვათოვდა,
დაგვლოცავდნენ მოკაშკაშე
ვარსკვლავები
და ღრუბლების სარეცელი
გაგვათბობდა.
სიყვარულით არ ვიგრძნობდით
ცაში დაღლას,
გაგვართობდნენ ჩიტუნები
მზის დარები,
დაბადების დღე რომ მქონდეს,
ალბათ, ახლა,
მე საჩუქრად შენს ღიმილებს
ვინატრებდი.

დავალ უგულოდ

დაღამდა სულში... დაიკეტა
თითქოს ცისკარი,
მთლად მართო დავრჩი აბნეული
ამ შუა გზაში,
თუ სიყვარული ქვეყნად თავად
უფალი არის
და არ გიყვარვარ, არ ყოფილხარ
უფალთან მაშინ.
მზეს გაუგზავნე მე საჩუქრად
ეს გული – მწვავდა...
ასე მცხუნვარედ მიტომ გაყრის
ოქროსფერ სხივებს;
ეს ჩემი გული ზეცაშია,
ძვირფასო, ახლა
და ფინიშამდე გადაღლილი
უგულოდ მიველ.
გულის გარეშე ვიარები
ამ ქვეყანაზე...
ზეციდან მზე რომ სხივებს გაყრის –
ჩემი გულია,
დავალ უგულოდ და დავეძებ
ჰასუხს ამაზე –
ნუთუ სასჯელი ადამის ძის –
სიყვარულია?!

მ რ თ ფ ე რ თ ო ვ ნ ე ბ ა

თარემობს ქარი ღამით ქუჩაში,
მთვარე სხივებით გარემოს ქარგავს;
ცელქობს, ხმაურობს ქარი უბანში,
ხეს უშირიალებს ფოთლების კაბას.
იდუმალეებით სავსეა ღამე
და სულიერი არსად ჭაჭანებს,
ესაუბრები გაყინულ წამებს,
ეს უძილობაც ისევ განამებს.
როგორღაც გავა მტანჯველი ღამე
და გათენდება დილა ჩვეული,
კვლავ შემოგიღებს დახურულ კარებს
ფიქრი მძიმე და ანაზღეული.
კვლავ მეორდება ისევ იგივე,
კვლავ მიზობინებს მდორე ცხოვრება
და ბოლოს უღებს სიცოცხლის სიმებს
ეს მოსაწყენი ერთფეროვნება.

ვ ა რ დ ე ბ ო ...

მოდით, რომ თქვენმა სილამაზემ
გულისწამლებმა
სევდის ნისლები ქარებივით
უცებ განდევნოს...
დამიპყრო თქვენი ჯადოქრობის
მწველმა ალებმა,
ჩემო ყვავილთა დედოფლებო,
ჩემო ვარდებო...
მოდით, რომ თქვენმა სურნელებამ
თავბრუ დამასხას,
თქვენი თანხლებით, სიყვარულის

ღვთაება მოვა,
ამ გაზაფხულით რა ვინატრო,
ნეტავ, აბა სხვა,
თუ არ ზეციდან წამოსული
ვარდების თოვა.
როგორ გაუძლო ამ გაზაფხულს
უთქვენოდ, ნეტავ,
თქვენს სილამაზეს, ასე უღვთოს,
როგორ გავექცე,
როგორ ვიარო, ძვირფასებო,
ამქვეყნად კენტად, –
თქვენი ფურცლები ამშვენებენ
წყვილთა სარეცელს...
შემშალოს თქვენმა ელვარებამ,
სულის წამლებმა,
სევდის ღრუბლები მოხვეტოს და
სადღაც განდევნოს,
დაიპყრო გული სურნელებამ,
ტრფობის ალებმა,
ჩემო ყვავილთა დედოფლებო,
ჩემო ვარდებო...

ვერაჰონე შიონელი

თუ გცივა, იმ ერთის გულისხმა
გაგათბობს,
ეს სითბო გადმოვა გულიდან,
ლექსიდან...
ყვავილთა ფიფქები ზეციდან
დაგათოვს,
ვარდები ამოვა ეკლების

თესლიდან.
ნეტავ, ის ვინ იცის, რა ხდება
გულებში,
როდესაც უყვართ და ერთურთი
ძლიერ სურთ...
უეცრივ ებმიან ამ გრძნობის
ულელში,
ჯიუტად ხედავენ ზამთარში
გაზაფხულს.
ლამაზი ოცნებით მეცხრე ცას
სტუმრობენ,
თითქოსდა, მოკრეფენ ვარსკვლავებს
ზეცისო
და თუმცა მოკვდავნი მის ახსნას
ცდილობენ,
ამ გრძნობის ანბანი ვერაფერ
შეიცნო.

კარზე აკაკუნებს მაცხოვარი

ღმერთო, გვევდრები, გაგვიღვიძე
დიდებულისა და მათხოვარიც,
ყური მიაპყარი, ადამის ძევ,
კარზე აკაკუნებს მაცხოვარი.
რწმენით ჩამორეკე დედობარი,
ადექ და განახვნი ფართოდ კარი,
გადასარჩევია თხა და ცხვარი –
კარზე აკაკუნებს მაცხოვარი!..

მ ი ვ დ ი ვ ა რ ...

მივდივარ, დაესვას წერტილი ყველაფერს;
აღარ მაქვს ძალები, უფალმა შემინდოს...
მივდივარ, ვერ ვშველი ვერავის ვერაფერს,
დასრულდეს ტკივილი, დამთავრდეს კვნესის დრო.
გათენდა და ღამემ დამტოვა უეცრად,
მეწვია კვლავ სულის შემძვრელი ფიქრები...
დღის შუქმა კვლავ ხელი შემახო უხეშად,
დასრულდა ამ ღამის ფერადი სიზმრები.
გული გამელია და იქცა ნაცრად...
მშვიდობით, რატომღაც ტირილი მინდება;
მივდივარ, რადგანაც აქ დამჩნა არც – რალა,
ახლა გათენების არ შემეშინდება.
მე წავალ... ყველაფერს დაესვას წერტილი,
დასრულდეს კოშმარი, დამთავრდეს კვნესის დრო,
გავრბივარ, ჯავრისგან ვითარცა შეშლილი,
აქედან მივდივარ, უფალმა შემინდოს.

მტრის დამარცხების ხერხი

იყოცხლოს ქვეყნად ქართულმა გენმა,
მთლად ფუჭი არის სხვა დანარჩენი;
პოზიციაც და ოპოზიციაც –
დღეს სულ ყველა ვართ გადასარჩენი.
მტრის ერთადერთი ნატვრა ისაა –
ჩვენს სულში მოსპოს სხივი ნათელი,
რომ გადაგვიდოს ერთმანეთს სამტროდ
და შეატულოს ქართველს ქართველი.
აღარ ეგების პირისპირ დგომა,
ბოროტება და ღვარძლი ფარული,
ქართველი ქართველს გადავეხვიოთ
ალაღი გულით და სიყვარულით.
შევუნდოთ ერთურთს, გავერთიანდეთ,
კვლავ ძვერდეს მკერდქვეშ თბილი გულია,
მტრის დამარცხების მთავარი ხერხი –
უფლის რწმენა და სიყვარულია...

ნუ დამიძახებ

მოდი, დაგტოვებ და შორს წავალ,
ძვირფასო, ძლიერ,
წავალ და სადმე გავიშლები
ნაირფერებად...
მოვექარგავ მინდორს და აყვები
ბილიკს ზეციერს,
მერე ზემოდან გადმოვხედავ
ქვეყნიერებას.
აღბათ, ასე სჯობს, მანდ ვერ ვპოვე
ჩემი ადგილი,
აქ ღრუბლებთან ვარ და სავსე მაქვს
წვიმით მუჭები,
ცის ბინადრებთან მეგობრობა
არის ადვილი, როცა შემცივა, აქ მზის სხივებს
ჩავეხუტები
თუ მოგენატრო, ნუ მომძებნი,
ნურც დამიძახებ,
ხილვის სურვილით სავსე იყო
თუნდაც ყელამდე,
დარჩი, იყავი, სასურველო,
მშობელ მინაზე,
თუმცა, ვერაფრით ჩამოვანვდენ
ჩემს ხმას შენამდე.
დაგტოვე... აღბათ, ასე სჯობდა,
შორს წაველ ძლიერ,
მინაზე თითქოს ტყვე ვიყავ და
მედო ხუნდები,
მე ამოვყევი ცის კიდისკენ
ბილიკს ზეციერს,
მზე მომენატრა, აქ მის სხივებს
ჩავეხუტები.

„ნუ მისცემთ წმიდას ძალლებს“...

ნუ მისცემთ წმიდას ძალლებს
და ნუ დაუყრით მარგალიტებს ღორებს“...
მათე 7.6

ნუ ეტყვი მავანს მართალს,
აქეთ შევიღორენს, გავნებს...
სალანძღავს გეტყვის ათასს,
„წმიდას ნუ მისცემ ძალლებს“.
თუ ძვირფას მარგალიტებს
უხვად დაუყრი ღორებს,
ის აქეთ შემოგიტევს,
სიმშვიდეს გაგაშორებს.
რასაც ბიბლია გვამცნობს,
შეისწავლე და მიხვდი,
წესად მიიღე, კაცო, –
წმინდა წიგნია იგი.
კარგად დაფიქრდი ახლა,
ქრისტე კაცთათვის ევნო,
უმეტესს ვერსად ნახავ,
როგორც არ უნდა ძებნო.რატომ ვერ ხედავ ...
იარე ასე უმიზნოდ, უხმოდ,
არც დღეს და არც ხვალ, არც ზევ და მასზევ ...
იმედი სადღაც აგდია უქმად,
შენც, უიმედოდ იყავ და გასძელ.
სად არის რწმენა, სად არის ღმერთი,
აზრი, მიზანი, გონება შენი
სად დაჰქერის, რომელ ბილიკებს ერთვის,
შესამუსრია ქაჯეთის ბჭენი.
რა ეშველება ქართველის კვნესას,
როგორ გეძინა ღამე ნუხელის...
დაბინძურებულ გონებას ჩვენსას
რით მოეველება და რა უშველის.

რა ვუყოთ იმედდაკარგულ შვილებს,
რით გავუნათებთ უკუნეთს, ბნელეთს,
რა ეშველება გადახვეწილებს,
სამშობლოსკენ რომ იწვდიან ხელებს.
ფიქრობ ამაზე? ვისზე ამყარებ
იმედს მითხარი, მითხარ, ქართველო,
მხდალო, ფარ-ხმალი როგორ დაყარე
და მტერს მიუგდე მთლად საქართველო.
ხელისუფალი გაყიდულია!
მაშ, შენ ვისი გაქვს იმედი დიდი,
ღუმხარ და ამით მშობელ ქვეყანას
შენც მათთან ერთად ანგრევ და ჰყიდი.
როდის გაიგებ, ქართველო, ნეტავ,
თუ ღლეს ვინ არის ზედმეტი ბარგი,
ბრმა თუ არა ხარ, რატომ ვერ ხედავ,
შენი ქვეყნისთვის ვის უნდა კარგი.
იქნებ, უჩინომ უფრო გიშველოს,
ნაღლო ქართველნო, მოდით, სადა ხართ,
ვინძლო, მომხდურმა ველარ გვიყელოს,
ვიდრე მამულმა სული დაღაფა!..

როგორ გელოდები

შენი სიყვარული სულში ჩავისახლე,
ქვეყნად არც რა არის შენზე უფრო წმინდა,
ოლონდ მიმსახურე, ოლონდ დამიძახე,
მე სხვა ამის მეტი არათფერი მინდა.
როცა შენთვის ვიწვი, ეს მზე მაშინ მზეობს,
გულიდან მეცლება სევდა და ლოდები,
ჩემი საქართველოს უკეთესო ღლეო,
როგორ გელოდები, როგორ გელოდები...

როლები ცხოვრების თეატრში

თუ ერთმანეთის ფიქრი არ გვესმის,
აზრიც არასდროს მოგვეწონება;
თუ ერთურთს ვხედავთ, როგორც სარკეში,
მაშინ რა არის ჩვენი ცხოვრება...
თუ ყოველი დღე მოსაწყენია,
თუმცა, რამდენი დროა გასული,
ხმაშენწყობილნი თუ ვერ ვმღერივართ,
ჩვენს შორის არის რამ დაფარული,
თუ ამ ცხოვრების მორიგ სპექტაკლში
ცუდად ვასრულებთ როლს, აგრე ადვილს,
ამ დიადსა და ლამაზ თეატრში
მაშინ, რატომღა ვიკავებთ ადგილს?!
რა ბედენაა, გავლიოთ დღნი
და არათფერი არ გვიხაროდეს,
მაშ, მივატოვოთ როლები ჩვენი
აჯობებს გვიან, ვიდრე აროდეს.
...და ვინაიდან ვერ შეძელით და
ჩვენი როლები დროზე არ დავთმეთ,
ჯილდო იქნება ეს თუ სასჯელი –
წუთისოფელი თავად წაგვართმევს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ

დარდი ხარ უზომო, ფიქრი – შორეული,
ცრემლით დანამული;
ბედმა თუ მიმუხთლა, სულით არ დავეცი –
შენი სიყვარულით.
ცრემლი თუ მდიოდა, გული თუ მტკიოდა, –
ჯავრით გათანგული,
წყენას თუ ვითმენდი, ტკივილს თუ ვიტანდი –

შენი სიყვარულით.
როცა ვიღლებოდი, როცა ვეცემოდი,
ელდით დაზაფრული,
მუდამ მამხნევებდა, ტკივილს მიაშებდა
შენი სიყვარული...
და როცა იმედი მტოვებდა დიდი ხნით –
შორი გზით წასული,
თუ საწერ – კალამი კვლავ ხელში ავიღე –
შენი სიყვარულით.
როცა ყოველ ქართველს ოცნებად ეწნება
რ წ მ – ე ნ ა და მ ა მ უ ლ ი,
მაშინ გადაგარჩენს, ჩემო საქართველო,
ჩვენი სიყვარული.

სიყვარული და სიძულვილი
ქველობა და მადლის თესვა
არასოდეს მოგვცემს ზიანს,
სიყვარული – სიკეთის და
სათნოების სინთეზია.
ბოროტება – სიკვდილია,
სიყვარული – ნატვრის ხეა,
სიყვარული – ტკივილია,
სიკეთე კი – სილაღეა.
შურმა, ბოლმამ, ავმა ფიქრმა
თუ შეგიპყრო, მოგცემს ზიანს,
ბოროტება – დაცემის და
სიძულვილის სინთეზია.
ავი სული – პატარაა
და სიმართლე არის ერთი –
ბოროტება – სატანაა,

სიყვარული არის ღმერთი.
მადლის ქმნა და სიყვარული
არასოდეს მოგცემს ზიანს,
რადგან იგი სიკეთის და
სილამაზის სინთეზია.

ქ ა ლ 0

ნეკნიდან იშვა და
მისიის სიმძიმე
სუსტ მხრებს რომ აწვება,
უთქმელი სევდაა;
შობიდან წილად ხვდა
და ვერ აიცილებს,
იგი ხომ მეუღლე,
ქალია, დედაა...
ანუხებს ცხოვრების
მტანჯველი სიცივე
და თმას რომ უთეთრებს,
დარდების თოვთაა;
დაღალა ყოველდღე
ერთიდაიგივემ,
შრომა ქალისა ხომ
სიზიფეს შრომაა.
მიზგზის გარეშე
იგი არ მოიწყენს,
წყენის და ჩივილის
მასაც აქვს უფლება
და რამდენ უმადურ
სიტყვასაც მოისმენს, –
სახეზე იმდენი
ნაოჭი უჩნდება.

თუ გვერდით უდგახარ,
თუკი თავს ევლები,
ქალის გულს გაათბობს
მაგ გრძნობის ხანძარი;
კაცებო, ეცადეთ,
აშორეთ ცრემლები,
რადგანაც ქალობა
სასჯელი არ არის.
ყველაფერს აქვს თავის
ნამდვილი მიზეზი,
ეცადე, შესძელი
ღიმილის მიგნება,
აპკურე ქალის გულს
ლამაზი სიტყვები
და იგი ყოველთვის
ლამაზი იქნება.

ქართულ ემიგრანტებს

მამულის სითბო, მისი ფესვები
ქართველმა ყველგან გულით ატარა,
მღერით ჩვეული ამოკვნესებით –
„აქ საქართველო ჩვენც გვაქვს პატარა“...
ნუ გაიოცებთ, თუ ჩვენი გულიც
თქვენი დარდით და სევდით დაღლილა,
სიმღერამ მწველმა დამდულრა სული –
„აქაც ქართულად ჩამობარდნილა“...
ყველა ქართველი, ღმერთო, დაიცავ,
ზრდიდნენ პირმშოებს თავის ჩეროში,
არ მოენატროთ მშობლიური ცა,
ქართულად თოვდეს – საქართველოში.

ღვთისმშობლისაა საქართველო

რა ხდება ჩვენს თავს, რა სენი გვჭირს,
რა ბედენაა...
„სტუმრობის“ მსურველს არ იქნა და
ბოლო არ უჩანს;
უცხოტომელთა ისე დიდი
შემოსევაა,
კაცი იფიქრებს, თითქოს ეშმას
ნატვრა ჩაუთქვამს.
არ არის ძნელი მისახვედრი,
მტერი რას ერჩის
მცირერიცხოვან ჩვენს ქვეყანას
ქართულ გენებით –
ნაღდი ქართველნი ისეც ძლიერ
ცოტანი დავრჩით
და, სადაც არის, ალბათ, კიდევ
გადავშენდებით.
თქვენ – ინდოელნო, ჩინელნო თუ
არაბნო ტომით,
იქნებ, არც იცნობთ კარგად ქართულ
სულსა და გენებს,
იქნებ, მშვილობით, იქნებ, გონით
ან თუნდაც, ომით,
მაგრამ მიწა–წყალს საბოლოოდ
არ დაგანებებთ!
ალბათ, არც იცით, ეს ქვეყანა
ვისი ბედია,
იქნებ, დაფიქრდე და როგორმე
მიხვდე ეგება,
ღვთისმშობლისაა საქართველო,
მისი ხვედრია,
„რაც არ გერგება, ისოდე რომ
არ შეგერგება“...

შ ე მ ო დ გ ო მ ა

ზეცას ღრუბლის დიდი ქულა ეფარება,
შემოდგომის ქარი წუხს და გოდებს,
ხის ტოტები სამუდამოდ ეთხოვება
სიცივისგან გაფითრებულ ფოთლებს.
არემარე მონყენილა დანანებით,
ბელურები მობუზულან ხეზე,
ლამამ სიზმრებს ნახულობენ ჩიტუნები
გაზაფხულის თვალხატულა დღეზე.
ამინდები იმუქრება გამუდმებით,
ასე იცის წელიწადის ამ დროს,
ჩიტუნები დასევიან გამალებით
ბავშვებისგან უხვად დაყრილ საზრდოს.
მონყენილა ყვავილების ვრცელი ბალი,
მუქი ფერი დასდებია ყოველს
და ფოთლები უჩინარი ყაისნალით
ულამაზეს, ჭრელ ხალიჩას ქსოვენ.



ნ ა ვ ე დ ი

ნუ მკითხავ, რად გაქრა შვება და იმედი,
იფიქრე კარგად და მიხვდები იმ წამსო,
თუ გინდა გაიგო მოწყენის მიზეზი, –
ჩამხედე სულში და გაიგებ, ძვირფასო.
ღიმილი დავტოვე შორეულ წარსულში,
ყველაფერის მიზეზი მხოლოდღა ერთია, –
თუ გინდა, გაიგო, რა ხდება ამ გულში,
თვალეებში შემხედე, ისინი გეტყვიან.
გულში კვლავ ჩამოთოვს და სულშიც იწვიმებს,
თუმცაღა, არ მინდა ჯავრი და ცრემლები,
სულ მართო გავყვები ამ ვინრო ბილიკებს,
შენ ჯვარი გწერია, მე - სევდას ვწებდები.
ცხოვრება, მართლაცღა, ვეება სცენაა
და ასე ყოფილა. ეტყობა, ათადან,
ღამეა ლამაზი, ვარსკვლავთა ცვენაა,
წავედი, ძვირფასო, სპექტაკლი - დამთავრდა.



„გული მისცეს გულისათვის,
მეგობრობა – გზად და ხილად“
შოთა რუსთაველი

ჩვენს საქართველოს პატრონი უნდა,
რათა ასრულდეს ნატვრა ულევნი,
პოეტებს სიტყვა უნდა გვიჭრიდეს
და სამშობლოსთვის ძვერდეს გულები.
შენ ხომ ყველაფერს გულიდან ხედავ,
ქვეყანას შენსას წამლად ედები,
ხან სატროფოს, ხანაც მეგობარს, დედას,
ხან შენს სამშობლოს მიეფერები.
კდემამოსილი სინაზით კაზმავე,
მერე სასწაულს სიტყვებით ახდენ,
შენი გულიდან გრძნობა ამოგაქვს,
ამ გულის ყველა კუთხეში აწვდენ.
მწყობრად ასხმული შენი აზრები
მარგალიტებად გადმოიბნევა
და სიტყვა, როგორც წმინდა მირონი,
ფურცელზე ოქროდ გადმოიღვრება.
ჩვენი საერთო სატკივარია –
საქართველო სულს ძლივსღა იბრუნებს,
შენი არსებით აკმაყოფილებ
პოეტის ყველა კრიტერიუმებს.
ქართულ სულს და გონს სულ სხვა ძალა აქვს,
ქართული ს ი ტ ყ ვ ა ხმალია მჭრელი,
ქართული ს ი ტ ყ ვ ა – თავად ღმერთია
და ს ი ტ ყ ვ ი თ უნდა იძლიოს მტერი.
ამ ქვეყნის ნაღდი ჭირისუფალი
დღეს ძალიან ჭირს, მეტად ძვირ ფასობს,
დაბრუნდი მალე, ჩვენი ოცნება
ავგსრულებოდეს, ჩემო ძვირფასო.



ამირან თოდუა



დავბადებულვარ, ნებისაებრ ღვთისა... ენკენის თვის პირველ რიცხვში, როცა ყველა მოზარდი მიისწრაფოდა სკოლისაკენ, სწავლის შესაძენად!... ჩემს დაბადებას გაუხარებია, პირველ რიგში ოჯახი, სამ ქალიშვილში ერთი ვაჟიშვილი გავრეულვარ... ალბათ ამიტომ... და სოფელიც, რადგან ჩემს დაბადებამდე, ჩემი უფროსი ძმა, ათი წლის ასაკში, ანგელოზად, ღმერთს მიუბარებია და დამწუხრებული სამეგობლოც გამო-

ცოცხლებულა ჩემი დაბადებით!.. ამგვარ გარემოცვაში დაბადებულს, მოფერება და მზრუნველობა არ მომკლებია და გავიზარდე ისეთი, როგორც გავიზარდე!.. ბევრგან მისწავ ლია, მაგრამ რამდენი ავითვისე ღმერთმა უწყის!!.. წერა, სკოლაში მასწავლეს!.. პოეზიის სიყვარული და ლექსის წერა კი უფალმა ჩამაგონა!.. ვწერ იმას, რასაც გამჩენი მკარნახობს, მუშის მეშვეობით... რათა აღვასრულო ნება, უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტე მაცხოვრისა!.. დიდება უფალს!!! მისივე ნებით ვდებ სახალხო წიგნში, განსასჯელად მკითხველთა გემოვნებისა და ხატოვანი გონისა! ღრმა სიყვარულით თქვენზე, წიგნის მკითხველ ადამიანებზე, უსაზღვროდ შეყვარებული.

სამუდამო სიყვარულს !

შეგციცინებს, როცა თვალში სილაჟვარდე მაისის,
ნორჩი გული გართულია, სიყვარულის ხალისით,
როს ანათებს სულის კუნჭულს, სხივთ სიცვლექე აისის,
ეჰ! ცხოვრებაც მაგას ჰქვია, მას აქვს შარმი თავისი!
როს ნაღველი გამქრალია, ეკონება გული გულს,
გონის თვალი ჩამქრალია, ინსტიქტს ანდო თავი სრულს!
ჩქეფდეს სისხლის მღუღარება, უხარია ეგი სულს!
ამისთანა მღელვარება ბებერ გულსაც მუდამ სურს!
სული, კაცის, არ ბერდება! ის ყოველთვის ნორჩია,
გულიც მაშინ სპეტაკდება, სიყვარულის, როს შია!
მგონი ცხრავე ნეტარება, ტრფობის ურყევ ბოძშია...
თუ არ უყვარს, მებრალეება! გული უკვე მკვდარია.
ჩვენ ჩავმალოთ გული სრულად, სიყვარულის თაღებში! და
შევიგრძნოთ მანდ ჭიქურად, სისხლის ცვლექი თარეში, მაშინ
ვიტყვიოთ, ვინაჟარდეთ,
შიგ ედემის ბალებში
ერთურთისთვის გადავვარდეთ, სანეტარო მხარეში!
გავაძევოთ გულებიდან, შური, ჭორი, ეჭვები,
დავუმსხვრიოთ მით სატანას, კბილები და ემვები!
სულით მალლა ავინიოთ, დაბლა ნუ დავეშვებით,
ჩავისუნთქოთ ნეტარება, შევეგებოთ მას შვებით!
მაშინ ვცხოვრობთ, ამ სიცოცხლეს,
შევიყვარებთ ჩვენ, ოდეს,
მოვაშოროთ გულებს დარდი, ზედ სიამე მოგვექონდეს.
შევეცადოთ სიყვარული, არ გარბოდეს- მორბოდეს!
სიოს ვარდის ნეტარება, სულში შიგ შემოჰქონდეს!
... ვისურვებდი: ამავე გემით, ყველა კაცთა სიარულს,
შეეცადონ, ერთურთისთვის, რომ აფრქვევდნენ სიხარულს,
თუ ექნება ჩვენს გულებში, ადგილები სინანულს
უცილებლად ღმერთი მოგვეცემს, სამუდამო სიყვარულს!!!

ვეზირთი ჩაბრულები !

მომეძალა გულში წყენა, უკულმართი ბედ-იღბლის,
ვერ ვინწინე აღმაფრენა, ის ჩემთვის ჯერ ვერ იცლის.
რადგან სული სახლში დამრჩა,
სხვაგან ჩარჩო დავდივარ,
იმ ჩარჩოში, რაც კი დაფრჩი, საუკუნო დარდი ვარ!
გეგონებათ ვიღიმი და გული ტირის მწუხარედ,
ყურს ჩამესმის მტრის ღიმი და გვესმის „ზალპი“ მქუხარე,
დაგიჩლუნგდათ თქვენ მარჯვენა,
სუფრად არ გყავთ ტოლბაში,
რად გინდოდათ „გამარჯვება“ დამარცხების ტოლფასი!
ჯერ არ იცით რა გველი გყავთ, ძველო ძმებო სცენაზე,
ოცდაათი ვერცხლი გეყოთ, საცოდაუნო ყველაზე.
გამოუხიზლდით, მოითხოვეთ! გული გქონდეთ საგულეს!
საკმარისად ჩვენც ვიგლოვეთ, დავივიწყებთ წარსულებს!
აღვადგინოთ ისევ ძმობა, საუკუნის ნაშენი,
აღარ გშვენით სხვების ყმობა, გაგინწყებათ გამჩენი.
სამსა, როცა ჩვენ გადმოვდგამთ... ერთიჯ თქვენაც
გადმოვდგით..
დაგავინყეს სანამ მოდგმაც, იმ რკალიდან გამოდით!
კიდევ ცოტა ხანი უნდათ, გვარსაც დაგავინყებენ,
მიგაჩნიათ ვინც კი წმიდად, ზუსტად მისგან იწყებენ.
აღარ გვინდა დაიკარგოთ, კავკასიის შვილებო,
ჩვენგან ცუდად აიბარგოთ, სხვებთან ვერ ნაშვილებნო!
სანამ დროა გონზე მოდით, ერთად ვგვემოთ სატანა,
დავივიწყოთ ძველი ცოდვით, ავმა რაც მოგვიტანა,
შევაერთოთ კვლავ გულები, ვერას ვიზამთ საფასურს
ვეზირთო ჩაბრულები სიყვარულის საგანძურს!!!

პერ იყიდი !

ვერ იყიდი სისპეტაკეს ფულით,
ვერც კაცობას, სინდისსა და ნამუსს,
სისადაგეს თუ ვერ იზამ გულით,
სიყვარულის წმიდა ცვარით ნამულს!
ვერ იყიდი სუფთა ნდობის ქუხილს,
ფარისევლურ მლიქვნელობის გარდა.
ქორ - ვაჭრულის ვერ მოიკლებ ნუხილს,
დარდ-ვარამის გაგეხსნება ფარდა!!
თუ იფიქრებ ფულით შექმნი რწმენას,
უროს მშვიდად დაახვედრო გრდემლი.
შენ მიიღებ ღვთისმშობელის წყენას,
საუკუნო არ აგსცდება ცრემლი!
არ მეგულვის ფულზე უფრო ბინძური
ამა ქვეყნად, იყოს, რამე საგანი.
ვისაც მასზე ჭკუა შერჩა ბიძგული,
ზედმეტია მისთვის უკვე ქაქანი!
თუმცა, მაინც უნდა ითქვას სათქმელი,
ფული მხოლოდ კუბოსაა ფიცარი,
თვალს უბადრავს უფალს იმის სანთელი,
ვინც სულით და გულითაა მდიდარი!
... ჯობს ვაგროვოთ დიდხანს კუბოს ფიცრისთვის,
ვიდრე გვექონდეს და ვხარჯავდეთ სიმწრისთვის!!!

ბედმახ იმასთან გამრიყა !

გულს სიყვარული მდიოდა,
გამხელას ველარ ვბედავდი.
მზე მაშინ ამომდიოდა,
როცა ახლოდან გხედავდი!
მებადრებოდა თვალები,
გუგა ქალღმერთად გხატავდა
და იწყებოდა წამები,
დღემდე, რაც აღარ გათავდა!
არ შეიცვალა ის ბიჭი,
თუმც წლები ვკრიბე მრავალი,
დღესაც მალეღვებს ნაბიჯი,
შენი ხატისკენ მავალი!
მაშ, უკვდავება რა არის?!
გული თუ გიძგერს გულწრფელი,
როს სიყვარული ზღვა არის,
ზედ მზის სხივები უხრწნელი!
დღეს გამიტაცა ლირიკამ,
ვწერე, რაც გულით მიგვრძნია,
ბედმაც იმასთან გამრიყა,
ვისთვისაც ლექსი მიძღვნია!!!

ჩვენ ვიზამთ იმას !

იმ უმწეობის გრძნობამ დამლალა
ძალიან გვინდა, ვერ ვშვრებით რამეს,
რთულია, როცა არ გყოფნის ძალა
შუქი შემატო უკუნეთ ღამეს!
თუ უნებურად შენც ხუჭავ თვალებს,
რომ იმ სიბნელის გაჰყვე ღინებას,
რაც სიმართლესთან შავ ხაზებს ავლებს
და უფსკრულისკენ მიედინება.
ღმერთს ვევედრები, მოგვმატოს ღონე,
რათა უმწეოთ, ბნელში, ვუმზეოთ.
მართალი გახდეს იმ ღონის მქონე,
ავსულს ტოვებდეს მის წინ უმწეოდ!
საიდან ღონე?! თქვენ მკითხავთ ალბათ,
ღონე გულწრფელთა, ღონე მართალთა,
როს ერთად დგომას ვუყურებთ ცალყბად
და ვერ ვიხურავთ ღვთისმშობლის კალთას.
... ძალა ერთობის მოვირგოთ ძმებო
და სიყვარულის დავქოქოთ ნიჭი.
მაშინ გავხდებით, ჩვენ, სანაქებო
და ვიზამთ იმას, რაც ახლა გვიჭირს!!!

რათა მივაგნოთ !

სიკვდილ - სიცოცხლის ზღვარზე დგომა თუ კი გიცდიათ,
მაშინ რატომღაც შიშის გრძნობა ქრება უეცრად,
როს ანგელოზნი, ჩახუტებად, ზეცად გიცდიან,
ვერ დაეფარვის, ზედ, მიწიერს ვერარა ზენრად.
სული უბადრუკ სხეულ-ბუდეს ტოვებს ადვილად,
სულ ორმოც დღეში შეაბიჯებს ზედა სამყაროს,

იქ სულიწმიდა დაეფარვის ციურ მანდილად,
რომ სამუდამო სამყოფელში გადააბაროს!
ზეცად ასულის ახლობლები ვწუხვართ მინაზე
და ეს წუხილი, ზოგჯერ დიდხანს, აღარ მთავრდება.
მაშინ მოგვიწერს ხელს უფალი მათთან ვიზაზე
გამოცდის ვადა, როს მინაზე დგვიმთავრდება!
როგორც მინაზე აღმოვცენდით სხვადასხვა მხარეს,
იქ ზეციურში შესაბამისს გვაძლევენ ღონეს,
იმის მიხედვით ვეუფლებით იქ არე- მარეს,
ვინ სად ხარჯავდა გამოცდისთვის მოცემულ ღონეს!
... აი, სად არის აქ მორალი, მიმიხვდით ალბათ,
აქ, ჩვენს ხელშია რა ღონესაც მივალწვეთ ზეცად.
არ ვშორდებოდეთ ჩვენ აქ უნდა ღვთისმშობლის კალთას,
რათა მივაგნოთ! იქ ერთმანეთს, მეცა და შენცა!!!

გვყო, რაც გვანძის !

წელში გასწორდი გმირთა ბუდევ, გაშალე მხრები,
ხერხეულიძეთ დაუზრდიათ ისევ ცხრა ძმები,
ზეცით გადმოქუხს, შოთას მადლი, ილიას ხმები
და ზედ იმ სამას არაგველთა გაშლილა თრთები!
აღარ მოშლილა დაბოკვრება, ალგეთს, ლეკვების,
პატარა კახი წამომდგარა, კახეთს ევლების,
ჩოლოყაშვილებს ვინ დაასწრო თვალთგაეღვების
მუშტად შეუკრავთ, კვლავ, გულები მათ ქართველების!
ცოტნე და შალვა გადმომდგარან, დადიანები
და გაბადრვიათ კოლხებს გული დარდიანები,
იმერ-ამერი მთად შეკრულან საზრიანები
ფარნავაზის და ქუჯის მხრებით, მადლიანებით!
ტკბილად ირწევა, ბაზალეთში, ოქროს აკვანი,
მალამოდ ერწყმის დოღ-ფანდურთა ხმების კაკანი,

გადაჭდობილა ერთურთ გმირთა გულის ბაქანი
კარი გახსნილა, ნესტანისთვის, ქაჯთა საკანის!
გმირთა ღირსებით განვაქარვე, გულს ხვაშიადი,
ყურში ჩამესმა ყიჟინები ერთობ ხშიადი.
დარდი განელდა, გაიფანტა სევდის წყვილიადი,
თვალთ დამექარვა მომავალი, სულზე დიადი,
რადგან ვიხილე მერაბი და იქვე ზვიადი!
... მხრებში გასწორდი! გმირთა მხარევე, თავი ასწიე
თავჩაქინდრულებს გვეყო, მტრებმა, რაც კი გვანჯიეს!!!

ჰნეპა სულს მწვდომი !

ძალიან ძველი ღრო მენატრება,
როს არ ესიზმრათ თოფი და ბომბი,
ყოფა იმ ხალხის გულს მეხატება,
ერთი მეორის არ იყო ზომბი!
ცხოვრობდნენ მისთვის, დიდ ოჯახებად
და საზრუნავიც არ ჰქონდათ თითქმის,
არ აწუხებდათ მიცემ-აღება
და ოქრო-ვერცხლზე დღე-მუდამ ფიქრი.
არ ჰქონდათ დავა, ურთიერთ წყენა,
არც კი იცოდნენ, რას ჰგავდა ქიშპი.
არც სალანძლავი იცოდნენ ენა,
ნადირს ხოცავდნენ, ქვითა და ხიშტით!
სუფთა ჰაერით სუნთქავდნენ მხოლოდ,
საკვებიც სუფთა გააჩნდათ, წყალიც,
ცხოვრებას თითქოს არ ჰქონდა ბოლო,
დიდხანს ცოცხლობდნენ კაციც და ქალიც.
ზუსტად იცავდნენ ათივე მცნებას,
თუმც არც იცოდნენ ვინ იყო ქრისტე,

თავს არ იხვევდნენ სხვების ოცნებას,
თავიანთ ღმერთის კრთებოდნენ შიშზე.
არ ეშინოდათ მათ ამონყდომის
და მრავლდებოდნენ ვით უფლის ცხვარი,
სანამ არ გაჩნდა, ვნება სულს მწვდომი,
სხვადასხვა რჯულის, სულ სხვა სიმწარის!!!

მიმღებია გასამართი !

თვალთახედვის აღმატრენა,
შეფუთულა ღამის არით,
ფიქრობს ჯერაც მადლი ზენა
ვის გაუხსნას გულის კარი.
სად ალაღოს სითბოს კერა,
ვის ჩაჰბეროს ნაზი სული,
ვის უხშირებს გულის ძვერას,
თოვლზე ია ამოსული?!
რომ გასცილდეს ეკალ-ბარდებს,
მოიშოროს ლოდი მხრიდან,
გზად გაყინულ ფიქრის დარდებს
დააცხუნოს მზემან ციდან.
გადამცემმა, რომ გადმოსცეს,
ტყუილად ხომ არ დაილღება?
თუ ანტენას არ აცეცებს
არ მიიღო აქ მიმღებმა.
ლაბირინთობს ზეცის ფოსტა,
უჩინარობს მისამართი.
ღიაგნობი ითქვა, მორჩა,
მიმღებია გასამართი!!!

რა რჩევას გვაძლევს!

აანთე ჭრაქი და შენი წილი,
მიეცი სოფელს სინათლის ნამი,
ილოცე სხვისთვის და შენ ჩაგითვლის
არ დააყოვნებს უფალი წამით!
რომ შეგიცოდონ, შენ შეიცოდე,
რალა ჯობს მზერას თან თავაზიანს,
ოლონდ ეს მყარად უნდა იცოდე
ის ნახო უფრო, რაც ლამაზია!
მზერა მიაპყარ, სათნოს და კეთილს,
შენ გვერდით ვინმემ თუ ჩაგიარა,
ნუ მიენდობი ღვთისგან მოკვეთილს
არ ჩაუღრმავდე მაგის იარას!
გადამდებია, რადგანაც იგი
და თავის ნაღველს თავზე მოგახვევს,
შენ მუდამ სუფთა ეძებე ხიდი
ნულარ ასცდები მისკენ მოსახვევს!
შეკვეცე ფრთები, მიენდე ზენას,
ჩასჭიდე ხელი, მიწაზე ჭიკარტს,
როს ჭიანჭველამ ისწავლა ფრენა,
ვერ გასცდა იგი ჩიტების ნისკარტს!
ნუ აღელვდები, იყავი მშვიდად.
დროებით მწარე, თუ შეგვხვდა ხვედრი,
ეს მხოლოდ, მისთვის, უფალი გცდიდა,
ხამს, უმადლოდ და ნულარ ჰყვედრი!
და ბოლოს, მინდა გითხრა, ძმობილო,
დრო მუხთალია და უღმობელი
მე ახლა, სწორედ, იმას ვცოდვილობ,
რა რჩევას გვაძლევს, თვით უცოდველი!!!

თქვენ გეჩვენებთ !

რა ვენა?! ვერ ვიტყვი, შავზე თეთრია.
ჩემი კრელოა, რომ ვთქვა სიმართლე,
რატომღაც ვატყობ, მაგას მყვედრიან
ღმერთმა რად მომცა თვალში სინათლე!
ვერ ვეგუები მაცდურ სათვალეს,
თუ მისი მინა ჰრეკლავს ირიბად,
სადაც მართალი შტერად ჩათვალეს
ხოლო გმირად კი-ვინც ნამუსს ჰყიდიდა!
სამასხარავო სარკესთან ვდგავარ
და გადაბრეცილ ფიგურებს ვამჩნევ,
... აქ მაიმუნად იმიტომ ვჩანვარ,
რადგან მაიმუნს, კაცისგან, ვარჩევ!
ამიტომ მიყვარს მე ის მხატვარი,
ვინც აბსტრაქციას ტილოზე ხატავს.
სამასხარავო სარკესთან მჯდარი,
თავისი სულის ქარაგმებს ქარგავს!
სამასხარავო სარკევ! გასწორდი,
გეყოფა სწორის უკუჩვენება.
აქ თუ ლამაზად ვეღარ ჩავსტროფდი
ეს, მე არა ვარ, თქვენ გეჩვენებთ!!!

კვლავ დუს დულაბი !

სანამ ვულკანი კვლავ ამოხეთქავს,
დასწვას ცოდვები მის კანიონში,
გაფანტულ გულთა უსმინეთ ფეთქვას
გვალოცეთ ისევ, ჩვენ, ჩვენს სიონში!
სხვისას არ ვითხოვთ, ღმერთმა გვაშოროს,
თეთრი დროშაა ჩვენგან გზავნილი,

ჩვენ, ჩვენს ქანანელს, რად დაგვაშორეს?!
ქრისტესგან, რომ არს გამოგზავნილი.
კირით შელესილ კედლებში, ცრემლი
დღესაც იღვრება, ილორის ხატის,
... თქვენ არ გინახავთ მგზნებარე გრდემლი,
არ გიგემიათ ლავისგან ხვატი!
თქვენგან ტყუილებს, გამოგონილებს,
ბუნება, დიდხანს, აღარ დაიტევს,
ან რაღას უზამთ ამდენ ცოდვილებს,
რომ აგლეჯიეთ, ჩვენ შორის, ქრისტე.
კავკასიონზე კვლავ დულს დულაბი,
შეჰკრას ქიმები, ვარსკვლავთ მწვდომარე,
ჩამოაგლიჯოს გრძნეულთ ნილაბი
ცეცხლზე შეუწვას მათ თავმჯდომარე!!!

სანთლად ჩამდნარი !

მე ისე გეტრფი მამულო
ვით ანგელოზნი ციდანა,
ზევიდან მესმის „ჩაკრულო“
ჩაგრულოვ, ყველა მხრიდანა.
... გიორგი მოჰქრის ზეციდან,
დავითი ახლავს გვერდზედა,
თითქოს უფალი, შენ გცდიდა
ან ვარსკვლავთ გაყრის მხრებზედა!
გაუგლეჯია ჯაჭვები
ამირანს, მაღალ ქედზედა,
ინყევლებიან ჩამშვებნი,
თავიანთ გულმწყრალ ბედზედა.
გაინევიან ღრუბლები,
მტარვალნი ქვემ-ქვემ იცოცებს,

როცა თამარი, უძლევი,
სიონში უხვად ილოცებს!
მინაზე ზეცის სარდლობა,
შეკრიბავს მიმოფანტულებს,
მოხდება დიდი ნათლობა
და ეშველებათ ჩაგრულებს.
რადგან იმარჯვებს სიმართლე,
ბნელს დაეცემა თავბარი,
ააჩუქურთმებს სინათლეს,
ლოცვანნი სანთლად ჩამდნარი!!!

როგორ მინდა, რომ მიყვარდეს!

ვინც მინდოდა, რომ მიყვარდეს
ჩემში, ვინც შენ შეგადარე
მარად გულში, რომ მსურს მყავდეს
ღმერთო, გთხოვ ის შემაყვარე!
ჩემი გული შენ დააღბე,
როგორც მინა სავენახე,
საიდანაც კარგი ჩანდეს,
მეც იმ მხრიდან დამანახე!
როგორ მინდა, რომ გამოდგეს,
ყველა რჯულზე უფრო მარჯვე
და იმ გზაზე მტკიცედ ადგეს,
რომელ გზაზეც გაიმარჯვებს!
გაახარებს მიმღევრებსაც,
მუხლი ლოცვით დაედლება,
გაუსკდება გული მტერსა,
როს სამოთხე გაეღება!
იქ შეიყვანს თავის მოდგმას
და ედემში ანავარდებს,

სანამ მათი გული ბორგავს,
აკრეფინებს წმიდა ვარდებს!
როგორ მინდა ვხევედე დარდებს!
როგორ მინდა, რომ მიყვარდეს!!!

რომ დაგვესიზმროს !

ჩავსჭიდოთ ერთურთს, ჩვენ, ძმობის ხელი,
შევკრათ და-ძმური სული ნატიფი,
მძლავრად მოვეუსათ ნამგალიც, ცელიც
არ გაუხემდეს, რადგან სათიბი!
აღარ არსებობს ალტერნატივა,
ერთობაშია მხოლოდ ფორმულა,
რომ გადავლახოთ ფონი ადვილად
ერთად ვიფრინოთ, უნდა, ქორულად!
მამას, შვილებად, დავედგეთ გვერდში,
რომ სწორი გეზით, მუდამ, გვატაროს,
"არა მონობას"- ლოზუნგით ხელში.
თავისუფლება ჯილდოდ გვახაროს!
მამას შვილების მოსწონს ყიჟინა,
ძაგს, ყურმოჭრილი, ცხვრების ბლავილი,
მაგრამ შვილებმა თუ კი იძინა,
ვინ ამარილოს, მაშინ, მარილი?
... გვეყო ძილი და ბნელთან ზარხოში,
გავაცისკროვნოთ ერთად ცისკარი
-ამას გვეტყოდა, ბერი ამბროსი,
რომ დაგვესიზმროს ახლა სიზმარი.

ბობს ხვრელები ამოქოლოთ !

რად იზრახეთ საქმე ძვირი
აბლაბუდის მხლართველებო.
რად შეჰკარით ავთან პირი,
თავად ვაიქართველებო?!
თქვენი ხალხი წნეხში გყავდეთ,
სხვისი გულის გასახარად.
რად გსურთ, ასე მწარედ ჰყარდეთ?
დაიბლანდოთ თავად შარა?!
როდის იყო თვით ურჯულო,
ვინაც კერა მოგვანატრეს,
რომ ჰყვარობდა იმ უგულოთ,
ვინც თავის თავს უღალატეს.
ხომ იცით, რომ იმ გამცემმა,
თავი თვისი გაიგუდა,
ჩააბარა ანათემას,
ოცდაათმა ვერცხლმა მუდამ!
გონს ვერ ვანვდენ, მაშინ ღალატს,
რანაირი ჰქონდეს სენსი?!
თუ კი მარხავთ, თქვენ, იმ ტალანტს,
რაც სავაჭროდ მოგცათ წესით.
ყველა ნახლართ ბილიკს თქვენსას,
ჯოჯოხეთში მისდის ბოლო,
თხუნელასთვის თესლის თესვას,
ჯობს ხვრელები ამოქოლოთ!
გამოსავალს ვხედავ მასში,
რომ ჩამოხსნით აბლაბუდებს,
არ ჩაუტენთ გუგულს თავში,
დაეუფლოს მერცხლის ბუდეს!!!

გააზიარე წმიდა სიყვარულს !

ღმერთო! ჩასახლდი სულის სარკმელში,
სიმართლის ჭვრეტის მომეც ლაზათი.
სიბრძნე აქსოვე ჩემთვის სათქმელში,
ყველგან მოვშალო უინი ღალატის!
სანთლად ამანთე, მაღალო მნათე,
ჩემი ნაწილი მოვსპო ჩრდილები,
რომ საქართველო სრულად განათდეს,
არ გაუფანტო გონი შვილების!
ერთად შეკრიბე ყველა გრძნეული
და გამცემლობის ჭირის მფლობელი,
გამოაფხიხლე შურით სნეულნიც
კვლავ მოაქციე შენსკენ ყოველი!
ღვთიური სიბრძნის ნიჭი ქართველში,
აღმოუფხვრელად ჩააბეტონე,
ყველა ამყოფე ციურ ნათელში
ედემის ბაღში გააბატონე!
მოიმონაფე სრულად ცდომილნი,
შენ უმკურნალე მაგათ იარებს.
და ნინოს რწმენით, შენად ხდომილნი,
წმიდა სიყვარულს გააზიარე!!!

გვამყოფე წუხილი !

აღარ თაკილობს ხმაურს დუმილი,
ლავად ქცეული თუხთუხებს მკერდში!..
დარდის დაგლეჯვის მახრჩობს სურვილი...
მგონი სამყარო დამიდგა გვერდში!..
უკუნში ვეძებ სინათლის წყაროს
და შავ ანარეკლს ვპოულობ მხოლოდ!..

ირგვლივ წუხილის ნერგები ხარობს...
სადღაც ჯურღმულში მიითრევს ბოლოს!!
ნეკნებს ბიძგები აწვება ლავის...
ცდილობს ვულკანად ამოაფრქვიოს!..
ჯაჭვის განწყვეტას შიგნიდან ლამობს,
რათა სიბნელის ბუდე დახიოს!!
...უნდა გავტეხო ნავსი დუმილის...
ზეყას მივმართო თხოვნით ხმამალლა!..
ღმერთო! გვამყოფე, ჩაგრულთ, წუხილი...
სანამ ნეკნები ლავამ დალალა!!!

მტრის ჭინაფი !

მე შენ გებრძვი, ბედო ჩემო, რა ხანია,
თუმცა ჯერაც ვერაფერი მოგიხერხე,
მე ვაგრძელებ-მალე ჩემი ბაქანია,
მაინც შევსძლებ და შენც დროზე მოგიხელოთებ!
... მივაგენი მე შენს საჭრელ დანა-ჩანგალს,
მას სახელად ეწოდება: სინანული!
ან შენს გვერდებს ლამაზ ფერად გადაქარგავს,
ღვთის მადლი, ზეციური სიყვარულით!
ის, რაც გულში ჩამღვენთია სამუდამოდ,
ვეღარ ნაშლის მას გულშავა ჩაბლაუჭი,
ნაიარევს, გულის ფსკერზე, აღარ ვდარდობ,
მთავარია, სულით შენს შხამს გადავეურჩი!
რომ გადაშლი შენს, ავბედით, უბის წიგნაკს,
განკითხვისას... და ჩანანერს ვერ იპოვი
დააჭერენ მაშინ შენთვის წითელ ღილაკს
და სამალავს ჯოჯოხეთში თუ იპოვი!
მიდი ბედო, გიჯობს დროზე გამოსწორდი
და სამართალს გაუშალე სავარძელი,

სიღუხჭირეს თუმც ბოლომდე ვერ დავშორდი,
მაგრამ სულით, მტრის ჯინაზე, ხომ გავძვლი!!

პაცად მინდა შევრჩე !

(ს ი მ ლ ე რ ა)

არ მაქვს სურვილი, ჩემი ფიქრი გარბოდეს სხვაგან,
შენ ხარ უფალო, ზეციურო, ყოველთა შემწე.
ღმერთო, ქვეყანად მომავლინე, მე კაცად, რადგან
კაცადვე მინდა, ამ სამყაროს, ბოლომდე შევრჩე!
მშობელი მინის, მიხაროდეს კენჭი ყოველი,
და სიყვარული, მოთარეშე, სულს ამონებდეს,
გულზე მეხატოს მე ღვთისმშობლის ხატი ცხოველი
და ცის ლაჟვარდი, მოკაშკაშე, მსიამოვნებდეს!
მშვიდი ცხოვრების სურნელება, ყველგან სუფევდეს,
კლდიდან ჟონავდნენ, ერთგულების, ნაკადულები,
მეგობრობაში შეჯიბრება იმართებოდეს
და იმარჯვებდნენ, უსასრულოდ, თბილი გულები!
არ მაქვს სურვილი, ჩემი ფიქრი გარბოდეს სხვაგან,
შენ ხარ უფალო, ზეციურო, ყოველთა შემწე,
ღმერთო, ქვეყანად მომავლინე, მე კაცად, რადგან
კაცადვე მინდა, ამ ქვეყანას, ბოლომდე შევრჩე!!

სად უნევს ბოლო

ხანდახან ვფიქრობ, რანნი ვართ კაცნი?
...თუ ვართ შემძლებნი, ჩვენ მაშინ რამის,
როცა ზოგ-ზოგჯერ გავხდებით ანცნი,
კლდის მოზნექვასაც ვეცდებით ლამის.
არ ვიცი ამას, როგორ ავითანთ,
ცალ-ცალკე მგონი ვგავართ პეპელას,

ქარიც არ გვინდა, სიო გაგვიტანს,
რომ დაუბეროს ჩვენსკენ ნელ-ნელა!
სულ ერთი ციციქნაც, რომ გასკდეს ძარღვი,
საგულდაგულოდ დავხუჭავთ თვალებს
და იმ ძარღვიდან სისხლს ტვინში ჩაღვრილს,
აქვს ხელმწიფება, ვნატრობდეთ ხვალეს.
ბრძენმა უწოდა სოფელს წუთისა
ნაღველს, ხორციელს, ვატარებთ ხუნდად.
ძალა, წინ რაც გვწევს, არის სულისა,
ის უკვდავია და ცოცხლობს მუდამ!
ვერ დაჭრი მაგას მთლად სასიკვდილოდ
(თუ ჩაუქრობელ ცეცხლს არ წაჰკიდებ!..)
... ოღონდ ეს არის-სად უწევს ბოლო
ჩვენს უძლებ ხორცზე, ზედ გადამკიდეს?!!

ნთჲს კიღობანს გჰპაღირსჲ!!!

ღმერთო, ამინთე თვალში ნათელი,
რომ სწორი გემით ვიარო შენსკენ
და მათქმევინე, მე ის სათქმელი,
რაც აღარ უთქვამთ, არავის, დღემდე!
უსასრულოა წყობა სიტყვისა,
გთხოვ, დამილაგო მე ზენავ ისე.
მას ჩემი ბაგე ვითარც იტყვის რა,
სულ ყველგან შფოთი გაყურდეს მყისვე!
მომმადლე გონი, რომ ვანუგეშო,
ვისაც გულშიდა უბუუტავს მრწამსი,
ყველა მოვალბო, ვინც ჯერ უხეშობს,
მშვიდი ცხოვრების ავუხსნა არსი!
დავანთო ცეცხლი სიყვარულისა
და გავალაღო მწყრალი გულები,

შევკრა კამარა სინანულისა
სულში, იმედად, დაჩაგრულების!
... ვიციო!, ახლო უამს მოღიხარ ისევ,
ვინც წინ მიილტვის, დარჩება უკან,
ნოეს კიდობანს გვაღირსე ისეთს,
რომ გადავურჩეთ წარღვნას და ვულკანს!!!

მშვიდი სინთესა

გინდა სიხარულს განიჭებდეს, ძმაო, სიცოცხლე?
ოხ, რა შრომაა საჭირო მისთვის. იცოცხლე!
ის როდი ყოფნის, რომ შენ იყო, თუნდაც, რჩეული.
გვერდში, ვინცა გყავს, უნდა იყოს სულ დარჩეული!
თუნდ შენს წინაპარს არ ეცოდვა თვით შვიდ მოდგმამდე
და ნაშიერი შენი, მერეც, აღარ ცოდავდეს,
შენ მაინც არ გაქვს შანსი იყო, ზედმეტად, მშვიდად,
ათას ურჯულოს შეგახვედრებს ცხოვრება ბინდად!
რომ გაარღვიო ეს სიბნელე, იყო ნათელში,
რასაც იშოვი, სულ, დახარჯო უნდა სანთელში,
ერთ ლუკმას შესჭამ? ათი უნდა სხვასა აჭამო.
თან ისე მისცე, ერთმანეთი, რომ არ დაჭამონ!
მშვიდად მიიღო, თუნდაც, მოძმემ ცილი დაგწამოს,
რომც გილაღატოს, მერე მტერმა, მისთვის განამოს!
არ გაგიკვირდეს: იყო შვილისთვის, იგი "თავისთვის",
ან გყავდეს ცოლი, შენ უბრალოდ, სათვალავისთვის.
მზად იყვე, თუნდაც, რომ ცხოვრება სხვაგან გალიო
უცხო მხარეში, ემიგრანტმა, სული დალიო!
... ეს ყველაფერი, მოითმინო, თუ შეგიძლია,
მშვიდი სიცოცხლე, ძმაო შენთვის, მაშინ მიძღვნია!!!

ნუ ვაჩქარებთ !

შეხედეთ, ღამით, ზედ, მონმენდილ ცას,
სურათი ნახოთ დასამარცვლავი,
ათასი წელი რალაცა ბუუტავს
და მას სახელად ჰქვია: ვარსკვლავი!
რატომ ვარსკვლავი?! არაფინ იცის,
მაგრამ ფაქტია, რომ მარად ბრწყინავს.
ის მუდმივობის კანონებს იცავს,
თითქოს დასცინის, ღღემდე, ჩვენს გმინვას!
გინვას, რადგანაც გვეცვალა სახე,
ათი ათასჯერ, ამ ხნის მანძილზე,
ქუდი გაგვიქრა კაცების თავზე,
ქალს ეცინება, ქალის მანძილზე!
არ ვიცი: გავა რამდენი წელი
მბუუტავს, ვარსკვლავი ერქმევა ისევ.
ისიც არ ვიცი, ჩვენ, ბედის ხელი
თავში რანაირ აზრებს შეგვივსებს!
ვიქცევით, ალბათ, მაიმუნებად,
დარვინის მცნება, რომ შევაბრუნოთ,
პირიქითობა მოდის დინებად
ღამის ქვეყანა გადავაბრუნოთ!
... „განვითარება“, მერე გაქრობა,
ფილოსოფიის გაკვეთილია,
ამ გაკვეთილზე, მგონი, მასხრობა
თვით კაცთა მტერის დაკვეთილია!!
P. S. სულს ნუ ვაჩქარებთ გარდაცვალებას
ველოდოთ ვარსკვლავთ ფერისცვალებას!!!

ღმერთმა მოგვმადლოს !

შენში ჩავდევნი, ჩემი სულ-გული.
იფრინე, ჩემო, ოცნების ჩიტო,
მოინახულე ყველა სულდგმული
ფლორაზეც გული არ დამინწყვიტო!
იმ სოფლის ყველა ხეს მოეხვიე
სადაც, შიშველით, დავრბოდი ფეხით,
და ზედ ნიადაგს, ჩვენსას, ნოყიერს
ალარ მოაკლო ციური შხეფი!
ჩაუნისკარტე ყველა ხელმყოფელს
ჩუმაღ და მალვით, ჩვენი ბალისას,
სულით ლატაკთა, ჭირი ამყოფე
ღმერთმა ქნას, გული გაუხალისა!
ტკბილი ბგერები მოჰფინე ბალახს
და ცხვარ-ბატკანი, მასზე, აძოვე,
როს ჩამორეცხავ სულ ყველგან ტალახს,
მეც გავიხარო, ცოტა მადროვე!
... ახლა შორსა ვარ, იქ, შენთან მინდა,
დიდი გავმართოთ, შინ, წვეულება,
მოყვარეთ ვუხმოთ, სულ, ყველა მხრიდან
როგორც გვექონია, ჩვენ, ჩვეულება!
ლალი ნავარდი ვაგემოთ, აზრთა,
რა გორისაც ვართ, კვლავ, შევახსენოთ,
ღმერთმა მოგვმადლოს იმათი გაზრდა,
ვინც, ჩვენ, აუგად აღარ გვახსენოს!!!

თავი ასწიე !

თავი ასწიე, სამართალო, ხმა, რად დადუმდა?
დრო მოსულია, ილაღადე, შენია სიტყვა,
ამოაფრქვიე, რაც შენს ალაღ გულში დაგუბდა
ზედ დააყარე ცრუჰენტელებს ელვა და სეტყვა!
ცად გაქცეული ანგელოსი გადმოახედე
და აუხსენი ჩვენი ყოფა რა სასტიკია.
უსჯულოებმა ამ მიწაზე რაც ითავხედეს,
როგორ დაბანდა ეს ცხოვრება ავმა სტიქიამ!
სული შეჰბერე! შორს გასტყორცნე გამწყრალი ბედი,
უკან მოხედვის აღარ შერჩეს შნო და ლაზათი,
ანგელოზების შემოაკარ უფალთან წრედი
და იქ გამართე, ცის თაღებზე, საღი კამათი!
თავი ასწიე, სამართალო, თავი ასწიე
და გააგონე, ყველა ჩაგრულს, შენი ღაღადი.
შენია სცენა, გელოდებით, ფარდა გასწიე
ხალხს ასმენინე სიტყვა წრფელი, ან და მარადის!!!

როდის გადმოგვხედავ ?

არ არსებობს ქვეყნად სიტყვა
უფრო ტკბილი ვიდრე დედა,
მოკრძალება თუ ვერ მიჰყვა,
მის წარმოთქმას ვინ გაბედავს.
დედა -არის ბურჯი ყოფის
და სიცოცხლის საფუძველი,
მის ნათებად მზე არ ყოფნის,
თვით უბრწყინავს გული წრფელი!
ყველა მნათზე უფრო მნათო,
ყველა კლდეზე უფრო მყარო

მიტხარ! როგორ გავინათო?
რომელ ვარსკვლავს შევადარო?
ვერ გიშვია გენიოსი
საკმარისად შესძლოს გაქოს!
მირინოსის შესამოსით,
შენს სპეტაკ სულს მიეახლოს!
პირველ სიტყვად ვამბობთ- დ ე დ ა-ს...
დედას ვუხმობთ თუ გაჭირდა,
ასე შეგვექმნა შემოქმედმა,
დედით მოსულა, რომ დასჭირდა.
შენ გვირგვინი გერგო ზეცის,
ყოვლადწმიდავ ღმერთის დედავ,
საყვედური ჩვენ არ გვეთქმის
... მაინც!.. როდის გადმოგვხედავ?!!

მომავალი ჩემია

... „დამამარცხებენ? დე დამამარცხონ,
ვგრძნობ მომავალი მაინც ჩემია.“
(ტერენტი გრანელი)
ოცი წელია, მოგვწყვიტეს სახლ-კარს
და იძულებით გვამყოფეს "მშვიდად"!
მალე „ზეიმის“ დატუდაფი დაჰკრავს
„მშვიდობა“ ჩაღვა ძმათგამყოფ ხიდად!
„მშვიდობის მყოფელ“ ძალას მივმართავ,
რომ მშვიდად ვიყოთ, საღ მიგვამაგრეთ.
ჩვენს კუთვნილ კუთხეს რა ნებით მართავ,
ერთ ძმას შინ ტანჯავ, მეორეს გარეთ!
ფიქრობთ გავგვტეხეთ, გვაგემეთ მარცხი,
დიდთან პატარას ვინ გაამართლებს?

როცა თქვენ "ძმებო" მირონი გაცხეს,
აგისნეს ალბათ, რომ "გაგანათლეს"!
... და თუ ღმერთი გნამთ, მითხარით მაშინ,
გზა სად დაკარგეთ ტაძრად მავალი?!.
სად სიმართლეა, მიხვდება ბავშვიც
ქრისტე იქ არის და მომავალიც!!!

ბინძური ქნა

დედას აგინებ? სულიწმიდას ბილწავ?
- ჭაბუკო?
თუ ღმერთის არ გნამს!
სადაური აგდიხარ თესლი?!
შენ ღირსი არ ხარ კაცმა ზედაც, რომ
დაგაფურთხოს!!
შენი ენისგან, ვით გველისგან,
იფრქვევა გესლი!
აღარ პატიობს თვით უფალი, გინებას
- დედის!
მაშ აქ რა ხდება?!
ვინ გვირჩია, ჩვენ, წაყრუება.
ან დავამუნჯოთ გესლიანი ენა, მაგ
- ყბედის
ან ჩვენ ვუბრძანოთ
ჩვენივე ყურებს,
თვითდაყრუება
შენ არ გლანძღავო, ვაგინებო საკუთარ
- დედას!!
ასე იმართლებს ვითომ, ურჩ თავს ენამოსვრილი
ღმერთის არ სჯერა.

კაცთან იგი რას არ
-გაბედავს?!
ვით ძაღლის კუდი
თუ არ ექნა ენა მოჭრილი!!!

ამირანის საფიქრალი

ღმერთო, მე ამ სიმაღლეზე,
შეგნებულად გამაკარი?!
დაბინდდება როცა ველზე,
რომ ჩამოვჰკრა ზემოთ ზარი!
ვაგუგუნო ზარი ისე
მოვანვდინო ხმა შენამდე,
თადარიგი შევკრა მყისვე,
იქ ხანძარის გაჩენამდე!
დრო იხელთა შავმა ძალამ
გადაჰფინა ნისლი ვაკეს,
გულზე ნალმი მომეძალა
ზედ დავჰყურებ ვითარც სარკეს!
შიგა და შიგ ზენა ქარი
მიმოფანტავს, როცა ღრუბელს,
ვხედავ ვაკის ცალი მხარი,
დაუჰყურია ავსა წურბელს!
უნოვს სისხლს და აცლის ძალას
ის წურბელა გველეშაპი.
მე როდემდე ვეკრა მალლა
სკდება გული ნაღვლის ყლაპვით!
... ღმერთო! სანამ ქვემოთ ჩახვალ,
ვინ მიუშვას ხანძარს შხაპი?!!

ოლიგარქი და ლარიბი

რა კონტრასტია სიტყვებში:
ოლიგარქი და ლარიბი.
ერთი იბრაჩობა მის ნეხვში,
მეორეს კვებავეს განრიგით.
ორი თვალი აქვს ორივეს,
ორი ყური და ხელ-ფეხი,
ერთი აქ ებრძვის მორიელს,
მეორეს ელის იქ მეხი!
როცა მანდ ენას იმ ერთის
ამოშანთავენ შანთითა,
მაშინ მეორეს თვით ღმერთი,
აცხოვნებს მისი მადლითა!
ეს სხვაობაა იცოდეთ
ოლიგარქში და ლარიბში.
არ შეიძლება ცხვებოდეს,
ორევე ერთ დიდ ყალიბში!
ამიტომ დასაბამიდან,
ღმერთმა გაუყო მათ გზები,
ერთს გული მისცა თავიდან,
მეორეს, ფულის დაზგები!
ფული კი მოჭრა დაზგამა,
მაგრამ გული ვერ იყიდა,
შიკრიკი ღმერთთან გაგზავნა
და რა მიიღო იქიდან:
... შენ მიწიერი არჩივნე,
ყოფა და ტკბილი ცხოვრება,
სული ვერ გადაარჩინე
ველარ იყიდი ცხონებას!!!

ნამობჰნი

სანამ დაგვლის ფიქრი ჩვენი
უვადო და უშედეგო,
ეგებ გვითხრა განაჩენი,
ღმერთო, ჩვენო შემოქმედო!
ათწლედებით უკან მცოცმა
ან წინ ცოცვა ვით გავბედოთ,
ჩვენ უკულმა ვინ დაგვლოცა?
შეგთხოვთ, ახსნას შემოქმედო!
ღრონი მეფობს, ვიცით ეს ჩვენ,
იქნებ წინსვლა დაგვაბედო,
გები მოგვეც ისევ შენკენ,
ჩვენო, ტკბილო შემოქმედო!
ყველა ცოდავს ამა სოფლად,
თუმც არ გახდნენ მთლად უბედო,
ჩვენ რად გვტოვებთ ასე ობლად,
გულმართალო შემოქმედო!
ვძრწით დაღლილნი კი არ ვჩივით,
მართლა გვტკივა და არ ვცბედობთ,
ხოხვას აღარ მიგვაჩვიო
ნ ა მ გ ვ წ ი ე შემოქმედო!!!

ბოდიშს მოვიხდო

მანტერესებს, ხომ არ წაშლილა
ტატოს მერანის კვალი, ნათელი,
ჩვენი გზა-კვალი რატომ დაშლილა
რა გზით მოძრაობს ახლა ქართველი.
თოფი გვესროლეს ილიას გზაზე,
ზვიადის გზაზე ქუხდა დამბაჩა,

მეფე დემეტრე ანამეს ჯვარზე
ქეთევანის გზას, შანთები დარჩა!
ხომ დაგვაყენა დავითმა გზაზე,
გზებს გვილოცავდა წმიდა თამარი.
ჩვენ გადვუხვიეთ, მითხარით რაზე?
მითხარით, წმინდა კვალი სად არის.
ჩვენ ავირჩიეთ, იუდას კვალი,
ვინაც ათასჯერ გაგვაკრა ჯვარზე,
ვინც არ გვაშორა ცბიერი თვალი,
ღალატით მოდგა ერეკლეს ჯარზე!
იქნება, მაშინ აგვარჩევინეს,
იქნება, მაშინ გაგვაცემინეს,
აგვალეზინეს!
მოგვაპარინეს!
გზას აგვაცდინეს იქნება მაშინ.
მაშ გაკვეთილზე, თუმცა მწარეზე,
ჭკუა გვესწავლა, მე მგონი, უნდა
და ვაბრუნებდეთ, მაგ მტრის მხარეზე,
ძალზე ბევრს თუ არა, ცოტ-ცოტა ხურდას!
ვინმეს ეხება, თქვას რა გზაზე ვართ?
გვიჩვენოს სწორი მიმართულება,
თუ სწორი გზებით ახლა მივდივართ,
მაშინ ცხოვრება რატომ რთულდება!
... პასუხს არ ველი მინიერისგან,
პასუხს გამცემენ, ალბათ, ზეცაში.
ბოდიშს მოვიხდი ჩემი ერისგან,
თუ დავაშავე რამე, მე, თქმაში!!!

სახლში ვბრუნდებით

იქ გვინდა ვიყოთ, სადაც არა ვართ.
უკეთ ვიქნებით ჩვენ, იქ, გვგონია.
წამში გავფერინდეთ, უკვე მზადა ვართ
ფრთები შეგვასხა, ზედ, აგონიამ!
გავფერინდით კიდევ და სხვა მხარეში.
დავფერინავთ ოცზე მეტია წელი,
ნაღდად მოგვწყინდა, უკვე, თარეში
და გეზის შეცვლას შინისკენ ველით!
ვერსად იპოვი, თურმე, სიმშვიდეს,
ვერსად ვერ ნახავ უკეთეს მხარეს,
ვერ ნახავ კაცს, რომ სუფრას გაშლიდეს
და არ გყვედრიდეს გუშინდელ ხვალეს!
ვერსად ვერ ნახავ სხვა საქართველოს
გულიანად, რომ გულში ჩაგიკრავს.
პურ-მარილიანს გაგიშლის მდელის
ჩონგურის სიმზე „ნანას“ დაგიკრავს!
... სახლში ვბრუნდებით ემიგრანტები.
ჩვენ ჩაგვანაცვლეს სანამ იქ სხვებმა,
გვაპატიებენ ჩვენი ხატები,
ტალღად გვაქცია უცხოურ ზღვებმა.
შინ ვიგუგუნებთ ჩვენ სანაქებოდ
სხვაგან იარონ იმავე სხვებმა!!!

გამოფხიზლდი !

უკუნეთ ბნელეთს მოუყავს სფერო
და მიმალულა თავისთვის მთვარე,
ჯერ ერთი, ბნელში რა უნდა წერო?
ან რომც დანერო, ვინ ნახავს რამეს.

ცეცხლი ნაჰკიდოს კაცმა პარაფინს,
უკუნის მნათად დაიდგას სანთლად.
ის, ხომ ცრუობს და იხვრიტავს მაგ ტვინს,
ეს ხომ ცხადია, ბნელეთშიც, ნათლად!
ის, შენს ნაწვალეებ, გულიდან, ნაწერს
თუ წაიკითხავს, იგებს უკულმა
და იმ ნაწერის, უსაწყლეს დამწერს
მნამს, მოანატროს თავი უკუნმაც!
ვიდრე ბოგინობს, ამ წკვარამ, ბნელში
უხსოვარ დროის, ტიფი და ჭირი,
შანსი დიდია გაება ქსელში,
სალაპარაკოც არ დაგრჩეს პირი!
... მზეო, ამოდი! ამოდი, მზეო
და გაანათე ჩვენი მამული!
შენ გამოფხიზლდი!, ადამის ძეო,
ნუ გაქვს ქვიშაში თავი ჩარგული!!!

დამხვედრად მოგვამზადე!

ისევ მოსვლის დრო მოსულა ვიცით,
ჩვენ დამხვედრად მოგვამზადე ღმერთო!
ისიც ვიცით, რომ არ იცი ფიცი
და დიდებით მობრძანდები ერთობ!
ავ ზრახვებით მხრებდახუნძულ სტიგმას,
რასაც ჰქვია: ძე - ადამის მოდგმა,
ვისაც თავი გონიერად მოგვაქვს
ის გონება დაგვიბნელა ცოდვამ!
აქ იმძლავრა ავისისხლობორცმა სატანამ
ჩვენზე უფრო ჭკვიანია, გველი!
ვერ შევსძელით ერთმანეთის ატანა
მათრახს ახლა, ისევ, შენგან ველით!

ყველა კაცი ცრუ არის და ფლიდი,
უსუსურნი გამოვლექით მეტად!
ჩვენ ვამსხვრიეთ სიყვარულის ხიდი
და სიკვდილთან მივაბიჯებთ კენტად!
შენს მოსვლამდე დაგვათბუნე მზებზე
და სინდისის გაგვიღვივე ქეჯნა,
ჯვრის უღელი დაგვაღვევი მხრებზე
სადაც აღრე ეშმას ბარტყი გვეჯდა.
... დავძაბუნდით ცოდვებისგან ერთობ,
ჩვენ დამხვედრად მოგვამზადე ღმერთო!!!

ოღონდ არ შეწყდეს !

დიდებისათვის, სახელისა, აღარ ვწერ რამეს
უბრალოდ მსურს, რომ ავიტანო ზეცად სიმართლე.
ცოტათი მაინც შევუტეო, სიბნელეს, ღამეს
და მის უკუნეთს მივანათო, ცოტა სინათლე!
ცოტას მე ვიზამ, ცოტასაც შენ და ასე შემდეგ,
ლოდს ავაგორებთ, უზარმაზარს, ამ კენჭებისგან,
ერთად დგომით და ერთობით მივიღებთ შედეგს
და გადვიფერთხავთ, მტვერს უმსგავსოს, ჩვენ ბეჭებისგან!
რომ იმოქმედო, ყველა საქმეს, სჭირდება გეგმა,
მგეგმავს ამყოლი, რომ არ იყოს გზაში ყოყმანი,
უკაპიტანოდ ვით გაკვალოს გზა ზღვაში გემმა
ან, მითუმეტეს, თუ არა ჰყავს თუნდაც ბოცმანი!
სიჩქარეც გვართებს, შორს წაიღეს ოქროს სანწმისი
ჩვენი ვალია, რომ დავინწყოთ მიზნისკენ წვდომა.
სანინდარია შედეგისთვის კარგი სანყისი
და არას გვარგებს, ერთ ადგილზე, უბრალოდ დგომა!
... საქმის კეთებას თან მოჰყვება ხმაურიც, ვიშიც
ოღონდ არ შეწყდეს, მთავარია, შეცდომის შიშით!

ქ დ ე მ ბ ა ლ ა დ !!!

უძილო ღამევ! გამინათე ისევ გონება,
საკმარისია, რომ ჩამოწვა ირგვლივ წყვილიდი!
სული ვადიდოთ, განვამტკიცოთ მისი ქონება!
და ცას ვანვდინოთ, შემართება ჩვენი ხშიადი!
მადლობა ღმერთო! მომაშორე, რადგან ხმაური,
ჩუმ სინყნარეში დამადგინე, მართალ რუპორად
მინდა გადმოგცეთ, ჩემი სულის აურზაური,
გამოვიღვიძოთ, ვისაც გვძინავს ახლა აქ მდოვრად.
რა დროს ძილია ვინ იფიქრა დახუჭვა თვალის,
ის თუ ვიფიქრეთ, დაიძინა თუ არა მტერმა?
აღშფოთებისგან, გული გასკდეს, ბერისა, ლამის
ქილიკმა მტრისამ, სამუდამოდ, ხომ გამაშტერა,
რატომ არ ისმის წინამძღოლო, რატომ არ ისმის,
„ერო წამოდექ!“ რომ ისმოდა ადრე ბრძანება,
რად დავიჯერეთ, წილხვედრია ჩვენი დაისი,
ამ მოქნარებაში, ერი საით მიექანება?
ჩამოაღვენთე ღმერთო შუქი, გახსენ ცის კარი
გამოაღვიძე, ძილში მყოფი, ხალხთა მრავლობა
ედემის ბალის, სამუდამოდ, გახსენ ჭიშკარი,
რათა შევიდეს იქ მართალთა შთამომავლობა.
... ყველა აცხოვნე, ვინც კი ნახო აქ, მონანული
და კვლავ აქციე, ედემ ბალად ჩვენი მამული!!!

ღ ა მ ი ჭ ე რ ე !!

დამიჯერე, ერთხელ მაინც, დამიჯერე
ვიცი, მუდამ თეთრი იყო, ციდან, თოვლი
ქაჯობ ჯერე, ვერ მორჯულდი, ქაჯობ ჯერე
მე შენი ვარ, თანატი ხარ შენ კი, რომლის?
დამიჯერე, საუკუნის ყველა დროში
შავი იყო, ყორანივით, ხის ნახშირი

არ მიჯერებ? - ფასი არის შენი გროში!
და გულს ის წვავს, შენისთანა არის ხშირი.
თუ ამხელა კონტრასტს, შორის, თეთრს და შავსა
ველარ ამჩნევს, დაბურული, შენი თვალი!
ვერ იჯერებ, უტყუარსა, ღვთისგან შანსსა
შენი კრახი, ვისი იყოს, კარგო! ბრალი?
დამიჯერე, ერთხელ მაინც დამიჯერე
თუ არ გინდა თეთრი, კუშტად, გააშავო
რომ დაფიქრდე... დამიჯერე, დროა ჯერე
ღვთის წინაშე, მეტი აღარ დააშავო!!!

ქვეშა შიდა

არ არსებობს, უფრო დიდი, სიმდიდრე.
სულით მდიდარ კაცის გულს, რაც თან ახლავს,
რაც აშენებს სიყვარულის იმ ხიდებს,
სიძულვილის კარიბჭეს, რომ დაზაფრავს
არ არსებობს, უფრო დიდი სიმშვიდე...
რაც ერთობის, შეგრძნებას თან მოჰყვება,
ანდა ნერვებს, რალა უნდა გიშლიდეს,
როცა გვერდით, სანდო კაცი მოგყვება.
რა ჯობია, სისუფთავეს შინაგანს
როცა კაცი, ცამდე არის მართალი,
როცა რწმენა, გულის კედლის შიგან გაქვს,
თათლის სანთლის ღეროსავით ნათალი
რა ჯობია, როცა არ გკლავს ეჭვები
ზუსტად იცი, ღვთის წინაშე, ცხონდები,
მაგას რა ჯობს, როცა ძირს არ ეშვები,
შენს იდეალს, არასოდეს შორდები
როცა იცი, რომ ღვთის დედას უყვარხარ.
და გმეოხობს, უმაღლესის წინაშე,
თუ წარდგომად, მათ წინაშე, მზადა ხარ

მასზე სრული, აბა რაღა გინდა შენ
სრულყოფილო კაცო! გულით იხარე
და იმრავლე, კაცთა მოდგმის, იმედად,
ლატაკადაც, რადგან მე შემეყვარე
ღვთისმშობელი დაგიხვდება, შენ, დედად.
..... სიყვარულით თუ გაქვს გული ნამული
ეღემ შიდა, ღმერთმა მოგცეს მამული!!!

ა რ ტ ი რ ი ს

ადამის მოდგმის ნაწილო,
დღემდე მოსულო თაობავ,
ვისთან დაიდე საწილო
რად აჩივებ რაობას
ათასი რელიგია გაქვთ-
ზოგს ხატი სულ არ გქონიათ
ფეტვივით გაბნეული ხართ
ყველა გზა სწორი გკონიათ.
მართლმადიდებელს არ ვერჩი
თუმცა, დღეს, ისიც კი სცოდავს
და ვერ გაუგე მე, ვერც კი
სხვა გზით მავალი, სად ტოკავს.
ოლიგარქების არ მესმის
„ინდოეთის“ და „ჩინეთის“
ვის რა შესწირეს ასეთი
ბევრს, რომ უჩვენებს თავს ღმერთი
ღმერთმა ქნას, რომ ყველა ხაზი,
მისკენ გახადოს მავალი.
და გააქარწყლოს მან ბრაზი,
გზასაცდენილის, მრავალის.
სწორი გზით გავლას რაღა ჯობს,
მოკლეა და პირდაპირი,

მართალ დიდებას დარაჯობს,
ხმა ბუკისა და ხმა სტვირის.
... და დღეს ვინც კვლავაც არ ქაჯობს,
ის გზას აგნებს და არ ტირის!!!

აკაბუპუნოთ „ჩაკრულო“

ღმერთმა, ჩვენ, სულში ძე-ქართველთ
ნიჭი ულევნი ჩავგვღვარა
საქმე მასშია: თუ ჩავრთეთ
ჩვენი დაფი და ნაღარა.
გამოვიყენეთ თუ არა
რაც ზენამ მოგვცა ტალანტი
ჩვენი ნავაჭრი თუ კმარა
მშვიდობის ვიყოთ გარანტი.
თუ, ვჭამოთ უნდა ერთურთი
სანამ დავგძვრება კბილები
მერე ვიძახოთ: „შევენუხდით,
რად არ ვართ ღვთისა შვილები“
ღმერთის შვილობა ჩავდევით,
ჩვენ, უარყოფის კოლოფში
ყელი საგრეხად გავდევით
ბოლო კი გვიკვირს ბოლოში
მოდით და ერთხელ მოვკრიფოთ,
რაც კი გავეცით ნისიად
ჩვენ, ჩვენი შემოვიკრიბოთ
აროს გვინდოდეს სხვისია.
ღმერთმა, რაც ჩვენთვის მოგვმადლა,
დღეს, სხვისთვის რად დავგვითმია?
ცოდვებს რად ვნათლაფთ, ჩვენ, მადლად
სხვისია ეს არითმია.
... ჯობს მგონი, ჩავდგეთ ერთ გუნდში,
ქართველნი, პირებაკრულნი,
ავაგუგუნოთ ჩვენს გულში...
კვლავ, ძველებურად, "ჩაკრულო"!!!!



მარინე თოფურია



ემიგრანტი პოეტი ქალბატონი მარინე არჩილის ასული თოფურია-გახოკიძე წარმოშობით მარტვილიდანაა. ქალაქ წყალტუბოს მკვიდრი გახლავთ. დაამთავრა ქალაქ თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მარტვილის ფილიალი, ბულალტერ ეკონომისტის კვალიფიკაციით. წერა 14 წლის ასაკიდან დაიწყო. ჰყავს მეუღლე თენგიზ გახოკიძე, შვილები: ზაზა და ნანა. ქალბატონი მარინე დიდი ხანია წერს და მისი ლექსები ძალიან მოსწონს მკითხველს. იგი ჩვენი კრებულების მრავალგზის თანაავტორია, ახლა კი, ლიტერატურულ კრებულში „ბათუმს“, ჩემს საყვარელ ქალაქს ულამაზესი ლექსები მიუძღვნა.

წარმატებები თქვენ საყვარელო ადამიანო!

ქალი ზღვა და ზვირთი

დგახარ გემბანზე ზღვას აღელვებს
შენი მშვენება..
ძუძუს კერტებთან შეცრეცილა
თხელი სამოსი
ვნება ზვირთებში ჩააუნა ალბათ ღმერთებმა
და ტალღებიდან ანაქროლი სიო დაგკოცნის
მი-მო ირხევა ზვირთი ზღვისა
ტალღად, ჭავლებად
ვით მაგ გულ-მკერდზე სუნთქვა შენი
აჩქარებული
ხიბლის სიშიშველე, ამაყი და ასე თავნება
ვნებად აფეთქდა და ძალადობს გაათრთებული.
და შენ კი დგახარ გემბანზე და
ათრთოლდა განცდა
თხელმა სამოსმა ვერ დათარა...ეგ შენი ხიბლი
ცაც შეიფერა, შენი მზერით ნისლად გაბაცდა
ალბათ ვნებიდან ამბოხებულა ახლა
ეს ზვირთიც.

ახლა მძტად მიყვარხარ

თ.ბ. გახოკიძეს

ახლა როცა ჟამმა წლები აგვართვა
მჭირდები და მეტად მეიმედები.
მე მიყვარდა სული შენ რომ გმართავდა
კვლავ მიყვარხარ მეტის თავ-გამეტებით.
მღალატობდი ? გაქრა როგორც ზღაპარი
..სხვათა სხეულს მხურვალეებს სწურავდი.
მე მიყვარდა შენში ალბათ ღალატიც
რადგან ქალებს სიგიჟემდე უყვარდი...

როგორც ქმარი ჩემთვის იყავ ვიცოდი,
როგორც კაცი იყავ თავის უფალი.
შემოვკრიბე ყველა ქალის ტრფიალი
გაგალმერთე ჩემში როგორც უფალი
გპატიობდი ამ ღალატს და მიყვარდი
გიჟურად და ერთგულ ცოლის შეგრძნებით,
მე ყველაფერს გპატიობ და ნუ ინან
მე მიყვარხარ მეტის თავგამეტებით.
მხოლოდ დამხვდი...! სხვას ნურაფერს ნუ დარდობ
გპატიობ და შენს თბილ სუნთქვას ვჯერდები,
მე ჩავიკრავ იმ ქალების სანაცვლოდ
...შენს სიცოცხლეს უფალს შევევედრები.

გვიანი შემოდგომა

შემოდგომაა.

ცივი წვიმა ზანტად ცრის, თითქოს წვიმაც მოშემოდგომებულ ადმიანივით ჩაზარმაცებულად ღონე გამოლექული, ზანტად აყოლებს წვეთებს ერთმანეთზე.

მუხის კენწეროს წითელი ფოთლები ჯერ ისევ შერჩენია.

აი ქარმაც მოუბერა, ჯერ ერთი ფოთოლი მოსწყდა მუხის კენწეროს, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, ერთმანეთს მისდევენ ფარფატით, თითქოს ამხანაგი ვერ მიატოვაო, არადა, ლამაზია ეს აწითლებული მუხის ფოთლები. ვერც კი წარმოიდგენ, თუ ასე ლამაზად, სასიკვდილოდ ეფინებიან დასველებულ დედამინას და ეკვრებიან მღუმარედ.

მზიანი დღე რომ იყოს, ერთხელ კიდევ აშრაშუნდებიან სიკვდილის წინ ფერხთა ქვეშ, გვიანი შემოდგომის გამოსათხოვარ მელოდიად.

მაგრამ წვიმს ზანტად.

დიდრონ ხეთა ძირებში შემოდგომის ყვავილებს ლამაზად
თითქოს გვერდზე ქოჩორ გადავარცხნილებიაო ისე ამოუყვიათ
შესველებული თავები.

მალე თოვლით დაფარავს მათ ამორცხვებულ სილამაზეს
ზამთარი...

...და ნეტა გულს -ზამთარში, გაზაფხულის მომლოდინეს.

და ნეტა გულს, რომელიც ასე სიმძაფრით არ იგრძნობს
ზამთრის მოახლოებას.

ვეძებ სიყვარულს

არ ვარ გეიშა, ვეძებ სიყვარულს
ვნების ნექტარით დანასისხარი,
სიყვარულს ვეძებ, დანამცეცებით
სადმე ვინმესთან ვპოვო მისხალი.
მაცდური ვნების ყველა ნიშანი,
ორგულთა გულებს გადავანურე.
ვეძებ სიყვარულს, ვერ მიპოვნია
წლები ჩავხარჯე, დრონი ჩავწურე.
ნუთუ ჩაინთქა გრძნობა ქვესკნელში,
იქნებ ზეცაში ავარდა ღმერთთან,
ვერ მოვიძიე ის მენახევრე
ვითანაცხოვრო და მოვკვდე ერთთან.
არ არის ყალბი რაც სიტყვა უთქვამთ,
გულიდან გრძნობა აფრენილ მგოსნებს,
ჩემს გულს აბორგებს ეს დიდი გრძნობა
სხვასთან ვერ ვპოვე და ეს მაოცებს.

ქალი...! ქალია

ქალი..!

ქალია ერთხელ არ ჰყვავის
როგორც აგავა

ქალი...!

ქალია სიცოცხლეში მრავალჯერ მღერის
ქალი...!

ქალია სიყვარულმა ის არ დალაღა.

ქალს გულით დააქვს სიყვარულის შარავანდედი.

ქალი..!

ქალია სათუთი და სასიყვარულო

ქალი..!

ქალია ფერების გიჟი, ვნების საცდური
ითხოვს ფერებს, სინაზეს ეძებს , უნდა გაუგო
შენი ღალატით არ გახადო ეშმა მაცდური
.....ქალი..!

ქალია...! ერთხელ არ ჰყვავის როგორც აგავა
...და სიყვარული....!

ქალის გულიდან არასდროს გავა!!!

გათენებისა უნდა დავლიო

გათენებისა უნდა დავლიო!? განა ლოთი ვარ
ჯიბრით დაცლილან და მიყრილან ახლა ბოთლები,
მთვარე დავლოცე...! მზეო შენ არ დამილოციხარ
ჯავრი მკლავდა და, მიმაფინყდი ნუ გაოცდები.
....უძილობიდან ისევ მენწვის ახლა თვალები
ცეცხლ-ნანთებ გულით, ღამის თევით ვხვდები ალიონს,
ერთივ დაასხით თუკი დარჩა რამე ბოთლებში,
გათენებისა ჩამოასხით უნდა დავლიო.
ალიონია ვარსკვლავები ჩაქრა წყებ-წყება.

მზის კოცნამ მთვარე: გაათვითრა სხივნი არიობს
შემივსეთ სირჩა, უნდა დავლოცო დღე- ღამის შებლა
რომ გამითენდა, გათენებისა უნდა დავლიო!

პანა ბადიშს -ლიზას

სულ პანუაა ...დაიბადა და უკვე შია
ჭიპი მოჰკვეცეს -რაც ზედ შერჩა გაუნასკვიათ
სასუსნავს ეძებს ნეკა თითი პირისკენ მიაქვს
ჯერ არც კი იცის სალოკი თითი თუ გააჩნია.

ბოლო აპორდის საამურიბა

მე გავირინდე დასასრულის დიდ დასაწყისთან,
უმნიკვლო ფიფქმა ახლა სულში შემოაღწია,
ცხელ ზაფხულესაც ამ ზამთრისგან ვერ გადავტიხრავ,
რადგან ზამთარიც გულში სიამის ცეცხლად ანთია.
შენ დამაბერე წლებო მოდი, ნუ შემიცოდებ,
გულის ძარღვივით აფათქუნდა ხელზეც ძარღვები,
თოვლზე ამოსულ ყვაფილივით ვეტრფი სიცოცხლეს
ვიალებ მანამ, სანამ უფალს არ მივბარდები.
განა მართო მზე, თოვლიც მატკობს, უმნიკვლო თოვლი
და განა მართო გაზაფხული, ზამთარიც მხიბლავს
მზე, თოვლი, მთვარე, ვარსკვლავები თანაბრად მართობს
და გავირინდე დასასრულის დიდ დასაწყისთან.

ჩემს მამულში

მსურს გავიჭრა სატრფიალოდ
ხმა ყიუინით ჩავიხამო,
ზვარი ვწურო სატფიალოდ,
გავითენო დავიღამო.
სურნელება ჩავისუნთქო
ტყის და ველურ ყვავილების,
ზვარში ვაზი მინდა ვფურჩნო
უმცდარ ალღოს დამიზნებით .
დიდრონ ხეებს შემოვაჭდო
მკლავნი მკერდში ჩასაკრავად,
გრძნობა სიყვარულით ვაწრთო,
სიამეთა ჩასანთქავად.
ყური ვაპყრო ფრინველების
სანეტარო ხმით გალობას,
ვესათუთო ველ-მინდვრების
უნიკალურ ნაჩითობას
კლდიდან მჩქეფი ჩანჩქერის ხმა,
შევახამო ლამაზ ნოტთან,
ვალაღანო ეს გულის ხმა
უფლისადმი ლამაზ ლოცვად.
და იქნება ვინმე ქვეყნად
ამგვარ გრძნობით მოლაღანე?!
ნალკოტია საქართველო
მატრფიალებს ჩემი მხარე.

მე ის დედა ვარ

მე ის დედა ვარ, უფალი რომ მმოძღვრავს ზემოდან,
მე ის ვარ, ვინაც გადმოხვეწილა
საქართველოდან
ვისაც სუსტ მხრებზე, ტვირთად მადევს ხვალის თაობა,
და ვინც განვიცდი ქვეყნის მეფეთა არარაობას.
მე ის დედა ვარ, ვინც ანამა ყველა ეპოქამ
მე ის დედა ვარ, ვისაც გული ჯავრით მეყოფა
მე ჩემს ქვეყანას, ოო, დღეს როგორ მეტად ვაკლივარ,
აქ დუხჭირ ყოფას შეხიზნული ემიგრანტი ვარ.
მე ის დედა ვარ შემართული, მდგარი მზაობად
ვარ! ვინც განვიცდი ქვეყნის მეფეთა არარაობას!

შეგონება..

ვაი, უნდო სოფელ ჟამო,
დღენიადაც ცვალებადობ,
კარგი ვინძლო მოინახო
ნუ ესწრაფვი საეშმაკოს.
წუთისოფლის წუთი ერთი,
ქვეყნად მხოლოდ სახელს სტოვებს,
იმიერში ვინ შეირგებს
მრუდად ნახვეჭ ვერცხლ- ოქროებს.
სახელია რაც შეგრჩება,
იმიერ გზად წარსაყოლი
მრუდი გზებით რომელ ჟამში,
ვინ შეირგო ეს სოფელი.
გინწინამძღვროთ უფლის მადლმა,
ორთავ ქვეყნის უცად გზაზე
წარსაყოლად... აქ წვა-გარჯას
შერჩეს სულის სილამაზე.

ჩემო ტკივილო

ძილი ამართვა შენზე ფიქრმა ჩემო სამშობლოვ,
ახლა მირაჟით ოცნებები მორთო აისმა,
თვალთა წამწამთან მომდგარი ცრემლი როგორ ჩავიქრო?!
რაიცი რა გტკივა გულმა უკლებლივ დაითავისა.
გულში ჩავტიე: დღე- ღამე და მზე- მთვარიანა
და შენს სიყვარულს გაუხდია გული ცის ხელა,
იბობოქარა ქართულმა უამმა -შენი იარა
ვერ ჩააბუშა, ცაც ვერ გა-ა-ლააჟვარდისფერა.
ქარქაშში ხმალი ბრაზის ხორკლით წამო-ჟანგ-პირდა
ვაი დედასა წინაპართა ნატრულობს მაჯას
გორგარსლიანთგან, დავითიანთგან ვინც განაპირდა
მას სურს იკუთვნოს, ქვეყნის ბედის განსჯა და მართვა .

ჟამთა ბორბვა

ჟამი წალეკავს ირგვლივ ყველაფერს,
წლები აურევს ყველა ნაკვალევს,
ჟამთა კირთების ჩანწილ აფრებს
ვერ მიაპირებ და სულ განვალებს.
ულმობელ ჟამის ბორგვა ტრიალი,
გულში წაგიშლის ყველა ოცნებას,
მხოლოდ შეგრჩება სინანული და
შეგრჩება სევდად რაც გელოცება.
დრო გულში ტკივილს ვეღარ წაგიშლის,
და ვერ გააქრობს ვერცერთ იარას,
შეგრჩება გრძობა სინანულისა
შეგრჩება სევდა-ტრთობა კი არა !

დრო და საცდური ნუთისოფელი

ორპირობა რისხვით მავსებს, გულს ჩაესო კბილებით,
არავინ არ შემისრულა ტკბილად დანაპირები,
მხოლოდ წლები აასრულებს რაც რომ უთქვამს მუქარით
სარფიანად გვევაჭრება ნუთისოფლის დუქანი.
დრო ქოშინით მირახრახებს, საუკუნეს ეხლება,
ეჩქარება ქორონიკონს ერთმანეთთან შეხება
მირახრახებს, არ ისვენებს ნუთისოფლის ბორბალი,
ამბობს უკან ვერ ვაბრუნებ თუნდაც აქვე მომკალით..
ნამს ვევედრე ნუ გარბიხარ?! ნამს ვევედრე მუდარით
არც რა ესმის. თუ იყრუებს?! რაც გინდა რა უთხარი-
გაიძახის: „წლებს მივდეგო! ჩახვდი ვერა ვჩერდები,
საათი რომ გაგიჩერო შენ არ მეიმედები
და თაობებს იმად ვიცვლი სიახლეს ვგრძნობ ამითა
საუკუნე თუ გავეყინე?! ერთფერობა არ მიყვარს“
...საუკუნემ მიითვალა წელთა სრბოლა რიგ -რიგად
დრო გადის და არ ჩერდება ზოგი მისად ითვლიდა.
..დრო და უამი მისი არის ვინც გაითქვა სახელი
„დუმბილია სიბრძნის მეფე“ რა დავარქვა გამხელილს
ამ მუხთალმა ბედისწერამ შოლტი გადმომიშხივლა
ამდენ დავი დარაბაში გული გადამიწვრილა,
სიბერე გონს ჩაეჭიდა რაღაც ჩაუკიჟინა
გულმა ჩვეულ, წაიყრუა, მერე წლებთან იჩივლა,
არ ისვენებს, მიქოშინობს, ეტლი ნუთისოფლისა,
იქნებ?! ღირდა და არც ღირდა?! ნამი ქვეყნად მოსვლისა,
ხარხარმა და ღრინანცელმა წლები ფუჭად მოცვითა
რას შეგიცვლის ბედისწერა?! არ მოგიცდის მოცდითაც.
მიკიჟინებს უამი მართალს: „ვარახრახებ ბორბალსო
შევაჩერო? ვერ ვახერხებ თუნდაც აქვე მომკლათო“,
თაობათა ცვლაში ვაჭრობს ნუთისოფლის დუქანი,
ნუთისოფელს მგზავრი სულ ჰყავს რაც გინდა რა უთხარი.

რას ვფიქრობ???

გეტყვი.

არათერს .

რომელშიც ყველაფერია.

ვფიქრობ იმ დღეთა სიმრავლეს,

რომელშიც ცრემლვა ბევრია,

ვფიქრობ,

იმ დარდზე, რომელიც

გულშია, მაგრამ არ მეთქმის

ანდა პირიქით,

მითქვამს და

მაინც არავის არ ესმის!

ჩემს მამულში

მსურს გავიჭრა სატრფიალოდ

ხმა ყიუინით ჩავიხამო

ზვარი ვწურო სატრფიალოდ

გავითენო დავიღამო

სურნელებს ჩავისუნთქო

ტყის და ველურ ყვავილების

ზვარში ვაზი მინდა ვფურჩნო

უმცდარ ალღოს დამიზნებით.

დიდრონ ხეებს შემოვაჭდო

მკლავნი მკერდში ჩასაკრავად

გრძნობა სიყვარულით ვანართო

სიამეთა ჩასანთქავად

ყური ვაპყრო ფრინველების

სანეტარო ხმით გალობას
ვესათუთო ველ-მინდვრების
უნიკალურ ნაჩითობას.
კლდიდან მჩქეფი ჩანჩქერის ხმა
შევახამო ლამაზ ნოტთან
ვალაღანო ეს გულის ხმა
უფლისადმი ლამაზ ლოცვად
და იქნება ვინმე ქვეყნად
ამგვარ გრძნობით მოლაღანე?!
ნალკოტია საქართველო
მატრფიალებს ჩემი მხარე .

მე ის დედა ვარ

მე ის დედა ვარ უფალი რომ მმოძღვრავს ზემოდან
მე ის ვარ ვინაც გადმოხვეწილა
საქართველოდან
ვისაც სუსტ მხრებზე ტვირთად მადევს ხვალის თაობა
და ვინც განვიცდი ქვეყნის მეფეთა არარაობას.
მე ის დედა ვარ ვინც ანამა ყველა ეპოქამ
მე ის დედა ვარ ვისაც გული ჯავრით მეყოფა
მე ჩემს ქვეყანას ოო დღეს როგორ მეტად ვაკლივარ
აქ დუხჭირ ყოფას შეხიზნული ემიგრანტი ვარ
მე ის დედა ვარ შემართული, მდგარი მზაობად
ვარ..! ვინც განვიცდი ქვეყნის მეფეთა არარაობას

ქართველნი!

სჭეყეთ „მუმლი მუხასაო“
ლალი, ომახიანი
ალიმართეთ ლომგულებო
ვიდრე არ დავგვიანდით.
კვლავ ცერებზე შემოდექით
ხმა აწვდინეთ უფალთან
ტაბლა მოძმეს გაუშალეთ
მტერს ნუ დასვამთ სუფრასთან.
„ოდოიას“ „ოროველას“
მოძახილი სჭირია
ვიმრავლოთ და ძალა შეგვრჩეს
ვამყნოთ ვაზის ძირია
დედას პური ქართულ თონეს
არასდროს დაელიოს
მიუბრუნდეთ სოფლებს!... ძალა
რომ არ გამოგველიოს.
ფშავ-ხევსურეთს ვჭედოთ ხმალი
მამა-პაპურ ადათით
ბუხრებს ალი აუვარდეთ
სანამ მართლა ჩავთავდით.

ნუთუ ერთგულთა ძიებაში
ორპირობს ქარი
მგემ რომ ღრუბელი შეიფარა, ატირდა წვიმად
მე ვაერთგულე გული გრძნობით ნაბობოქრალი
მაინც ღალატით დაწრეტილი დარდს შეეხიწვა
დასალიერთან აფორაჯდა ცა სისხლის ფერად
იქი-აქ გამკრთალ მზის სხივებმა მგერა აოცა..
გულმა ერთგულმა სულ დამაფინყა დარდი და წყენა
სხვის ნაამბორებ მოლალატის მომინდა კოცნა.

ღრუბლის ქულები გასწრებაზე მიჭრით მიჰქრიან
მთვარემ ნათელი მოახურა ღამეს მანტიად
თვალის პაჭუნით ვარსკვლავები ფიქრებს მითვლიან
გრძნეულმა გულმა ზამთრის ღამე თეთრად ათია
მკერდ-ჩაღელილი მოშილიფობს ავშარი ქარი
ჩანავლულ გრძნობას ააელვებს, აჰყრის ნაპერწკლებს
ცისკარს შეხვდება ვნება და მუზა ღამე-ნათევი
მაშვრალი სული დღის ნათებას მოინამცეცებს.

უცხო ცის-ქვეშეთში

დედის გამომცხვარ მჭადის მაგვარი
მთვარე დავკარგე
უმთვარო ღამეს დავეჩოქე გოდებით ფერხითით
ნატეხი მთვარე მაინც მომკერძე
ოო...! ცაო რადგან
ამ უცხო ცის ქვეშ უსამშობლობის სიბნელეს ვებრძვი
ქართულ ცა-რგვალზე ნალალარმა აქ
ვარსკვლავთ წყობაც
ვერ შეუხამე ჩემ ცის მნათობთა ალალ ღიმილებს
დღევ, გულისწყრომა აშვავებულ ნისლებთან ბოდავს
არა-თუ ღამე აქ, ერთი დღევ ვერ ვაღიმილე .

ზურგითა ვდგავარ მოლალატევე
ბარემ მესროლე
შემობრუნებას არ ვაპირებ,
რათა არ გნახო

შეაზანზარა ყალბმა ხარხარმა ცა და ხმელეთი
თითქოს შეუდგა დედამიწას ელეთ-მელეთი
ნუთუ ვიცვალეთ სახე-სახელი და ჩავბნელეთდით
მაშველი არ სჩანს, თუ არ დარჩა რამ საშველელი?!
აბორგებულა ქარიშხალი... თმენის ნაპირთან
აგონიით თრთის ნირ-შეცვლილი დედა-სამყარო
სალი სისხლიდან ვერ აგლიჯა ქარმა ვამპირი
კაცობრიობის ანთილ ცეცხლთან დემონი ხარობს
და იმედებთან შეჭუჭკუნული გულთა ზრახვანი
ოკეანის ზვირთს ჩაულოკავს შემოსდნობია
ეს დემონების ხარხარია?! თუ ქარიშხალი/!
კაცობრიობას ნალეკვით რომ დამუქრებია
ადამის ძეთგან ან დანდობა როდის ყოფილა ..
უფალო ღმერთო შენ ერთი მწამხარ მეიმედები
იქროლოს წლებმა ქარიშხლებად!, უამთა მორჩილად
მხოლოდ იმედი არ წარმტაცოს შენ გევედრები.

ბაღღობის ტკივილი

ხელში მეჭირა პანა ჩიტი ჭრელი ღაბუა
და ჩიტის გული დუგ-დუგ-ებდა კრთოდა ბნდებოდა
ზედ გულის სიმთან მისმა ზატრამ გული განურა
შემებრალა და უნებურად ხელი გამეშვა
თითებს შემორჩა გულ-ხეთქება პანა ჩიტისა
შიგ გულში შემეყვა ტკივილად და შემრჩა იარად
მას შემდეგ გულზე უამრავმა ცრემლმა მანვიმა
ამ უნებურმა ტკივილმა მაინც არ გამიარა

0ა -0ა

კდებმა, სიმორცხვე, პანანა იას
უნაზეს ყვავილს უსათუთებდა
ნამს სჯერდებოდა, მოვიდა თავსხმა
ნამს ოცნენები გააუხემა
ტალახის შხეფებს შესწირა კაბა
აფორაჯებად ეწვია ბრაზი
სათუთ სინაზეს შემოეპარა
უნდო სიკვდილის მკაცრი განგაში
მინელდა ია ნელ-ნელ, სათუთად
თან გაზაფხული გაიყოლია
გულში ალერსის უკმარისობის
შემრჩა უცადი მელანქოლია

მადლად შემარგმთ გამუდარებით

მორკალულ მთვარეს ჩაანურეთ წვენი ყურძნისა
დამალოცინეთ მადლიანი დედა- ბუნება
შემაგრძნობინეთ ბუნიაობა სიყვარულისა
რაკილა ღმერთმა ჩემი გაჩენა ქვეყნად ინება.
ამათვლევინოთ საოცრებათა ნუსხა ეგების
სითბო მზისა და და გრძნეულება ციდან მთვარისა
დამალოცინეთ დედამინის საყრდენი ღერძი
ვინაც, ამდენი და ყოვლის მკერდზე მიკვრა გარისკა.
იქნებ, შეიძლოს ღვინის ძალამ გულთა მხილავმა
გულიდან -გულში ხვაშიადის გაცვლა მიგნება,
იქნებ გალალოს კაეშანიც გულს რაც ჩრდილავდა
უფრო გულწრფელი აღვაგლინო უფლის დიდება.
მორკალულ მთვარეს ჩაანურეთ ქარვის მტევნები
გაალიცლიცეთ შევსვათ ბარემც ტკბილ ჩახუტებით
და ვახტანგური, კოცნის მადლით ამარწყვევინეთ

თან ბოლო წვეთიც ღვინის, ვაგემოთ ერთურთს ტუჩებით.
ოო...! რა ტკბილია ეს სიცოცხლე , ვაზის ჯვრის რწმენით
ღვთის წყალობასთან; ვაზის ნაჟურში შეზიარებით
მე სიყვარულის, მზის და მთვარის ბუნიაობა
ნაკურთხი სითხით მადლად შემარგეთ გემუდარებით.
ის რა გულია ვინც მამულის მაჯისცემაში
პულისის ათვლისას ერთ გატოკებად არ აითვლება
აღზევებულმა -თუ გაჰლია ყოფა თვლემამში
თუ კაბადონზე ვარსკვლავად არ აიკითხება
ის რა გულია ვისაც ცრემლვით არ უტირია
თუ ორჯოფობა სიკეთის წინ აელანდება
თუ გროშებისთვის მოძმე იოლად გაუწირია
ოქროს ბრჭყვიალზე ან თუ გონი დაეფანტება
ის რა კაცია როცა მოძმეს შია, სწყურია
არ შეაშველებს ლუკმასა და წყალის ყლოუს მწყურვალს
ხამს ...! უწილადო ხელებ -გამონვდილს ლუკმა პურია
იქნებდა შენი გამოცდა სურს ყოვლის მწე უფალს.
აკეთე ქვეყნად სიკეთე და დასტკბი შედეგით
...უბრუნეთშია გადალექილი წამი ყოველი
მოკვდავთ სიაში შენ იქნები რადგან შემდეგი
წუთისოფელში მართლაც წუთით ამაღ მოვედით

მე სიცოცხლეზე შეყვარებული
შენში ოცნებას ავახმაურებ
ტახტი ჩემს გულში.შენთვის დებული
თარსის თვალსა და ეჭვსაც გაუძლებს ..
...მივისაკუთრებ, როგორც მეკობრე
ძარცვით ნაგროვებ თვალ-მარგალიტებს
დრო ხომ გასულ წამს არ იმეორებს
შევრჩეთ სიყვარულს ტკბობის სამიზნე

ზვიად!

საქართველო დარდ-ტკივილად ჩაგდგომია თვალებში
შენ ეულმა ვერ აღკვეთე უნდო მტერთა თარეში
მტერს ვით იესო მარტო შერჩი -მტერს ერთობა აშინებს
... დიდ კაცთ, ვაი..! ღალატით რად ჩაჰკორტნიან მაშინვე.
ჭირ-ნათმენო ერის-კაცო მამულს ნებით ემსხვერპლე
ღმერთს ვთხოვ ერი შეაღვიძოს შენს ნაკვალევს ეძებდეს..
თავდადება შეატრინა ცაში შენი მერანი
შენს ალალ გულს ვეღარ შესწვდა მტერთა ზრახვა ვერაგი
შენს ამაყ სულს საქართველო ედარდა და სტკიოდა
იესოს მტკიცე ნებისყოფა შენში გადმოდიოდა..
შხამ-სამსალას განოდებდნენ გველეშაპის წყაროდან
ნალალატევ თასის ზვიად არ იკადრე გამოცლა
შენ გრაალის თასის პატრონს ან რა გაგაკვირვებდა
ვეღარ შესძლო მტერმა შენი მცრობა ,დამორჩილება
ამაყ ენგურს აუჯანყდა კლდესთან ზვირთთა დინება
შენს ძარღვებშიც არ ინება სისხლმა დაშოშმინება
და კოლხური გაგანია შემოაგზნო ანთებით
შერჩი მამულს ვით ზვარაკი, შუბლზე სანთელ ნანთები
საარაკო ერის-კაცო მამულს ენთე.. ემსხვერპლე
საქართველოს მტკივან გულზე დიდ ჭრილობად ემცხეთე
დარდ -შებურვილს, საქართველო..!
გლოვად გიდვას თვალებში
სული შენი, წმინდა სული დაქრის შორს ვარსკვლავეთში!

ჩემო ქვეყანავ

გული გამიბზარა შენმა ვოი ნანამ
სული ამიჯანყა ...სული
ცრემლი ვერ შეგაშრო, რაც დრომ ჩაიარა
კვლავ უსამართლობას სტირი
გული გამიბზარა ...! შენმა ვოი ნანამ
შენმა უსაშველო მოთქმამ
ოი..! რას გაუძლო და რა გადიტანა
შენმა საოცარმა მოდგმამ ...
დღესაც სათუოში, როგორც ოდითგანვე
ქართველთ მწარე ხვედრი ოხრავს
გული გამიბზარა შენმა ვოი ნანამ...
შენმა გოდებამ და მოთქმამ
წმინდა ღმრთისმშობელო მუხლზე დაჩოქებით
წრფელად შეგლადლადებ ლოცვას
უფლის ქვეყანაში შენ ჯვარცმულო იესოვ
გონი გაუნათე მოკვდავთ.
გული გამიბზარა შენმა ვოი ნანამ
.....
სული ამიჯანყა სული..!
ეს უსამართლობა უამს წაყვება წავა
და დარჩები დროში მარად ანთებული.



იზა კვანჭილაშვილი



მე, იზა კვანჭილაშვილი, დავიბადე 1958 წლის 23 სექტემბერს ქ.თბილისში. 1965 წელს სწავლა დავეიწყე თბილისის 108-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1975 წელს. 1979 წელს დავამთავრე სამედიცინო ტექნიკუმი, ფარმაცუის გახრით. 1977 წელს შევექმენი ოჯახი, მყავს ქმარი, ვლადიმერ ცომაია, სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი.

შვილები არიან დაოჯახებულები და პროფესიით რეალიზებულები. ვარ დიასახლისი, ძალიან მიყვარს პოეზია და ყვავილები. ორივე საქმეს ერთგულათ ვემსახურები.

მიულოცოთ ქალბატონ იზას ჩვენს კრებულში დაბეჭდვა და წარმატებები ვუსურვოთ მას!

მძევლად დამითოვე შენი დაპირება

მძევლად დამითოვე შენი დაპირება,
სიტყვის ფასი ვიცი და რატომღაც მჯერა,
მშვიდად ვეპოტინე შელამების ფიქრებს,
ლამე გაგრძელდა და გათენებას მივდევ.
ზამთრის ბელურა ვარ, საკენკს ველოდები,
შენი ნაფეხურით, გზები ისევ მღერის,
მოდის ჩემო ერთო, მარტო ძლიერ მიჭირს,
თორემ მივეხლები, სარკმელს ნაზი ჩიტი.
სხივათ გელოდები ვით შუქურა ერთი,
სიყვარულით ფეთქავს ჩვენი სავანეთი,
გრძნობა კიდევ ნელა იჟლინთება სევდით
მოდის თორემ მარტო, ვრჩები მძევლის ხელში.
მარტოობის ერთი, წუთიც მემძიმება,
რა ვქნა უშენობით დარდი მეჩემება,
ჩემი სიცოცხლეც კი არად მეღირება,
ოღონდ შეასრულე შენი დაპირება.

იყო არა იყო

დღეების გრძელი ნაზი ფერება,
გაყვითლებულა ფოთლის ფერებად,
აცრემლებულა თეთრი ფიფქები,
დამედინება წვიმის წვეთებით.
წვიმის ცივ თქეშში ვნებაარეული,
შენი ნაფეხური გრძნობა დამჩნეული,
კვალი გადარეცხა, თითქოს არა იყო,
ნუთუ ერთად ყოფნა, იყო არა იყო?
მარტო ნაკვალევი ნეტა ნაშლილიყო,
ანდა გრძნობა ჩემი გაცეიბულიყო,
ღრუბლის ქულასავით გარინდებულიყო,

იმედს ვებლაუჭე, ისიც აღარ იყო.
ასე მეგონა, რომ ნამით გავბანე,
წმინდა წვეთებით გრძნობა დავნამე,
წამმა წაიღო... წვიმამ გადაიღო
ისე ვითომაც... იყო არა იყო.

რომ მეთქვა სტობდა

არ მსიამოვნებს ეხლა სიჩუმე,
ეს გარინდება, გულს ვერ მიყურებს,
ხმაური მინდა, ცასა სწვდებოდეს,
და სინანული გულს არ ხვდებოდეს.
ისე მოვიდა შემოდგომები,
ქარმა გათელა ნაფოთლარები,
ვერც კი გავიგე ჩუმათ გააქრო,
და ჩემი გრძნობა ცეცხლად დაანთო.
ძალიან დიდხანს, ო, როგორ დიდხანს,
ვატარე გრძნობა და მე ვერ ვითხარ,
ველარ ჩერდება ეს გული ბორგავს,
უნდა ვიყმუვლო, ვით მგელი მოსთქვავეს.
ეხლა სიჩუმე და გარინდება,
ზღვის ტალღებივით გულს მეჭახება,
ეს სინანული არ დამშვიდდება,
სანამ უთქმელად მე მეყვარება.
ზღვის ტალღები და ჩემი შხუილი,
მინდა გაგანდო ჩემი სურვილი
არ ვინანებდი, რომ მეთქვა სტობდა.
ის სიყვარული რაც გულში მქონდა

გავიდა უკვე რამდენი წელი..
ჩურჩულით გაფრინდა ღღეები წელი,
მოგონებები გავს სურვილის ხეს,
ექვს ადგილს და... ვერ კიდებ ზედ.
დაატრიალა ბორბალმაც ბედი,
თეთრი და შავი, მრავალი ღღენი,
და როგორც წინად, დიდი ხნის წინად,
მე ისევ ვებრძვი ძველ აგონიას.
სულთამბრძოლავი არ ვარ ნამდვილად,
სულ ვეკითხები ჩემს თავს საიდან?
შევინარჩუნე გრძნობა...დამირჩა,
ვერ დაფიქვნიყე ასე ადვილად.
მილულავს თვალებს ტკბილი წარსული,
პირისპირ ვხვდები და გვერდს არ ვუვლი,
მე ალავერდი მასთან გადაველ....
უშრეტ გრძნობისას ბოლომდე დავლევ.
სიმართლის ფერი, ვით თეთრი ფიფქი,
თავზე მაცვივა და მე ერთს მივხვდი,
ამ ფერს ერევა ის ერთგულებაც,
ჩუმათ გული, რომ მეჩურჩულება.

ეჰ ჩემო კარგო, ვერ მოვიტან,
მზითვად მარგალიტს.
ვერც ავგაროზად ძვირფას
მძივებს დამიკიდებენ.
ვერც ოქრო-ვერცხლით,
სირმის ქისას ამიპირებენ.

და ვერც სიმდიდრეს,
საპალნე ცხენზე ამიკიდებენ.
მზითვში მოვიტან,შენს
სახელზე ნაქსოვ ფარდაგებს,
ამოქარგულებს და ჩაქსოვილ
სულის ნაწილებს.
ვიცი, რომ მზითვად წამოვიღებ
გრძნობას არნახულს.
ვიცი, რომ კალთას დაიკაპინებს
გულის ნაპირი.
ვიცი, რომ სუნთქვა ჩემი,
შენით ისუნთქებს.
და თუ მზითვებში არ გამომყვა
ეს სიყვარული,
განა ივარგებს შენი და ჩემი
ერთად ქარგული.

მომგონებებიარ

მომგონებებიარ სულის ნაწილო,
ცის ვარსკვლავივით შორით მანძილო,
ბრწყინავ ვით ცრემლი დაკიდებული,
მე ვერ გიგონებ დამშვიდებული.
მომგონებებიარ და მინატრია
რომ გყვარებოდი ძალზე-ძალიან
მომნატრებხარ მონატრებისგან
თვალეები ცრემლით დამიბანია.
მომგონებებიარ თეთრო ზმანებავ,
ჩემი გონება ვერ გშლის ამდენხანს,
მოდინარ სიზმრად როგორც ღვთაება,
თავბრუდამხვევი შეგქმნა განგებამ.

მომგონებისხარ ჭიქა ანეულს,
სადღეგრძელოში შენით დამშეულს,
ვერ შევაგროვე სიტყვები ისე,
რომ ერთ სათქმელში ჩაგტეო მყისვე.
მომგონებისხარ ათასგზის ნატვრით,
და დამისჯია მე თავი არ თქმით,
მე ბედისწერის წინაშე დავრჩი,
ყოფნა არ ყოფნის, შეკითხვის მსგავსი.

ქარი კი ქროდა.....

იმ ღამეს ქარი, ქროდა და ქროდა,
ჩემი სული კი როკავდა, ძრწოდა,
სიცხვე სევდის კალთას ფოთლავდა,
და მეხვეოდა გულში, მშფოთავდა.
მე გაგაცილვე სევდის თვალებით,
თან გულს მეკვროდა ჩუმი დარდები,
ალბათ ძლიერად რომ გყვარებოდი,
გრძნობაში იქნებ მე მდარებოდი.
ოთახში სიბნელის კალთები გორავს,
თითქოს აჩრდილი დამყურებს, ოხრავს,
დარდის და გრძნობის შუაში დავრჩი,
მოლანდებული აჩრდილის მსგავსი.
ცრემლების ღამე ფსკერზე დაეშვა,
დარდისგან გრძობას გზები აებნა,
ქარი კი ძრწოდა, როკავდა, ქროდა.
და ჩემი სულის სითბო მიჰქონდა.

შენ შემაყვარე მე შემოდგომა

შენ შემაყვარე ფერთა ფერება,
და შემოდგომის ნაზი შეხება,
შენსკენ მეძახის ფოთლის გნიასი,
ხიდან, რომ ცვივა ტრილ-ტრიალით.
სევდა გადაჰკრავს მცირედი მზესაც,
ვერ დაემალა, გზად ღრუბელს ვერსად,
მე კი ამ სევდას ვერ ვამჩნევ ვერა,
შენსკენ მოვილტვი, ჩემი მზე შენ ხარ.
ფოთოლთაცვენას ვამსგავსებ ტკივილს,
თითქოს მონყვეტილს არავინ ჩივის,
მიხუტებ გრძნობით და მეუბნები,
სანყისად ჩემო შენ მეგულები.
ცვარი გადაჰკრავს ფერთა ლაგუნას,
თითქოს სამოთხე ზეციდან დაბრუნდა,
შენ შემაყვარე ფერთა კრეონა,
ამ სილამაზით გულში მზეობა.
და ეს ფერები ისევ ბრუნდება,
ჩვენ შემოდგომა გვებინდებუნდება,
გული კი ნაზი გრძნობით გვევსება,
თეთრი თმა თავზე გვეალერსება.

შენ ხარ გოგონა, ვინც უკრავს კარგად

ეს ნოემბერი უფრო ცვივა,
ხეთა მწკრივებში ისე მივრბივარ,
თავს არ ვარიღებ ავდარ-წვიმიანს,
როგორც არასდროს ისე მინდიხარ.
როცა შენ გნახე ქუჩაში, ხესთან,
ისე უკრავდი გიტარას ღმერთმან,

მე გული აღარ მიმიწევს არასად,
შენ ხარ გოგონა, ვინც უკრავს კარგად.
მოველ გიყურებ, სასურველს, ნეტარს,
სიმებს თითები აკვნესებს ნელა,
წვიმის წვეთები გვასველავს თანაც,
შენ ხარ გოგონა, ვინც უკრავს კარგად.
ჩერდებიან და გისმენენ მართლაც,
არ ენანებათ გიდებენ თანხას,
შენთვის არა აქვს მნიშვნელი ამას,
შენ ხარ გოგონა, ვინც უკრავს კარგად.
ჩემს თავზე ძლიერ შენ შემეყვარდი,
მოვედი ერთხელ და აღარ დამხვდი,
დაგეძებ ყველგან, აქ არა სხვაგან,
შენ ხარ გოგონა, ვინც უკრავს კარგად.
ეს ნოემბერი მართლაც ცივია,
თან ოცნებები სულ დამიმსხვრია,
მინდა გავიგო სად ცხოვრობს სადა,
გოგონა ვინც, რომ უკრავდა კარგად.

მე ის ქალი ვარ, ვისაც რომ უყვარს

ქარმა გაფანტა ნოემბრის ნისლი,
აღარც ბილიკზე ჩანს წვიმის ლიბრი,
ჩემი გრძნობები მეძახის ურჩად,
მე ის ქალი ვარ, ვისაც, რომ უყვარს.
და მოუთმენლად წამი-წამს ვითვლი,
დრო დაუნდობლად მიჰქრის და მიჰქრის,
უნდა გნახო და ნუ მითვლი ურცხვად,
მე ის ქალი ვარ, ვისაც, რომ უყვარს.
მთლად დაიფარჩა ქუჩები ფოთლად,
ნიაფს გავასწრებ და შენთან მოვალ,

შიშველ ტოტებში მზეს სხივი უჩანს,
მე ის ქალი ვარ, ვისაც, რომ უყვარს.
მე კი ვარ ნაზი, ვით წვიმის წვეთი,
მაგრამ სიმძიმეს ვატარებ მხრებით,
არ მიჩივლია ამ გულის ურვა,
მე ის ქალი ვარ, ვისაც, რომ უყვარს.
თაფლის სანთელი ციმციმებს ნელა,
ვლოცულობ, მარტო, ვავედრებ შენს თავს,
არ გაგეკაროს ავი და ნურც რა,
მე ის ქალი ვარ, ვისაც, რომ უყვარს.

ჩემი გრძნობის კიბე

ჩემი გრძნობის კიბე უწვდენელი არის,
თვალსაწიერს არ ჩანს, სიარული დაგლლის,
თითო საფეხური, ფიქრი ჩემი არის,
ჩემი სავლელი ხომ, შენსკენ მოიხარის.
როცა ფეხი დავდგი, სიმსუბუქე ვიგრძენ,
ნელა ავდიოდი, თითქოს არას მივდეგ,
მყარი ბურჯი დამხვდა, მუხლი გავიმართე,
უკან მოხედვის დროს ბევრჯერ გავიხარე.
გრძნობის კიბე ნელა, ნელა გაიფურჩქნა,
აღარ თავდება და ბოლო აღარ უჩანს,
სიყვარულის ტალღა გულში ფათურობს და
თითქოს უკვდავებამ, გრძნობით დაიბუდა.
ჩემი გრძნობის კიბე უწვდენელი არის,
თვალსაწიერს არ ჩანს, სიარული დაგლლის,
თითო საფეხური, ჩემი ფიქრი არის,
გრძნობით სავლელი ხომ, შენსკენ მოიხარის.

მე ზღვამ დამხატა

როცა ფიქრები მემღვრევა ზღვასავით,
როცა ახლოს არ ვიკარებ არავის,
როცა ხელები არ ისვენებს, ნაცადი
მაშინ მეძახის მუზა მხატვარის.
მე ზღვას დავხატავ, ტალღებით გზაში,
რომ მოიჩქარის და კვნიტავს ნაპირს,
მის სილამაზეს ვერც კი ნახავენ
თუ ზღვის ტალღები მზეს არ ყლაპავენ.
ტკივილს ვიამებ ბობოქარ ზღვასთან,
ასე მგონია მას ჩემზე მაგრად
სტკივა მკერდში და განიცდის ტალღა,
მისი ზვირთები სწვდება მაღლა, ცას.
და მე დავხატე ზღვა ამღვრეული,
ტალღების ზვირთით კიდე გარღვეული,
ჩემი ფიქრები ფუნჯით დამჩნეული,
და ჰორიზონტი მზით დამშეული.
როცა დავხედე, ზღვა ტილოს გლეჯდა,
ცის დასალიერს არ ჩანდა მზე და
ფიქრები ჩემი დამებნა ერთხანს,
ზღვა დახატული მე მგავდა, მეტად.

შენ არ გინახავს ჩემი თვალები,
დარდისგან მგონი იცვალა ფერი,
თუ კი სიტყვებით ვერ გეუბნები,
ცოტა ხანს კიდევ.. და გავთავდები.
შენელებულა ჩემთვის ცხოვრება,
დღეს ღამე ვერ ვგრძნობ, როგორ მიება,

ფიქრებში ისე შემომათენდი,
ცოტა ხანს კიდევ.. და გავთავდები.
შენი ღიმილი მომნატრებია,
თითქოს ფარფატებ, მომლანდებიხარ,
ერთხელაც ნატვრა რომ დახავსდება,
აღბათ სიცოცხლე სულ გათავდება.
ნეტავ შენს სულში, რომ ჩამასახლა,
თუ კი უფალმა ეს დამაცადა,
ნეტავი გულო თუ დავწყნარდები,
ცოტა ხანს აღბათ არ გავთავდები.

წუთმა მატობა

ათას საზრუნავს აყოლილმა ვერც კი გავიგე,
არ დამითვლია რამდენი ღამე ფიქრში დავხიე,
შემომადნა და შემომეხვია წუთისოფელი,
და არ მინდოდა ვინმეს ეცხოვრა ჩემი ცხოვრებით.
ნავსაყუდელი და ლაგუნა ვიყავ ყოველთვის,
მწუხრი, ნათელით შემიცვლია გვერდით მყოფელის,
ტიალი გული არ მითმენდა, ჩვეულ ვზრუნავდი,
მდინარის აღმა მიჭირდა და მაინც ვცურავდი.
ათას საზრუნავს აყოლილმა ვერც კი გავიგე,
დროვ ჩემი იყავ, მაგრამ მაინც ფეხი დამიდე,
ათასი კია... მაგრამ წუთმა მაინც მაჭობა,
მოვიხედე და ეხლა ვფიქრობ, ეჰ რაღა დროა.

მე და ნაპირი

მზე მძიმედ ჩადის თითქოს და მორცხვობს,
ბოგინი გასდევს მზის დისკოს ნელი,
აყუდებულა სინაზე ლორთქო,
ამპარტაუნობით ნაპირი მღერის.
მე კი ზღვის პირზე წარსულებს ვკრეფავ,
მოვაგროვე და ვიხუტებ გულში,
იმედი არც კი მანეზებს დღესაც
დამშვიდობება რომ მინდა მწუხრში.
ნეტავ რა ხდება ჩემში ასეთი
მე და ნაპირი ერთად დავმშვიდით,
გადაირეცხა დარდები გულში
და დამიტოვა სიმშვიდე სულში.
ჩვენ ჰარმონია შევქმენით ერთად,
ზღვამ სიმშვიდე და მე ტკობა მზესთან,
ჩემი წარსული ზარდახმას აგავს,
ჩავეხედავ და ვნახავ ხანდახან.
მზე ჩაიყლაპა, ზღვაში გასული,
თვლემს ნაპირი და მეც კი გავყურდი,
და თეთრი აფრა ამშვენებს მშვიდ ზღვას
მე კი წარსული არ მანებებს თავს.

მისი აღმატებულება შემხვედრა

სევდანარევე დილას ფერი გაჰკრავს ნისლის,
მეფინება ფეხქვეშ შარიშური ფოთლის,
დაძინძილი ტოტი დარდიანობს ოხვრით,
გამიშვლება არ უნდა, ქარი მაინც ჯობნის.
შემოდგომის მზეში ვერა თბება გული,
ნება-ნება სხივი ირეკლება ურცხვი,
ლეშად გადამეცა, მოლოდინი კარგის,

დამიძიმდა სული აჩრდილიბით დადის.
გავცქერივარ სივრცეს, უაზრობას ვისკვნი,
და შემთხვევით გზები ამერია ფიქრში,
გარინდული იდეე, გამშვენებდა თმები,
ვერ გაიგე როგორ დაგიდექი გვერდით.
შემოხედვამ ერთმა დამიარა როგორც....
ააალეებს ნაპერწკალს, ქარის ქროლვა მხოლოდ,
ამ შეხვედრამ მაქცია ცადატურენილ რაშად,
ჩემი დარდი დაიკარგა,ნასროლ ტყვიის მსგავსად.
შემოდგომის დილას ისევ გაჰკრავს ნისლი,
შემიყვარდა ფერიც გაბლანდული მისი,
ის დარდიც კი მემამება, რომ მეფინა გზებზე,
სევდანარევ ხეტიალში, მე შენ შეგხვდი ერთხელ.

შენი გული ჩემს გულში დადის

არ მიიკარო შენ გულთან ახლოს,
ჩემზე რომ გითხრან, გული არ აქვსო,
მე ვერ გავხსენი გული ყველასთვის,
ვერ შემოვიდა ვერვინ შენამდის.
დიდხანს ვაგროვე, გრძნობები პეშვით,
შევიწახე და გელოდი ღელვით,
ჩემი თვალეები გიმზერდნენ ცვარით,
გულმა გიგრძნო და გაგილო კარი.
მინდა გაგიყო დიდხანს ნალოდი,
ნასათუთები, გულს ნაგროვები,
შემორანგული გრძნობა რომელიც
გულში ვინახე შენზე ოცნებით.
ყოველ დილით და ყოველ ღამით,
გიყურებ შენ და ვფიქრობ წამით,
მადლობელი ვარ მე ერთი რამის,
რომ შენი გული, ჩემს გულში დადის.

როგორც მაშინ

არ ვუღალატე ძველ ჩვეულებას,
და შემოდგომით ვესტუმრე იმ ბარს,
სადაც პირველად შენ დაგინახე,
უძლები გრძნობა გულს ჩავიმარხე.
მუსიკის ჰანგი, ნელ-ნელა ძარღვში
მოედინება ტკივილით, დარდით,
ეჰ ნეტავ მაინც დაბრუნდებოდეს,
მოგონებები არ ხუნდებოდეს.
ვერ ამოვიგდე ჩვენი შეხვედრა,
ნუთუ ის გრძნობა ვიტოვე ერთმა,
შენი თვალები სულ სხვას ამბობდნენ,
და საიღულოს ჩუმაღ მანდობდნენ.
მუსიკის ჰანგი, ნაცნობი ჩქამით,
თავი დაფხარე თვალებში ნამით,
დიდი ტკივილით და ერთი წამით,
თითქოს გავცურე სიზმარში ღამით.
ისმის ჰანგები, ეს როგორც მაშინ,
მიახლოვდება აჩრდილი მსგავსი,
და ხელს მიწოდებს ნაცნობი კაცი,
ეს როგორც მაშინ.. ეს როგორც მაშინ...

მე შენით ვზიდა

რალაც მორიდებამ დამრია ხელი,
ცხოვრების მერიდება, მერე კი--შენი.
ცხოვრებამ ბევრი გამოცდა მოგვიწყო,
გავიარეთ და, მე მგონი, მე - კი...
ცხოვრებამ გზებით გვატარა წყვილად,
ისე რომ ნათელი გვადგია, მე - კი....

ცხოვრებამ მაღლა აგვანია ცაში,
ბედნიერება გვანია გზაში.
ცხოვრებამ სიმწარე გვაჩვენა, ჩვენის,
ცრემლებში ბევრჯერ გეძინა, მე-კი..
ცხოვრებამ გვაჩვენა ღალატი თვისი,
გული დაგვიკოდა, მაინც და მე-კი...
ცხოვრებამ ქარივით გადაგვიქროლა,
ორივე ქროლვაში მოვეყვით, მე-კი...
ხოდა მე ჩემო ასე მგონია,
შენ გაგიჭირდა და დიდი ხვედრით
უფრო გასწიე ცხოვრების გზები.
მე კი-იოლადა, მე კი-ადვილადა,
მე კი-მსუბუქადა, მე კი - სულ შენით,
გამიადვილე ცხოვრების გზები.
რალაც მორიდებამ დამრია ხელი,
ცხოვრების მრცხვენია, მერე კი-შენი.

არ ნაპოქნეპო

გზას რომ ვადეცი, გადავუხვიე,
მერე რა, რომ ქვიანი არის,
იოლ სიარულს ვერ მივეჩვიე,
ჩემი ცხოვრება სირთულით დადის.
სკივრი აფხადე გავამზეურე,
ძველი ცხოვრების ჩრჩილი გავცალე,
ჩემ ცხოვრებიდან გაჰქრა ლანდები,
გადავიხადე ღროის ხარკები.
ხელი მაგიდას, რომ გადმოვუსვი,
სულ გადმოვყარე ძველი ნარჩენი....
ღია სარკმელში წვიმას ვაკოცე,
დარდის ცრემლები წვეთს ვავაყოლე.

და ჩემი ხელი, დაღლილი ხელი,
დავიდე მხარზე, მტევანი გრძელი...
ვეყურებ სარკეს... მიყურებს ქალი..
არ წაიქცევა ის ქვიან გზაში...

ბებოს ლოცვა

„ძილისა
დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამენერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სულ თავით დამესვენება.
ჯვარი მწყალობს ჯვარცმულის,
ჯვარი პატიოსანი,
მწყალობს წმინდა გიორგი,
ვერას მიზამს მაცდური“.
პირჯვარს გადამსახავდა,
შუბლზე ტკბილად მკოცნიდა,
ბებოს თბილი თვალები,
ძილში მესიზმრებოდა.
ცხრათავიან გველეშაპს,
ხმლით უშიშრად ვკუნავდი,
ბებოს ლოცვა მიცავდა
ხელით ეშმას ვხუთავდი.
ამ ცხოვრებამ გამზარდა,
ბებოს ლოცვით ვიარე,
ჩემი წილი ცხოვრება
სულ სიკეთით ვახარე..
ვინ არ ვნახე ამ გზაზე
ბევრჯერ გამჭირვებია

მაგრამ ჩემი კაცობით,
თავანუელს მივლია.
ბებოს ბრძნული სიტყვები
სანთელივით მინთია:
„ინამე და გინამებენ,
შეინდე და შეგინდობენ,
მხოლოდ ლოცვით, დიდი სულით,
კაცობით და გამტანობით,
იარე და ეს ცხოვრება,
სულ იქნება, უფლის ნებით“.

ანგელოზი

ანგელოზმა გადმოგვხედა მოკვდავთ,
გვიყურა და გაიფიქრა ერთხანს,
დავრჩებიო და არ ნაჟალ ზეცად,
თეთრი მინა მოეწონა ჩვენთან.
მეც ხომ მინდა, რომ ვუყვარდე ვინმეს,
სიყვარული გამიმჟღავნოს სიტყვად,
დავდნები და თვალს მივლულავ ნაზად,
ოღონდ გულში მე ჩამიკრან, თბილად.
ყველას უნდა ანგელოზად ყოფნა,
მე კი ძლიერ მინდა თქვენით ტკბობა,
უხილავად ფრენა აღარ მინდა
და ეს ფრთები ვის ვაჩუქო ნეტავ?
ქალსა ვხედავ დარდიანს და მტირალს,
ცრემლი მისი ედინება ღვარად,
მიველ ხელი გადავუსვი მშვიდად
და მის თვალებს მოეფინა დარად.

ღმერთო, ნეტავ ეს რა ხდება, ვხედავ,
ბიჭი მოკლეს და დააგდეს კენტად,
მიველ ხელი გაუწოდე მგმინავს,
წამოდგა და თავი იგრძნო ზეცად.
ერთმანეთის წყენა არის მათთვის
თითქოს გული არ ევსებათ ღარდში,
აღბათ მიტომ მომავლინა ღმერთმა
რომ ამ ფრთებით დავიფარო ერთმა.
ხილული ვარ ვიცი სიკეთისთვის,
ის მეძახის, მე ვეშვები ციდან,
ღმერთი მაძლევს, ანგელოზად ფრენას,
და ეს ფრთები სიკეთისთვის მინდა

ნიკალა

უფერული წლები
აფერადა ფუნჯით,
უღიმღამო გზები,
გაიქარვა დუქნით.
ის არ იყო ლოთი,
მაინც ასე თვლიდნენ,
მხატვარი და არყის ჭიქა,
მუდამ ერთად ისხდნენ.
ჩუმი ნაბიჯებით,
მოივლიდა დინჯად,
დუქნებს მოხატავდა,
ამას არად თვლიდა.
ფიროსმანის ფიქრი,
სევდათქმული ნიჭი

არ ესმოდა არვის,
სული ჰქონდა განძის.
ნიკოს დახატული,
იყო ბევრად თქმული,
დარდს რომ იქარვებდა,
ის ხომ შედეგს ქმნიდა.
კიბის ძირში იწვა,
ნიჭი ბუმბერაზი,
ერთხელაც კი არვინ,
მიაკითხა მაინც.
და დალია სული,
დანყვეტილი გულით,
საფლავი კი მისი,
დაეკარგა თბილ

ფიროსმანის გახსენება

უბრალო ხალათი, უბრალო ღუქანი,
უბრალო მაგიდა, ჭიქა არაყი,
თქვენა გგონით სასმელი უნდა?
აბა ჩახედეთ ჩუმათ თვალებში.
მისი თვალები, წრფელი ნაღველი,
არაყმა უნდა გახსნას სახსნელი,
ხატოს, მიუმვას ნიჭი ტილოზე,
ვინ რას იტყვის, რომ სულ არ ჭირვობდეს.
უბრალოთ მაგიდა, დიდი და მრგვალი,
განა რა უნდა ფიროსმანს მათი,
ზედ სამოვარი, ფიქრთა ნაფენი
რომ ისაუბროს, -გაჰქრეს ნაღველი.
ასეთი უბალო, დიდი ხნის ნატრა,

ენადა ნიკალას და გულში ჩარჩა,
მეგობრის სითბო და გული ხსნლი,
ამბიონს სულში ეფინა ნისლით.
უბრალო ხალათი, უბრალო ღუქანი,
უბრალო მაგიდა, ჭიქა არაყი,
თქვენა გგონიათ სასმელი უნდა?
აბა ჩახედეთ ჩუმათ თვალებში...

ფიროსმანის პრთი დღე

ეს საღამოც მიიღია ჩვეულ,
მიუყვება ნიკო ქუჩა ხვეულს,
ცის კიდებზე მთვარის ჩრდილი ღვივის,
საღლაჯ არღნის ჩუმი კვნესა ისმის.
ღამის თბილისი ნალველს იკონავს,
მისი სარკმლიდან არა იყო რა,
საბნათ სევდის არე უფარია,
მაგრამ დღე ღამეში მაინც უხარია.
მისი სიამაყე, ცრემლს ღამე ინახავს,
დილით ყარაჩოღელს გაუვლის და ნახავს,
ერთად გადაჰკრავენ სირჩა არაყს და
შემდეგ დახატავს ტივზე მარაქას.
ის ვერ იტყვის არა, არა, -ჯარას,
ამბიონს, ხომ ჰამქარები ხატავს,
ნიკოს ხელში ფუნჯი ისე ქარგავს
უხარია გამვლელს მისი ნახვა.
ეს საღამოც მიიღია ჩვეულ,
მიუყვება ნიკო ქუჩა ხვეულს,
მხატვრის სევდა-მაინც კმაყოფილი
სანამ ხატავს ჩუმად ასე ივლის.

დედა

ჩიტმა ამბავი მომიტანაო და,
დედა მეტყოდა ტკბილად.
გავიხედავდი გარეთა და,
ჩიტუნას ვეძებდი ზეცად.
ნეტავი თვალი მომაკვრევინა და
ნეტავი ყურით მომასმენინა,
როგორ ჩურჩულებს ჩიტი,
და როგორ უსმენს დედა.
ის ჩიტი ყოფილა,
თურმე დედის გული.
ის ჩიტი ყოფილა,
თურმე დედის სითბო.
ეხლა ჩემთან მოაქვს,
იმ ჩიტს ამბავი და,
ეხლა მე ვისმენ, იმ ამბავს თითქოს.
ჩიტმა ამბავი მომიტანაო და,
დედა მეტყოდა ტკბილად....

ქარვისფერი შხპრა

თბილ და ქარვისფერ სხივებს აფრქვევდა,
მილამაზებდა ზღაპრად დარჩენას,
მეტყოდა თბილად, კეთილი მზერით,
არ მავინყდება სიტყვები ღღემდის.
შემოდგომაზე, რომ დაიბადე,
მზებუნობა ითვლიდა წამებს,
სიკეთის სხივში ჩაგტოვა ღამემ,
გზას გაგინათებს იცოდე, გწამდეს.
ნეტავ მომიყვე ფერთა ზმანებავ,

ავერ,რომ მოხველ უკვე კარებთან,
მე შემოდგომამ, ნუთუ მანათლა,
სიკეთისათვის გზების დაქარგვა.
დასაბამიდან აღქმას სიკეთის,
შენ შემოდგომის ფერში მიფენდი,
როგორც ფარდაგი ფოთოლოთაცვენით,
თან ჩამიქარგე სიკეთის გზები.
შემოდგომაში შენს სულსა ვხედავ,
ქარვისფერ მზერის სხივები მკვებავს,
რაც კი სიკეთე მომყვება დღესაც,
შენ დამანათლე, შენ ჩემო დედა!

ვით მამას ფოლიანტები

მიდიან ჩქარა, ქარდაქარს მიჰყავს,
ბებერი მთვარის ნანათი გზები
სევდა გადაჰკრავს მე მაინც მიყვარს,
და შემოდგომის ერთგლი ვრჩები.
იდუმალეზა წამში ჩამირჩა
მოგონებები ფოთლებად მათოვს,
სურვილი არ მაქვს, თავი დავიხსნა,
ის ღრუბლიანი დილა სულ მახსოვს.
რალაც იდუმალ სითბოდ მეღვრება
და თითქოს ისევ მამა მეხება,
ფრთხილად მაკოცა მძინარეს დილას,
ცა იღვრებოდა სარკმლიდან ნისლად.
უყვარდა მამას ნოემბერის მზე,
მივუყვებოდით შემოდგომის ტყეს,
ფოთლებმა მშვენება გვაჩუქეს ცისკრად,
არა და როგორ კვდებიან - მითხრა:
სიცოცხლის ბოლოს აფარდაგებენ,

თვალთა სანიერს ალამაზებენ
და პეპლებივით დახოცილები
იკაგებიან ნაპერწკლებივით.....
მე ამ მშვენიერს არ მოვცლდები,
ფოთლოთაცვენას დავემონები,
ცვივა პეპლები კორიანტელით,
ვით მამას ძველი ფოლიანტები.

ნეტა როდის მოვა ზამთარი!

ნეტა როდის მოვა ზამთარი,
თოვლის ფიფქებად ნანატრი,
შენი შემოხედვის ლაღარი
ცეცხლად რომ მეღება, სად არის?
როდის მომესევა ფიფქივით,
შენი ნაფეხური მზითვივით,
თოვლის დაიდება საფარი,
შენი ნაკვალევი სად არის?
როდის მოირთვება ნამქერში,
ჩვენი შეხვედრების ნათევით,
ჩემთვის ზამთარი ხარ ნანატრი,
სხვა არ მყვარებია მანამდის.
ლამის სამეფოში გუგუნებს,
ქარი ნამქერებს აბრუნებს,
მინდა ლეგენდად მოვხუცდეთ,
და შვილიშვილებს მოვუყვეთ....
ჩვენი სიყვარულის ამბავი,
როგორც ლამაზი ზღაპარი...
ნეტა როდის მოვა ზამთარი,
თოვლის ფიფქებად ნანატრი

მირზა გელოვანს

როგორც რიჟრაჟზე ლამპარივით
მოციმციმე ცისკრის ვარსკვლავი,
დროში განათდი შენი ნამუსით,
ზღვისფერთვალეება ლამაზიჭაბუკი.
თბილისმა ჩაგისუტა ლალი პოეტი
როგორ გაგიშვებდა რაკი მოხვედი,
დარჩი ჭაბუკად მარადის უამით,
და ააკვნესე ყოველი ფნკარი.
შენი სტროფებით ქალებს ეტროფოდნენ,
თან ღვინის თასით ლექსებს ეტყოდნენ,
„ველკანის ტკივილს სიყვარულს“ ადრიდნენ,
და გამოსკლიდნენ თასებს ავსილებს.
ლალი სიცოცხლე გაჩერდა მაშინ,
როცა მუზები გინყებდნენ ძახილს,
სულში რითმების ბილიკს ტკეპნიდი,
მაგრამ უდროოდ ჩანყდა ეს ხიდი.
ქარს აყოლილი ხმელი ფოთოლივით,
„დედიკოს მოსწყდი და დაჭკნი ობოლივით,
შენი ლექსები კი იორის კალმახივით,
ამშვენებს პოეზიას მთის ალმასივით.

თინათინ ტაბიძეს

შენ „ჩერქეზეთი უკან ჩამოგრაჩა“
შენთვის სამშობლო დარიალია,
ლექსების წერა უხმოდ გიყვარდა,
აბა ღველფობა რა სათქმელია.
შენთვის ანანურს სხვა ფერი ჰქონდა,
თეთრი და შავი არავგი გთხრობდა,
ალვირი მოსდე დაიმორჩილე,

სიტყვა, კალამით შენ დაიმონე.
„დარჩენილი ვარ ქვაზე კალმახი“
თითქოსა გრძნობდი ჩაგცეს ლახვარი,
იმ კალმახივით სუფთა აღმასი.
გინედა ცურვა რთული აღმართით.
სიცოცხლე გძგერდა, ლექსი, რომ გწერდა,
სიკვდილთან დადე შენ გარიგება,
„ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს....
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.
მიხაკი მკერდზე კითხვებს ტოვებდა,
გრძნობა რჩეულით დარჩი პოეტად,
ცისფერყანწელთა გერქვა რაინდი,
შენი ლექსები ბევრ გზას გაივლის.
საფლავი შენი არ დაგვრჩენია,
მაგრამ ლექსები ბევრად მეტია,
წარწერა ქვაზე რაც დარჩებოდა...
ეპიტაფია შენი ლექსია...

დედის ვედრება

თუნდაც სულ ერთი ნაპერწკალი,
დავრჩე ფერფლიდან,
თუნდ მიკიჟინონ მე დავრდომილს,
არ შეგიძლია,
ავყვები ვარსკვლავს განთიადისას,
შენს მერმისთვისას,
მუხლის კვერებზე შემოვუვლი,
დეე....ეკლესიას.
შემოვუკოცნი კუთხე-კუნჭულს
ვავედრებ შენსას,
მე რომ შთაგბერე ის სიცოცხლე,

გიფაროს ღმერთმა.
ოღონდ შენ გნახო უვნებელი
ჩვენს კარიბჭესთან,
თუნდ დაემგვანოს ჩემი სიცოცხლე
ნაფურტკნულ ვენახს.
ჩემი თავისთვის არ განუხებ,
უფალო დღესაც,
რადგან მრცხვენია, ვერ გმსახურობ
სუსტი მრევლი ვარ.
ერთი მოკვდავი დედის გული,
შენ გვევდრება,
რომ აარიდო ომის ქარ-ცეცხლი
ქვეყნიერებას.

მე ვნახე როგორ ტირიდა კაცი

ჩემი ცრემლები დარდის ჩინია,
ყველა მომდგარი ჭირის ხილია,
ბევრჯერ ტირილი მომდომებია,
და გულში წვეთად ჩამიხილია.
ქალი ვარ ცრემლი სამშვენისია,
ყველა დარდები ჩემი ტვირთია,
და არ იფიქროთ, ცრემლი ნადენი,
ნაკადულივით გადავლილა.
მაგრამ სულ სხვაა კაცის გოდება,
გულიდან აღენს წვეთებს ნამისას
ის მსხვერპლი გახდა თავის ცრემლისა
და მე ავტირდი ამის ნახვისას.
რა დამაფიწყებს, მხრების ცახცახი
ტალღის ბორიალს მოჰკავდა ზღვაში.
ცრემლები ცრემლით იკავებოდა,

თვალეში ღამე იჩრდილებოდა..
ცრემლი ნადენი არ იყო მამრის,
ის სლუკუნებდა როგორაც ბავშვი,
მე ვნახე როგორ ტიროდა კაცი
დღესაც მომყვება იმ ცრემლის დარდი.

*„მრავალნი არიან რჩეულნი და
მხოლოდ ერთმან მოიხვეჭოს ნიჭი“
კონსტანტინე გამსახურდია.*

ხუმრო ქართული

სვეტიცხოველი ნაგებია ადრე უამიდან,
ორი მდინარე ერთურთს ერწყმის დასაბამიდან,
ყმანვილმა კაცმა ხელოვნება შეისაწყისა,
ხუროს ოცნებამ როგორც იქნა ფრთები შეისხა.
ტაძარს სინმინდე, უამთა გაძლება ზედ დაანათლა.
ჩადო ქონგურში გული ქართული. - არ გააკარა,
არცა ბერძნული, გადამთიელთა არც სხვა ქარგული,
მარტომ მოქარგა, სიყვარულით, ვაზი ქართული.
გრძნობა ეული, არ შერჩენილი, გულში ხვეული,
ტაძარს შესწირა მარჯვენა თვისი გამორჩეული,
და დროს გაუძლო, ვერც კი წალეკა უამმა ჩვეულმა,
სვეტიცხოველი დარჩა ქართული და ჩაქარგული.

წარსულში გადავიპარბე

მუზებმა შემომითვალეს,
სად დაიკარგე გოგოვო,
გოგონა მესიამოვნა,
რევერანსების გარეშე.
რენესანსის დრო მომინდა,
წარსულში გადავიკარგე,
ხუროთა ჩუქურთმეებმა,
დიდება გამიქალღმერთეს.
მალლიდან გადმოვიხედე,
და დავინახე ცა და მზე,
ეს არათფერი არ არის,
რაც, რომ მიწაზე ანათებს.
გერგეტი ნისლში ანათებს,
ნიკორწმინდა კი რაჭაში,
ალავერდი ხომ შემკვრელი,
არის ტაძრების ზედაშე.
ჯვარმა, ჯვარობა ამართლა,
სვეტიცხოველის მადლმამა,,
სიონს კი ოქროს გვირგვინთ
ერთად შეუკრავს ქვეყანა.
ცა და მზეობა რათ უნდა,
ჩუქურთმეებში ჩაქსოვილთ,
ანათებს ჩვენი წარსული,
ძირძველი ხურო ქართული.

ხორუმი

„ცისფერი ლაჟვარდი, ნელ-ნელა ინთება,
მებრძოლებს არ გვიძინავს, უინი გვიჩნდება,
მტერს არ გავახარებთ, ქართული გენი გვაქვს,
ჩვენ ერთი მუჭა ვართ, გულით მგლები ვართ.
მშობლის გაჩენილნი, მთის არწივები ვართ,
ფერხულჩაბმულები ერთი ჯაჭვი ვართ.
ლაშქარს ვუყიჟინებთ, ერთურთს ვეხიდებით,
შემორანგულები მამულს ვადიდებდით“.
ჰორიზონტს ზვერავს, ანწყო ჩამოქნილი,
წარსულის ფერფლი ისვენებს ვალმოხდილი,
სულით ძლიერები, ხორუმის დაფდაფით,
ბორგავს მათი გული, აჭარის ზღვასავით.
ქვეყნის კარიბჭესთან მდგომმა ვაჟუკაცებმა,
გული მისცეს გულს და ჯაჭათ ჩაბმულებმა,
ერთი ყელასათვის,
ყველა ერთისათვის,
ასე შესძლეს ურიცხვ მტერთან გამარჯვება.
თვისი მემლექეთი, დედა-საქართველო.
გულში ასხივებდა როგორც ამეთვისტო,
ასე იქმნებოდა ცეკვა საზეიმო....
და ეს ისტორია ვფიქრობ ასე იყო.

ბურაბის ქალი

ჰარამხანაში ასული ცეკვავს,
ტანი მისი ჰგავს ქნარს,
თვალეები ნუმის, ფერი კი ცისა,
დატყვებისთვის მზად.
დიდებულ ფაშამ, წარბი აზიდა,
ბევრის მნახველმა, მზერამ გაჰკვირვა,
„თვალეები ესე სად მაქვს ნანახი“,

თუ სილამაზემ ასე მოხიბლა.
გულში კანკალი ებჭინებოდა,
განა შიშისგან ეტირებოდა?
ეჩქარებოდა მომხიბვლელ ასულს,
დიდ მბრძანებელთან მარტო დარჩენა.
დილა-სალამო იკეცებოდა,
ასული ლოდინს ევედრებოდა,
ნუ იხვრიპები კოვზებით ნელა,
დროვ გეხვეწები არ მომკლა ეხლა.
მის სილამაზეს ბევრი ამჩნევდა,
მბრძანებლის გულიც ისე აძკერდა
ჰარამხანისკენ ურბოდა თვალი,
რომ დაენახა მროკავი ტანი.
და უხმეს ღამე ასულს ოთახში,
ჩვეული დახვდა კაცი მთრთოლავი,
ასული იდგა ვით ქანდაკება,
და კაცი მის წინ მუხლზე დაეშვა.
რა მიაბჯინა მახვილი ქალმა,
კაცის ღმუილმა ჰაერი გასჭრა,
და ეს თვალეები მე შევიცანი,
ის მამა იყო და თუ შენი ძმა?
განგმირა ქალმა მბრძანებლის გული,
ძმის სიკვდილისთვის იძია შური,
ლეგენდად დარჩა ასული გურჯი,
უკვდავი ისე როგორც ზღვა ლურჯი

წაწალად დაგინეჭი და რაილა მენწაწალების,
ვაჟავ ცრემლებში დავდნები.
მოდის და ხელი მამხვიე,
თორღ იცოდე გავქრები

ღამისა მოსვლამ გამტანჯა,
შენი სწორ-ფერ ვერ ვიქნები,
შენი თავ თუ არ მეჩემა,
იცოდე გული მაჰკვდების.
თუნდაც დამწყევლოს დედამა,
ხატზე გადამცენ, ლოცვებით,
ლეჩაქი თუნდაც შამირცხვეს,
მაინც შენ გულ-სწორ დავრჩები.
ბური მადლო ამ მთასა,
დასცურავს ნება-ნებლობით,
წავალ და ჯიხვთა საუფლოს
ვნახავ და გადმავეშვები.

ტაძარი იდგა მიუვალ ტყეში,
ლოცვას ისმენდა ჩიტი და ღმერთი.
განა რა ხელმა ან ნებიყოფამ,
ლოცვად დაეცა ამ უღრან ტყეში.
არსაიდან გზა და არც ბილიკი,
ამ სამლოცველოს არ უდგებოდა,
განმართოვებით ღმერთთან დარჩენა,
მე მგონი სულთან დგას ამაღლებად.
დიდებაც ნახა სოფელსა შინა,
მრავალგზის ბრძოლებს არ შეუშინდა,
პირისპირ მდგარა მტერთან ნაკვეთი,
უკან დახევას არცა ნაჩვევი.
ცაზე განერთხო ღრუბლები შავი,
აღარ უჭრიდა მუხლი და მკლავი,
ერთი კი შეძლი ტაძრად გარიყულს,
ქვეყნის და ღმერთის შუა მდგარიყო.
მხოლოდ აქ მისთვის იდგა ტაძარი,
ყოველ განთიადს სთხოვდა ნატანჯი,
ენახა ერთხელ დამშვიდებული
და საქართველო გაბრწყინებული.



თქვე მემკრელიშვილი



დავიბადე 1987 წლის 12 აგვისტოს, იმერეთის პატარა ქალაქ ზესტაფონში. აქვე წარმატებით დავასრულე №4 საჯარო სკოლის სრული კურსი. ორჯერ ჩავირიცხე სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველად 2004 წელს ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, მეორეთ 2006 წელს, ნ. მუსხელიშვილის სახელობის, ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. მაგრამ ვერცერთ ჯერზე სწავლის გაგრძელება და დასრულება ვერ შეეძელი (მიზეზების მთელი სია მაქვს). ამჟამად ვიმყოფები ქორწინებაში. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვწერ 9 წლის ასაკიდან. თავდაპირველად დავიწყე პოეზიით. ამჯერად ვმუშაობ ისტორიულ რომან „შეურაცხადზე“ და საბავშვო ლიტერატურაზე. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩემი შემოქმედება დღის სინათლეს იხილავს. რისთვისაც მადლობას ვუხდი ქალბატონ ინგას.

წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ თეას!

დაბკარბი!

მზის ამოსვლას, არ დავაცალ დავასწარ,
მხარს ავისხი სევდიანი ტვირთები,
ჩამოვრეკე მთიდან ცხვარი, ბარადა,
დავაბნიე, როგორც მარგალიტები.
პეშვით შევსვი წყაროს წყალი ანკარა,
ხეობებში ბილიკები გავთელე,
გულში მქონდა, ხსნა, იმედი პატარა
და ოცნება, ჩემოვ შენზე გავბედე.
სალოცავენს დავუარე კარდაკარ,
ბარძიმს წვეთი დავადინე, სურვილად,
უფალს თვალი შევაპარე, ხანდახან,
გარდამექეც ოცნებად და წყურვილად.
ჩავიარე ახლო-მახლო არეში,
ოქროსფერად ელვარებდნენ მტევნები,
მოგინატრე, ამ შორეულ მხარეში,
შენს ეზოში ვატრიალე ბელტები.
ჯირკზე დავდე სალოცავი თსალმუნი,
ნიშას რქაზე გამოვაბი საბელი,
გულს წავიცხე იმედი და სალბუნი,
გრძნობა შემრჩა დარდისაგან ნაცემი.
ვერ გიპოვი? ცეცხლმა დამწვას ღანწები,
ვფიქრობ, იქნებ განწყენინე რამეზე,
შენს სანოლში მთვარის სხივად ჩავწვები
და ვერცხლისფერად დაგაკვდები ბაგეზე.

ნუ გამკიცხავ ღმერთო!

არეკლილი მზიდან, სხივი ჩემში სახლობს,
ბობოქარი ვნება: მათოვს, მათოვს, მათოვს.
მენატრება თრთოლვა და სიმშვიდე მისი,
ყურს ჩამძახის ეშმა: სხვისი, სხვისი, სხვისი.
გასულ დღეთა ფიქრმა, სევდა უნდა მმატონ,
მენატრები ასე, რატომ? რატომ? რატომ?
გავექეცი რა თავს, არასოდეს მითქვამს,
არასოდეს არსად, მიყვარს, მიყვარს, მიყვარს.
სიმარტოვე სულში და ფიქრებში მცოვად,
ნუ გამკიცხავ ღმერთო, მტკივა, მტკივა, მტკივა.

მე დავიბადე, როცა მოკლეს ჯორჯ ბაირონი,
მოკლეს პუშკინი, უანა დარკი, ქება ქალწული,
მოკლეს ილია, გორგასალი ვერაგთა ხელით,
არ მოსახედი, სამარცხვინო გახდა წარსული.
მე დავიბადე, იმ ალმურში ცეცხლისფერ მზეში,
როს ტკივილისგან სულს ღაფავდა, მტკვარი დამშრალი,
როს გამარჯვებას ზეიმობდა დიდი დავითი
და დიდგორზე კი იწვა გმირთა, მთელი ლაშქარი.
მომკლეს ათასგზით და ყოველი წუთით და წამით,
არვინ არ იცის, ქვეყნად რა არ გადავიტანე,
ცხელი აგვისტოს, იმ თორმეტში, იმ ცხელ თორმეტში
მე, მაშინ კი არ დავიბადე, გარდავიცვალე.

მზის სხივების ხნულში, ვდგევარ ცინვის გუთნით
და ცივ_ციხელი ოფლი, ღვარად ჩამდის გულში.
მტკივა ქუსლის კიდე, აქილევსის ჩრდილი,
ცად აწვდილი ტანჯვის, მეც გავიღე წილი.
ნაოჭებში მენვის, გასულ დღეთა დარდი,
ბრმად ბრუტუსის ხელით, მეც ვიგემე შხამი.
თუ ცხოვრების გზაზე, კრახმა ბევრჯერ დამცა,
დასათმობი აწი, არაფერი დამრჩა.
თუ დამოკლეს მახვილს, შესწევს ძალა განვრთნის,
მეც შევუშვერ ჩემს გულს, ტკივილისგან განვრთნილს.
მეც ჩავჯდები ბოლოს, იქ, ქირონის ნავში
და გადავდგავ ნაბიჯს, სამუდამო სახლში.
მზის სხივების ხნულში, ვდგევარ ცინვის გუთნით
და ცივ_ციხელი ოფლი, ღვარად ჩამდის გულში.

მამულს!

მე, ახლაც მესმის როგორ სუნთქავს ვარდი ეზოში,
როგორ შრიალებს, სახლის გვერდით, დიდი ვაშლის ხე,
თითქოს კვლავ ვხედავ, რომ იშლება იასამანი
და როგორ დგება ჩემს ეზოში, სულ ახალი დღე.
ფიქრიც იშლება ყვავილივით, მალონებს, მქანცავს
და მენატრება, უჩვეულო დრო გადასული,
ისევ მეძახის ჩემი ფესვი, ჩემი გენია,
უკან მომყვება თავდახრილი, ჩემი წარსული.

თვალი_თვალთან,
გული_გულთან,
ხელი_ხელთან,
სული_სულთან.
მხარი_მხართან,
ხარი_ხართან,
ძმა_ძმასთან
და კაცი_კაცთან.
მეგობარი_მეგობართან,
გრძნობა_გრძნობის სასთუმალთან

არწივი ვნახე დაჭრილი...

სად ვეძებო, ხსნა და გამოსავალი,
ჩასავალი ანდა ამოსავალი,
„დიდთან“, თუ კი დავიჩრდილე პატარა,
პატარასთან გავხდი უფრო პატარა.
„დიდთან“ თურმე პატარა ვართ ყველანი,
ვაჭარია, ბანკირი თუ მწერალი,
თუ ძლიერი გაჭერს წიხლს და გიმონებს,
ხელს არავინ აღარ გამოგიწოდებს.
ჩრდილქვეშ, ყველა დაიძთება, დაჭკნება,
შენგან მხოლოდ ლილიპუტი დარჩება,
გაიმართე წელში, სულო ჩაგრულო,
დაუკარით ისევ ძველი ჩაკრულო.

საქართველო!

სად არ ვეძიე სამოთხე,
გავთელე მთა და ბარიო,
გულით დამქონდა იმედი,
მიძლოდა ქრისტეს ჯვარიო.
ვერ ვნახე, ისეთი მხარე,
რომ რბევდეს მხეცი ყოველი,
ვერც „დიდოსტატის მარჯვენით“
ნაშენი სვეტიცხოველი.
არ იღვნენ სალოცავები
და ზღვები ხატებისაო,
არ ქროდნენ ცივი ქარები,
გერგეტის სამებისაო.
არ იყვნენ კლდეში ნაკვეთი,
უფლისციხე და ვარძია
„გალობა სინანულისა“
ქვეყნის და ერის განძია.
არ იზრდებოდა ილია,
არ იყო გადაკტიონი,
-ვინ დაგეძებდა როდესაც,
სარკმლიდან გადადიოდი.
არ დასტიროდა, ცხრა ვაჟუკაცს
არ იყო დედა ქართველი,
არ დადიოდა ჭიუხვებს,
ნამდვილი გრიგოლ ხანძთელი.
არ იყო სხვა სიყვარული,
ძმისა და ძუძუმეტისაო
-შეხედე! ჰაკი მის უჯუშს,
როგორ ცრემლებით ტირისაო.
ან სად ეძებდა შორენა,
„უტას“ და ირმის ხმასაო,

დასტირის, როგორ არ უნდა
რომ გახდეს მეფის ხასაო.
ვერსად ვერ ვნახე თამარიც,
მწოლარე ვეფხისტყავზედა,
არც ტატოს ცრემლი არაგვებს,
არ დასდიოდა თავზედა.
ვეძიე, მაგრამ ვერ ვპოვე,
ქართული მხარის სადარი,
ეს არის ჩემი „დიდება“,
ჩემი „დიდება“ აქ არის.
ეს ჩემი საქართველოა,
ვინ წამგლეჯს? ნეტავ ვიცოდე,
თავისუფლების დიდებას,
სიკვდილის მერეც სიცოცხლეს.

შვილებს!

არ მენანება არათრით,
არც დრო, არც თაყი, არცა რა,
ყველა დარდი და ნაღველი,
სადღაც წარსულში გამქრალა.
მიხარის ტრფობა საშური,
დედა ვარ, დედა მქვია მე,
მარტო ისაღა მადარდებს,
რაც უთქვენობით ვიარე.
რომ განაცვალოთ ეს თავი,
არ დაფუიქრდები, წამითა,
თქვენს სიყვარულს და სიმშვიდეს,
მე, ვუდარაჯებ ღამითა.
მივეგებები განთიადს
ზამთრის სუსხიან ღამეში,

რომ გაღვიძებულს პირველად,
ჯერ მე ჩაგხედოთ თვალებში.
ჯერ მე დაგვკოცნო პატარა,
ღიმილნარევი ტუჩია
და დაგაყაროთ ორთავეს,
ბახი და პაჩი_პუჩია.
რაც რომ გიყურებთ, მით უფრო,
ლალი სიმღერა მინდება,
„შენ გენაცვალე, მაგ გულში,
ჩემო პატარა დიდებავ!“

ქალი წვიმაში!

გარეთ წვიმდა. წვიმდა, წვიმდა, ისევ წვიმდა.
იდგა ქალი, კაბას გლეჯდა ცელქი ქარი,
მან იცოდა, იქ დგომა, რომ სულ არ ღირდა,
მაგრამ მაინც...
იდგა, ციდან მოდიოდა წვიმის თქეში,
გამვლელეები შესცქეროდნენ, გაკვირვებით,
იფშენეტდა და თან ითბობდა მცივან ხელებს,
გაგიჟებით...
გარეთ წვიმდა, წვიმდა, წვიმდა, ისევ წვიმდა,
ახლა თავსხმა წამოვიდა, თითქოს განგებ,
ქალი მაინც, იქ ჯიუტად იდგა, იდგა,
შესცქეროდა ყველა გამვლელს.
მეც მართობდა მისი ცქერა, მინის შიგნით,
ვიღიმოდი, ინტერესი მკლავდა ჩუმი,
გაინელა დრო და თითქოს საუკუნედ,
იქცა წუთი...
ქალიც იდგა, ბოლოს ვილაც მის ქოლგაში,
შეიხიზნა და დაუყვნენ დაბლა ქუჩას,

მერე მივხვდი, ქალბატონი რატომ იდგა,
იმ თავსხმაში, სიცივეში, ასე ურჩად.
კიდევ დიდ ხანს, ვუყურებდი ქუჩის ბოლოს,
იმ ქოლგის ქვეშ, ყოფნა ალბათ მართლაც ღირდა,
დამენანა...როცა თვალსაც მოეფარნენ
და გარეთ კი, ისევ წვიმდა, წვიმდა, წვიმდა.

ბარისკაცს!

მე მენატრები...

როგორც ცას მზე და ზღვას თოლია,
იცო? ამ გრძნობამ უცნაურად ამიყოლია.
თუ განშორებას საშინელი გემო ჰქონია,
მას დაბრუნებაც გააყურებს გამიგონია.
მე მენატრები. მეშინია განადგურების,
გეპატიება მოლოდინი, არდაბრუნების.

* * *

ვაჟი შემიყვარდა? ეგოისტი,
ჭკუას რომ წაგართმევს, იმისთანა,
დილით შემიცვალა ლამეები,
ლამის სიგიჟემდე მიმიყვანა.
ქარში გამოვდევი უნაპიროს,
ვერც კი შევამჩნიე სიავკარგე,
ისე შემაქცია თავისკენა,
ძლივს შევინარჩუნე სიამაყე.
მისგან წამოსული ვნების თქეში,
ველად დავაგდე და გავიჭერი,
თუმც რით მოვიგლეჯდი, მე იმ ისარს,
გულში მის სროლით, რომ დავიჭერი.
ასე გაირბინეს ზაფხულემა,

არც გაზაფხულებმა დადეს ტოლი,
ვერც მე შევეყარე უცხო მოყმეს,
არც იმან ითხოვა ჯიბრზე ცოლი.
ერთ ღღესაც?! ის მაინც რა ღღე იყო,
გზაზე გადმეყარა ვითარ მხეცი,
თვისკენ მიმიზიდა ურჯულომ და
მაშინ, მართლა ველარ გავეყეცი.
აღარც ძალის გაჭრამ არ მიშველა,
ველარც, მისი თავი ვიამარე,
ხელი დამირია უღმერთომ და
მეც ასე დავკარგე, სიამაყე.

* * *

მე, მინდა წყარო, ცხოვრების რწმენის
და არა ღვინო, რწმენას რომ ახმობს,
გზა მინდა, ცხოვრებაზე რომ გადის
და არა ის რაც გაუვლის ახლოს.

* * *

თუ გამიხსენებ, ოდესმე ვიცი,
გულში გაგირბენს, წარსულის დაშნა,
გაგახსენდება კოცნის სინესტე,
რომელიც ასე უეცრად დაშრა.

* * *

ახ გაზაფხულო! შენს გუგუნს ვლოცავ, შენს სილამაზეს,
რა საოცარი სიხარულით, მავსებ დარდიანს,
ისე მიყვარხარ, ისე მათრობს შენი სურნელი,
როგორც არყიანს.

შენი სიმწვანე, სიხალისე, შენი ფერები,
შენი გუგუნი გაზაფხულო, ჩემთვის მადლია.

* * *

შენ ზღვაო ლურჯო, საოცარო ზღვაო ძლიერო,
ზღვაო, ამ ქვეყნის, ამ ნაპირის დასალიერო,
შენს ახლოს ვდგევარ, გულისწყვეტით გიცქერ და ვფიქრობ,
რა იქნება, რომ მეც შენსავით გამაძლიერო.
რამ მომაგონა, მომაფიქრა, რომ თითქოს შენში,
შენს ლურჯ ზვირთებში, ზღვის კენჭივით დავიკარგები,
რატომ მგონია, როცა ასე თბილად, სათუთად,
მეფერებიან, მეხვევიან ცელქი ტალღები.
ზღვაო ძლიერო, საოცარო ბათუმის ზღვაო!
შენ გენაცვალე, შემოგველე ქართულო ცაო!

მომავლიდან წარსულში

მარტო იჯდა, კიბის საფეხურზე და მშვიდად გაჰყურებდა მწვანედ აქოჩრილ ეზოს. თვეზე მეტია, რაც ქალაქს მოსწყდა და შორეულ სოფელს შეათვარა თავი. შეათვარა რადგან, გაეცქა ქალაქის ხმაურიან და მოსაბზრებელ ყოფას. რაც მეტს ფიქრობდა, ქალაქზე და წუთისოფლის უკუღმართობაზე, მით მეტად უნდებოდა მათგან გაეცევა და ძირძველ ფესვებში თავით ჩარჭობა. იჯდა და ეღიმებოდა, თავისი ხასიათის ახირებულობასა და უცნაურობაზე. უკვირდა, როგორ სწრაფად და ერთბაშად შეიცვალა ცხოვრების სტილი. ქალაქს მიჩვეული, ერთბაშად გადაერთო სოფლის საამო ცხოვრებაზე.

აქ ყველაფერი ძველი და პირველყოფილი იყო. ყველაფერს ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ადრე. სახლს, ბუნებას, ეზოსა და პატარა შუკასაც კი, რომელიც მის ეზომდე მიმავალ

ერთადერთ გზას წარმოადგენდა. აქ ყველაფერი განსხვავებული იყო. არავითარი კომპიუტერი, ტელეფონი. ტელევიზორიც კი არ არღვევდა, აქაურ სიმყუდროვეს. გგონიათ ანუ ხებდა მას ეს? არა, პირიქით. ბედნიერი იყო იმით, რომ ასეთი გადანწყვეტილება მიიღო და „ჩამორჩა“ ყოფით ცხოვრებასა და ყოველივე „საჭიროს“. დატოვა ქალაქი და აი, ახლა აქ ზის.

ფიქრებში მალე ეფლანგებოდა დრო. უცებ შეცბა. გაახსენდა, რომ კერძი არ გაუკეთებია და უკვე სადილის დრო დგებოდა. „ახლავე, ახლავე. როგორ შემაგვიანდაა“ ზენამოიჭრა და სწრაფად დატრიალდა. ფაცა-ფუცი შექმნა და მზადებას შეუდგა. რკინის ღუმელი ქალაქლებით გამოჩურთა, ზედ ხის რამოდენიმე ნაფოტი ააწოწოლა და ასანთით ცეცხლი შეუთო. კარი მიხურული არ ქონდა, რომ ცეცხლი სწრაფად ჩაინთქა და ფარატინა ფუცლები წამში ჩაიფერფლა. ისევ თავიდან სცადა. რას იზამ? კერძი გინდა? ცეცხლი უნდა დაანთო, სად არის გაბქურა ან ელექტროღუმელი. ცეცხლი უნდა შეუკეთო ხელდახელ. მაგრამ არ წუნუნებს. პირიქით, მოსწონს კიდევ ეს და გამალებით უკეთებს და უკეთებს ცეცხლს. ღუმლის კარს, მისახურად ეცა. ცხელმა ლითონმა ხელი დასწვა და თითი უნებლიედ პირში იტაცა. „ვერადა ვერ ავიცდინე. ყოველ ჯერზე ვინვეები“ გაიფიქრა თავისთვის მაგრამ არ გამწყრალა. სხვა დროს ბრაზსა და ტკივილს, ლანძღვა-გინებით დაიშომშინებდა, მაგრამ ახლა სიტყვაც არ დასცდენია. „ცეცხლზე მომზადებულს სხვა გემო აქვს. კერძი გემრიელი და კარგი გამოდის. რაც მეტს გაირჯები, მით მეტად ტკბილად შეჭამ, შენს ნაშრომს“. იიმედებდა თავს.

ვიდრე კერძი აფუჩფუჩდა, ოდა-სახლს დაუარა და სწრაფად ჩამოგვა. ნახევრად გარეცხილი ტილო, იატაკს სწრაფად მიუსვმოუსვა და მოწმინდა. მერე დასარეცხი ჭურჭლის ჯამს ეცა და წყლით აავსო. საათიც არ დაჭირვებია, რომ ყველაფერი წესრიგში მოიყვანა.

მალე კერძიც გამზადდა და დააპურა თუ არა ბავშვები, სადღაც უჭრიდან გამოჩიჩქნა დედისეული “კალთა“ (ნაჭრის პატარა უბის ჩანთა) და წელზე შეიბლონჯა. ხელში პატარა თუნგი აიღო და წყაროსაკენ გასწია. ფეხდაფეხ მოსდევდნენ ქალაქურ ლოლიათობაში, წამოჩიჩქნილი შვილები. კიოდნენ ყოველი ფეხის გადადგმაზე და დედას კალთაზე ებლაუჭებოდნენ. „დედა ეკალი შემესო!“ „დედა ქვას წამოვედე!“ „დედა ამიყვანე რა!“ ღიმილმორეული ქალი უკან იყურება და ანუგეშებს თავის პატარებს. „არა უშავს შვილო, არა მოგივათ რა. ეს ეკალი, ეს ქვა და ეს მინაც ჩვენია, ნუ გეშინიათ არათფერს დაგიშავებთ“.

წყაროს თავზე შედგა ანაზნად და შორს, მინდორში გასჭვრიტა, თავისი მახვილი თვალით. „მალე შუალე წამოვა, ვიდრე დაცხება უნდა მოვასწრო“. დაიხარა, წყაროს თავზე პიტნასა და ომბალოს წაეპოტინა, ცოტ-ცოტა მიპუტ მოპუტა და კალთაში ჩაყარა. მერე წყაროზე ჩაირბინა და კოკა ყელამდე აავსო წყლით. ხასიათის გულისათვის კოკას თავი წაუქცია, წყალმა საამოთ იწყო რაკრაკი, დაგრეხილი კოკის ყელიდან. შემობრუნდა და ისევ აავსო. ხელი მალლა ასწია, რომ კოკა მხარზე შეედგა, მაგრამ ქალაქურმა სუსტმა მაჯამ უმტყუნა და ხელი სწრაფადვე დაუშვა დაბლა. „არა უშავს, ასეც ვატარებ“ გაიფიქრა და ატალახებულ ჭენჭყში ქვიდან ქვაზე გადახტა. ქომინით აიარა აღმართი და დიდი ცაცხვის ძირში, ქვის უშველებელ ლოდზე ჩამოჯდა. „წავიდეთ დედიკო, წავიდეთ“. სახლისაკენ ექაჩება პატარა. „მოიცა შე ონავარო, ცოტა სული მომათქმევინე“ ძალით მოისვა ბავშვი გვერდით და არე-მარეს თვალი მოავლო.

თვალწინ დაუდგა თავისი, არცთუ ისე შორეული წარსული. ნათლად ხედავს, ქვაზე ჩამოქდარ საყვარელ ბებიას. სწორედ იმ ადგილზე სადაც ახლა თვითონ ზის. ხედავს მის წინ მოხტუნავე, თავის ბავშობას, განწილ კულულებს თვალებიდან რომ იშორებს. "ბებო, ბებო, ეს ამოდენა ქვები აქ ვინ მოზიდა?"

“ჩვენებმა ბებო, ჩვენებმა“ უღიმის ქალაქიდან ჩამოსულს, გახარებული ბებია და „ჩვენებში“ თავის ქმარს, მის მამას, და სოფლის ჭარმაგებს გულისხმობს.

„დღეა, დღეიკო“ ფიქრებიდან გამოარკვია შვილმა. “ეს ამოდენა ქვები აქ ვინ მოიტანა?“ ცივმა ჟრუნტელმა დაუარა ქალს და ტკივილი ისარივით ჩაერჭო გულში. ერთხანს დუმდა, მერე თვალს მომდგარი ცრემლი მიძიმედ გადაცლაპა და შვილს გაუღიმა. „ჩვენებმა დედი, ჩვენებმა.“ „ვინ ჩვენებმა?“ ვერ დაოკდა ცნობისმოყვარე ორეული. „ჩვენები, ჩვენი ბაბუები, მათი მამები და კიდევ მათი მამები არიან“ „აააა!“ ისე სხვათაშორის თქვა ბავშვმა და დედას ხელზე დაეკიდა. “წავიდეთ რა სახლში“. ადგა. ძლივს გაიმართა წელში. კოკა აიღო და უკან მოუხედავად წავიდა სახლისაკენ.

მეორე დღეს განვიმდა. წვიმის შხაპუნმა გააღვიძა. ერთხანს ლოგინში გაყურდა, მერე ადგა და ოთახის ფანჯარა სანახევროდ შეაღო. ისე რომ ოთახში სუფთა ჰაერი შემოსულიყო. ცალი ხელის ქიცინით, თმა მალლა აიკრა და სკამზე დადებული კაბა აიღო.

გარეთ წვიმდა. გამეტებით და დაუღალავად. გაუგებარი იყო, თავს იწონებდა თუ იგიუებდა წვიმა. მწვანე ბალახი კიდევ უფრო გამწვანებულიყო, წვიმას უფრო მეტი სიხასხასე შეეძინა ბუნებისათვის. რა მშვენიერი სანახავი იყო ყოველივე. „აქ ყველაფერი უფრო ლამაზია, ვიდრე ქალაქში“.

კარი გააღო. მაღალ ბოტებში ჩაჰყო, თავისი პატარა, სიფრიფანა ფეხები და ეზოში ფლატა-ფლუტით გაიარა. ზაფხულის, მაგრამ შხაპუნა წვიმის წვეთების შეხებამ შეაჟრჟოლა და სწრაფადვე შებრუნდა შინ. სანვიმარზე მიდგმულ ჭურჭელში, თქათათქუფით ჩაედინებოდა, წყლის უხვი ნაკადი. წყლის დუჟი გვერდებიდან გადმოსდიოდა ჭურჭელს. რა უნდა გააკეთოს აქ, ამ წვიმაში? გარეთაც კი ვერ გადის. რატომ? ისმოდა კითხვა, მაგრამ პასუხი მხოლოდ მან იცოდა.

მესამე დღეს, ისევ გამოიღარა. დღემ საამოდ ჩაიარა და როცა დაღამდა, ცაზე ისეთი სანახაობა დატრიალდა, ისეთი სილამაზე, რომ მსგავსი რამ ერთეულებს თუ უნახავთ მხოლოდ. ცა უამრავი ვარსკვლავით მოიჭყეა. სულ სხვაა სახლიდან, ქუჩიდან ან კორპუსიდან დანახული ზაფხულის ცა. თქვენ გაშლილი სივრციდან, უნდა ნახოთ ის. ქალი ეზოს შუაგულში იდგა. მინდორი უფრო იყო, ვიდრე ეზო, გაშლილი სივრცე და სიცარიელე. ასე ეგონა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე იდგა. ცასთან ახლოს. ხელები გალაქტიკაში ჰქონდა გაშლილი და საკმარისი იყო, ხელის მალა აწევა და უკვე ცას შეეხებოდა. ათასფრად მოხატულ და მოკაშკაშე ცას.

ახლოს, სულ ახლოს, ჭრიჭინების გამაყრუებელი ხმა ისმის. მათი ხმა ზოგჯერ ნერვებს გიშლის და გულს გინყალავს, მაგრამ როცა სიბნელის სიმშვიდეს არღვევს, მაშინ მხოლოდ სიამოვნებას გგვრის. „ნეტავ ეს ცა ჩემს მეგობრებსაც ანახათ.“ თქვრობს თავისთვის და ბუნების სილამაზით ტკბება.

გაახსენდა, რომ სახლის კარი ღია დარჩა. სიბნელიდან სინათლისაკენ მიიწვევენ მწერები და ალბათ ოთახი უკვე სასვე იქნებოდა ჰატარა არსებებით. სახლამდე სირბილით მივიდა და კარი ჩაკეტა. ჩამოსვლიდან სამი დღის მანძილზე ძილი არ მიჰკარებია. სადმე კალია არ შემომიძვრესო, მაგრამ მერე ისე მიეჩვია, რომ ღამე წყურვილის მოსაკლავად ამდგარს, სინათლეც კი აღარ აუნთია ხოლმე და მღოღავ მწერებში, ვარაუდით გაუკვლევია გზა, წყლის ჭურჭლამდე. ყველაფერმა შეჩვევა იცის. ცუდმაცა და კარგმაც. გააჩნია როდემდე აიტან და შეინარჩუნებ მას. ქალი ბედნიერი იყო, თუნდაც ასეთი ყოფით და თავისი ნებით, მიბობლავდა მომავლიდან წარსულში. ეს ყოფა, მალე ძველ-რბილში ისე გაუჯდა, რომ თვითონაც კი დაიჭერა თითქოსდა სხვაგან არც არასოდეს ეცხოვრა.

ყოველ დილას საქმით იწყებდა. ბავშვებს უბუღულავებდა და როგორც კი თავისუფალი ღრო მიეცემოდა, ან კიბებზე

შემომჯდარი ფიქრებს მიეცემოდა, ან წიგნს აიღებდა და კითხულობდა, მანამ ვიდრე ვინმე ხელს არ შეუშლიდა. ზოგჯერ მისი ეს ნირვანა საათობით გრძელდებოდა.

სწრაფდ გარბოდა დრო. ისევ შეახსენა თავი, ქალაქმა და ქალაქურმა ყოფამ, როცა მანქანის მოტორის გუგუნმა დაარღვია მისი სიმშვიდე. „სახლი აღარ მოგენატრა ქალო?“ თითქმის წყრომით შეეკითხა ოჯახს მონყვეტილი ქმარი. რა ექნა? ზოგჯერ მოვალეობა ჯაბნის სურვილს და უკან ხევს მას.

ზოზინით დაიწყო ნივთების ჩანცობა. თითქოს განგებ ითრევდა და იბრუებდა ფეხს, რომ კიდევ ცოტა ხანს ებოტა და ეფუფუსა პაპისეულ სახლში. გულდანყვეტილი უყურებდა მანქანის ფანჯრიდან, როგორ მოიტოვა უკან დაცარიელებული სახლი და საყვარელი ეზო. თან სწყინდა და თან უხაროდა კიდევ ქალაქში დაბრუნება. სჭირდა რაღაც გაორებისმაგვარი. სოფელზე ფიქრი ათბობდა, ქალაქზე კი...“რა გვინდა იქ? რისთვის მიგვეჩქარება? რა დაგვხვდება? ხმაური, მტვერი, მტრობა და შური? ასეთი მომავალი მინდა ჩემი შვილებისათვის? მაგრამ სულ მოწმადე ქალაქს და სოფელში გამოვიკეტო? ან ამით რას მოვიგებ? ჩამორჩებიან ყველას და ყველაფერს, ნუთუ ეს მინდა მათთვის? სულ ავირიე“. თავი საცოდავად ჩაკიდა. უღონობა და უსუსურობა იგრძნო. მერე ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და ჰოი საოცრებავ! ხედავს მის ეზოში, სახლის ნაცვლად საყდარი დგას. ნუთუ ეჩვენება? არა იქ ნამდვილად საყდარი დგას. ნამდვილად საყდარს ხედავდა. საყდარს სადაც, კი არ იცხოვრებ, უბრალოდ ივლი. ივლი მაშინ როცა, ლოცვა, სიმშვიდე, სიკეთე და სინყნარე მოგენატრება. როცა მარტობა მოგინდება და ცარიელ ადგილს ვერსად იპოვი. მაშინ მოხვალ აქ, შენს სახლში, შენს ფესვებში, შენს საყდარში.



ნანა მეტრეველი



მე, ნანა გიორგის ასული მეტრეველი, დავიბადე გორის რაიონის სოფელ ქორდში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და სწავლა გავაგრძელე ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ზოოსაინჟინრო სპეციალობაზე, ოცდაოთხი წელი ვიმუშავე თბილისის რეფერალურ

ჰოსპიტალში ანესთეზიოლოგად, ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, პოეზიის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, ამჟამად უფრო აქტიურად ვწერ, რადგან ვიმყოფები ემიგრაციაში და ნოსტალგია თავის სათქმელს ლექსებით ამბობს. აქ ათენში დამეხმარა ქართული სათვისტომო და ემიგრანტ მეგობარ მზალო ოსიშვილთან ერთად დამიბეჭდეს ლექსების კრებული, ახლა ახალი მაქვს მზად და უახლოეს დროში გამოიცემა, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ საბერძნეთის ქართველთა სათვისტომო „ოქროს სანძისის“. მყავს მეუღლე და სამი ვაჟი, შვიდი შვილიშვილი. ოთხი წელია ემიგრაციაში ვარ საბერძნეთში, კერძოდ ათენში

სალონიკში გამოიცა შურნალი „თაობა“, სადაც ერთი გვერდი ჩემს ლექსებს ეთმობა.

ქალბატონი ნანა ჩვენი კრებულის ერთ-ერთი წარმატებული ავტორია.

ანბანთქება

- ა – ნიდან ჰა–ემდე მიძივებად ასხმულო,
- ბ – ულბულის ენაზე ნამღერო გალობავ,
- გ – ოგებაშვილისა წიგნო სანუკვარო,
- დ – ედის"იაენანავ"და უფლის წყალობავ!
- ე – ნაო წმინდანთა, ენავ ბუმბერაზთა,
- ვ – ერ გადაგავარეს, თუმც ბევრი ეცადნენ,
- ზ – ედ გულის ფიცარზე ნაჭედო თილისმავ,
- თ – ვით ღმერთის ენაო, ლაღადებ ზეცამდე!
- ი – ლიას ქნარო და აკაკის ჩანგურო,
- კ – რწანისის ბრძოლაში ნაწრთობო, ძლიერო,
- ლ – ომგულა ვაჟკაცთა ჰერო ბიჭებო",
- მ – უმლი მუხასა და „მრავალუამიერო“!
- ნ – უგეშო ქართველთა დედაო ენაო,
- ო – ღმერთმა რამდენი სიკეთე გვარგუნა,
- პ – ურითა და ღვინით განთქმულო მხარეო,
- ჟ – ამმა შენს თავზე წისქვილის ქვა აბრუნა.
- რ – წმინასთან,მამულთან სამებად დაგსახეთ,
- ს – ისხლით და ცრემლებით ნაკვეთო ხე–ქვაზე,
- ტ – იალი ღროება კვლავაც გემტერება,
- უ – ფალი კი გიცავს მინიდან ზეცამდე.
- ფ – არნავაზ მეფისგან აკინძულ, ასხმულო,
- ქ – ართულო ანბანო, ქართულო ენაო,
- ღ – ირსი მყო გამჩენმა, მეც შენით ვიგალო,
- ყ – ური მოგაპყრო და ვადილო ზენაო!
- შ – ვლის ნუკრის ცრემლებზე ვაჟა კვლავ მიამბობს,
- ჩ – ავივლი ტაბიძის ბრძენ მესაფლავესთან,
- ც – ანგალა გოგონა ისევ აცეკვდება,
- ძ – ეთა და ასულთა კვლავ გასამრავლებლად.
- წ – მინდანთა გალობა გვამხნევეს ზეციდან,
- ჭ – ირთა დათმენა ხომ წილად გვხვდა ოდითგან,
- ხ – ვალეც გათენდება, ჩანგიც ამღერდება,
- ჯ – იში გამრავლდება, ვიმღეროთ მოდი და
- ჰ – ე მტერო, გზა მოგვეც, ქართველნი მოვდივართ!

მოდო ბაზაფხულო!

მოდო გაზაფხულო, იქნებ გამიხარო გული,
თორემ ამ ცივ ზამთარს ძლივსლა გავიტანე თავი,
შენი მოსვლის იმედს გულით დავატარებ, იცი
გრძელმა ღამეებმაც როგორ მომაბეზრეს თავი.
მოდო,გამითენე ისევ იმედების დილა,
ამ უცხო მიწაზე როგორც მარტოსული დავალ,
შენი სურნელი ხომ გულში სხვა სიხარულს ბადებს,
რატომღაც მგონია რომ გამიადვილებ სავალს.
მოდო შენებურად ცეცხლი წაუკიდე ატმებს,
გადაყარე ცაზე შავად მოცურავე ნისლი,
როგორ მენატრება მშობლიური გაზაფხული,
იქ ხომ სიგიჟესაც ველარავინ ვერ დამიშლის.
მიწას გადააცვი ია-ენძელების კაბა,
თავს ნუ მოგვაბეზრებ ქარით, წვიმითა და სეტყვით,
მოდო ძველებურად გული გამილაღე და მეც,
ლექსი რაც ვერ გითხარ, ყველას მარტის თვეში გეტყვი.
გადმომალვრევი გულში დაგროვილი სევდა,
ამომათქმევი დარდი ახალი თუ ძველი,
მოდო,დამანახე სახლში დაბრუნების გზები,
ჩემს მიწაზე ალბათ სიკვდილიც არ არის ძნელი.
კვლავ მაგაზაფხულე,ვიგრძნო მშობლიური დილა,
ველარც კი ვისენებ ბოლოს შევიგრძენი როდის,
ქარი ეფერება ხეთა მშობიარე კვირტებს,
მეც ყველას გილოცავთ,ცელქი გაზაფხული მოდის!

სიჭაბუკე

წლების მიღმა დარჩენილო სილამაზევ,
სიყმანვილის გიჟმაჟურო ქარებო,
ფურცელ-ფურცელ დაფლეთილო გვირილებო,
სიყვარულო, გულით დანატარებო!
მარცვალ-მარცვალ აკინძულო მოგონებავ,
შეხვედრების ვნებიანო ალებო,
გულში ჩემად შენახულ და გაუმხელელ
სიყვარულის გადუხდელი ვალებო.
გადავლილო ჭრელა-ჭრულა ბილიკებო,
მზის სხივებო სულ სხვაგვარად თბილებო,
თითის წვერზე აწეულო კოცნის ჟინო,
საკინძეზე აწყვეტილო ღილებო.
ტუჩის კიდეს შერჩენილო ღიმილებო,
მოგონების ყურში შებურბურება,
შემოდგომის ყვითელ ფოთოლთა შრიალო,
და წარსულის უკან ვერ დაბრუნება.

გაფრინდნენ წლები

გაფრინდნენ წლები... თან წაიღეს ძველი მშვენება,
სად იკარგება სილამაზე, ასე უკვალოდ?
მოხუცი ქალი ძველ ფოტოებს ათვალიერებს,
თვალზე ცრემლები მოსდგომია, ისე, უბრალოდ.
უბრალოდ? არა, ეს ცრემლები მოდის გულიდან,
მისტირის წარსულს, ახლა უკვე სულ მთლად ეული,
თვალს და ხელს შუა გაფრენილა ახალგაზრდობა,
შორს დარჩენილა ის სილაღე, გადარეული.

რატომღაც თითქოს აღარავინ აკითხავს ხშირად
და ყველა დილა მარტოობის ოხვრით იწყება,
ხანაც ბრაზდება თავისავე სიჭიუტებზე,
ის დაკარგული სიყვარულიც არ ავინწყდება.
ფიქრით მოირბენს იმ ლამაზ წლებს სიყვარულისა,
სიკვდილამდეც კი გულში ლამაზ ხსოვნად დარჩება,
მართლა ეგონა არასოდეს დაბერდებოდა,
თუმცა ასაკი გულს ვერაფრით ვერ დააჯერა.
მაგრამ ო,წლები, უკითხავად მიიჩქარიან,
არ შეარჩინეს ღიმილები, იმედი ხვალის,
მხოლოდ ალბომი შეინახავს ძველ მოგონებებს,
და ახალგაზრდულ სილამაზეს მოხუცი ქალის.

პ ი ლ რ ე ბ ა

დაგვლოცე უფალო, შეგვინდე,
დამძიმდა ცოდვები საზიდად,
სავალიც გაგრძელდა შენამდე,
სიცოცხლე რაოდენ გაჭირდა...
ვიცი, რომ მომისმენ, მეც აქვე
შენს ფერხთით დავანყე ცოდვები,
უშენოდ სუნთქვასაც ვერ შევძლებ,
ნუმც ვიყო,თუკი დაგშორდები.
ვამბობ და ცრემლები მახრჩობენ,
არ ვთქვა და რით შევძლო მოთმენა,
მოგვმადლე რწმენა და იმედი,
გვაკმარე, გლოვა და გოდება.
რამდენჯერ გვიშველე დაცემულთ,
გულმონყალებით და შენდობით,
მაგრამ კვლავ ტალახში ვეფლობით,
არ მიკვირს,რომ აღარ გვენდობი.

სატანის დაკრულზე ვთამაშობთ,
ვერ ჩამოვიშორეთ ტიალი
და ჩვენი ცოდვების სიმძიმით,
უჭირს დედამინას ტრიალი.
უშენოდ რაც ვთესეთ უფალო,
სულ სარეველებად ვამრავლეთ,
შენს წინ კი ნიღბებში სახენი,
ვმალეთ და ვერაფრით დავმალეთ.
უნიღბოდ ცხოვრება გვასწავლეთ,
რომ ბნელი ნათლისგან გავყაროთ
და მთელი სისავსით შევიგროძნოთ
შენგან ბოძებული სამყარო!

ღ ი ლ ა

თვალი რომ აეხილება,
დილას, უფლისგან დალოცვილს,
მზე გადმოგვხედავს ცხრათვალა,
მინაზე სხივებს გადმოსცლის.
მადლობას ვეტყვი გამჩენსა,
სევდას ხალისი ერევა
და კიდევ ერთხელ ვუმღერებ
სიცოცხლის მშვენიერებას!

ლადო ასათიანის ლექსის გამომცხილი; იმედი არ მიწყენს გუშგუარაზი

მოდის, ერთი ჩვენებური დაუკარით,
ისეთი, რომ ძარღვში სისხლი ამიდულოს,
ახმაურდეს ძველებურად მთა და ბარი,
მტერმა ვინძლო მძინარი არ დაგვიგულოს.
დაუკარით, ისე გზნებით, რიხიანად,
პაპის ძვლებმაც ისმინონ და გაიხარონ,
რომ ქართულად კვლავ მღერიან ამ მიწაზე,
მტერო, მეტად ახლოს რომ არ გაიარო!
დაუკარით ისეთი, რომ ეს ხმა მისწვდეს,
ჩვენს სისხლს და ხორცს, ფერიდანს შემორჩენილს,
იქ, ბადიშებს ქართულად რომ ამღერებენ,
ნენეს, ისევ ქართულ მთებს რომ გამოსცქერის.
დაუკარით, ააკვნესეთ სალამური,
გმირთა სულებს იმედად რომ დაეფინოს,
იმ ძუძუმტეს ესმას, ლუკმას რომ ვუყოფდით,
შერცხვეს ისე, ძარღვში სისხლი გაეყინოს.
ფრთებს კვლავ გაშლი, ჩემო მიწავ, დარდიანო,
მეზობელს რომ ხმას არ სცემდი უბატონოდ,
იმ ჩვენს მიწებს, დარჩენილებს უქართველოდ,
დედა ღვთისა არ დატოვებს უბატონოდ.
დაუკარით, მაშ ვიმღეროთ ქართველებო,
მხიარული, იშვიათად დარდიანი,
მოდის ძმაო, გადამივსე ეს ფიალა,
სადღეგრძელო მათქმევინე მადლიანი!

(ქალბატონი მზია კვირიკაშვილის ხსოვნას)

ჩვენ სიცილის დედოფალი დაგარქვით,
მოგვევლინეთ პოზიტივად, ხალისად,
გვახარებდით, გვაწვებდით სადარდელს,
იმედები გვეძლეოდა ხვალისა.
მაგრამ ბედმა შუა გზაში გიმუხთლათ,
ღიმილები შეგატოვათ ბაგეზე,
დაგიტირათ სრულიად საქართველომ,
გისხენებთ და ცრემლი მომდის თვალებზე.
კულისებში ალბათ აბებს ყლაპავლით,
არ ნებდებოდით სენს განუკურნებელს,
მაგრამ მაყურებლის ერთი ღიმილი,
სულ გერჩიათ ყველა გამაყურებელს.
შემოგვრჩებით ლამაზ მოგონებებში,
ალბათ ისევ გვიღიმიხართ შორიდან,
მაყურებელს მოენყინა უთქვენოდ
და აკლიხართ ქართულ „იუმორინას“.
სული დამაქვს გაუღიმიებელიო,
წუხდით, ჩვენ კი გვაცინებდით ბავშვივით,
ჩვენს გულებში მარად ცოცხლად დარჩება,
ქალბატონი მზია კვირიკაშვილი.

გ ვ ი რ ი ლ ე ბ ი

დილის სიო ცვრიან მინდორს ეფერება,
გვირილებს კრეფს თვალხატულა ასული,
თავბრუს ახვევს ყვაფილების სურნელება
და კითხვები, გვირილებთან დასმული.
გვირილებო, მზისგულება გვირილებო,
მაგ ფურცლებში რამდენ პასუხს ინახავთ,

ამიტომაც ხან ხარობთ, ხან იცრემლებით,
ემსგავსებით მიჯნურებთან წილნაყართ.
მეცოდები ფურცლებს როცა გაგლეჯავენ,
ნეტავ ვისი დაგდებია ვალია?
ვის ვინ უყვარს, ან არ უყვარს, შენ რას გერჩით,
პანანინავ, განა შენი ბრალია?

ს ა მ ყ ა რ ო

ერთ დიდ სცენას გავს ახლა სამყარო,
დროის წიგნს ფურცლავს მემატინე,
ვისთვის ინათებს, ვისთვის ღამდება,
ზოგს ახარებს, ზოგს გაათიანებს.
შეიხსნის ზეცა ღრუბლის საკინძეს,
ცრემლს დილის ნამად აპკურებს მიწას,
გამომათხიზლა ქარმა, ავქარმა,
არეულ ხმებში ვერავინ ვიცან
და შემომესმა ჩიტთა გალობა,
ყვავის ჩხავილი არღვევდა არეს,
ბულბულიც იქვე ვარდის ბუჩქებთან,
ნაღვლიანი ხმით მოსთქვამდა მწარედ.
ვის მისი კენესა არაფრად უღირს,
ზოგიც. ყვავის ხმას გალობად სახავს,
აცილებენ მას. ოვაციებით,
ბულბულს კი თურმე მსმენელიც არ ყავს.
ჯოხს გამეტებით იქნევს მაესტრო,
კულისებმს მიღმა წლებს თვლის დროება...
მინაზე გდია ნოტები ბედის
და ტაშს უკრავენ ამაოებას...

დ ე დ ა

ჩემი სიცოცხლის დასაწყისო,
დიდო იმედო და სევდა,
დღესაც იმ ბილიკით დავდივარ
შენ რომ გამიკვალე დედა.
შენს ნათეს სიკეთის მარცვალზე,
ახლა ნაყოფს ვიმკი უხვად,
არ გადამენდება შენი მონაგარი,
ცეცხლიც კვლავ ანთია ბუხარს.
ტკბილ ჰანგად გულში ჩამრჩენია,
შენი „გენაცვალოს დედამ“,
ბავშვობის ულამაზეს ზღაპარს,
ახლა ობლის თვალით ვხედავ.
შიშით შევყურებდი შენს შუბლზე,
ხაზებს რომ ავლებდნენ წლები,
უკვე უშენოდ მწიფდებიან
დედი ჩვენი ალუბლები.
ჯერ რადგან სიცოცხლე მიღიმის,
კვლავ ავედაევნები ფიქრებს,
საცაა მეც მხრებზე დამათოვს
სიბერე ძალღვივით მიღრენს.
ჩემთან იქნები, დედის წასვლა
ვიღამ დაიჯერა ნეტავ,
შენი ლოცვა და ღიმილები
ახლაც გზას მინათებს დედა.
გისხენებ, გული მინათდება,
ქრება წუხილი და სევდა,
მოდის და ხშირად დამესიზმრე,
ჩემო საყვარელო დედა.

შინდისის გმირები

შინდისის გმირებო, ზეცას გაფრენილნო,
ჩვიდმეტ ანგელოზად ასულხართ მამასთან,
მარადი ნათელი სხივით მოფენილნო,
თქვენი უკვდავება იქუხებს მარადუამს.
თქვენ ხართ უსამართლო ომის ზეარაკები,
თუმცა რომელ ომს აქვს ნეტავ გამართლება,
თქვენი გმირობანი, როგორც არაკები,
ქართველთ არასოდეს არ დაგვაფინცდება.
მტერიც გააოცეთ თქვენი სიმამაცით,
ჰეი, თქვენ! უდრეკნო სულით და სხეულით,
ბოროტი ხარობდა, ეგონა დამარცხდით,
ზეცას სული ანდეთ, მიწას კი სხეული.
ადიდეთ სამშობლო და დედის მანდილი,
გმირნი გაუზრდიხართ საკუთარ უბეში,
გმირების დედობა არაა ადვილი,
მინდა მოვეფერო მათ, დაჭრილ გულეებში.
სამშობლო გეხატათ ზედ გულის ფიცარზე,
სიკვდილი არჩიეთ შერცხვენილ სიცოცხლეს,
ქართული დროშა არ დაუშვით მიწაზე,

**გმირნო,
ჩვენს გულეებში მარადუამს იცოცხლებთ!**

უცხო მიწაზე ტანჯული წლები,
რამდენი ნატვრის ვერ ასრულება,
ძნელი ყოფილა სახლიდან წასვლა,
უფრო ძნელი კი, შინ დაბრუნება.
მომეშემოდგომე...ფიქრის ქარებია,
ღამეს შემოვრჩები, როგორც მთვარეული,
ლექსიც დამეფლეთა, იმედი მივაკერე,

ჰოდა გამოვიდა რაღაც არეული.
თუკი რამეს იგრძნობ, როცა წაიკითხავ,
ალბათ მიმიხვდება გულს რა სევდა მანვეს,
ახლა მონატრება რაღაც სხვაფერია,
თურმე თუ არ გტკივა, ლექსსაც კი ვერ დანერ.
ფიქრში დამათენდა, გარეთ ცელქი სიო,
დაქრის აღმა-დაღმა, ფოთლებს აფრიალებს,
ხედავ? შემოდგომა კართან ატუზულა,
მოდი, გელოდები, ნულარ აგვიანებ.

წუთისოფელი ასეა,
კაცი ვერაფერს გაუგებს,
ვერაფინ ვერას მიხვდება,
მახეს ვის როდის დაუგებს.
ბედის ბორბალი, მბორგავი,
ვისთვის თუ წაღმა ტრიალებს,
ზოგი თვალსაც ვერ გაახელს,
რომ ისე გაატრიალებს.
ვისთვის ვარდით მოფენილა,
გზა-სავალი და ბილიკი,
ნებივრობს არა სწყინდება,
სხვისი დაცინვა, ქილიკი.
ზოგს ლუკმა-პურის ძებნაში
დღე-ღამე უსწორებია,
გადაღლილს უბედობითა,
სიკვდილი მოსდომებია.
არავის განსჯა არა მსურს,
მხოლოდ ეს მინდა გავიგო,
ბედის ბორბალო, რად ბრუნავ

შენ ასე ურიგ-მარიგოდ.
ასე რად უნდა ხდებოდეს,
ზოგი რძე-თაფლით ტკბებოდეს,
სხვა კი ერთ ლუკმას ეძებდეს.
ნაგავში იქეცებოდეს.
არ მინდა, არც შემერგება,
არც მიცხოვრია განცხრომით,
ან როგორ უნდა დავმშვიდდე,
ქუჩა სავსეა მათხოვრით.
როცა ამდენი პატარის,
ხელებს შევხედავ გამოწვდილს,
ყელში ბოლმა მეჩხირება...
არც მინდა ცუდი წამომცდეს.
ამ ღროს კი კაფე-რესტორნებს
ადგილი არ ეპოვებათ,
მოუღებენიათ ბობოლეებს,
არ თმობენ სიამოვნებას.
ქეიფის მერე იქნება
ფეხით გესურვათ გამოვლა,
გენახათ მშიერ-მწყურვალის,
წყალობაც გასცეთ, რა მოხდა.
მაშინ იქნება შეგეგრძნოთ,
მათი თვალების ნაღველი
და ცოტა იქნებ შეფხიზლდეთ,
ამ გაჭირვების მნახველნი.
როდესაც ავტომობილებს,
იყვლით და არჩევთ ფერებით,
იქნება არ დაგავინწყდეთ,
მშიერი ბავშვის ხელებიც.
გაცემულ მადლსაც ნურასდროს,
ნუ ჩათვლით დაკარგულადა,

უფალი ჩვენი, მონყალე,
მოგიზღავთ ერთი-ორადა.
მაგრამ, ვის ესმის ნეტავი,
ეს ჩემი დარდი ტიალი,
ღმერთო ისევ შენ...გვაკმარე,
ბედის უკუღმა ტრიალი.

და ბ ი ბ რ უ ნ დ ე ბ ი !

ფრთები მომემტვრა, ემიგრანტი როცა დამერქვა,
გულიც იქ დამრჩა, საზღვარზე რომ გადმოვაბიჯე,
ამ უთავბოლო ხეტიალში დროც კი გაჩერდა,
მანაც ჯიუტად, სამშობლოსკენ ვითვლი ნაბიჯებს.
ამ ხეტიალში გადავთელე წლები მრავალი,
იმ ქვეყნის გზებზე, სადაც ჩემი არათვერია,
მხრებით დამქონდა ქართველობის ტვირთი და ვალი
და მონატრება იმ ქუჩების, რომ მიმელიან.
გამითენდება ალბათ ერთხელ იმედის დილა,
მეც გავუყვები შინისაკენ მიმავალ შარას,
მინას მშობლიურს ვემთხვევი და ვთხოვ პატიებას,
გადავცემ მრავალ ემიგრანტის ცრემლიან სალამს.
ეს დაკლაკნილი ბილიკებიც შეერთდებიან,
იმ კარიბჭესთან, სადაც ჩემი მინა იწყება,
სადაც ნისლები მთის მწვერვალებს ეფერებიან
და ალიონი მზის სხივების ხელზე ირწევა.
სადაც დედა შვილს ელოდება, შვილები დედებს,
სადაც ქართულად პურს ტეხენ და სიტყვას იტყვიან,
სასიყვარულოდ, სამშვიდობოდ აფრენენ მტრედებს
და გაზაფხულზე უმღერეიან ატმებს კვირტიანს.
მოვდივარ ჩემო, იმ თვესების მესმის ძახილი,
მამა-პაპისგან რომ დამიდის ძარღვებში სისხლად,

მომსუბუქებდა ეს ძახილი. ყველა ტკივილებს
იმედებს გულში მიგროვებდა სულ მისხალ-მისხალ.
დაგიბრუნდები, სიხარულით ზეცას შევწვდები,
შენი სურნელით გადავივსებ გამომშრალ ფილტვებს,
ღმერთო, რა ძალა ქონებია მამულის ძახილს,
იმ ფესვების ხმას, გულის სიმებს ნაზად რომ მირხევს.

ღ ა გ ი ბ რ უ ნ დ ე ბ ი !

ღ ე დ ე ბ ს !

ქალავ, ჩვილით ხელში, ო, რა ლამაზი ხარ,
სამყარო მშვენიდება შენით,
ისე მოაბიჯებ, მტერსაც შეშურდება,
გული აგივსია ღმერთით.
მადლი დედობისა, ღვთისგან ნაბოძები,
შენგან რამდენ პასუხს ითხოვს,
შენ ხარ სასწაული-მშობი სიცოცხლისა,
შენში გაზაფხული კვირტობს.
ცხრა თვე ღვთისმშობელმა, ხელებით გარწია,
ფარად ანგელოზი გადგას,
მეორე სიცოცხლე, შენში რომ ფეთქავდა,
ხელში აყვანილი დაგყავს.
ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი მშვენიერი,
ტუჩზე ალუბალი გმნიფობს,
მკერდზე მიგიკვრია შენი სიხარული,
თითუნებს უბეში გიყოფს.
ახლა შენი გული სამყაროს დაიტევს,
შვილის ხელი გადევს მხარზე,
გავსებს, გაძლიერებს და უფალს ავედრებ,
მუდამ ბედნიერი გყავდეს.
შვილის თვალებიდან ღვთის მადლი იღვრება,
ზეცას შეჰყურებს და ხარობს,
დედაღვთისმშობელმა კალთა დაგაფარა,
დედა როცა გახდი ქალო

გ ა ი ლ ი მ ე თ

როცა აგვისტო ცხელ ფრთებს აკეცავს
და სექტემბერი მოდგება კართან,
ვიხსენებ ძველ დროს...სკოლას,მეგობრებს,
როგორ ველოდით...როგორ გვიყვარდა.
ჩვენ არ გვქონია „აიფონები“,
ინტერნეტ სივრცეს არცკი ვიცნობდით,
მაგრამ ვიცოდით ვინ სად იყო და
ვის ვინ უყვარდა, ისიც ვიცოდით.
არც „ოდნო“ გვქონდა, არც „ფეისბუქი“,
„მესიჯებისთვის“ გვქონდა მელანი,
ათასი უცხო მეგობრის ნაცვლად,
ცოტა გვყავდა და ნაღდი ყველანი.
ონლაინ რეჟიმს ჩვენ არ ვიცნობდით,
სასკოლო რეჟიმს გვაცნობდნენ მხოლოდ,
არა „ვმაზავდით“ არც „შატალოსა“
სასჯელსაც ერთად ვიხდიდით ბოლოს.
თავისუფალ დროს ბურთი გვართობდა,
შინ ვრუნდებოდით სველი „მაიკით“,
ერთმანეთს არ ვეკამათებოდით,
ვის აქვს ფოტოზე მეტი „ლაიქი“.
ყველა დროს ახლავს პლიუს-მინუსი,
მეც დამიმონა ინტერნეტ სივრცემ,
მიდის ცხოვრება ავკარგიანი
და მეც ფეხდაფეხ მაუსით მივდეგ.
მე მომიტევეთ ეს ჟარგონები,
თუ მოვინდომე ცოტა გართობა,
უთქვამთ, ღიმილი წამალიაო,
ხომ გაგახსენეთ ახალგაზრდობა.

ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ი

ლექსად გავბედავ სავედრებელს წმინდა მარიამ,
მე ერთი ევა, ცოდვილი და არათურის შემძლე,
ჩემი სამშობლოს უბედობით შეწუხებული,
ნუ მიგვატოვებ, მონყალეო, ქართველთა შემწე.
დედა ვარ, რა ვქნა, მტკივა ჩვენი შვილების ბედი,
გავგინახევრეს საქართველო, მთლად დაგვიფლითეს,
საკუთარ მიწის დასაცავად გვიკლავენ შვილებს
და ვკარგავთ ასე, ლომგულა და საჯიშე ბიჭებს.
დედის ვედრებას აბა უკეთ ვინლა გაიგებს,
სისხლის ცრემლებით მიაცილე შვილი ჯვარცმამდე,
ო, ღეთისმშობელო, რით ითმინე მისი წამება,
დედავ, მართალო, უწმინდესო მიწიდან ცამდე!
ხედავ, მთლად უცხო ჩვენს მთა-ველებს თავისად ჩემობს,
შენს წილხვედრ მიწას ერთ ღროს ძლიერს რა დამართნია,
კალთა გვაფარე, სანამ ფეხზე დგას საქართველო,
რომლის გულშიაც ქრისტეს წმინდა კვართი მარხია.
ერთი ცოდვილი დედა ცრემლით დაგიბან ფეხებს,
ბევრჯერ დაცემულთ ტკივილები შენ მოგვირჩინე,
გაყინულ სულებს მოგვააფარე ისევ იმედი,
ოღონდაც ჩვენი საქართველო გადაგვირჩინე.
ისმინე დედავ ეს ვედრება და აღსარება,
ოღონდ სამშობლოს ცაზე ავად ნუ განვიმდება,
მოგვეც ნუგეში და იმედი, რომ მომავალში
იბერია კვლავ აყვავდება და გაბრწყინდება!

ახლა რად შემხვდი, ლოდინით დაღლილს,
როგორც ყაყაჩო, წითელ კაბითა,
ახლა, როდესაც თმებზე დამთოვა,
ულამაზესი წლები გავიდა...
მზეც რომ გადასცდა უკვე შუადღეს,
და აღარც გრძნობა მოდის ალებად
მგონია გულსაც კი დავაჭერე
იმ სიყვარულის გარდაცვალება.
ვეღარ მოგიტან იმ წითელ ვარდებს,
რომ გპირდებოდი წლების გადაღმა,
თურმე ყველაფერს თავისი დრო აქვს
და ის ვარდების ბალიც გადახმა.
კვდება ლოდინით დაღლილი გულიც,
თუმცა ამ გრძნობას კვლავ შეინახავს,
ჩავივლი ისე, ვითომც ვერ გნახე
და არც ეგ კაბა არ დამინახავს.
სად არ გეძებე, როგორ გელოდი,
შენ ჩემი თავი რამ დავავინწყა,
შემომალამდა შენზე ფიქრებში
და მოთმინების ძაფიც გამინწყდა.
თან გამიყოლებს ცხოვრების ნავი,
ეულად, როგორც დღემდე ვიარე,
ბედნიერება თურმე ისაა
სიყვარული რომ არ აგვიანებს.

მ ზ ა ზ ა რ

ევა ვარ, ნუ მომთხოვ ანგელოზს ვედარო,
გულში კი სინანულს დიდი აქვს ადგილი,
უფალთან რამდენჯერ მუხლებზე დავეცი,
მასთანა ვარ ყველაზე ალალი, ნამდვილი.
ევა ვარ, ნაძერწი ადამის ნეკნიდან,
ცოდვიან ცდუნებას ვერ გადარჩენილი,
ავყევი გველის ხმას, ის ვაშლიც ვიგემე
და დავრჩი ედემის ბაღიდან დევნილი.
მანც მოუთმენლად ველი გაზაფხულებს,
ვარსკვლავებს შევხარი მოვარიან ღამეში,
უფლისგან წყალობად ნაბოძებ დედობას
ნაზ თიანდაზებად იმედებს გავუშლი
და ვიდრე ღალატი ვიგემე მავანის,
მზის სხივებს ვაგროვებ უმწეო ხელებით,
შვილების თვალებში ანთებულ იმედით,
სავალს ვიფერადებ ათასგვარ ფერებით.
ევა ვარ, რამდენჯერ მატკინეს, ვატკინე,
იარას ვაფარებ მზით გამთბარ ხელისგულს,
ბოშა ალვისტანა კალთაზე კარტს მიშლის,
ფრთხილად გპარავენო საყვარელ კაცის გულს!
ევა ვარ, ქალური ტვირთით და ცრემლებით,
გული ან როდემდე იტანჯოს, გოდებდეს,
სიყვარულს დავეძებ, ჩემს წილს და ჩემეულს,
ის ჩემი ადამიც მომძებნის ოდესმე
და თუკი სარეცელს ცეცხლი მოედება,
ჩემში აენთება გრძნობების ალია,
ნუ გაგიკვირდება, თავს თუ ვერ ვერევი,
ეს ჩემი კი არა, იმ ევას ბრალია.



ირაკლი მურვანიძე

ეხლაც ასეა-ტალღები მოშიშინდება და გაშიშინდება...

.....ის ოთხმოცდაათიანი წლების დაკარგული თაობის წარმომადგენელი იყო.....იყო, არ გამაგონოთ.... ირაკლი მურვანიძის გვართან და სახელთან, მხოლოდ თავისუფლების მატარებელი სული დგას. სული და სხეული, რომელიც სულ ძიებაში იყო.....გარბოდა, საზღვრებს ანგრევდა და ლაბირინთებში გზას იკვლევდა, ყველა წინაღობას ეურჩებოდა ახალგაზრდული შემართებით, ცხოვრების გზაზე მრავლად რომ ხვდებოდა.....ახალგაზრდა და ნიჭიერი, თავიდან ვერ ხვდებოდა, რა დააბერტყა უფალმა საჩუქრად საქართველოს მიწის შვილად რომ დაიბადა. „მინა ძმა ჩემი“-წერს ერთ-ერთ მოთხრობაში. ასეც მოხდა....მისი მეგობარი ის მინა გახდა, რომლებიც უფალი დააბიჯებდა.....ბათუმელებს მისი უსაზღვრო ნიჭით არ გაუხარიათ. მგონი არც გაუგიათ, რომ ერთი ალანცარია ჭაბუკი, თავისუფლების უსაზღვროდ მოყვარული ახალგაზრდა, საუკეთესო ქართული ტრადიციების მიმდევარი ერთგული მამა გახდა, მოსიყვარულე მეუღლე და მეგობარი. უსიტყვოდ ესმოდა დედის გულისცემის, არამეუღლიც შეისწავლა, რომ უფალთან მის ენაზე ესაუბრა...რატომ მოგიყვებით?! იმიტომ, რომ ახლა ირაკლი მურვანიძის მოთხრობები წარსდგება თქვენს წინაშე და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს ტიბეტის მაღალი მთებიდან გადმოგზავნილი წერილებია, რომელშიც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული დევს. „მე უკვე მზად ვარ

უფალთან წარსადგენად“... „მინა ძმა ჩემი“... „სამშობლო არა-
სოდეს მიატოვოთ“... „ნურასოდეს გაეცევიო რეალურ ცხოვ-
რებას“... „მე ვარ შენი დერვიში შვილი ჩემო საქართველო“...
გარწმუნებთ, რომ ირაკლი მურვანიძის მოთხრობები, ნახევ-
რადაც კი ვერ გადმოცემს იმ უსაზღვრო ნიჭს და გულისთქმას,
რაც 32 წლის ჭაბუკს უნდოდა ეთქვა. ბათუმში. ჩემს ქალაქში
ვარ. მზევ ისე ჩადის რა?! ზღვაც და მუსიკაც ერთმანეთთან არიან
დაამხანაგებელი. ზღვაც უნგის ფერია და მეც. ...ცალი ფეხი
მაქვს გადმოდგმული ჯიჰიდან. ცალი ხელი ქალის ცალ ფეხზე
მიგდია და მგონი ვილიმები. მანქანა სულ ახალია, რძისფერი და
კოხტა. ქალიც ახალი მზის ფერი და კუდრაჭაა. ტალღა მოში-
შინდება და გაშიშინდება. მზეს ვუყურებ და ვხედავ დელფინების
დიდ ჯგუფს, რომლებიც გვიახლოვდებიან ხტუნვა-ხტუნვით.
ვუყურებ და მიხარია. უბრალოდ მიხარია, მეტი არაფერი. -
ანტონიოლოლო-მესმის ხმა. მოვიხედე-ჩემი მეზობელი ლაზო.
ვაააა, ლაზო ბებო, საიდანო? ლაზო არაფერს მეუბნება. ისე
იეზიდურად მილიმის. მილიმის და ილიმოს. ესეც კარგია. ლაზო
ნელ-ნელა მიახლოვდება. დელფინებიც... რომელი მოასწრებს
არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე. ერთადერთი სურვილი მაქვს-მა-
ლე ვნახო საკურიმა, ჩემი საკურიმა. მანქანას ვატრიალებ და
მივდივარ საკურიმასთან. ჩემს ქალაქში ვარ. (ი. მურვანიძე)

...კი, აქ ხარ ჩემს გვერდით, ჩვენს ქალაქში! როგორ
მინდოდა ჩემი ნაწერებიც წაგეკითხა...

ეხლაც ასეა-ტალღები მოშიშინდება და გაშიშინდება...

2016 წელი, 19 ნოემბერი.

ინგა გოგიბერიძე

ირაკლის სიცოცხლე... ვაჰ ირაკლი მოსულა... ისმოდა ხმები
სამინისტროს მისაღებიდან... მერე ირაკლიმ სიყვარული და
სიხარული შემოაფრქვია ოთახში შემოსულმა.... მადონას გაუ-
ცინა... საქმე მაქვსო... მერე მეც შემამჩნია ოთახის კუთხეში... შა-
ვებში გახვეული და უაზროდ დაღლილი....მამის გარდაც-
ვალება რომ გაუსაძლის ტკივილად მექონდა გადაქცეული....
უცებ თვალებში სევდა ჩაუდგა... შემომხედათვალებით
მაგრძნობინა, რომ ტკივილი ესმოდა ჩემი... უხმოდ გავიდა
ოთახიდან... სევდიანი თვალები.... მე, დღესაც ამ თვალებით
მიცქერის ირაკლი... უსასრულობიდან... ჩვენ ყველანი დავ-
ბერდით.... მხოლოდ ჩვენი ბებერი შავი ზღვის ტალღებია ისევ
ისეთი, როგორიც ირაკლის უყვარს.... წვიმაც ისევ ისე
წვიმს....მზეც ისევ ისე მზეობს.... ირაკლიც ისევ..... ახალაზრდუ-
ლი შემართებით... სიყვარულის ფრქვევით... სიხარულით
გაცისკროვნებული.... თავისუფლებით ფრთაგაშლილი... ერუ-
დიციით და განათლებით გამორჩეული... აზრის და არსის
მძებნელი... ჭიქურ შემტევი... თავმდაბალ-თავაზიანი.... ამაყად
თავანუელი.... დადის უსასრულობაში.

ქეთი გეგუჩაძე
2016 წელი. 20 ნოემბერი

ვზივარ თავჩარგული. ვისრეს თვალს, ცხვირს.
მერე დავხედავ ცარიელ ფურცელს და ზვაფივით მომანყ-
დება სათქმელი...
ენა დამახინჯებული.
ტვინი გამოლაყებული.
გემოვნება უხამსი

ასე და ამგვარად.
სამწუხაროა, სამწუხარო.
რა უნდა ვწერო, ზუსტად ისიც არ ვიცი.
ვწერ-მერიდება. (ვისი?) ვამბობ-მერიდება (რისი?)
გამუდმებით თვითგვემა. გამუდმებით გაორება! გაოთხება!
„მე“-განთხლევა მრავალ მეში. ასეც და ისეც. სახელი რომ
სახელია, ისიც არ ვიცი რა მქვია.
გრძნობა გაბლაგვებული. ხელი დაუძლურებული.
შფოთვა... ქალი?
შფოთვა... კაცი?
ღმერთი? შფოთვა-ყოფა უმაღლესი
მინა უმადური.
მადლი უმადლობის.

წლები მეტეორებივით მიქრიან. მეტეორები-წლებივით.
ჩვენ ადგილზე ვართ გაყინულნი და არც მეტეორების გვჯერა
და არც წლების.
და წლები მანც თავისას შვრებიან.
სადღაც, შორს, სიღრმეში. არაფერი იცვლება. საიდან შეიცვ-
ლება?
არის ღრო-ყველაფერი საინტერესოა: წიგნი, მუსიკა, კინო,
თრობა...
და არის ღრო და არაფერია საინტერესო, მიმზიდველი,
თბილი, მშფოთვარე. ეპითეტები კარგავენ მნიშვნელობას.
ალეგორია სიტყვის თამაშია ოდენ. ადამიანი პლასტელინის
არსებაა. სისხლი-დაქცეული წყალი. სიკვდილი-ცვალებააღობა.
პოეზია, პროზა, მუსიკა, ხატვა-ალარც მიფურთხება გინდა...
იყოს რა!

ღმერთი მართლა აღარ გახსოვს.
იჭვი მოიზღაზნება: იქნება ასე ჯობია ყოფნა. იჭვთან ერთად
კრუნჩხვიანი ტკივილი.
რატომ?
წლები მეტეორებივით მიქრიან.

„ასე ბიჭო და ისე ბიჭო“ „ისე ბიჭო და ასე ბიჭო“.
უმეორებდა ერთი პროვინციული ქალაქის ტაქსის მძღოლი
თუთიყუშს, რომელიც შვილმა მოიყვანა და სახელად სომხური
ბულბული დაარქვა, როცა... გარეთ ინგრეოდა წვიმისაგან
პროვინციული ქალაქი, სადაც თუთიყუში, ტაქსის მძღოლი და
მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა.

სულს წყურია გაკვირვება, გაოცება სწყურია

„თავისუფლება სულს ისე
მოსწყურდა...“

ღიახ, მოგწყურდა თავისუფლება. მოგვებზრდა მონობა.
მოგვინდა გაკვირვება,
გაოცება... ჩენი ადამიანობით გვინდა გაოცება.
მიტინგებმა გაგვაკვირვეს.
ახალგაზრდობამ გაგვაოცა, (რა დიდებული ახალგაზრდო-
ბა გვეყოლია ხალხო!)...
ქრისტემ გაგვაოცა.
გაგვაოცა მონასტრებმა.
გაგვაოცა ქართულმა გალობებმა.
გაგვაოცა, გაგვაოცა...

გავგაოგნა თანამოძმის მიერ ხელში აღებულმა მახვილმა (ქართველმა ქართველზე ხელი აღმართა).

მერე გაკვირვებულად მოგვწყინდა და გაოცებულად, მხოლოდ გაოცებას არ გადაუვლია და არც გადაივლის.

ცხოვრება გრძელდება მონოცენტრულად, რადგანაც ადამიანის გული უძირია. რა ვქნათ?

უცადოთ როდის გადმოგვივლებენ „მზრუნველი მთავრობიდან“ ერთ სიტყვას იმაზე, რომ ამერიკაში ღია ჩემპიონატი ჩატარდა ფეხბურთში, იტალიაში-გაზების გამოშვებაში, იაპონიაში-ყვირლში? ეჰ!!!

საბჭოეთში დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის გაკვირვებაცა და გაოცებაც ახალი ხილია (გაოცებაზე აღარას ვამბობ). ჩვენი ცხოვრება დღემდე სიყალბეზე იყო აგებული, ყალბ გაკვირვებაზე და საერთო სიცრუეზე. ყველაფერს, დღემდე მოყოლებულს შეგიძლია დაარქვა ერთი სიტყვა-„ვითომ“.

„გვიკვირდა“ - როგორ იკლებდა თავისთვის შაქარს ულიანოვ-ლენინი და ბავშვებს უგზავნიდა (სინამდვილეში კი ბავშვიჭამია იყო).

„გვიკვირდა“ - ჩვენი „მამის“, ჯულაშვილ-სტალინის „წყეულიმც იყოს“ გულმონწყალება.

ჩაფიქრდებოდით ხოლმე, როგორ იტევს მისი პატარა და ნაზი გული ამდენ „სიყვარულს“, როგორ ზრუნავს თითოეულ ჩვენთაგანზე.

„გვიკვირდა“ ენაბლუ და იდიოტი ბრეჟნევის გმირული ცხოვრება, გადარეული ყამირზე და... ახლაც გვიკვირს გორბაჩოვის.

მართლა გვიკვირდა? უბედურება ისა, რომ მთელ თაობებს მართლაც აოცებდა ყოველივე ეს. ჩვენ კი მათი გაოცება გვაოცნებს.

მაოცებს ტრაქტორიო, მაოცებს კოლექტივიო.

მაოცებს პროლეტარიატიო, მაოცებს მაროზოვიო, (სინამდვილეში მამის მკვლეელი კომკავშირელი იყო).

მაოცებსო, მაკვირვებსო...

მორჩა!

ღმერთმა შეგარგოთ, ჩვენო მამებო რაც გაოცებდათ.

ტვინს საკვები სჭირდება.

ტვინს გაოცება სწყურია, (ოღონთ მართალი).

სულს სიახლე სწყურია, სწყურია გიჟივით.

ყოველ სიახლეზე გვაცახცახებს ბნელიანივით, რადგან მიუჩვეველი ვარ.

მე რომ მითხრან ავტობიოგრაფია დანერეო, დაახლოებით ასე დავწერდი:

„დავიბადე“ „უძრობის“ პერიოდში, ამიტომაც დედის ერთა გავიზარდე იმ ეპოქაში, როცა ადამიანთა უმრავლესობა წუმ-პეში ისხდა და გულზე ხელის ბაგუნით გაჰყვიროდა კომუნიზმს და კომკავშირს, მის პატარა ძმას, გაუმარჯოსო! პიონერია სიცოცხლის მომავალი ღიმლიაო! გაუსწროთ ამერიკასო! დამპალი კაპიტალისტები ცივი ომისთვის ემზადებიანო!

და კიდევ ათას აბდაუბდას.

და აი პირველი გაოცება-მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

ნუთუ...! ნუთუ...!

მიდიოდა ჩურჩულით ლაპარაკი, რადგან სუკის კენტავრის თვალი ყველგან იყო.

გრიზა რობაქიძე, რობაქიძე... ოო! ხელნაწერები გულაგის არქიპელაგის!

თურმე პასტერნაკი ყოფილა.

თურმე ახმატოვა ყოფილა

თურმე გემილიოვი ყოფილა.

თურმე ღმერთი ყოფილა

თურმე, თურმე, თურმე...

ღმერთო ჩემო! დამონებული ვყოფილვართ!

დამოუკიდებელიც ვყოფილვართ! ქაქუცა დიდი რაინდი ყოფილა...

გაოცება კი არა, გაოგნება იყო ეს. სიხარულთან წილნაყარი, თავზარდამცემი გაოგნება.

დღეს?

დღეს ეს ყველაფერი როგორი ახლობელია ჩვენთვის. როგორ შორეულ მოგონებად იქცა ის დრო, როცა სუკი თავის ბინძურ ხელებს სულში გვიტათურებდა.

დღეს შობას ერთმანეთს ვულოცავთ, ერთად სანთლებს ვანთებთ ეკლესიებში, ერთად დავდივართ მიტინგებზე. ერთად ვვოცდებით ქართული გენის უკვდავებით. თრთოლა გვიტანს 9 აპრილის გახსენებაზე...

ერთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც თვეში ხუთჯერ მთლიანად სცვლის თავისი ოთახის განლაგებას და ისეთ რაღაცეებს აკეთებს, ცოტა არ იყოს აფრაკად გეგონება ჭკუაზე, მაგრამ, როცა ვკითხე რა საჭირო იყო ეს, უბრალოდ მიპასუხა-სიახლე.

დიახ, სიახლეა გაკვირვება, გაოცებაც და გაოგნებაც. ის სჭირდება ადამიანს, როგორც უდაბნოში მყოფს წყალი, და თუ არა სიახლე, ადამიანი იღუპება, ზემეურად ლპება.

ზოგჯერ დიდ დროს ვახმართ იმას, რომ სხვები გავაკვირვოთ და სულ გვავიწყდება ის, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვეძებოთ გაკვირვების მომენტი საკუთარი თავისთვის, გაოცების მდგომარეობა. თვინიერ ამისა წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება.

სიცოცხლე დაუოკებელი სწრაფვაა სიახლისკენ.

„მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“

„მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამ ყოფილა“

წმინდა ილია მართალი

მე ვიყავი უსამშობლო კაცი-სამშობლო დაკარგული და სამშობლო მკვდარი.

ჩემი „სამშობლო“ უზარმაზარი იყო-ბაშკირეთში თუ უღმურტელში, რუსეთში თუ უკრაინაში, აზერბაიჯანში თუ ტაჯიკეთში, ურალში და ყირგიზეთში...

ჩემი „სამშობლო“ როსკიპი ქალი იყო - მე უამრავი ძმა მყავდა...

რატომ?

სადღაც, ოდესღაც, ვილაყამ...

რევოლუცია... წითელი... პროლეტარები...

ჩემი „სამშობლო“ ჩემი კუჭი იყო.

ჩემი „სამშობლო“ უაზრო ერთიანობა იყო.

რატომ?...

მე ვიყავი უსამშობლო კაცი სამშობლო დაკარგული და სამშობლო მკვდარი.

-რატომ ჩქარობთ? ხომ იცოდით? ვინ იყო აღმაშენებელი, რუსთაველი, ჭავჭავაძე. ხომ იყავით გელათში? ვარძიაში? ხომ ნახეთ ხახულის ხატის სიღრმე, თქვენ ხომ ქართულად ლაპარაკობდით?

- ღვთის გულისათვის თავი დამანებეთ!

- თავი დამანებეთ?

არცერთი არ არის ცალკე აღებული სამშობლო...

- ვინ ხარ შენ სამშობლოვ?!...

„ცვარიან ბალახზე თუ თევზშიშველი არ გაიარე“...?

„სამშობლო მიწის ნაგლეჯია და სხვა არაფერი“...

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“...?

„სადაც“?

„როგორც“?

„ვინც“?

„რაც“?

„სამშობლო“?

„საქართველო“?
„მამული“?
მამული...
მამული...
მამულის...
მამული-სიყვარულია.
სიყვარული-ავადმყოფობა.
ვინ ხარ შენ საქართველო?!

ფიქრები ჩინურ კაბოდაში

ტელეფონის ზარმა დარეკა. დედაჩემმა აიღო. მეძახის. ვინ არის არ მეუბნება. მივდივარ ტელეფონთან ბარბაცით. ვიღებ ყურმილს. ჯერ არათფერი ისმის. ალო-ვხროტიწებ. ერთი ქალი მახსენდება. გამუდმებით ასეთ ფრაზას მიმეორებდა-„წარმოგიდგენია! მგელივით ყბილი მინდა“. სულ მიკვირდა. ახლა უცებ შემეშინდა, ყურმილში მგელის ყბილი არ გავიგონო თქო.

„დაახლოებით ოცდამესამე საუკუნე იღვა. თუ არ ვცდები, დედით ესპანელი და მამით ჩინელი ყვაავილების მინდორში წამოწოლილიყო და საკუთარ ფეხებს ელაპარაკებოდა. ფეხები არათფერს ეუბნებოდნენ. ერთმანეთზე გადადებულები გაკვირებული უგდებდნენ ყურს თავიანთ პატრონს, რომელსაც მეტისმეტად ალაჟლავებოდა ლოყები და ხმადაბლა ეუბნებოდა-ეხლა ვინმე რომ მისმენდეს, გიჟი ვეგონები, ვინ დამიჯერებს რომ ფეხებს ველაპარაკები და თქვენ ჩემი გესმით. არავინ. ამიტომაც წამოგიყვანეთ აქეთ. ერთადერთი მეგობარი თქვენ დამრჩით და მე მინდა გითხრათ, რომ...“

ამ ღროს რაღაც ხმაური გაისმა და ჩვენმა მოქმედმა გმირმა საუბარი შეწყვიტა. თავი წამოყო და ირგვლივ ყურადღებით მიიხედ-მოიხედა. მინდორში არავინ იყო. შიგადაშიგ ყვაავილს

თუ დააჯდებოდა ბოთლიანი სამურაი და ისიც მალე გაფრინდებოდა. ბოთლიანი სამურაები ამ მხარეში იშვიათობა არ იყო და დიდ გაკვირვებას არ იწვევდა.

აურელიანო დაფიქრდა. (ხო, ჩვენ გმირს აურელიანო ერქვა, ნათლიის წყალობით, რადგან ნათლიამისი სამხრეთ ამერიკიდან იყო და მარკესს შვილიშვილობდა). ხმა ნამდვილად იყო, თანაც დელფინის. არა და, აურელიანო შეეცდომლად ცნობდა დელფინის ხმას, ტყუილად ხომ არ იმუშავა დელფინარიუმში 80 წელი ახალი ჯიშების გამომგონებელ-რაციონალიზატორად? ხმაური განმეორდა, ახლა უკვე აშკარად, აურელიანომ თავი შემოაბრუნა და დელფინის ცხვირი პირდაპირ თვალში შეერჭო.

დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა თვალის გუგამ ამოვარდნაც ვერ მოასწრო, უბრალოდ სისხლმა გაასხა. დელფინი უკან გაიწია და აურელიანომ ტკივილი გაითავისა, შეითავისა, მერე შეითრთხილა და თეთრ ღრუბლებს შეერია“.

ცოტა ხანი სიჩუმე ჩამოწვა ყურმილში.

-როგორ მოგწონთ?-გაისმა მერე შემპარავად.

რა უნდა მეთქვა, ავიღე და ყურმილი დავახეთქე გულ-მოსულმა. აურელიანო ხომ მე მერქვა.

სოზარი

ჰასკუალე ნამდვილი სახელი იყო. ისე გიას ეძახოდნენ უბნელი მწერები. სოზარი ბავშვობაში დაარქვა პირველ სადარბაზოელმა კატამ. კატა ყველას სახელს არქმევდა. მასაც ჰქონდა შერქმეული სახელი-სოზარი. სულ სახურავზე დაძრწოდა. სოზარი ნამდვილი სვანური სახელია და ალბათ კატას იმიტომ

დაარქვეს, სიმაღლე რომ უყვარდა. თანაც სოზარს განსაკუთრებით უყვარდა სიმაღლე, ან სახურავზე იყო, ან სატელევიზიო ანძაზე, ან ხეზე. ძაღლებთანაც ძმაკაცობდა, ერთი მოშინაურებული ტარაკანა ყავდა-სიმა. იმას მიჰქონდა სოზარისთვის ახალი ამბები: იმან მოუტანა პირველად ამბავი, ეზოში ახალი ტიპი გადმოვიდა საცხოვრებლად-პასკუალეო-კვდებოდა სიცილში სიმა.

რა სახელია პასკუალეუუუუუუ.

სოზარმა, სანამ დიხლოფოსი არ დაასხა, მანამდე არ გაჩერდა.

ისე მგრძნობიარე ვინმე კი იყო სიმა. დიხლოფოსს იმიტომ ხმარობდა სოზარი.

ერთ კვირაში პასკუალე ეზოში უცებ შეეფეთა სოზარს. სოზარს მოტკლეცილი შავი ჯინსები ეხცა, მაშინ ახალგამოსული იყო, შავი ლა კოსტა-ს კაპიშონიანი მაისური და შავი ლენონები ეკეთა, ავ თვალს არ დაენახებოდა. პასკუალემ გვერდი ისე აუარა გეგონება ერთი ჩვეულებრივი კატა იყო სოზარი. ისე გაბრაზდა სოზარი, რომ ხელად გია დაარქვა ახალ მებობელს. გია არავინ იცოდა რას ნიშნავდა. მათ შორის პასკუალემაც და ნერვები ეშლებოდა, გიას რომ უძახოდნენ. სოზარი კი გულს იმშვიდებდა. აი, ყურადღება რომ არ მომაქციეო. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ პასკუალე და სოზარი ცოტა ხანში ერთმანეთს შეასკდებოდნენ.

პასკუალესკენ მთელი უბნის ორსულები იყო, (ჩუმად გეტყვიოთ, ყველა სოზარისგან იყო ორსულად და ახლა ჯიბრის ამოყრას ლამობდნენ) ორსულებთან ერთად ეზოელი იაპონელი მამლებიც სულ 42 და წვრილმან-წვრილმანი მავთულები.

დანარჩენი ყველა სოზარისკენ იყო. მოკლედ 9 მაისია. სოზარს დილას ქანთარია გაახსენდა, ბერლინში რომ რაიხს-

ტაგზე დროშა აღმართა და გადაწყვიტა საჯარო ბიბლიოთეკაში წასვლა. ქანთარიას ოჯახთან სოზარს დედამისის ხაზი აკავშირებდა, რაღაც შორეულ ნათესავად ერგებოდა და სოზარიც ამაყობდა ქანთარიებთან ნათესაობით. თუმცა ყველაფერი ეს სუფთა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. საჯარო ბიბლიოთეკაშიც იმიტომ დადიოდა, რომ სამამულო ომისადმი მიძღვნილი სტენდი დაეთვალიერებინა.

ისე, მართალი გითხრათ, სოზარის ცხოვრებას ობიექტური ელფერი მაინც ქონდა. თუმცა მის ცხოვრებას არა აქვს.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, 9 მაისს, დღის 12 საათზე პასკუალე, 42 იაპონელი მამალი, ეზოს ყველა ორსული და წვრილმან-წვრილმანი მავთულები დახვდნენ მოკლე შარვალში და ფართო ფარფლებიან ქედში გამონცობილ სოზარს...

ამ ამბის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ჩვენს ეზოში დღესაც დგას ძეგლი, სადაც პასკუალე ხელში თავის კატით დგას და იღიმება. ძეგლს აწერია: „გიას სოზარისაგან“. ასეთი დამთხვეული ეზო გვქონდა.

ნოზღვაპეპლარი №56

ნაწილი №1

შენიშვნა: ნაკითხვა არ შეიძლება

ყმანვილობაში რომ შევიდა, მაშინ მოტყდა პირველად ფეხი. ისიც მისი ბრალი არ იყო. სერაუს არც უხაროდა და არც სწყინდა მისი ფეხის ამბავი. მეორე ფეხი იყო დაღლილი. თორემ, მას რა. ორი თვის თავზე ქობულეთში წაიყვანეს განთქმულ ექიმბაშთან.

ექიმბაშმა ჯერ სასწორზე შემოდო და მერე მდულარე წყალში ჩააყოფინა ფეხი. სერჯს აენვა, მაგრამ რის თითიყუში იქნებოდა რომ ეტირა. თანაც წარმოშობით ეთიოპიიდან იყო. მისი ბაბუა მამიდან, მასაის ტომის ბელადის საყვარელი ჩიტი იყო და ლომებზე სანადიროდ იქამდე დაყავდა, სანამ ნადირობისას ერთ-ერთმა მასაიმ, ლომის მაგივრად, მას არ გაურჯო შხამიანი შუბი. ამბობენ სამი დღე იცოცხლა კიდევ მაკატომ „ასე ერქვა ბაბუამისს“ და ერთი არ დაუკვნესია. სერჯს რომ დაეკვნესა გამოდიოდა?

ჰოდა, ინვა ახლა სერჯი სახლში ქობულეთიდან ახალ ჩამოსული და გერმანიის „პოვი და ბერსს“ უსმენდა. ცალი ფეხი შეხვეული ჰქონდა და ბუზი იგორი აჯდა ზედ და თვალეხს უფათხულებდა. მეორე ფეხი ცივწყლიან ტაშტში ჰქონდა ჩადებული და იმ თუთიყუშზე ფიქრობდა, ვინც პირველად სიგარეტი მოანგვინა სამტრედიის სადგურზე.

ისე სერჯი არც სიგარეტს ეწეოდა, არც ნარკოტიკებს ხმარობდა. ერთხელ ბავშვობაში დეიდაშვილს რომ გამოუცხადა-მე მუსიკა მაკაიფებსო, იმის მერე არ დაურღვევია აღქმა. ერთი იყო სამტრედიის, სადგურზე და ისიც დაგინებული იყო და არ გამოდიოდა. სხვათაშორის სერჯი არ იყო უბრალოდ მსმენელი, როგორ რუსები იტყვიან „Всего лишь“. არა. დედის წყალობით, ბავშვობაში ვიოლინოზე და ფლეიტაზე დაკვრა ისწავლა. საკმაოდ კარგადაც. დეიდაშვილმა თავის დროზე ბრევიც ასწავლა, რომელიც უანრიმ, ანუ დეიდაშვილმა, მინსკში დაამხეცა სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტში რომ სწავლობდა.

ბაბუამის მაკატოდან გენეტიკურად რომ ჰქონდა პლასტიკა და ბგერითი აღქმის საუკეთესო მანაცემები. თუმცა სერჯი უფრო მეტს უსმენდა, ვიდრე უკრავდა და დაფრინავდა. მუსიკის ბრალი იყო რომ ფრენა ერთი პერიოდი თითქმის დაავინწყდა. სანამ სინგაპურიდან ტურისტური ჯგუფის ხემძღვანელმა SONY-

ს ვოლქემენები* არ ჩამოიტანა, მანამდე არც უფრენია. ვოლქემენი რომ გაიკეთა და გაფრინდა, სწორედ მაშინ მოიტეხა ფეხი. მოტყდებოდა, აბარა! რა თუთიყუშის საქმეა ფრენა.

სერჟისთვის მანაც მეორეხარისხოვანი საქმე იყო ფრენა. ერთი ოცნება ჰქონდა. ვინმეს მოთხრობაც დაეწერა მასზე, ასეთი სათაურით: „თუთიყუში, რომელსაც ძალიან უყვარდა მუსიკა“. ეს ისე...

სერჟი არ იყო ისეთი თითიყუში ვისთვის ამ ქვეყნიური სახელი ბევრ რამედ ღირდა. თქვენ წარმოიდგინეთ არც თურქეთში იყო ნამყოფი და არც სირიაში. ისე მეგობრები კი ჰყავდა ვინც დადიოდნენ. მაგრამ თვითონ არც ტყავის „კურტკა“ ჰქონდა და არც „ზაგრან პასპორტი“.**

მოკლედ იწვა სერჟი სახლში. თავზე დედამისის წითელი „კასინკა“ ჰქონდა წაკრული, ყურზე აფრიკული თუთიყუშის პატარა ბიუსტი ჰქონდა ჩამოკიდებული, და როგორც უკვე ავღნიშნეთ, გერმანიის „ფოლკ-ოპერას“ უსმენდა.

*ვოლქემენი:ინგლისური სიტყვაა და არაპირდაპირ აღნიშნავს პატარა „ნაუშნიკებიან“ მაგნიტოფონს, რომლის საშუალებით მუსიკის მოსმენა შეიძლება ფრენის დროს.

**ზაგრან პასპორტი: გაურკვეველი წარმოშობის სიტყვა და ნიშნავს საშუალებას თურქეთში წასასვლელად.

ნაწილი №2

შენიშვნა: ამის ნაკითხვა მართლა არ შეიძლება.

თუმცა მართალი გითხრათ, საქმეც არც მოტეხილ ფეხში, არც ბაბუამისში, და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მუსიკაში იყო. საქმეც არც ემილი დიკისონში იყო. უფრო სწორად, ემილი დიკინსონი, ანაა ახამატოვათი და საერთოდ ფემინისტური ლიტერატურით დაინტერესებას ერთი უზარმაზარი მიზეზი

ჰქონდა. „მიზები და უბედურება“. პირდაპირ გეტყვით, თუთი-ყუში სერჟი შეეცვარებული იყო, თანაც მწარეთ.

სამი წლის უკან, სერჟს არ აწუხებდა არც სიყვარული და არც სიძულვილი. ბინა ჰქონდა ნაქირავები გორკის ქუჩაზე და ხატავდა. მერე ერთი პერიოდი IOAP-ში უნდოდა გაქცევა. რასისტული გრძნობების მოზღვავება იგრძნო. ერთი პერიოდი შვეიცარიაში ბრილიანტების კონტრაბანდით იყო დაკავებული. მოკლეთ, ყველაფრით იყო დაინტერესებული, ოღონდ სიყვარულით?

არა. ვერც წარმოიდგენდა.

ფემინიზმი? რააა სისულელეა.

რომ გეთქვა მაშინ, ასე დაგემართებაო, თავში რაღაცას ჩაგართყამდა.

ნერვიული იყო, ბავშვობაში ხუთჯერ ქონდა კლინიკური სიკვდილი გადატანილი.

ჩაგართყამდა, აბა რას იზამდა

ახლა კი ნაღდად დარხეული ჰქონდა.

შვიდ ნოემბერს დაინახა პირველად ვივი. იმ დღეს სერჟი კომუნისტების ჯინაზე რახმანინოვს უსმენდა. არ უყვრდა ლენინი და ოქტობრის რევოლუცია, აზრიალებდა ისე არ უყვარდა. კინალამ დისიდენტი გახდა რახმანინოვების, სოლჟენიცინების და შაგალელის გადამკიდე.

7 ნოემბერი იდგა და სერჟი დილიდან დაძაბული იყო. ჯინზე წყალიც არ მოდიოდა და ეზოში ჩაფრინდა ეზოში წყლის ამოსატანად... და ზუსტად იმ დროს, როცა გაიფიქრა კრუჰსკაიამ მოსაკლავი იყო თუ არა ლენინი, რას ვერჩიო-დაინახა ვივი, დაინახა და ბუმბული მოიწყვიტა. ვივის მოკლე კაბა ეცვა. კოპლებიანი ელასტიკები და მე მგონი ანათებდა. ვივიმ ერთი კი შეხედა თუთიყუშს, რომელიც უკვე დაბოღმილი იდგა ონკანთან (ვივის ვილაც ბიჭი ახლდა) და ბუმბულს იგლეჯდა გამალებული და საღარბაზოში შევიდა, ისე რომ ყურადღებაც არ მიუქცევია.

სერჟმა კინალამ შემოიპოვტა ბანარი, ყოველდღე ნახულობდა ვივი სერჟისნაირ თუთიყუშს? ოხ, 7 ნოემბრის დედა ვატირე. დაძმარული ამოვიდა სახლში. იგორი იმ წუთში ნისკარტზე დააჯდა. კინალამ მოკლა ბუზი. იმხელა იხეთქა ბუზის საკლავი ცხვირზე, რომ იგორი ერთი კვირა ზურგვაკავებული დადიოდა, მაგრამ იგორმა მიუტევა, რომ გაიგო რაშიც იყო საქმე.

„Я ее знаю обыкновенная пустячка“, განუცხადა ვინაობის გაგების შემდეგ იგორმა და თვალეზი გაუსწორა. იგორი კრასნოდარელი ნარკომანის შვილი იყო და რუსულად იმიტომ ლაპარაკობდა თანაც რუსების ხასიათები არ იცით, როგორ ისწავლიან ქართულს. „Серж! Разговаривай“ - ეუბნებოდა ხოლმე, თუმცა შესანიშნავად ესმოდა ქართული.

„Чего“-იყვირა სერჟმა, რომ გაიგონა, რაც უთხრა იგორმა და ისე გაბრაზდა, ისე გაბრაზდა, რომ მართლა დაავიწყდა იგორი ბუზი რომ იყო, და ისეთი ძალით სთხრიშა საკლავი, რომ იგორს სამი ფეხი მოწყდა და რაღაც თეთრი სითხე გამოუვიდა. ძლივს გადაარჩინა სერჟმა.

იმდენი სტრეპტოციტი დააყარა, რომ კინალამ დაახრჩო. იგორმა თვალეზი გაახილა და სერჟი რომ დაინახა, გაუკვირდა

-Я, что, не умер?

-Нет Игор-უთხრა სერჟმა და სტრეპტოციტიდან ამოათრია.

- Но я тебя убью.

იგორი რისი კრასნოდარელი იყო, რომ შეშინებოდა და დამარცვლით თქვა:

«убей но я знаю она пустая»

და თვალეზი დახუჭა. სერჟმა ერთი კი მოიქნია ბუზის საკლავი, მაგრამ მერე მიხვდა იგორი მართლა შემოაკვდებოდა და დარტყმის მაგივრად დაიხარა მისკენ და უთხრა

„будем работать“, თავისთის ქართულად ჩაილაპარაკა „შენი კუბო გაიტანეს აქედანა, ბიჩოს? არ მომკლა ბუზი“.

ყველაფერი ეს 7 ნოემბერს მოხდა. თუმცა იმ დღეს სხვა რამეც მოხდა. სერჟუმა ცოტა დალია, მერე იგორთან ერთად გაფრენა გადაწყვიტა. საერთოდ სახლიდან გაფრინდა და ბავშვთა ბაღის ეზოს ხეთქა თავი. ძლივს ნახა პატრონმა მთვრალი და თავგატეხილი სერჟი და სახლში ამოათრია.

ამოათრია და სარეცხი მანქანიდან გაკეთებულ გალიაში ჩაკეტა, რომელიც თვითონ სერჟს მისმა დაქალმა ლიდამ აჩუქა.

ლიდა თუთიყუშის გამყიდველი იყო. ლაპარაკობდა ქართულად, რუსულად, აზერბაიჯანულად, ტაჯიკურად და ვერ იტანდა სომხებს. ლუქსემბურგის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბავშვობა სოლოსაკში ქონდა გატარებული და თუთიყუშებს ყიდდა. სერჟს ბარიგები არ უყვარდა, მაგრამ ლიდა კარგი ქალი იყო თანაც სერჟზე კარგი თუთიყუშს იყო შეპირებული. ხომ უნდოდა სერჟს კარგი თუთიყუში, იმიტომაც გამოართვა გალია, რომელშიც ახლა მთვრალი ჯოხზე იჯდა და აბოდებდა, მიხვდებით ვის სახელსაც.

არა, მისი ხაზვიკის დაქალის სახელს არ აბოდებდა. ნაღდად არ აბოდებდა. ისე ჯამრთელი ქალი კი იყო ხაზვიკის დაქალი, მაგრამ სერჟს დაქალზე უფრო, დაქალის ბაბუა იორდანე უყვარდა, რომელიც ცირკთან „პრიმას“ ყიდდა. იორდანეს სერჟით კამბულაზე ქონდა გართულებები და შაბათობით ბენზეში ერთად დადიოდნენ კამბულაზე სათევზაოდ.

8 ნოემბერს თავის ტკივილმა და იგორის შემფოთებულმა ხმამ გამოაღვიძა. იგორს პახმელიაზე გამოღვიძებია და თავგატეხილი სერჟი რომ დაინახა გალიაში, გული შეუღონდა.

სერჟი ჯოხიდან ჩამოვარდა და გაახსენდა შრომის წიგნაკი რომ ქონდა გამოსატანი ძველი სამსახურიდან. სერჟი ორი წელი მუშაობდა თოჯინების თეატრში გამნათებლად და მერე დირექტორთან კონფლიქტი მოუვიდა მთავარი ბუღალტერის გამო. დირექტორს გრიშა ერქვა და სულ დედას აგინებდა

ბულალტერს, რომელსაც 6 შვილი ჰყავდა და უცნაური სახელი - ამირანი ერქვა. შეაგინებდა გრიშა ამირანს, ამირანი თვალეხს მოჭუტავდა და საწყალი ხმით ეუბნებოდა - „სიმონიჩ! დედას ნუ შემაგინებ“ და იწყებოდა თავიდან გინება. ჰოდა, ერთი სერუი ცუდ ხასიათზე იყო და გრიშას დაეჭახა, დაანებე თავი ამირანსო და გამოავდეს თეატრიდან. ახლაც არ ჰქონდა გამოტანილი შრომის წიგნაკი და პახმელიაზე ახსენდებოდა მარტო.

ოქტომბრის რევოლუციის დღეს დაწყებული სიყვარული ძალიან მტკივნეულად განვითარდა სერუისთვის.

ნაწილი №3

25 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე სერუი დახვდა ვივის საღარბაზოში, და არც აცვივა, არც აცხელა, პირდაპირ ტუჩებში აკოცა. მგონი ცოტა მიანწყვიტა კიდევაც ტუჩი. რეაქცია გაუგებარი არც ყოფილა: სამი დღე იწვა სერუი ტვინის შერყევით სახლში, მაგრამ ბედობის დღე მაინც ვივისთან გაატარა. ხაზიკა ჩაყვა მხარზე დამჯდარი (ხო, ვივი პირველ სართულზე ცხოვრობდა, სერუი კი მეხუთეზე). ბუმბულიც ბრიოლინით ჰქონდა გადავარცხნილი და თვალი ჩაუკრა. ვივის კიდევ უნდოდა დარტყმა, მაგრამ არ გამოდიოდა. ლულუს, ვივის დედას უყვარდა სერუი, რადგან გადამდგარი მსახიობი იყო და ტირილებში მაღალი ქუსლიანი ტუფლებით დადიოდა. სერუთან ერთად საათობით იჯდა და ქალაქში მომხდარ ნაჯიბგირალ საქმეებს არჩევდა. თანაც სიახლოვეს ის აძლიერებდა-სერუივით ვერ იტანდა ვისკს და ლელვის მურაბას.

სერუსაც უყვარდა ლულუ და მისთვის სიგარეტსაც ყიდულობდა, ოღონდ ცოტა ლულუს ქმარს ვერ უგებდა ლულუს ქმარს ვერავინაც ვერ უგებდა, რადგან დიდი მუცელი და სერიოზული სახე ჰქონდა. სპეციალობით მატორისტი იყო, თანაც ხატებს აგროვებდა და არავის ელაპარაკებოდა ლულუს

გარდა. მთავარი არც ლულუ იყო, არც დერიბასი(დერიბასი ლულუს ქმარს ერქვა ოდესის დამაარსებლის გრატ დერიბასის საპატივცემლოდ) მისთვის მთავარი და მთავარი ვივი იყო.

სამი თვე დასდევდა სერუი ვივი. სამი თვე პირველ რიგში იმ ბიჭს დაასკინტა ყურზე 7 ნოემბერს რომ დაინახა ვივისთან. ხახუტას ანუ იმ ბიჭს, რუსი დედა და მეზღვაური მამა ჰყავდა და ვერაფერი უთხრა სერუსს. თვალის გამოთხრა გარანტირებული ჰქონდა.

3 თვეში იმდენი ქნა „შესტოი“ იყიდა „შესტოის“ მატორით. ამან ცოტა არ იყოს დააეჭვა ლულუ, მაგრამ თუთუყუშში ეჭვიანობა ნაღდად არ გამოდიოდა. სამი თვე დადიოდა სერუი ბრიოლინწასმული და მინდვრის ყვავილებით ახურხლული, სამი თვე ეწეოდა სიგარეტს და სამი თვე არ სძინებია.

თებერვალში, ვივის გასაკვირად, ვივის შეუყვარდა სერუი და დაიწყო უზარმაზარი სიყვარული.

ახლა სერუი აღარც მუსიკას უსმენდა და იმას ფიქრობდა ვინმემ მოტხრობა დაწეროს ასეთი სათაურით-„თუთიყუში, რომელსაც ძალიან უყვარდა ვივი“ მაგრამ კატასტროფა წინ იყო.

ნაწილი №4

9 აპრილს სერუი დილიდან დათვრა. მერე აკუმულატორი ითხოვა და მანქანით ცოტა ირბინა. საღამოს 7 საათზე ლულუს სიგარეტი მოეტანა და პირდაპირ მიახალა: შენი გოგო ჩემი ცოლი უნდა გახდესო. ესეც ასე. და დაიწყო სკანდალი.

ნაწილი №5

ეხლა იჭდა სერუი სახლში და ან ემილი დიკინსონის ლექსებს კითხულობდა ან ფურცელზე ვივის წერდა. სახლიდან არავინ უშვებდა და ვივის ველარ ნახულობდა. ერთადერთი მეგობარი ბუზი იგორი ამხნევებდა. ასე იყო ეს.

ეპილოგამდე

სერჟმა იმდენი ქნა, ლულუ დაითანხმა, მაგრამ მერე ვივის ოჯახი ისრაელში წავიდა საცხოვრებლად დერიბასის დედის სიონისტ დეიდასთან კიბუც აფიკიმში, სამჯერ ჩამოხსნეს სერჟი თოკიდან. 4-ჯერ ვენები გადაიჭრა, მაინც გადაარჩინეს. მერე მიხვდა, რომ ასე არაფერი გამოდიოდა და ყველას ჯიბზე ტურისტული კოლპერატივი გახსნა. მაშრუტით „იერუსალიმი-აფიკი“

ეპილოგი

დღეს სერჟი კალიფორნიაში ცხოვრობს ვივისთან ერთად და ბათუმში ჩამოდის. ერთი ბიჭი ჰყავს, რომელსაც გაბრიელი ჰქვია. მუსიკას ძველებურად უსმენს და მოთხრობებს წერს. ვივი ზუსტად ისევე უყვარს 7 ნოემბერს რომ შეუყვარდა და ჯერ არ დამდგარი მწერალია.

კიბუც-კოლმეურნეობის მსგავსი სოფელი.

რა უნდა დანერო?

რა უნდა დანერო, ამ კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს ბოლო 5 წელია. ოღონდ პასუხს ვერ ვცემ. რა უნდა დავნერო?

რა უნდა ვქნაა?

რა უნდა...

რა უნდა... არ ვიცი, არ ვიცი. შერდეგი კითხვა

როდის?

როდის?

როდის?

როდის..... არც ეგ ვიცი. აღარ ვსვამ კითხვას რატომ. თავს ვგრძნობ დამნაშავეთ. მრცხვენია. რისი? არ ვიცი რატომ? არ ვიცი.

ძილში ვგრძნობ ვილაცა მიყურებს. არ ვიღვიძებ. სიზმარი? კოშმარი: ბავშვები ერთმანეთს სცემენ მეშინია. ორსული კატა ბადებს სიმახინჯეს მეშინია.

არა, ვილაცა მართლა მიყურებს. ვახელ თვალს. 4 თვალით.

ისევ სისარიელე, ისევ? ისევ? ისევ? ვწვალთ ვენწვი, ვწევარ, ვინვი. ოღონდ საკუთარ თავს ვატყუებ.

ჩემი კატა და კუ მიყურებენ. შიათ. კუ ლოგინზე როგორ ამოვიდა. ალბად კოკო (კატა) მიეხმარა. არაქვს მნიშვნელობა. შიათ?

ალბათ ქრისტე ციდან გადმოხტდა ნათლობის დროს. იორ-დანია. მღვრიე, მუქი წყალი. ტკბილი. ყოველდღე ვილაცეები ხტებიან მდინარეში სხვანაირად ვერ შეხვალ წყალში, უნდა გადახტე და თუ გადახტები, მონათლული ხარ.

ვაპურებ.

ბავშვებს ვზრდი.

ვლოცულობ.

და მაინც მეშინია. ყველაფერი გამჩენზეა დამოკიდებული.

არა.

ყველაფერი ადამიანზე დამოკიდებული

არა... არა... არა...

ჩემს გულს ჯერ არ უბრძანებია სახლში წასვლა.

ჯერ დრო არ დამდგარა.

მენატრება.

მონატრება.

სანატრელი.

ნატვრა.

ჩემთვის ჩემს ქვეყანაში ყოფნა და სიცოცხლე ღვთის მადლია, საჩუქარია

ბალახი მწვანე. წყლის წვეთები თეთრი კრისტალები.
მზე წითელი და სტაფილოსფერი.
ტყე-ნარინჯი და ხელი ღვთიური.
ცა და ლურჯი ღრუბლები.
მინა, ძმა, მეგობარი, და გვერდზე მდგომი
მე-ჰორიზონტი. უსახელო ვერტიკალი
მე-გუშინ და ხვალ.
ის-დღეს და ახლა.

მშე ისევე ჩადის რა?!

ზღვაც და მუსიკაც ერთმანეთთან არიან დაამხანაგებული.

ზღვაც ჟანგის ფერია და მეც ცალი ფეხი მაქვს გადმოვდებუ-
ლი ჯიპიდან. ცალი ხელი ქალის ცალ ფეხზე მივდია და მგონი
ვიღიმები. მანქანა სულ ახალია, რძის ფერი და კობტა. ქალიც
ახალი მზის ფერი და კუდრაჭაა. ტალღა მოშიშინდება და
გაშიშინდება.

მზეს ვუყურებ და ვხედავ დელფინების დიდ ჯგუფს, რომ-
ლებიც გვიახლოვდებიან ხტუნვა, ხტუნვით. ვუყურებ და
მიხარია. უბრალოდ მიხარია, მეტი არაფერი.

- ანტონიოლო-მესმის ხმა.
- მოვიხედე-ჩემი მეზობელი ღაზო.
- ვა ღაზო, ვა ღაზო ბებო? საიდანო.
- ღაზო არაფერს მეუბნება. ისე იეზიდურად მიღიმის.

მიღიმის და იღიმოს.

ესეც კარგია. ღაზო ნელ-ნელა მიახლოვდება. დელფინე-
ბიც... რომელი მოასწრებს არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე.

ერთადერთი სურვილი მაქვს-მალე ვნახო საკურიმა, ჩემი
საკურიმა.

მანქანას ვატრიალებ და მივდივარ საკურიმასთან
მარკოზი დაიკარგა.

ყველას აქვს თავისი ლოცვა, თავისი „მამაო ჩვენო“.

სულ მინდა ვწერო.

მეზარება.

საქმე რომ წერაზე მივა, თავში უამრავი საგნები, მოვლენები
ფერები, სუნები ლაგდება. ქაოსია.

„წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი...“

არა!

საქმე?

საქმე კი სულ სხვა...

სულის და ხორცის სიძლიერე სხვაა... სხვები...

სიყალბე... რძისფერი სიყალბე. ზოგჯერ ნაზი, ზოგჯერ უხეში.

მე... მე...მე...შენ...შენ...შენ... ჩვენ...ჩვენ...ჩვენ... თქვენ...

ისინი...მათ.

მარტოობა

მარტოობის მილიარდის საუკუნე ჯერ არ გასულა. თუ
კითხვითი ნიშანი დაესა?!

საშინელება რაა?

ხარ მარტო და არავის გონია, რომ მარტო ხარ.

ნამდვილი შინაგანი მარტოობა, რომელიც არის და იქნება,
არ უნდა დარჩეს მხოლოდ იმად რაც არის. საჭიროა გედმეტი
ატრიბუტების მოშორება. სახელდობრ: მშობლები, მეგობრები,
ნათესავები, ნაცნობები.

უნდა დაგვიკარგო. უნდა მოვცილდე ამათ ფიზიკურად
რამოდენიმე წლის განმავლობაში. საჭიროა ჰარმონიისთვის,
ბალანსისთვის.

რატომ?

-მარკოზი დაიკარგა-

და თუ არა.

სიგიჟე, ეიფორია.

თეთრი კედლები.

13 კოდო.

რკინის ფანჯრები...

უკვე ყველას გონია, რომ ცოტას ვაფრენ.

ეს არაა აკვირება. ეს ძალზედ ფხიზელი დაკვირებაა.

-ანუ ვაფრენ?!

ეგ კარგია ჩემი პოზიციის დასაფარად. დაე, იფიქრონ. ეს არ მალეღვებს.

მალეღვებს ჩემი სისუსტე.

მე ჯერ არა ვარ ძლიერი. დიახ! ძლიერი!

უნდა თავი დავაღწიო აქაურობას, მივაგნო საკუთარ თავს.

წასვლა...

აქ შეიძლება მართლა გამაგიჟონ.

რატომ ვწერ?

ვწერ...

გზა სამოთხისკენ თუ ჯოჯოხეთისკენ...

საჭიროა მუშაობა, მუშაობა...

კვლავ მუშაობა. აქ იწყება ყველაფერი.

ბული

ჩემი თუთიყუში ძალიან მგრძნობიარეა,

ის პატარა ბავშვია, დაუცველია, როგორც ქალი.

მას ძალიან ღიღი, ღიღი, გული აქვს.

ჩემი თუთიყუში ძალიან ტკივილებიანი ჩიტია.

ჩვენ ერთად ვუსმენთ პავაროტის.

...

მემუქრება საშიშროება არაზნეობრიობის.
ძალიან ცუდი პერიოდია.
მე თითქოს სიბნელეში ვარ.
რა ხდება? რა იქნება?
იბადება დიდი ტკივილები ჩემს თაობაში.
დიდი..დიდი..დიდი...
არ მინდა თავს გამოვუტყდე, მაგრამ დღითიდღე უფრო და
უფრო აშკარად
ფატალისტი ვხვდები.

დედას

დედა... ჩემო... ჩემო.. ყველაზე ჩემო. მართლა ერთადერ-
თო. მე... მე... მე... შენ... შენ.. დანარჩენი?
არა, არავინ... არავინ.
მხოლოდ შენ.
დედა. დედა. დედა.
შენ და მე თქვენ და მე. ჩემო პატარა და დაღლილო.
ვიღაც ვიღაცას წერდა. დედა და ის. ის და შვილი ზეობაა
დედის. დედა დღესასწაულია შვილის. ნიჭიერნი და რჩეულნი
არასოდეს არიან მარტო.
მანც... საშინლად მაკლიხარ. მაკლიხარ. შიში არის,
უზარმაზარი შიში, რომელიც მედუზას თავივითაა.
შენაც და მეც... ორივე...
სხვა?-სხვაა.
შენ?-მე
მე?-შენ? და
დიდი დედამინა.

ბაქალავატი

- დღეს შობაა!
- მერე რა.
- არაფერი.
- ეჭვს დღეში ახალი წელია!
- მერე რა.
- არც არაფერი.

ჩამოვედით ნორმალურად. მოვთავსდით „ივერიაში“. მშვენიერო ნომერია.

დავისვენეთ. შხაპი მივიღეთ. 4 საათია ვიძინეთ. დავურეკეთ ამირანს. მოვიდა. წავედით.

დავბრუნდით.

ვნახეთ გოჩა-არაფერი. ვნახეთ სერგი-ჩვეულებრივი იდიოტია. ინტელექტი არ ჩანს. განათლებაში მოიკოჭლებს. ვნახეთ გელიოში-პირიქითაა. ყველაფერი მოზღვავებული აქვს. დიდთავა ბავშვი. თანაც დიდი, სუსტი ბავშვი. დასანანია. მასაც აკლია განათლება, მაგრამ ქუჩის. ვნახეთ ზოსო, რასაც შარშან ამბობდა იმას ამბობს წელს. გაზრდა არ იგრძნობოდა.

ყველაზე საშინელება ისაა, რომ არც უნდათ გაზრდა, უბრალოდ იმდენად უმოქმედონი არიან.

ნამდვილად ვიცი ასე არ ვარგა. უბრალოდ დამღუპველია.

მთელ მეგობრებში თემურია მანათობელი ვარსკვლავი ჩემი აზრით-მოვლენაა. რისი წყალობითაა???

გიგანტური შრომით.

გელიოშსაც ქონდა შანსი. არ გამოიყენა შრომა არ უყვარს. ძალიან ნაზია. ცხოვრება მკაცრია. დასავლეთში მითუმეტეს მანამდეც მასე იყო.

მაცხოვარი ანამეს. რწმენა? არ ვიცი. რწმენა ძალის და მოქმედების სურვილის მომცემი უნდა იყოს. არამგონია შიშის და უსუსურობის.

ერთი წუთით თუ დაგავინცდა პასუხის გრძნობა, მერე ყველაფერი დაკარგულია.

პასუხისმგებლობა...

რაც შეეხება ჩემს პირად განცდებს-შეშფოთებებს, ეჭვებს, თუმცა დროებითს, მაგრამ არ არსებულს?!

უბრალო განმარტება.

ერთნლიანი კონტაქტი ასეთი ტიპის ადამიანთებთან, სულიერი ჩაღრმავებებით მითუმეტეს.

ერთნლიანი უმოქმედობა.

ერთნლიანი თვითგამოკვეთა

და ათასი რამ დავინწყებული თუ დაუვინყარი.

გრძელდება იმათი გავლენა, თუმცა უკვე უმნიშვნელოდ. მთავარია არ დაგავინცდეს ერთხელ არჩეული გზა. არ მოვწყდე მას.

დასკვნა:

გელაოში ავადაა. მძიმედ ავად. თითქმის მკვდარი. ფაქტიურად მკვდარი.

ჩვენ ვცხოვრობთ ცოცხალმკვდრებს შორის.

არ უნდა მოეჩქე არავითარი საზოგადოებრივი გავლენის ქვეშ. გავიხსენე ყველაფერი რაც იყო დღეს, რაც მესიზმრა, მესიზმრა მთელი ზატხული თავისი გამოფენებით, ნახატებით, მახინჯაურებით, პლიაჟებით, ენვერებით, ჯონებით, ჯანოებით, გარდაცვლილებით, ნათესავებით, ზღვებით, მზეებით, განცდებით, ბოლოს დიდი წუხილებით, დანანებებით გულდანწყლობით რუსი ქალებით...

რა ვქნა არ ვიცი. წლების მერე ვიტყვი უკეთ შევითყობ.

დავჯექი და ჩამოვწერე.

პრობლემებმა არ უნდა დაგაფრთხოს. არ უნდა გაგაქციოს.

საკუთარ თავს ვერსად გაექცევი.
მთავარი ეშმაკს მიხვდე და დაინახო. მერე აღვილია მისი
დამარცხება.

გიას და გიტარას ერთმანეთი უყვარდათ. თანაც ჩუმად.
-მე გიტარა მიყვარს-გაანდო ერთხელ რ-ს
- მოგიტან გიტარას-დაპირდა რ.
მერე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ომი დაიწყო.
ერთი თვე გავიდა...
-გიტარა!-წამოცდებოდა გიას
-მოგიტან!-ეტყოდა რ. -აუცილებლად მოგიტან.
-გიას თავი რ-ზე მიეღო. ჰაპიროსს აბოლებდა და სულ არ
ფიქრობდა გიტარაზე.
-გიტარა?-გახსენდა რ-ს.
დედა, დედა, დედა, დედა, რაფერ მიყვარს გიტარა-შორი-
დან გაისმა გიას ხმა. რ-მ დახედა და გაიღიმა.
ორივეს უყვარდა გიტარა. გიტარასაც ორივე უყვარდა.
რალათ უნდოდათ გიტარა. ხომ უყვარდათ?!

-მე ყველა მიყვარს-ნაზად აათახთახა თვალები ენვერამ.
-ოჰ, შენი!-გაეცინა ირლის
-რა, არა?!-გაუკვირდა ენვერას და ყირაზე დადგა.
-რაფერ გიყვარს ბიჭო, ჯერ სიძულვილი არ გაგივლია-
დაამთავრა ჯანომ მოკლედ.

პლიაჟზე დაყრილი ხალხი ბეჰემოტებს გავდნენ. ზოგი კუნ-
თებს ათამაშებდა, ზოგი სვამდა და უაზროდ იღრიჭებოდა.
ბიჭები გოგოებს უყურებდნენ. გოგოები-ზღვას, ზღვა

-მზეს. მზე-პლიაჟს. ვილაცა ვილაცას სილაში მარხავდა.
ვილაცას ძალიან ეცინებოდა.

ვილაცას ბანაობა ეზარებოდა.

ყველა ჩვენთაგანშია ჯონათანი-შემოფრინდა ფიქრი სალა-
ციდან-ნეტა ენვერას ყველა უყვარს? თუმცა რას ნიშნავს ყველას
სიყვარული... ფიქრი შეეზარა მზის ღმერთს.

-პელიოლოს-ბლადა შორიდამ მზე.

პლიაჟი ანარქიას ებძოდა.

სახლის სადარბაზოდან რომ გამოდიოდა ან ხახვი, ან
კვერცხი, ან კიდევ გოგოების ღიმილი გამოაცილებდა. სადარ-
ბაზოში შესვლაზე უარესი ამბავი იყო.

ტიტე საშინლად ბარმაცე. არაფერი აღელვებდა. ყველა-
ფერს და მათ შორის საკუთარ თავსაც ამრეზილად უყურებდა.

სიზარმაცით სად დაავადდა, არ ახსოვდა, თუმცა თავისი
სიზარმაცე ისე უყვარდა, რომ უამრავ საბუთს ატარებდა თან მის
გასასმართლებლად: ჯვარი, საათი, სათვალე, ყურსაკიდი,
თილისმა...

სენტიმენტალური ისტორია

ვინც სენტიმენტალიზმი და რომანტიზმი პოეტებს, მუსი-
კოსებს დააბრალა იმას რა ვუთხრათ...

არადა, რომ მოგიყვებოდა დაახლოებით, ასეთი ისტორია-ჩემი
უახლოესი მეგობარი კოჭლია და გოგო შეუყვარდა, მერე იმ
გოგომ პირდაპირ პირში მიახალა კოჭლი ხარ და იმიტომ ვერ

შეგიყვარებო, დამიჯერებთ? არა. რატომ? ბანალურია და იმიტომ.

ან კიდევ ჩემს მეგობრებს მისი უახლოესი მეგობრის გოგო შეუყვარდა და ორი მეგობარი ერთმანეთს დაშორდა იმ გოგოს გულისთვის. დამიჯერებთ? არა.

ან კიდევ: მე და გია ბათუმიდან თურქეთში გავიქეციით 400 დოლარით, თან წავიღეთ სტრადივარის და გვაკინის ვიოლინოს ასლები და სტამბულში გავყიდეთ ორივე სამას დოლარად,

მერე ბანგლადეშელ კონტრაბანდისტებს დავუკავშირდით და საბერძნეთში გადავიპარეთ. ერთი კვირა ვიარეთ ფეხით უჭმელებმა, უსმელებმა, ხო, ჭაობის წყალს ვსვამდით (ხომ არ გჯერათ). ბოლოს ტყე-ტყე სიარული მოგვებზრდა და პირველივე ქალაქში რომ გამოვჩნდით, ბერძენმა პოლიციელებმა დაგვიჭირეს მეც, ვიაც და ბანგლადეშელი გამცილებლებიც. კამერში შეგვყარეს. სიცხლად არ ეყოთ ჩემი ნათქვამი თავისუფლება მინდა თქო და უკან გადმოგვყარეს საზღვარზე ღამით. ვენებგადახეული და გალახულები, რომ სტამბულში ჩავედით და ფული ვიშოვეთ, და ახლა რომ თბილისში ვსწავლობ ურნალისტიკაზე და გაზეთის გამოშვებას ვცდილობ... დამიჯერებთ? არა...

კიდევ ქუჩაში რომ გოგო შემეყვარდა დამიჯერებთ? და ერთ დღეში გადამიყვარდა...

კიდევ, კიდევ, კიდევ...

ვიცი არათფერსაც არ დამიჯერებთ. არადა რამდენია სათქმელი... თქვენ კიდევ ბანალურია, გულაამაჩუყებელიაო, რომანტიკული მხოლოდ წიგნებში და კინოებში ხდებაო. არადა. ყველაფერი მართლა მოხდა, თანაც ძალიან სერიოზულად...

თუ არ გჯერათ ნუ გჯერათ.

ისე დაკვირვებული ვარ, რაც მართალია და მართლაც ხდება, იმაზე არავინ ფიქრობს. ყველაფერს მიიღებენ, ოღონდ

მართალი არ იყოს, გასაგები არ იყოს, ან რატომ უნდა მიიღონ და დაიჭერონ.

თუმცა რას გელაპარაკებით ამდენ ხანს, ავიღებთ და მოგიყვებით ერთ ისტორიას, იცით რაზე? თეთრ მტრედზე, ჩემთან აივანზე რომ შემოფრინდა. თუმცა რა, თეთრ მტრედზე ისტორია რომ მოგიყვებოდა იტყვიტა ჯონათან ლევინგსტონი აქვს წაკითხული და ა. შ.

არა, ჩემს არწივზე მოგიყვებით.

თქვენი ნება, გინდ დაიჭერეთ, გინდ არა.

ბათუმი პატარა ქალაქია, ისე პატარა ქალაქია, რომ დღეში ერთ კაცს ხუთჯერ ნახავ. თანაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ზოგჯერ მოსაბეზრებელიცა. ბავშვობაში ქალაქის თავში სივარეტი რომ მომენია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ერთ საათში ჩემთან სახლში ეცოდინებოდათ. გოგოსთან რომ გაიარო, ხომ საერთოდ... ვინ იყო? სად გაიყვანი?

...არა, ზოგჯერ მართლა მოიშლები... ვის დაკარგვისხართ, რას გადამეკიდეთ,

თანაც პატარა ქალაქები დიდი ჭორებს ატარებენ...

ისე, მართალი რომ გითხრათ, ბათუმზე ლამაზი ქალაქი არ მეგულება. გაზაფხულზე წვიმებს რომ დაინწყებს.

მაინც მთელ ქალაქს რომ იცნობ, გამოხვალ წვიმაში, დაუყვები ზღვის პირა პარკს, აქედან გადარეული ზღვა აწყდება ნაპირებს, ზემოდან წვიმის თხროში. გეგონება სადაცა დაიძირება ქალაქი. როგორც კი კარგად დათბება, გამოეფინებიან უმუშევარი პოეტები და უფულო ფილოსოფოსები მთელ ქალაქში...

ბათუმში თითქმის ყველა ადგილი ლამაზია. მთელი ქალაქი ერთი ზღვის პარკია, რომელსაც სულ აწვიმს და აწვიმს, მაგრამ არც წვიმის ეშინია და არც ზღვის ხანდახან გიჟივით, რომ მოაწყდება ნაპირს

20 მარტი იყო. რიცხვი რატომ დამამახსოვრდა? სკოლიდან გამრიცხეს იმ დღეს. დიდი არაფერი საინტერესო, ღირეფტორი არ გვიყვარდა არც ჩვენ და არც მასწავლებლებს. ამოგვივიდა მისი გრეხვა. რამდენიმე მეგობართან ერთად ხეზე მივაბი სკოლის ეზოში. მთელი ღამე გაატარა ხეზე მიბმულმა. დილას დარაჯმა შეამჩნია... ღირეფტორმა არც აცია, არც აცხელა და მეორე დღესვე სკოლიდან გაგვირცხა 5 ბიჭი. 20 მარტი იყო და ნათესავთან წავედი. უოუო ეზოში ვნახე ჩაცუცქელი რაღაცას დაუინებით დასცქეროდა.. ვხედავ, არწივი, ნამდვილი, უზარ-მაზრი არწივი ზის და წარმოგიდგენიათ თვალებს აბრიალებს.

არწივი, მართალი გითხრათ არც მენახა მანამდე, თანაც ასე ახლოს. არა, ზოოპარკში კი მყავდა ნანახი, მაგრამ ის რა არწივია ნარწივარია; ეს კი, ნამდვილი მონაბლისფერი-მოშავო არწივი ზის და ისე იყურება, რომ მიიკარო, ნაღდად შუაში გაგლეჯს. ფრთა აქვს ოღონდ ჩამოვარდნილი უოუო უკნუდან მივუახლოვდი და ვეკითხები:

-ვინ არი?!

უოუო მგონი ჩემზე მეტად გაკვირებული იყო.

-რა ვიცი, სახლში რომ მოვედი ცოლი მეუბნება, ვილაც ავტობუსის მძღოლი იყო და დატოვაო, სადღაც მთაში იყო რეისში წასული, გზაზე დაგდებული უნახავს და აქ მოუყვანია-მეუბნება და ჩემსკენ არც იხედება, არწივს უყურებს, ხო, სულ დამავინწყდა მეთქვა, უოუო ავტობუსების სადგურში მუშაობს და მძღოლები კარგად იცნობენ.

-მერე?-ეკითხება უოუოს და თანაც არწივს თვალს ვერ ვაშორებ.

-მერე არ ვიცი, არ ვიცი რა უნდა ვქნა, არ ვიცი... -როგორც იქნა წამოდგა უოუო და შემომხედა-რა ქნას? გაგრიცხეს?

-ჰო!

უცებ „გენიალური“ აზრი მომდის თავში. საერთოდ ასეთი აზრები ხშირად მომდის:

-მერე რა!

-რა?

-რა და არწივი-დავისანყლე ხმა.

-რაა?

-წავიყვან ჩემთან, ფრთას მოვურჩენ, მოვუვლი და გავუშვებ. შენ აბა რად გინდა. მაინც არ იცი როგორ მოუარო, რა აჭამო, არწივი სხვანაირი ფრინველია...

-ხომ არ აფრენ ცოტას-გამანყვეტინა უოჟომ, სად უნდა წაიყვანო, შენ გავადებენ სახლიდან, ახლა კიდევ არწივი მიუყვანე. არა, მერე მე დამაბრალებენ, ძმა ხარ, მარა არა. თანაც სად უნდა გყავდეს?

ისე იმაში მართალი კი იყო. მეცხრე სართულზე ვცხოვრობ მშობლებთან ერთად. იქ არწივის გაჩერება ცოტა არ იყოს ძნელი საქმეა, თან მშობლებიც თუ ისეთები გყავს არწივებზე და საერთოდ ცხოველებზე გართულებები რომ აქვთ, მაშინ გასაკუთრებით. სკოლის ამბავიც გაჩხერილი მქონდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, უცებ კინაღამ გადავიფიქრე არწივის წაყვანა, მაგრამ მერე იმდენი ვეჩიჩინე უოჟოს, რომ ბოლო-ბოლო დამთანხმდა. ისე მინდოდა, ისე მინდოდა ნამდვილი არწივი მყოლოდა სახლში, რომ უოჟოს კი არა, ჩემი სკოლის დირექტორიც რომ ყოფილიყო, იმასაც გამოვართმევდი.

რა, გყოლით ნამდვილი არწივი სახლში?!

პატარა რომ ვიყავი სულ ცხოველებზე ვკითხულობდი წიგნებს. ერთი პერიოდი ოცნებად მქონდა გადაქცეული აფრიკაში წავსულიყავი, მოვენყობოდი რომელიმე ნაკრძალში სამუშაოდ და სულ ცხოველებთან ვიქნებოდი თქო, ვფირობდი, მერ გავიგე ბაქოში ყოლიაო ვილაცას ლომი სახლში და კინაღამ იქ წავედი...

არწივებზე, მართალი რომ ვითხრათ, არც მქონდა რაიმე წაკითხული თუ არ ჩავთვლით ერთ ლექსს „არწივი ვნახე

დაჭრილი“... ისიც ყურები გამომიჭედეს, არწივი საქართველოა და ყვავები მტრებიო, სიმბოლიკაო და ათასი ილიოტობებით, მაგრამ ლომები და არწივები ერთნაირად მომწონს და ჟოჟოს არწივს ნამდვილად ვერ დავუტოვებდი. ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ არწივი მყვადეს სახლში. ჩემი გარიცხვა ახალი არ იყო მაინც და მაინც ჩემებისთვის. ყოველ წელიწადს მრიცხავენ, მივა მამაჩემი სკოლაში და ისევ ჩამრიცხავენ. მოკლედ ტაქსი გავაჩერე, ჩავდევიო ტომარაში გახვეული არწივი მანქანაში და მივიყვანე სახლში.

ტაქსისტი ხომ სულ გავაცოფე გზაში. კინაღამ მანქანა დაამტვრია. ხომ იცით, ცნობისმოყვარე ტაქსისტები რომ არიან, მარტო იმისთვის მუშაობენ ახალი ჭორი რომ გაიგონ, გოგობიჭს უთვალთვალონ სარკმლიდან, როგორ კოცნიან ერთმანეთს. არწივი? ბათუმი რომელი ჯუნგლებია არწივებით რომ იყვნენ განებივრებული, კინაღამ სახლში წამომყვა...

სახლში რომ მივედი არაფერი იყო. ეზოში არაფერს მოუკრავს თვალი. შევიყვანე არწივი სახლში და პირდაპირ ზალაში დავსვი. წყალი დავუდევი... უნდა გენახათ რა არწივი მყავდა. ნამდვილი არწივი. არა. მარტო მაგისთვის ღირდა ცხოვრება. მოვათავსე თუ არა მეზობელთან გავიქეცი, კარი რომ გააღო, წამო-ვეუბნები, სად? -მეკითხება, ჩემთან. რა არი? რამე პონტია? -მეკითხება არწივი-მეთქი, რომ ვუთხარი არ დამიჭერა, მე არ მჭეროდა და ის დამიჭერებდა? მაინც წამომყვა. არწივი რომ დაინახა, ხომ სულ გამოსულელდა. მომყიდეო მეუბნება...

მამაჩემი საღამოს მოვიდა. ზალაში ვიჯექი არწივთან. მანამდე არწივმა კარგა ხანი მათვალთვალა და მეც ველაპარაკებოდი. მეტნაკლებად მოშვებული იყო. მამაჩემი რომ ზალაში შემოვიდა კინაღამ თავზე დააბიჯა და იმოდენაზე იყვირა რომ პირველ სართულზეც გაიგონებდნენ ხმას. აუ, როგორ შეეშინდა მამაჩემს. არა, ამას ვერ ავიღწერთ, გაგიჟდა. თუმცა რა იქნებოდა.

ნარმოიდგინეთ მამაჩემის ადგილზე თქვენი თავი რა დაგე-
მართებოდათ? ხოდა, თქვენ რომ დაგემართებოდათ, ათჯერ
იმაზე მეტი დაემართა. ალბად მეც და ჩემი არწივიც ეზომის ალ-
მოვჩნდებოდი, დედაჩემს რომ არ მოესწრო.

მე თვითონაც არ ვიცი, ჩემზე მოლბნენ (კრუნჩხვა-გრეხის და
ტირილის უმაღლესი პილოტაჟი ვუჩვენე) თუ არწივი მოენო-
ნათ, დაგვტოვეს არწივიც და მეც სახლში. ოღონდ იმ პირობით,
რომ ჩემს ოთახში უნდა გადამეყვანა.

15 დღე ვიცხოვრეთ მე და არწივა ერთად. 15 დღე უწყვეტი
რიგი იღვა ჩემთან. ვინ არ მოდიოდა არწივის სანახავად. ის
იყო, რომ არწივი არავის იკარებდა, განა იკბინებოდა? არა,
უბრალოდ ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ ვერც მიუახლოვ-
დებოდი. დაგიკარგავდა მოფერების სურვილს. ერთადერ-
თხელ გავბედე და ხელი მოვკიდე, ფრთა რომ გამესწორებინა.
არაფერი უთქვია, მეტი არც მომიკდებია ხელი, არც შემიხვევია
დაჭრილი ფრთა, დილიდან საღამომდე ვიჯექი არწივთან და
ველაპარაკებოდი. ისიც მისმენდა, მამაჩემს კიდევ შეემინდა,
ხომ არ გაგიჟდაო. ასეა, უფროსებს სულ ემინათ ასეთი
რაღაცის, ერთ ღამეს ჩუმად შემოვიდა ჩემთან ოთახში და ხელი
დამადო შუბლზე. სიციხე ხომ არ აქვსო. ისე, გულის სიღრმეში,
ნაღდად მასაც მოწონდა ჩემი არწივი. მერე კიდევაც გადაი-
ფიქრა მგონი მისი გაშვება. ალბათ ერთ თვეს მაინც არ გავუშ-
ვებდი, ოღონდ შემემინდა არ მოკვდეს შიმშილით თქო.
არაფერს ჭამდა. მგონი სპეციალურად. ხანდახან უცნაურად
გაქვავდებოდა. მაშინ არაფერი ესმოდა, არაფერს გრძნობდა.
არც მე ვანუხებდი.

დილას წავიყვანეთ მე და ჩემმა მეგობრებმა გასაშვებად,
იქნებოდა 8 საათი. ყველაზე მაღალი ადგილი ბათუმში ბოტა-
ნიკურ ბაღშია. ხოდა იქ ავიყვანეთ. სამანქანო გზით ავედით
ზემოთ. მილიციონერი დებელს დაემსაგვასა, არწივი რომ დაი-
ნახა. ბოტანიკურ ბაღში რომ აღიხარ ზევით, სულ მილიციელი

დგას. ესეც მორიგი დებილობა. სად ბოტანიკური ბაღი და სად ფორმიანი მილიციელი...

ყველაზე მაღალ ადგილას ავცოცდი და ბიჭებს ვუთხარი მართო მინდა გავუშვა თქო, ბიჭებიც არ გამომყოლიან.

არწივი ისევ ტომარაში მესვა. მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო. ტომარა დავდევი, თავი მოვხსენი და უკან გამოვიჩიე.

არწივი უცებ არ ამომხტარა, ნელ-ნელა ამოვიდა. რა ლამაზი იყო! მართლა მეფე. სულ სხვანაირი ჩანდა ახლა. ჩემთან ოთახში მაინც საცოდავი იყო, აბა როგორია მაგნიტოფონთან მჭდომარე არწივი. არა, აქ ტყეში, სიმაღლეზე მართლა სხვანაირი იყო, ერთი პირობა უკან წაყვანაც კი დავაპირე.

ქარი უბერავდა და ბუმბული წამოუნენა... თან რა შეგრძნებაა, რომ ეს არწივი ჩემი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ვუყვარდი. რატომღაც მჭეროდა, არ ვიცი რატომ. ალბათ მე რომ მიყვარდა იმიტომ. იდგა ჩემი არწივი ბალახებში და არ ინძრეოდა. ოღნავ გაბრუებული ჩანდა. უცებ რაღაც უცნაურად ახტა და ცაში ვერტიკალურად აიჭრა. არ ვიცი როგორ ახერხებენ არწივები ასე ფრენას, ბევითაც და ქვევითაც. იქამდე აფრინდა, რომ ბოლოს წერტილიდა ჩანდა. მერე ისევ დაეშვა ზუსტად ასე ქვემოთ და კინალამ თავზე დამეცა. შემეშინდა კიდევაც. მიწას რომ მიუახლოვდა, ცოტა შეანელა სიჩქარე და პირდაპირ ჩემს წინ დაჯდა, რაღაც უცნაურად შემომხედა. სულ რამდენიმე წამი იჯდა და ისევ აფრინდა. ოღონდ უკვე ნებივრად, ნელ-ნელა და ასე 20 მეტრზე რომ აფრინდა შეყვირა. როგორ გამიკვირდა ვერც წარმოიდგენთ. შეყვირა და გაფრინდა.

ეგ იყო და ეგ. აღარ მახსოვს რამდენი ხანი ვუყურებდი. ბოლოს თვალის კი გამიშტერდა. ველარც არწივის ვხედავდი და ველარც ცას. ისე კი დამწყდა გული...

შ. ახლა ალბათ დილის 5 საათია, თბილისში ვარ. გარეთ არავინაა. მალე გათენდება და ახმაურდება ქალაქი, ვილაცა ვილაცას ესვრის...

ჩემი არწივი სად არის არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ სადღაც ახლოს არის და რომ გამიჭირდება ისევ ისე შემეყვარებს, მაშინ რომ შემეყვარა. ყელში ბურთგაკავებული რომ ვუყურებდი, როგორ მიფრინავდა.

არავის აინტერესებს არწივები. თუმცა რა უნდა აინტერესებდეს?! პური არა აქვს ხალხს...

ხანდახან მომენატრება არწივი.

...ქუჩაში ვილაცას ქუდი დაუვარდა, ვუყვირივარ, არ ესმის. ვიღებ ქუდს. ქუდი ტყავისაა, შავი, მომწონს. არ ვიხურავ მიყვები ბრმას სახლში. ტახტი უნდა მომცეს. მე და ბრმა ვცდილობთ ტახტის გარეთ გათრევას. ტახტში პორნოგრაფიული ჟურნალებია, რათ უნდა ბრმას ჟურნალი ან ყრუს მაგნიტოფონი? არ ვიცი.

მოვდივარ სახლში. ტახტს ვღებ შუა ოთახში. ვჯდები. სანამ სახლში შემოვედი, ვილაც პოლიციელი მხვდება. მეუბნება რომ მიცნობს. მთავაზობს საროსკიპო სახლის გახსნას. მხრებს ვიჩეჩავ. არ ვიცნობ, არც საბოზეთის გახსნა მინდა. მიცინის და მიდის.

- კიდევ შეგხვდები და დავილაპარაკებთ.

ვილაპარაკოთ. მაინც არ მინდა ეს საქმე, ვზივარ ლოგინზე და ვფიქრობ მეზობლის კარზე გაკრულ ლოზუნგზე, რომელიც იუნცებოდა, რომ „ხაიფაში მძლოლი მძლოლისთვის მეგობარია“, რატომაც ალბათ მეზობელმა იცის თვითონ. მახსენდება ქუდი. დავკარგე როგორც ვნახე. არ მწყინს. გარეთ ისევ წვიმს. ყველაფერს წვიმის ფერი აქვს. მეც.

ბაგაფხულის დანყება

ეკლესიასტეში წერია: „უამი დარგვისა, უამის დანერგულის აღმოთხვრისა“.

ვფიქრობ რომ ასე შეიძლება ამ თვრამის. კომპოზიციის გადმოცემა-„უამი შემეცნებისა და უამი შეცნობილის გარდმოცემისა“. საჭიროა ამ დროს ამ მონაკვეთების შეგრძნება. ეს, დასაწყისისათვის.

მერ კი უფრო და უფრო შეიგრძნობ იმ მომენტს, რომელსაც „შეცნობილის გარდმოცემა“ დავარქვით პირობით. რა საჭიროა ვთქვათ, რომ ეს რასაც ჯერ-ჯერობით მომენტს ვუნოდებთ, მერე და მერე გახდეს ყოველდღიურ ცხოვრებად. და ასე იყოს დაუსრულებლად. ეს უფრო დასავლური აღქმა იმისა, რასაც სუბიექტური გონის მიერ განხორციელებული სიცოცხლე ჰქვია. საინტერესოა, საზოგადოების დამოკიდებულება ჩემს მიერ, როდესაც ცუდად ვარ. რასაც ცუდად ჰყოფნა ქვია ამ სიტყვის მთელი მეშვეობით. არავის აინტერესებს მაშინ აღამიანი. იციან რომ მოეხმარონ დიდი ენერგია უნდა დახარჯონ. არ გივლიან, არ აინტერესებს ვინა ხარ, რა ხარ, რატომ გტკივა, რატომ არ გტკივა თუნდაც, არ მოგეფერებიან. მახსოვს ასეთი...

-მოკლედ ასეთია ეს ცხოვრება... გავანწყვეტინე ანონლ ბერიკაცს, რომელსაც მოკლე შარვალი ეცვა და ჭორთლიანი სახე ჰქონდა.

-რა? თქვენ გგონიათ, რომ არ ვარ მართალი. დანაღვლიან-და კაციბერი.

-მართალი ბრძანდებით ყმანვილო, ოლონდ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ.

-გარ, გარ-გარ, გარ-გარ. ამოიჩხავლა ჩემმა თუთიყუშმა. ბერიკაცი აღარსად ჩანდა.



შენგელია დალი



დავიბადე 1954 წლის 29 აგვისტოს, სამტრედიის რაიონი დ/კულაშში. დედა სობახე ელენე-პედაგოგი, მამა-შოთა ივანეს-ძე შენგელია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იტალიაში გარიბარდის რაზმში მებრძოლი პარტიზანი იყო. ვსწავლობდი ვ.სტურუას სახ.საშუალო სკოლაში, რომელიც დაფუძნდავრე წარმატებით, ლექსებს ვწერდი 12 წლის

ასაკიდან, პირველი ლექსი იყო „სამშობლოზე“ „ფიქრები“, „ჩემი გულისთქმა“ მამა გარდაამეცვალა 1973 წელს და ჩემი გეგმებიც შეიცვალა, მაგრამ იმედი არ გადამინურავს რადგან სწავლას მონყურებული ვიყავი და სულ ახლის ძიებაში გადიოდა ჩემი ყოველი წუთი და დღე! უსახსრობის გამო გადავწყვიტე ტექნიკურ სასწავლებელში მინც მეცადა ბედი და 1973წ. მამაზე შავი სამოსით შემოსილი ჩავაბარე კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, დავამთავრე წარჩინებით და იმავე წელს, ჩავაბარე ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საღამო დასწრებულზე, რადგან უკვე ოჯახი მყავდა და სხვაგვარად არ ხერხდებოდა.

მყავს სამი შვილი და მეხუთე შვილიშვილს ველოდები, ოჯახი თავისას თხოვდა და როცა ყველა შვილი დავაბინავე მის მერე უფრო აქტიურად ვიმოღვანე, გავსენი ფეის გვერდი და ჩემი ლექსები გამოვაქვეყნე. აქ მრავალი მეგობარი შევიძინე. მადლობა მათ, რადგან მხარში დამიდგნენ და მივიწყებული ინტელექტი კვლავ ამოტივტივდა ჩემში.

დედის გული!

....დედაშვილობას თუ შევიძლია, ეს სკამი მომანოდე, უთხრა პატარა ნიკას დედამ, ეხლავე, სწრაფად დატრიალდა 14 წლის ბიჭი და დედას სკამი მიუტანა, შემოგვევლე ჩემო დედისერთა ბიჭო-მიუალერსა დედამ. კარგი და მკვირცხლი ბიჭი მეზრდები და ძალიან მიხარია. მამა მჭედელი ჰყავდა ნიკას. სალამოს შემოდოდა შინ, ისეთ დანებს, შამფურებს, საკიდებს, ჯაჭვებს და ხანჯლებს ამზადებდა, რომ უბრალოდ წუნს ვერ დასდებდით. მეზობლები კმაცოფილნი იყვნენ მისი ხელობით და ახალ შეკვეთებს აძლევდნენ. მშობლები შვილს კარგად ზრდიდნენ, ბავშვი სამეზობლოში ყველას უყვარდა, სკოლაშიც სანიმუშო იყო, არასოდეს არ ჰქონია უთანხმოება არავისთან. გულახდილი და ზრდილობით სავსე დაუზარელი ჭაბუკი, უბანში ყველას უყვარდა და პატივისცემით მოიხსენიებდნენ.

-კარგი მშობლების აღზრდილიაო, ასე გაიგებდით მეზობლებისგან!

ერთ სალამოს, მამა შინ გახარებული დაბრუნდა და ცოლი მოიხმო. ჩემო ძვირფასო-იმ დღეს, ნიკამ მთხოვა, ხანჯალი დამიმზადეო, -რად გინდა მეთქი, რომ კვითხე მიჰასუხა, რომ გავიზრდები, შენს სახელზე მექნებაო. მეც ჭკუაში დამიჭდა და აგერ ერთი თვეა, ამ ხანჯლის გამოწრთობაში და მოჩუქურთმებაში დავკარგე უამრავი დრო, მივატოვე მეზობლების და მეგობრების შეკვეთა, მინდა ბიჭი გავახარო, იქნებ რა გულით მთხოვაო, -ეუბნებოდა ქმარი-ცოლს! ცოლმა გამოართვა ხანჯალი და ქმარი გააფრთხილა, ჯერ არ ეთქვა ამის შესახებ, სანამ სრულწლოვანი არ გახდებოდა, მაინც, ვითრთხილოთ, ბიჭი გარდატეხის ასაკშია და ვინმეს უნებურად რამე არ დაუშაოსო. ივანშმეს და ნიკაც დაბრუნდა სახლში. სად იყავი ჩემო ვაჟკაცო, ჰკითხა მამამ, სათევზაოდ, -აი, რამდენი ჭიჭყინა და ღორჯო დავიჭირე.... -ყოჩალ, შეაქო მამამ და მხრებში შეაჯანჯლარა,უკვე კაცი მყავს და არ მეშინია,ხვალინდელი

დღის, როც მოვკვდე მოულოდნელად დედას პატრონი ჰყავს და არაფერს გაუჭირვებს, ხომ ასეა შვილოო?, -რა თქმა უნდა მამი! --დედა ჩემი ღვთაებაა და მის ვალს ვერასოდეს ვერ გადავიხდი, ასე რატომ მიყურებ მამი, მართალს არ ვამბობ? --ჰო, შვილო, ასეა. -მე,მე, მე, დაიბნა ნიკას მამა, სათქმელი ვერ იპოვა ვერაფერი, თუ რა ეთქვა ვაჟიშვილისათვის, ბოლოს ამოილულულა-დიდება უფალო, მე ისევ პატარა და უსუსური ბავშვი მეგონა, ამას რამხელა ჭკვიანური აზრები აქვს ამ ლამაზ მოხდენილ თავში, ნიკას თითქოს შერცხვა, თან კისერი დაიგრძელა, ესიამოვნა მამის შექება, თავი მოიქექა და საძინებელს მიაკითხა, დედამ ძილი ნებისა უსურვა და ნიკაც მიუახლოვდა ორთავეს და მოეხვია. მშვიდობიანი ძილი გქონდეთ დედი და მამი! დრო გადიოდა, ნიკა იზრდებოდა, სასწავლებელი დაამთავრა და სპეციალობასაც დაეუფლა, კარგი სტომატოლოგი იყო, უყვარდა თავისი საქმე. ერთხელ დედას გაახსენდა, მამას გაკეთებული ხანჯალი კვირა დღე იყო, ნიკა საუბმობდა, დედას აი,სწორედ ახლა გაახსენდა გადამალული ხანჯალი, რომელიც მეუღლემ ნიკას სახელზე გააკეთა. ქალი მეორე ოთახში შევიდა და სამალავიდან ხანჯალი გამოიტანა, სამზარეულოში ნიკას მიუტანა და აჩვენა, ნიკას თვალები გაუფართოვდა, ვისი შეკვეთაა,რა ლამაზია დედი, -ეს შენი ხანჯალია, მამამ 9-წლის წინ დაამზადა და შენი სახელი აწერია აი აქ! მადლობა მამას ამისათვის, ნიკას თვალები უბრწყინავდა, -ცოლს რომ მოვიყვან, მამის ნაჭედ ხანჯალს დავიკიდებ ჩოხაზე, ეს მართლა მინდოდა! საღამოს სახლის კარი ჭრიალით შემოაღო მოხუცმა კაცმა, ნიკამ სკამი დაუდგა და კაცურად მადლობა გადაუხადა მამას. -მოხუცს ბედნიერებისგან სახე გაუბრწყინდა. -მოგეწონა შვილოო? -კი, მაგარი ნაკეთობაა მამი!. -ხო შვილო, მოხელე ოდეს კვდება და ქრება, მაგრამ მისი ნამოღვაწარი საგნები რჩება მანამ,სანამ ჟანგი არ შეჭამს! -რა ჟანგი მამი, გაუფრთხილდები, ამას ჟანგს როგორ მივაკარებ? -მიხარია, რომ ასე

ფიქრობ შვილო, მამის დიდი იმედი ხარ! -რამდენიმე კვირის შემდეგ, ნიკას ისევ გაახსენდა ის ხანჯალი, გამოიღო განზინდა და დაიწყო ოთახში ვარჯიში, მოქნევა, ვითომ ვინმეს გაათვრთებით ებრძოლებოდა, დედა სახლში არ ეგულებოდა, მამაც სამუშაოზე იყო, და ამ ავბედითი იარაღით დაიწყო ასე უაზროდ ქნევა, მოიქნია, გადახტა, თითქოს შემოსეულ მტერს ებრძვისო და ისე მაგრად მოქნეული ხანჯალი ხმაურზე შემოსულ დედას მუცელში აძგერა. დედა არ დაიბნა და შვილს ხელი ააღებინა ხანჯლიდან, თავსათური მოიხადა და ხანჯალი განზინდა, თვითონ მოკიდა ხელი, მივიდა დარეკა სასწრაფოში და მოვიდნენ წაიყვანეს. გაუკეთდა ოპერაცია, დედა გადარჩა! -დაიწყო გამოძიება,!!!!!! -ნიკამ აღიარა, რომ მე შემთხვევით მომიხვდა ეს ხანჯალიო! -პალატაში კი დედას სხვა ჩვენება ქონდა მიცემული, დამალული ხანჯალი სახლში, რომ შემომქონდა, კიბეზე სახლში შესვლამდე ქარქაშიდან ამოვიღე, მინდოდა მისი სილაპლაპით ნიკა გამეოცებინა და უცებ წავფორხიალდი კიბეზე და მუცელში შემერჭო ბასრი წვერიო. -დედა ხომ, მაინც დედააა, მისი გული უსაზღვროდ ბედნიერი იყო, როცა ნიკა გაამართლეს და სახლში დაბრუნდა. -მოიყვანა ცოლად ლამაზი გოგონა, ყეოლა ლამაზი შვილები, მაგრამ, მის საქციელს ვერ ინელებდა. ყოველდღე ნერვიულობდა, დედა ატყობდა ამას და არ უწონებდა ასეთ ნერვიულობას ხომ შეეძლო ნიკას ჯანმრთელობა დაეზიანებინა,.... -ერთხელ დედამ ნიკა დაისვა სალაპარაკოდ და ესაუბრა, ეს ხომ შემთხვევით მოხდა, ყველაფერმა ჩაიარა, რამდენი დრო გავიდა, მე იმაზე უკეთ ვარ, ვიდრე დაჭრამდე ვიყავი-შვილო გონს მოდი, ნუ ნერვიულობ, მე შენი მდგომარეობით უფრო ცუდად ვხდები, შენ, რომ ასე განიცდი და ისევ იხსენებ იმ შემთხვევას და შენს თავს ესაუბრები, მეშინია არ გამიგიჟდე, -ნიკა ჩაეკრა გულში დედას და მწარე ქვითინი ამოხდა. -მე, მე მინდა ის ხანჯალი სახლიდან შორს გავიტანო, ხო-შვილო ამაზე მეც ვიფიქრე, მინდა ის ხანჯალი, მუზეუმს

ჩავაბარო, მამაშენის ხელობის უკვდავსაყოფად! -ნიკამ მეორე დღეს წაიღო ხანჯალი და მუზეუმში მიიტანა, მამის სახელით და გვართ, მუზეუმში მართლაც მოეწონათ ასეთი კარგი ნაკეთობის მოულოდნელი მიტანა, ჟურნალში ჩანაწერით გაატარეს, ნიკას მამის სახელობის და მადლობით გამოისტუმრეს შინ! - თითქოს ტვირთი მოახსნეს ზურგზე ნიკას, გზაში თიქრობდა, რა უნდა მეთქვა შვილებისათვის, როცა გაიზრდებოდნენ, „ამ ხანჯლით, შემთხვევით დედაჩემი დავჭერი-თქოო.! -კარგია დღეის ამას იქით აღარ ვახსენებ და გონებასაც სხვა რამით დავტვირთავ, რომ არ გამახსენდეს! -,მაგრამ ეს ასე არ იყო, გონებას ახსოვდა, რომ საყვარელ ადამიანს რა ტვილითც მიაყენა!!! -ერთ დროს მშობლებიც გარდაიცვალნენ, მაგრამ მუზეუმში ყველა ეცნობოდა ნიკას მამის უკვდავ შემოქმედებას! - ეს დედის გულის დამსახურება იყო!!!

ძალღი ადამიანის მშობბარია!!

დასავლეთ საქართველოში, იყო ერთი ოჯახი, რომელიც თბილი ურთიერთობებით გამოირჩეოდა, მეზობლობაში, კაცი მშრომელი ადამიანი იყო, მეუღლე კი ოჯახის საქმეებით და ბავშვების აღზრდით იყო დაკავებული, ოჯახი საშუალოდ ცხოვრობდა,არ უჭირდათ, ჰყავდათ თრინველები; ქათმები, მოზრდილი წინილები, ინდაურები, კვატიები (იხვეები) ბატები, აგრეთვე ჰყავდათ მსხვილოფეხა საქონელი ძროხა და ღორი, ოჯახს ყავდა პატარა ნაგაზი, „შარიკა“ რომელიც ძალიან ჭკვიანი და საზრიანი ძალღი იზრდებოდა, პატრონს სულ თვალებში უცქერა და მზად იყო მისი ყოველი ბრძანება შეესრულებინა, ხშირად როცა დედა ღორი საჭმელს ჭამდა შემდეგ სალაფავს დინგს ამოკრავდა ტაშტს დაღვრიდა, შარიკა მზად იყო, შენიშვნა მიეცა ღორისათვის და გადაეფიქრებინა ეს უღირსი ჩვევა. საღამოს როცა კარს გაუღებდნენ ღორს, ის მიაცილებდა

საღორემდე და ყეფას დაიწყებდა, თითქოს ეუბნებოდა, „შენი ხმა არ გავიგონო“. ღორი მაკე იყო და რამდენიმე თვეში გოჭუნებს ელოდა, მაგრამ ზუსტად არავინ იყოდა, როდის დაიბადებოდნენ პატარა გუჭუნები. ოჯახს ჰყავდა წითელი ფერის „ლამაზა“ ეს ძროხის სახელი იყო, ის დიასახლისს უყვარდა, რადგან ლამაზა ერთ მონველაზე 8-10 ლიტრა რძეს იძლეოდა, „ოჯახის მარჩენალს ეძახდნენ“, ოჯახში სულ იყო, ყველი, მანონი, რძე, არაუხანი, ნადული. ოჯახი იოლად გადიოდა, არ აკლდათ ხორცეული და რძის ნაწარმი მოზარდებს, ოჯახის მამა მარჩენალი კაცი კი საღამოს სამსახურიდან გამოივლიდა მაღაზიაში და რაც ოჯახს ჭირდებოდა ყველაფრით დატვირთული მოდიოდა, ბავშვები მამას ჭიშკართან ხშირად სიხარულით ეგებებოდნენ, მათ ამავე დროს მამის შიში და რიდი ქონდათ, მის დავალებას უყოყმანოდ ასრულებდნენ და ოჯახში ყოველთვის სრული ოჯახური იდილია სუფევდა, აქ ყველამ დედის და მეუღლის ფასი იყოდა, ...საღამოს ვახშამზე ერთად დასხდებოდნენ, ხან სიმღერას დაამღერებდნენ ხან მამა სთხოვდა ბავშვებს ძილის წინ ლექსები ეთქვათ, ხან ანეგდოტებს ყვებოდნენ, აქ არ იყო ურთიერთ შელაპარაკება, ბავშვებში ან ცოლ-ქმარს შორის. ყველამ თავისი საქმე იყოდა და ოჯახი სწორედ ამით იყო გამორჩეული იმ კუთხეში, სამეზობლოში და სამეგობროში. ერთხელ ოჯახს შორიდან სტუმარი ეწვია, რათქმა უნდა ოჯახის დიასახლისი, ფრთოსანს ვერ დაედევნებოდა (როგორც ჭრიჭინაშია), მან მოუხმო შარიკას და ძალლი პატრონს თვალელებში უცქერდა, მან მიუთითა ძალლს შარიკა აი, ის დაიჭირო და ძალლიც დაედევნებოდა ქათამს, მოიმწყვდევდა ლობესთან და პატრონიც მივიდოდა, შეაქებდა და ეტყოდა, ამის ძვლებს შენ გაჭმევო, თან მიაყოლებდა, ჩემი ჭკვიანი ძალლი ხარ, ღირსი ხარ კარგი გამოკვებისო. ძალლი სტუმარს მანამ არ უშვებდა სახლში, სანამ პატრონი არ დაითხოვდა, ის

ოჯახის ნამდვილი დამცველი და მეგობარი იყო. ერთხელ როდესაც ოჯახის უფროსი სახლში მარტო იყო, შეატყო უხასიათობა და პური არ ჭამა, ასე გავიდა ორი დღე, პატრონმა იფიქრა არ მომიკვდესო და გაეთამაშა, გამოიტანა პური და მოტეხა, შეჭამა და ძაღლსაც მიანოდა, ძაღლმაც, კბილი გაჰკრა, თან პატრონს უცქერდა, ასე ორივე პურით დანაყრდნენ ერთად. მიხვდა რაშიც იყო საქმე ოჯახის უფროსი და ძაღლს ყოველთვის ერთგულებისათვის კარგი საკვებით აჭილდოებდა. ამასობაში ოჯახის ღორს მუცელი ეზრდებოდა, ყველა ელოდა პანია გოჭუნების მოვლენას ქვეყანაზე, ...ერთ საღამოს ღორი სახლში არ დაბრუნდა, ოჯახის უფროსიც სახლში გვიან მოვიდა, ყველას გადაავიწყდა ღორის არსებობა, მხოლოდ შარიკამ აიკლო ეზო ყეთით, კარებს ფხოკნიდა, ყეფდა და წკმუტუნებდა, გააღვიძა ყველა სახლში, კაცი ადგა გარეთ გავიდა, ძაღლმა შარვლის ტოტში კბილი წაავლო და წრე დაარტყა, ანიშნებდა გამომყევო, პირველად ვერ მიუხვდა, სახლში შევიდა უნდა ჩავიკვა და ძაღლს გავყვეო, რაღაც ხდება ჩვენს თავსო, ძაღლი წინ წაუძღვა პატრონს და როდესაც მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ღორს უკვე გოჭები დაეყარა, ჩაეხუტა ძაღლს პატრონი და კოცნა დაუნყო, რა ჭკვიანი მეგობარი ხარ, დაბრუნდა სახლში, რომ გოჭებისათვის რაიმე ყუთი, წამოელო და ჩაესხა შიგ, გადმოსაყვანად, ძაღლი კი ღორს არ მოშორებია, პატრონის დაბრუნებამდე იცავდა, მერე კი ერთად დაბრუნდნენ შინ, ღორს შარიკა სახლისაკენ ერეკებოდა, ხან კუდზე კბენდა, ხან წინ გადაუხტებოდა და უყეფდა, „ფეხი გამოადგი დაენიე შენს შვილებსო“! ცხოვრობდა დიდხანს ამ ოჯახში ეს ძაღლი უზრუნველად, წლები გავიდა, დაბერდა, ერთხელ მოიკითხეს ძაღლი და ვერასდ იპოვეს, თითქოს მინამ ჩაყლაპაო, არსად არ ჩანდა, ბოლოს ხელი ჩაიქნიეს და განგებას მიანდეს, დარჩა მასზე დღემდე კარგი მოგონება. ძაღლი ადამიანის და ოჯახის მეგობარია!!!

ჩემი საყვარელი გუნება და ქვეყნის მომავალი!

საქართველოს რომელ მხარეშიც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან მთებია. მარადმწვანე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებით, სიმწვანეს მიაქვს მთა და ბარი, დასავლეთი კიდეც უფრო გამორჩეულია. გსიამოვნებს ბუნებაში გასვლა, ბალახზე ფეხშიშველი სიარული, ზოგჯერ დამნანებია ფეხის დადგმა მობიბინე ბალახზე არ გავთელო და სილამაზე არ წავართვა ამ მშვენიერ მწვანე საოცრებას თქო და გვერდზე მომიძებნია ისეთი ადგილი, სადაც დამიდგავს ფეხები და დამისვენია, თითქოს შემეგრძენია როგორ მომიხადა ამისთვის მადლობა, თავი დაუხრია და ისევ წამომართულა. -საოცარია ჩემი სამშობლოს ზეგანი მისი ველ-მინდვრები, მისი ყვავილების მრავალფეროვნება, გინდა ყველას მოეფერო, ყველა სახლში გყავდეს, თითქოს შენსკენ იწვდნენ ხელს, მოდი დამკრიფე და შენთან შინ წამიყვანეო, მაგრამ ეს მტკივნეულია, როგორც მათთვის ისე ჩემთვისაც, მოვკრეფ და რამდენ ხანს იცოცხლებენ ჩემთან? სჯობს თავის ოჯახში თავისიანებთან დარჩნენ, ამით მეც უფრო მშვიდად ვიქნები, მე მათ ფირზე ავლბეჭდავ და აქ კედელზე განვათავსებ, იმითაც კმაყოფილი ვიქნები, თან მაგრად ვიამაყებ, რომ ასეთი ლამაზი ბუნების ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავართ, ჩემი ლამაზი საქართველოს შვილი ვარ, რომელსაც ვერასოდეს ვერ გავშორდები და არჩევანის წინაშე ვერ დავაყენებ, ვერავითარი ძალა და ეკონომიკური სიღუბლე ვერ დამატოვებებს ჩემს უნიკალური სილამაზის, საოცარ გარემოს, საოცარი წყლებით და ჰაერით მოსულ მხარეს, ვიცი ბევრის გული აქეთ ესწრაფვის და მჯერა ისინი მალე დაგვიბრუნდებიან და ერთად ავაშენებთ ახალ ძლიერ და ლამაზ საქართველოს, ვიცი, თბილისიდან ბევრი გამოვა და ახალი მშენებლობის პროექტებს წამოიწყებენ წეროვნის ველებზე, სადაც ბევრი კარგი პროექტი განხორციელდება და ისიც თბილისის ნაწილი გახდება, ღმერთმა გვისმინოს და ჩვენი ერი

გამრავლდეს, გაძლიერდეს და ბევრი უნიკალური პროექტები განხორციელდეს ჩვენს დედა სამშობლოში, რომელიც ისტორიამ არ დაგვიკარგა და რაღაც ნაწილი მაინც გვარგუნა, მაღლობა ამისათვის ჩვენს წინაპრებს.... -რამდენი სახელმწიფო დაიკარგა, რამდენის მზე ჩაესვენა და წარსულში დარჩა, ერები სახელმწიფოს გარეშე, ეს სრული კრახია. უფალმა დაიფაროს და არასდროს არ მოგვაკლოს ლოცვა-კურთხევა, რომ მომავალში უფრო ძლიერი და ნიჭიერი ერი, მყარად ვიდგეთ ფეხზე, რათა ჩვენი ბუნება და ჩვენი მთა-ბარი გავითავისოთ, მოუაროთ და გაუფრთხილდეთ...!!! მე საქართველოს შვილი ვარ, მიყვარს ფიქრები მრავალი, და გაუფრთხილდეთ მის ზეგანს, ვიყოთ ამაყად მავალნი. ბევრი ვაშენოთ, ვიმრავლოთ, გული გულს მივცეთ, ხელი ხელს, სიყვარულია მთავარი, ეს მოგვიხვეჭავს ჩვენ სახელს. უფალს ვუყვარვართ, დაგვლოცავს, წარსულთ ოცნება ახდება, და საქართველო, ქვეყნებში, უნიკალური გახდება!!!

მგელია ჭაღებში!

(ნამდვილი ამბავი)

მოგეხსენებათ დედა რაჭველი ქალბატონი იყო,ის ზაფხულობით შვილებთან ერთად სტუმრობდა თავის სახლს, სოფ. აბანოეთში და ერთი წლის ნახვის მოსურვილებული აგვისტოს ბოლოს შინ ვბრუნდებოდით. დედა იქ იგებდა, თუ რა მოხდა, მთის ცხოვრებაში ახალი, ხან ტიროდა, ხან მონწყენილი იყო, ხანაც გულიანად იცინოდა. -ყველას გვიყვარდა იქ ყოფნა, დღეები სწრაფად და ხალისიანად გადიოდა, სექტემბრიდან კი სკოლა გვეძახდა და შინ ვბრუნდებოდით. -მამა გველოდა, თვალები სულ გზისკენ ჰქონდა, ჩასულებს იქაც გვიხაროდა

მამასთან შეხვედრა, რადგან მამა „სიურპრიზებს“ გვახვედრებდა. - არ ვიცი რატომ და ერთ დღეს გარეთ კარგად რომ თოვდა, ბავშვები სახლში ღუმელთან ვთბებოდით, დედა კი წინდას ქსოვდა და ვსაუბრობდით, თოვლიანი რაჭა გავგახსენდა, უცებ ჩემმა ძმამ დედას ჰკითხა იქ, რაჭის მთებში მგელი არისო, -დედას რაღაც გაახსენდა და სახე შეეცვალა, -კი ჩემო ბიჭო, მგელი კი არა მგლებია. მე მოგიყვებით თუ რა მოხდა გასულ ზამთარს, იქ, სწორედ რაჭის ტყის განაპირა ჭალებში. დაიწყო ნამდვილი ამბის მოყოლა, ბავშვები გაფაციცებით სმენად ვიქეცით, ჩვენებურად გავისუსეთ. -რაჭაში დიდი ზამთარი იცის, იქ ტრანსპორტი არაფერია, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში ფეხით უხდება ხალხს მთის,ჭალის და სოფლის დამაკავშირებელი ორღობეების გავლა. -ერთი სოფლიდან მეორე სოფლის 3-კმ-ში ერთი ლამაზი გოგონა იყო გათხოვილი, უკვე 11-წლის ოჯახი ჰქონდა, ძმის ავადმყოფობა შეუტყვია და მოსვენება დაუკარგავს, ქმრისათვის უთქვამს, წავალ ვინახულე ჩემს ძმას და მალე დავბუნდებიო, ქმარს უარი არ უთქვამს, მხოლოდ ბავშვს ნუ წაიყვან შორი მანძილია ფეხით სავალია და დაიღლებო, კარგით უთხრა ქალმა, მაგრამ ბავშვი ატირებულა, არა, მე დედასთან ერთად უნდა წავიდეთ, რას იზამდნენ, ქალმა იმ დღეს ძმის საპატივცემულოდ, ლობიანები, ხაჭაპურები დააცხო და მოემზადა რათა დილით ადრე გასდგომოდნენ გზას, ბილიკი ტყის განაპირა იყო გასავლელი. -მშვენიერი მზიანი დილა გათენდა, დედა შვილი გაუდგნენ გზას, ჩქარობდნენ რადგან საღამოს შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. -მიდიოდნენ და თვალებს ძლივს ახელდნენ რადგან მზის და თოვლის ურთიერთ გარდამტეხი მზის სპექტრი თვალებს უჭრიდათ, ბიჭს დედისთვის ხელი მაგრად ჩაეკიდა, და ხელს არ უშვებდა, გზაში დედა ათას რამეს უყვებოდა შვილს და ასე დღის შუქით მიაღწიეს თავისახლის სოფელს. (მაპატიოს მკითხველმა რომ ნამდვილად არ მახსოვს, ეს ამბავი რომელ სოფელში

მოხდა, ეს ბავშვობის დროინდელი ნაამბობია და აი, ამიტომ ვერ ვწერ სახელებს, ვერც ადამიანებისას და ვერც სოფლისას, მომიტევეთ!) -ძმა უცოლო ახალგაზრდა კაცი, შინ დაუხვდათ, ლოგინში მწოლიარე, ავად გამხდარიყო, მოეფერნენ ერთმანეთს, გათბნენ, ისაუბრეს. და რის დაა და, დატრიალდა სახელი მიუღაგა, მათ მშობლები არ ჰყავდათ, ძმა მარტო ცხოვრობდა, ამასობაში დღე გაიპარა, მზე თანდათან ჩასვლას ლამობდა, ქალმა საათს დახედა და გაუკვირდა, -უნდა წავიდე, ჩაიცვი უბრძანა თავის ყმანვილს. -დავრჩეთ დეე? -არა, კატეგორიულად უპასუხა დედამ. -ძმაც ცალკე სთხოვდა, რომ საღამო ერთად ყოფილიყვნენ, ესაუბრათ და მოგონებებში, ჩაძირულიყვნენ. -არა ქმარი მელოდება, უნდა წავიდეთო, აიხირა ქალმა. -ძმამ დიდი სახრე და ხელჯოხი მიანიშნა სად იდო,ის წაიღეთ, რამემ არ შეგაშინოთ, ფრთხილად იარეთო. -დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ბიჭი ცელქობით წინ გავარდა თოვლში, შუა გზაში იყვნენ უკვე რომ კარგად დაბინდდა, ბიჭი დედას მიეკრა ხელს არ უშვებდა, თან ბიძისგან წამოღებულ სახრეს თოვლს უტყლაშუნებდა და ასე გართობით უშიშრად შინ ბრუნდებოდა დედასთან ერთად. -მალე მივალთ ხო, დეე? კითხა ბიჭმა დედას, კი აი ის მთაც და შინ ვართ, მიუგო დედამ. -ჩამობნელდა, სადღაც მგლის ყმუილი გაისმა, დედა ჩქარობდა, ბიჭი დედას ხელს არ უშვებდა და ვერც ეწეოდა სიარულში, დაილაღნენ, მაგრამ, რას იზამდნენ ეს მათი მისია იყო, უნდა გადაეღახათ და შინ მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ. -უცებ სიჩუმე ჩამონვა, თითქოს ტყე სმენად იქცა, ირგვლივ კი, თოვლის გარდა არაფერი არ ჩანდა. -ოხ, როგორ მძულს ეს სიჩუმე, ამოილულლულა ქალმა და შვილს სთხოვა უფრო ჩქარა ევლო, ვაჟის ცდილობდა მაგრამ დედას გაუმხილა, გვერდი ამტკივდაო. -მალე შინ ვიქნებითო, მიუგო დედამ. -უცებ ქალი შეტორტმანდა, ტყის სანაპირო ზოლში, ძაღლები შენიშნა. -გაჩერდა, ცივმა ოფლმა დაასხა. -ნუ გეშინია დედა, ესენი რას

გვიზავენ, აი სახრე თავს დავიცავთო, მიუგო ვაჟმა და სახრე კვლავ მოიქნია. -შეჩერდი! -ესენი ძალღებნი არ არიან, ეს მგლები ხროვანა, შიშნარევი ხმით, მიუგო დედამ და ბიჭს ხელი მაგრად ჩაშჭიდა. -ამის მერე არავის არ ახსოვს, იქ რა მოხდა! -გათენდა დილა, როგორც ყოველთვის, თენდება ხოლმე. -(მამინ კომუნიკაცია არ იყო, ვინ-ვის შეეხმიანებოდა, დაბრუნდნენ თუ არა დედა-შვილი სახლში.) -ცოლი იგვიანებდა, ქმარი მოლოდინით დაიღალა, ადგა მეორე დღეს და მიადგა ცოლეურობის სახლს, შეეხმიანა ცოლის ძმას, სად ხართ. -ცოლის ძმა გავგნებულნი უცქერდა, სიძეს, რას მეხუმრები, ჩემი და და დიშვილი, საღამოხანს სახლში დაბრუნდნენ, აქ არ დარჩნენ და ეხლა შენ აქ ტვინის ასარევად მოხვედი, რომ მანერვიულოვო? -ქმარი შოკში ჩავარდა. -სად არის ჩემი ცოლ-შვილი, თავში ხელი წაიშინა, და სირბილით დაადგა გზას სადაც ტყე იწყებოდა. -ძმაც წამოხტა, დაავიწყდა ავადმყოფობა, დაიწყო ყვირილი, უაზროდ, მიშველეთო, მოკვივდნენ, სოფლის, ხალხი, აიღეს თოფები და გაუდგნენ გზას საძებნელად. -დღე იყო მეტად სუსხიანი. -მამა ტყეში შესულიყო და ხმამაღლა ჰყვიროდა, ეძახდა თავის ცოლ-შვილს, მხოლოდ ტყის ექო უბრუნებდა ჰასუსს. -ნინა ღამით თურმე მგლები ერთ-ერთ საჯინიბეს მისდგომოდნენ, ძროხები დაეფრთხოთ და ამ გნიასში პატრონს, თოფით დაეფრთხო ნადირი, ასეთი ბევრი შემთხვევა ხდება აქ, თქვა ერთმა მათგანმა, რომელიც ქალის ძმას ადევნებულნი, ფეხდაფეხ მისდევდა. -მიაღწიეს ტყის ფერდობს, ბიძას თავლები გაუშტერდა, თავისი სახრე იცნო თოვლში დაგდებული, იქვე ეგდო თავისი გამოთლილი ხელკეტი, რომელიც სისხლით იყო მოთხვრილი. -აუტყდა კანკალი, ყელში ბურთი გაეჩხირა და უსულოდ გულწასული იქვე დაეცა. -შუა გულ ტყეში, კაცი ვიპოვე, ჰყვიროდა მეორე მეზობელი. -ის ბოშო ,, სიძეა ჩვენი. ისიც გულწასული იყო, ბავშვის ფეხსაცმელი ეპოვნა და ცუდად

გამხდარიყო. -იმ დღისით, სხვა ვერაფერი იპოვეს, დაბრუნდ-
ნენ შინ და დაელოდნენ დაღამებას.ყველა კაცი შეიარაღებული
იყო, ყველა, მზად იყო ეს დაუნდობელი ნადირი გაეწყვიტა. -
მაგრამ მგელი რის მგელია, რომ საფრთხე არ იგრძნოს და არ
გადაიხვეწოს? -გაზატხულდა, დათბა, გარემო ახმაურდა. -ტყე-
ში უთოფოდ აღარავინ არ შედიოდა. -ერთ-ერთ მონადირეს
ადამიანის კიდურები და თავები ეპოვნა, სოფელში ჩამოეტანა
და ყველას აჩვენებდა, პატრონს აუწყეთ და დაასათვლათონო, აქ
იყო დედა-შვილის ხელჩაჭიდებული ხელის მტევნები, დედა-
შვილობის სიყვარულის დიდი ემბლემა. -როს დაასრულა
დედამ თხრობა, ყველას თვალეებზე ცრემლები გვექონდა. მე კი
ხმით ვტიროდი, მგელი, საშინელი მგელი. -იმ დღისით არავის
არ გაგვიცინია, მთელი თვე ამ ნაამბობის იგვლივ
ვტრიალებდით.

სტუმრად !

ადამიანი იცნობის, თავის სიცოცხლით, ხელადა,
როს მას ეწვევი სტუმრად, დატრიალდება ხელადა,
მოგართმევს ქართულ პურ-მარილს
და მოგიჭდება ხელადა,
შენც დაგათრობს და დათვრება, გადაიქცევა მღერადა!
კარს რომ გაგიღებს, დაგლოცავს, სახე ნათელი ვარდია,
კვლავ გაგიხსენებს თავიდან, გეტყვის „რა კარგი,მზარდია“
სწრაფად ცეცხლს ააგუზგუზებს, დიასახლისი მარდია,
სანამ მწვადს შემოგთავაზებთ, მოაქვს ოჯახის ნარდია.
სიყვარულსა გეფიცება, არ წაინცმედს შენთვის სულსა,
შენნაირი ყველას უყვარს, დროს იხსენებს გარდასულსა,
შენ, მე აროს გამიბრაზდე, დაეყრდენი ამ ჩემს გულსა,
ორპირი და მრუში კაცი, ხორციით, სულით, სახით მძულსა!
შენ მიყვარხარ, ასე ძლიერ, რადგან შენ ხარ მეტად კარგი,

სამი შვილი გაგიზრდია, ერთმანეთზე კარგზე ვარგი,
უმაღლესშიც გზამკვლევი ხარ, აურჩიე გზა შენ, დარგი,
ან, ცხოვრებას უძღვებიან და არიან სხვისი მარგი.!
ვინც შენ კარგად ვერ შევიცნო, თვისი ცნობა გაუჭირდეს,
შენი შემხედვარე თვალი, სხვისი ცნობაც შეუჭირდეს,
შენს შვილსა და მონაგარს კი არასოდეს არ უჭირდეს,
პირში ენა, ხელში ხმალი, გალესილი, სულ უჭირდეს!

შენი ბენი!

არც მოყვარე დაინდობის, თავის ამქრად, გადამვიდად,
თუ მიენდე, გილალატოს, არ დაგინდოს არს დამრიდად,
თუ გაკოტრდი, არ უნდისხარ, არც ჩირად და არც დამრიგად,
შენსა სულსა უპატრონე, მოეფერე, კარგად რიგად!
თუ, რომ კაცსა, არ უყვარხარ, არც მეგობრად ჩაითვლების,
არა შველის მას წამალი და არც დენა თვით ცრემლების,
წადი, მუნვე გაეცალე, არ ეფერო, ჰკარ ხელები,
ის მიხვდება, თუ უყვარხარ, სწრაფ მოეგოს მან გონების.
მისი ვინ ხარ, მისი რა ხარ, რომ უყვარდე ნეტავ ასე,
შენი გული, შენ გეკუთვნის ახალისე ისე-ასე,
შენი თავი აიყვანე, იამაყე დაათვასე,
დრო მცირეა, მალე გარბის, თვით სიცოცხლე გაიასე!
თუ გინდა, რომ პატივს გცემდნენ, თავი შვილებს მიუძღვენი,
არ დაკარგავ მათ სამსახურს, რადგან ხორციით არის შენი,
რაც არ უნდა აწყენინო, თავის შვრება ბიო-გენი,
გაპატიებს წყენინებას, შენი სისხლით შენაძენი!

აფხაზეთის ომში მებრძოლ დედისკრთა

დათო (წიეს)!!!

დედას ტყულად როდი იფიცებდი,
მის ჭალარას პატივს სცემდი და გიყვარდა,
ქართველების ერთობისთვის მიიწვედი,
საქართველოს მთლიანობა, მტკიცედ გნამდა.
დედისერთავ, ცხრა აპრილმა შენით განვლო,
უშიშარო, ტყვიის ზუზუნს არად თვლიდი,
დაჭრილს იმედს აძლევდი და ამხნევებდი,
დალუპულთან ქედს იხდიდი, თავსა ხრიდი.
საქართველო გადარჩება.....გადარჩება!
ჩემი მინა, მრავალ ომ-ჭირ გამოვლილი.
აფხაზეთის არასწორი არჩევანი
დამლუპველი, რომ აღმოჩნდა, შენი ბედის.
მოხალისედ ჩაენერე პირველ დღესვე
და სისხლისმსმელ ურჯულოთა, მუსრს ავლებდი,
ქართულ მინას იფიცებდი, იხუტებდი,
გნამდა დიდად, დრო და უამის, გამარჯვების!
ხვალინდელ მზის ამოსვლას მოელოდი
და გჯეროდა, საქართველოს გაბრწყინების.
აფხაზეთში გატიალდა ბაღნარები,
მრავალ ბომბთა აფეთქებას გადაურჩი,
ტყვიის ჯერში, გადიოდი, სხვას შველოდი,
გახდი მტრისთვის, მეტად უნდო და თან ურჩი.
იქ, ტამიშთან არ დაგინდეს დესანტებმა,
როს მესამედ დაჭრილთათვის გადიოდი,
მწარე ტკივილი, იგრძენი, შენს საყლაპავთან
და ძმებისგან, ახლა შველას შენ ითხოვდი.
მეომრები გიყურებდნენ, ვერ გშველოდნენ,
რადგან ტყვიის წვიმამ შენკენ კვლავ იმატა,
დაეცი შენ, შენს მინაზე გამეტებით
და შენ შეხვდი, სულით უკვდავ მეომართა!!!

სვეტიცხოველი!

სვეტო ნათლისაო, განთიადისაო,
ამენებისაო, დაფუძნებისაო,
სვეტის ნათელი, დაგადგა თავზე,
საყრდენი იყო, მაშინ ის ძალზედ.
აიგო ტაძარი, ღვთისგან კურთხეული,
უფლის დალოცვილი, არსაკიძეული,
მოდის საუკუნე, მრავლად უძლეველი,
აქ, ილოცებოდა, თშავი და თხოველი.
ქართული შედევერი, უძლეველ მანტია,
მასს გალავანი, სულ მტკიცე არტყია,
ეს საქართველოს, მძლეეთამძლე ტაძარი,
ასეთი მადლიანი, აღარსად არ არი.
ქართული სული ხარ, არავის მადარი,
სვეტი ხარ ცხოვლისა, ქართველთა საყდარი,
მტრისათვის რისხვა ხარ, ჩვენთვის საფიცარი,
ბევრჯერ დაჩოქილი, მრავალჯერ აღმდგარი!!!

მრავლს!

ქრისტიანებო, ღვთისა მძებნელნო,
მოუხმეთ უფალს, ლოცვით გალობით,
ამ ღამეს მთვარე, როცა მზეს შეცვლის,
კვართი იბრწყინებს, უფლის წყალობით.
სვეტიცხიველი, შიგნით და გარეთ,
სულ გაბრწყინდება ნათელით, ალი-თ,
სულიწმინდა კი, გადმოვა თქვენში,
თქვენვე შეიგრძნობთ ღმერთისა ძალით.
ვერცერთი იგრძნობთ, დაღლას, მუხლ-კვეთას,

არც უძილობის, არც ერთ სიმპტომებს,
ისე ახლოს ხართ სულიწმინდით, რომ
მას თქვენ უყვარხართ, თქვენთან ინდომებს.
გალობით შეხვდით, გფარავდეთ მისი,
ძალა, ლოცვა და კვართი მალუღი,
რომ გაძლიერდეთ, ქრისტეში მარად,
ისწავლეთ მისგან ეს სიყვარული!!!

მშვიდობა მინდა!

მშვიდობა მინდა საქართველოში,
მინდა კიდევ, რომ ხალხს არ შიოდეს,
მინდა, რომ იყოს ერთიანობა,
გული არ გვწყდებოდეს, ცრემლი არ გვდიოდეს!
რამდენ გაზაფხულს, უნდა ველოდოთ,
ამ იმედებით, მოვა სიბერე,
გარდავიცვლებით, გარდვისახებით,
იმ სამყაროში, სული მიბერე!
რატომ არ ვჩქარობთ, რატომ არ ვფიქრობთ,
რომ მომავალი, სიცრუით მეფობს,
ზოგჯერ სატანა ისე გვაცდუნებს,
გავგიტყუებს და ჩავგჩხავს ფერდობს!
გაქრა, წავიდა სანუთრო ხვალის,
ამ შეგუებას არ უჩანს ბოლო,
ფერდობზე დაღეწილ სპეტაკ სხეულზე,
ამოვა ია, ამოვა ღოღო!!!

ჩემი ბავშვობის გახსენება ჩემი რაჭაა... სოფელი აბანოეთი!

მთებზე, გორებზე დიდი სახლები,
გზები, მინდვრებზე სულ მოხვეული,
ზემოთ მიიწევ, სოფლებს გაუვლი,
ბაგა-ბუგს იწყებს იმ წუთში გული.
ერთი სული გაქვს ეზო შეალო
და მოეფერო, ყველაფერს ირგვლივ,
ჩემი ბავშვობა აქა დამთავრდა,
გულით ვიხსენებ, ფერებით ვიტყვი.
მიყვარს მე რაჭის ყოველი ხედი,
მისი რიონი, ჭალა , თელეები,
ხშირად ვსტუმრობდით, ნაისხარას და
მაყველით სულ შავი გვექონდა ხელები.
ო, მოგონება წარსული წლების,
მორცხვად ჩავლილი, ვამბობდი სალამს,
გაფრინდა ჩემი ბავშვობის წლები,
ტკბილად ვიხსენებ, ყოველთვის ამას!

ბულბულის სიმღერა!

მინდა გიგალობო, ვით ბულბული ნაზი
ტოტზე მოფრთხილდე,
მოგიხატო ცა და, მოგიხატო მთები
მწვანით მოელვარე,
დაგანახო გული, ჩემი ტრფობის წყარო,
ფერთა სიუხვითა,
შარბათს რომ შეგასმევ, მხოლოდ მაშინ გეტყვი,
ახლა შემეყვარე.
უნაზესი სულის ფერთა სიუხვე ხარ,

წრფელი შეურყვნელი,
სიმღერები გიყვარს, ჩემო უნაზესო და
იმიტომ ვმღერი,
მინდა დაგანახო ცათა მწვერვალები თეთრი,
ნისლის ფერი,
შენი სიტბო მინდა, მართლა რომ შევიგრძნო
მე მომხვიე ხელი.
ჩემო იადონო, მგალობელო ჩიტო, მე
შენთვისა ვმღერი.
ერთად გადვიფრინოთ, ღმერთის ბოძებული
ეს სამოთხის ველი,
სიყვარულით დავტკბეთ, ერთად ავამღეროთ
ცისა ლაჟვარდები,
რომ იცოდე კარგო, შენი სიყვარულით როგორ
ძლიერ ვკვდები.
მე ბულბული ლალი, იადონი კი შენ,
ერთად ავმღერდებით,
ყველა მოგვილოცავს, ყველა ჩაგვიხუტებს, ამით
ჩვენც დავტკბებით,
და სიცოცხლის ტკობით, სულ ერთად ვიქნებით
აროს დავიღლებით,
მოდი ჩემთან კარგო, გულში ჩამეხუტე,
აროს დავშორდები!!!

დილა გშვიდობისა საქართველოვ!

ჩემო ერთადერთო, მშობლიურო მხარევ,
აი, გავიღვიძე და მეც გამახარე,
მიაბზე რა ხდება შენს თავს ახალი,
როგორ გყავს ხალხი, შენით დამაშვრალი.
გააღე დარაბები, ხმამაღლა იყვირე,
მე ევროპა ვარ, ნულარ დამამწნილეთ,
არ მოგწონთ, ეს ჩემი კულტურა მაღალი?
სხვა საქართველო კიდევ სად არი?
ვერ ნახავთ ჩემნაირ ხალხსა და ზეგანსა,
თავთუხებს, მწვერვალებს, ვაზებს და მტევნებსა,
რა გინდათ არ ვიცი ან რითი მიწუნებთ,
ღვინით ვარ განთქმული, თათულით და წყლებითა,
თქვენ შემომიერთდით, არ გეხვეწებითა,
მაღე მიხილავთ! სულ რომ გავბრწყინდები,
აროს დავეცემი, აროს დაგვკინდები,
მე მყავს ნიჭიერი ხალხთა დიდი გუნდი,
ქველ წელთაღრიცხვიდან , დღემდე არ გავხუნდი,
წმინდანთა მიწა ვარ, მათი წილნაყარი,
ბევრ ომ გამოვლილი, და დღეს , ან აღმდგარი.
გვერდში დამიდექი, პატარა ბაჭაღლოს,
სხვამ არ დამიმონოს და ხელი არ მახლოს.
ძმურ ოჯახში მინდა, წილები გავიყო,
მეც ევროპა მერქვას და ძლიერი ვიყო!

მასწავლებელი!

„მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი, ბავშვის მშობელი“,
დამილოცნიხართ, უკლებლივ ყველა,
თქვენი ჯაფით და შრომით, ყოველით!
დამილოცნიხართ, მძიმე შრომისთვის,
დაუშრეტელი ენერჯითა,
ბავშვებს, რომელთაც ხასიათს უწყობთ,
დიდი გარჯით და დიდი სულითა!
მასწავლებელი, დაღლილი შრომით,
გამოკითხვებით და ახლის ახსნით,
ყოველსა ბავშვში თქვენი სულია,
პატივისცემა და დიდი ხათრი!
მასწავლებელი, სულის სიმბოლო,
მოსწავლისათვის კარგი ვირუსი,
დასწავადება, ჭკვიანი ბავშვი,
გადაულოცეთ თქვენი პოლუსი.!
მამ, დაგელოცოთ ყოველი ნუთი,
ბავშვების აღზრდას შესწირით თავი,
იხარეთ ქვეყნად ჯანმრთელ უნარით,
გიჭრიდეთ ჭკუა და გიჭრიდეთ მკლავი!
ბავშვები თქვენი მონოდებაა,
ნათელი ქვეყნის, კვლავ მომავალი,
პატივისცემის ღირსნი ხართ ყველა,
ბავშვია, ქვეყნის ამომავალი!!!

გულთან ახლოს!!

მე მჭირდება, პირუთვნელი მეგობრობა,
არ მჭირდება მე, სიავის დარები,
ისეც მაგრად მგვემა ამა ცხოვრებამ,
გვიან, მაინც აზრებს ვეზიარები!
მეგობრობა პირუთვნელი ხილია,
მას სჭირდება, დილა მუდამ მზიანი,
შემომქმედნი, რაზეც მოდი- მიდიან,
წერონ ბევრი, ლექსი ალერსიანი!
დაე, ვიღვანოთ, სახალხო პოეტად,
რა ჩინი და შეფასება გვჭირდება,
ხალხს ვუყვარვართ, ლექსთა გაზიარებით,
ამას ვამჩნევთ, ჩინი არც კი გვინდება!!!

დროზე დამთავრდი!!!

ახლა შენს სულის რითმებს ვეხები,
დილის ნამივით კრიალას, სუფთას,
ვერ ამიკრძალავ, რადგან ვერხვები,
აზრთა ჭიდილში, მაცლიან სუნთქვას.
თეთრი ვერხვები, სულს ეფერება,
მისი ჩრდილი კი გულსა აამებს,
მიდის საწუთრო, დილა ილევა,
ეს ბედისწერა, ვის გაახარებს.
გული დაჭრილი, სული ნატიფი,
ხელში მახვილი, სულში იარა,
რამდენი ყოფმა, ანდა არყოფნა,
თვალმა, გონებამ გამოიარა.
დღეს რასა ვფიქრობთ, რას ველოდებით,
ნუთუ, მხარს ვუჭერთ ომერთას ფიცით,
კეთილდღეობა კარზე მოგვადგა,

ჩვენ სათითაოდ, სუყველამ ვიცით.
ხელს რალა გვიშლის დავფიქრდეთ კარგად,
გადამწვეტ აზრებს გონება გვეტყვის,
კაცი, რომელიც სხვის აზრს აჰყვება,
ფშუტუროა და სხვის აზრებს ერწყმის.
ახლა შენს სულის რითმებს შევებე,
ვიცი გენყინა მწარედ გამწარდი,
სამშობლო არის უპირველესი,
თუ მიხვდი მაინც, ღრობე დამთავრდი.

სონატას უკვავს

სონატას უკრავს პატარა ქალი,
სამყაროს ერთვის სულ ჟღერადობა,
და ფოთოლუცვენის ჟამი დამდგარი,
უსმენს მუსიკის მაუნყებლობას.
სიცვიე დაჰქრის, ფოთოლი წყდება,
ქარს მიაქვს იგი, გაიხვეტება,
დამთავრდა მისი სიცოცხლის ჟამი,
და საბოლოოდ, უკუნით კვდება.
ხეთა სიშიშვლე, მათი გაძარცვა,
სუსხიან ციკლონს აუშლის ვნებას,
შემოეხვევა შიშველ ხეთა მწკრივს,
ძარღვს გაუყინავს არ მისცემს შვებას.
ქალი სონატას ვნებით აჟღერებს,
და აჰყოლია, ნოტების წყობას,
უკრავს ვერ შველის მუსიკის ჰანგით
ის უცქერს ფოთოლთ გარდაცვალებას.

სამყაროს ლექსთა წყობაში მივდევ,
ჩემი „სიცელქე“ ზეცასა წვდება,
სულ ისე ვჩქარობ, მინდა მოვასწრო,
ქართული სულის ჩაჩუქურთმება.
მინდა მომავლის სულში ჩავნიდნო,
მოხატულობა ქართული ბგერის,
დრო, ჟამი მართლაც ვერას დააკლებს,
გაძლიერდება ქართველი ერი.
ქართველ წინაპართ, ფესვი შეტოკდა,
მინის წიაღში, გრვევინვა მოისმის,
ქართული ზეცა, კვლავ განათდება,
სულ, სულიწმინდის ბრწყინავ აისით.
ქართული ჯიში, ჩვენი სუნთქვაა,
და მზის ნათება მისი დასტური,
შენ ხარ ვენახის ერთი ნაყოფი,
შეინარჩუნე ჯიში ქართული!

გრძნობის ტალღამ გადალახა,
ზღვათა სივრცე გრძნეულების,
დაბრკოლება კვლავ მანახა,
რაც ამ ქვეყნად მეგულების.
გულით, სულით მსურს შევიგრძნო,
სიყვარულით სავსე თასი,
გავიარო ის ბილიკი,
არა ერთი, კვლავ ათასი.
მერე რა რომ თავქვე მივალ,
გული ისევ ხალასი მაქვს,
სიყვარული, სითბო, სიტკბო,

ამ ყველაფერს ერთად შეჰკრავს.
გამკრავს გული შემატოკებს,
წუთისოფლის, წუთის დარაჯს,
სულ გაქრება სიყვარულიც,
და დასვაშენ თავში ხარაჯს!!!!

კალამი ორლესული მახვილია,
სათქმელი უნდა ითქვას
თუ ვინ რა შვილია,
თუ არა კალამი დაკარგავს ფასს,
წერე რამდენიც გინდათ,
და რამდენსა ხანს.
სიმართლე მწარეა,
გული კი სუფთა,
ოხ! ამას რომ ვამბობ,
მეკვრება სუნთქვა.
ჩვენ მომავალზე,
ვიფიქროდ მარად,
და დავაყენოთ,
მტკიცედ და მყარად.
რომ მომავალში ,
გაუძღვნენ მედგრად,
მამულს, ენას და სარწმუნოებას,
განდევნონ ბნელი საწუთროება.
სიმართლე ითქვას,
ყოველთვის ყველგან,
არ აქვს მნიშვნელი,
თქვენგან თუ ჩემგან.
ამოიძირკვოს, სატანის ძალა
უკვე დამთავრდა,

ან მისი ხანა.
უფალი მოვა,
ყველას დაგვიცავს,
ქვეყნიერების
მთავრდება წარღვნა!!!

ბუნება!!

ჩვენ ბუნების შვილები ვართ,
და ბუნებას ვემონებით,
ის ჩვენ მარად გვიფრთხილდება,
ჯანმრთელობის დიდ მცდელობით!
მინას ვხნავთ და მიწად ვთესავთ,
ოფლი კი გვდის გვარიანი,
გვიფასდება შრომის ღვაწლი,
მოსავალით ხვავიანით.
ამ ბუნებას გაუფრთხილდეთ,
რადგან ისიც გვიფრთხილდება,
მისი ნგრევა ამოძირკვა,
არათურით არ შეიძლება.
თითოეულ ნერგს მოვეფეროთ,
ნეკერჩხლისას, მუხის წიფლის,
რადგან მისით ვცოცხლობთ ყველა,
ის უანგბადით გვიცავს გვივლის.
მომავალიც სწორად ვზარდოთ,
შევასწავლოთ მათი მოვლა,
ახალბედას გაუფრთხილდნენ,
არ მოტეხონ და არ მოკლან.....
ბუნებაა თვით სიცოცხლე,
სიყვარულის დასტაქარი,
ვიბადებით მისით ვტკბებით,
გვიყვარს მისით მთა და ბარი!!

ს ა დ ლ ე ბ რ ძ ე ლ ო !

საქართველოში თამაღობა არ მოიშალოს,
ვიდრე არსებობს ვაზის ჯიში მრავალსახისა,
მშვიდობა იყოს საქართველოს აღორძინების,
ღმერთი კი მონმე მადლიანი მისი სახისა.
მშვიდობის მერე ოჯახს ვლოცავ, კურთხეულ იყოს,
ქართველთ სიმრავლეს საჭიროებს და გახარებას,
კაცურ კაცობით და მოლხენით ეცხოვროთ მუდამ,
დიდხანს სიცოცხლეს დავულოცავ, ღვთიურ ხარებას.
ღვთიურ სიყვარულს დაგილოცავთ შემდეგ ანაზღად,
უსიყვარულოდ არ იქნება მშობლის არსება,
დაგილოცავთ თქვენს გამრჯე მშობლებს ამ კერიისას,
ვინც მოგვათ ხილვა ამა ქვეყნის ამონათება.....
შემდეგ დავლოცავ ჩვენს წინაპრებს,
მრავალ ვალმოხდილთ
სამშობლოს ტრფობით გულანთებულთ
სულ დამაშვრალებს, მათი ბრძოლებით,
მტერთან დახვდომით მორწყულ ლელიანს,
ვერ დავვიწყებთ, ხმლებს სისხლიანს, დაღწილ ფარებს.
შემდეგ დავლოცავ ავადმყოფებს, სანოლთ მიჯაჭვულთ,
ღმრთის მოლოდინში წამოდგომას რომ ეცდებიან,
ძალა არ ჰყოფნით, გული, რკინის უცემთ დიდ მკერდში,
თავის რწმენით, ღვთის სიყვარულით წამოდგებიან.
დავლოცავ ქართულ ჩანასახიდან- დღემდე მომავალს,
მათ დავულოცავ სიყვარულს, რწმენას, მამულს და ენას,
რომ საქართველო დაიბრუნონ კიდიო-კიდემდე,
დიპლომატიურ სვლებში ისწავლონ ჭირთა მოთმენა.....
ვისაც ვახსოვართ და ვინც გვახსოვს მათ ვადღეგრძელებ,
ვისაც ვუყვარვართ და ვინც გვიყვარს ამ საწუთროში,
უფლის ნაბოძებ ვაზ- ნაჟურით დავლოცავ ყველას,
ოთხიათასი წლის წინანდელ საქართველოში.....

დავჯექ და წიგნი დავწერე, მტერსაც დაუფსე თვალია,
ვერასა გაფხდი სიკეთით, ეგაც იმათი ბრალია.
შემომალამდა სანუთროს, გზა დავკარგე და კვალია,
ჩემად ვიტანჯე ვიტირე, სახეს დამაჩნდა ღარია.
ახლა კი ცოტასაც ვკმარობ, სანუთროდ ყოფნა ძნელია,
აქ ვერ ვიგემე სიკეთე, სხვას კი მიუძღვენ ჩემია,
ვერ დავანახე, უფ, რა ვქნა, სიკეთე, კარგის მქნელია,
ისევ ამ გზაზე ვადგევარ, ვერ გადაუხვევ ქველი-ა.
ვდგევარ და გულში ვლილინებ, ჩემს აბდაუბდა მღერასა,
თუ კაცმა ყური დამიგდო, ვერა გაიგებს ვერასა,
დამცინებს ჩემსა ღილინზე და დამინუნებს სმენასა.
მე ხომ ვახარებ ჩემს გულსა, იგნორს ვუკეთებ ყველასა.
ერთხელ მოვედი ამ ქვეყნად, ვერ დამიშლიან ვერასა,
გული გასივდა ჩაკეტვით, ვერ უძლებს ამდენ თმენასა,
ყველა თავის აზრს ადგია, არვისგან ვითხოვ შველასა,
სიბერე მიახლოვდება, მეც გავაჩუმებ ენასა.
დავჯექ და წიგნი დავწერე, გული საგულეს მწველია,
რამდენ ხანს დაველოდები, წიგნის დაბეჭვდება ძნელია,
სპონსორს მოველი არა ჩანს, გამომიწოდოს ხელია,
არადა ორმოცდაათი, რა რიგად მომითმენია.
ექვსი რვეული გავავსე, ვაქსოვე ქართულ გენია,
ლექსები ხატულ-ქართულით, იკითხვის იგი ჩვენია,
გონებას ხსნის და სულს კურნავს, დავწერე იგი თქვენია,
რომ წაიკითხავთ დამლოცეთ, ერთი სიკეთე ქმენია!

მე მიყვარს ჩემი ქვეყანა
და მისი ყველა მხარე,
დემოკრატიის წინსვლისთვის
მე, ჩემს ხალხს ვენაცვალე!
სიმართლისათვის იბრძოლეთ,
ბორკილი უკუ ყარეთ,
საფიცრად გქონდეთ სამშობლო,
ერთურთი შეიყვარეთ!
თქვენს აზრს დაეყრდნეთ მყისიერს,
თქვენი ნათელი გონებით,
განწყვიტეთ მაცდური ჯაჭვი,
არ გაუხდეთ სხვათა მონები!
თქვენი ჭირიმე ქართველნო,
გულით ლომგულნო გმირებო,
სამშობლოს პატრიოტებო,
დემოკრატიის შვილებო!
მჯერა რომ გიყვართ სამშობლო,
მთისა და კლდის შემადარნო,
სიმართლის მაძიებელნო,
კოპიტნო, მედგარ მურყანო!
მეც მიყვარს თქვენებრ სამშობლო,
„აულწერელი ენითა“,
ეჰ, როგორ მინდა ვიხილო,
დემოკრატიის მშვენი-ითა!

ბათუმის ოცნების ქალაქია!

როცა თენდება, მზე მალლა იწვეს,
სიო დაჰბერავს, ზღვა ღელავს ნაზად,
ნაპირს მოჰყვება დირიჟაბლები,
გულს დამედება მე ფიანდაზად.
წარსულის ფიქრში გაღვიჩეხები,
თითქოსდა ფრთები მემზრდება უცებ,
თვალეებს დავხუჭავ გავინავარდებ
ბათუმ ქალაქსაც სულ შემოუფრენ.
მისი ბულვარი ქვეყნის თვალია,
და მისი ჩრდილი მაამებელი,
გზას მიგასწავლის ზღვისკენ თოლია
იქნება შენი გზის მსწავლებელი.
ღამით ზღვა წყნარი, თან მიმზიდველი,
როგორც სატფოსთან მიახლოება,
შესცურავ შიგ და დაგიმორჩილებს,
მთელი ცხოვრება გემახსოვრება.
გინდა გაცურო, ის გეფერება,
სულ უფროთხილდება შენს სინარნარეს,
თითქოს ალერსით ველარა ძღება,
ზემთ არ გიშვებს თუ შეგიყვარებს.
როცა ღამდება მზე ზღვაში ჩადის,
შენი ფიქრებიც მასთანა რჩება,
ეს სიყვარული ბათუმის არის
და სიყვარულით ბევრი რამ ხდება!

მან აირჩია სამოთხის გზა!

ვინც, რომა ზეცა არჩია აქ დაუნდობელ ცხოვრებას,
კაცი მაღლი და სიკეთე, იქ სამოთხეში ცხოვდება.
რთულია კაცის მისია, მინიჭებული ღვთიური,
აქ დედამინა მძიმეა, ცარგვალში არის მზიური.
სამოთხეს ყველა ვერ ჰპოვებს, რადგან რჩეულთა ხვედრია,
უფალმა ორად გააპო ცისა და მიწის გენია.
ზემთ სპეტაკი სამოსით, ქვემთ ტალახით მყრალითა,
სულის ზეობა ზემთ და ქვემთ ჯოჯობით-ხარისა.
სული უკვდავი, სულ ცოცხლობს, სიყვარულთ მიმტირალია,
იქედან გვიმზერს მართალნი, მონატრებიტა მთვრალია.
ჩვენს შორის აღმართულია, კარიბჭე ცის და მიწისა,
ხმელეთი, ზეცის კარმაა, ლოცვის და ნაკურთხი წყლისა.
ვინც აქ სიკეთით იარა, გზებია მარად სავალი,
უფალი მარადიულში მიიწვევს მარად მავალით.
ვაი, ვინც ვერ გაიარა, მიზანი ღმერთის გზისაო,
ღმერთი გენას უმზადებს, ღირსად ჰყოფს უღვთობისაო.
დავფიქრდეთ ყველა,
წარვმართოთ ჩვენი ცხოვრების მიზანი,
ვუსმინოთ ღმერთის ბიბლიას, შორს ჩვენგან ჯადო-მისანი!!

კურთხეული ხარ შენ საქართველოვ!

ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
ხატთა საუნჯის მადარო,
ეს, ჩემი გული არ ურჩობს,
არა მსურს, სხვას შეგადარო.
მიყვარხარ, ვერა გშორდები,
ჩემო დედულ და მამულო,
დალოცვილი ხარ მარადის,

მინავ, ნაკურთხო, ქართულო.
განსაცდელ გადატანილო,
თმენაში დავანებულო,
სტუმრისთვის, კალთის გამშლელო
და ყველას დამპურებელო.
იდღეგრძელე და იხარე,
სამყაროს დედა მხილველო,
უფლისა გულის ცემა ხარ,
არვისთვის გადამთიელო!!!

ინგას შპანისათვის !!!

ქალი, სიცოცხლის უშრეტი წყარო,
ქალი, ბავშვებთან თვით მოუბარი,
აჭარ-ბათუმის, თვით კოლორიტი,
ნახეთ, იხილეთ ინგას უბანი!
მუხლჩაუხრელი და აქტიური,
ლონისძიების თვით დამგეგმავი,
ყველა ქალაქში ელოდებიან,
მას არ ელევა კვლავ საზრუნავი.
უფლის წყალობა და ჯანმრთელობა,
არ მოჰკლებოდეს ინგას სახიერს
გზას დაგილოცავ, სულ წარმატებით,
შემოქმედებას, იმერს-ამიერს!!

ფიქრის გორაზე ვზივარ და
რა არის ჩემი სავალი?
აზრი ვატანე ცხოვრებას,
სიბერე, შემრჩა მთავარი!

ბევრი ვინწინი, უკუთვნი,
ესა ყოფილა იღბალი,
ვინც გზაზე გადამელობა,
ის უკვე აქ აღარ არი!
ძნელია ესა ცხოვრება,
ჟამია მხოლოდ მალეული,
უნდა მოთოკო ნერვები,
ისწავლო ეჰ, სიყვარული.
როცა მივხედე ცხოვრებას,
ვიყავ, ოჯახის მეგზური,
ვრჩები თიქრებთან ეული,
ვხდები სიბერით გრძნეული.
ვერ ვეგუები მე სარკეს,
არ მინდა შიგნით ცქერაო,
ველარ მიცვნია მე თავი,
ვერ მიბრუნდება ენაო.
გავცქერი წყვილადს ლამისას
ველი განთიადს დილისას,
მზე მითბობს, სიბერე მიხმობს
გამომშრალ ნაკვთებს თვალისას.
მალე გათენდი დილაო,
მზე დამანახე თვალითა,
სიბნელე იქაც მეყოფა,
ღვთის გარდასახვის ძალითა!

ცა ქუდია, დედამინა ქალამანი!

ცა ქუდია, ჩემი ფიქრის,
დედამინა ქალამანი,
მე, შუაში ვარ უფლისაგან,
დროც დადგება გასაყარი.
ცას დარჩება ჩემი სული,
ქვესკნელს გვაში მიწისანი,
როს შევიქმენ ქვეყანაზე,
იყო უფლის სხვა მიზანი.
მამზადებდა უცოდველად,
სამოთხიდან მონაბერით,
ადამის და ევას ცოდვამ,
სულ გაგვტანჯა ჩვენ სიბერით.
ვინც დაითმენს, რწმენით რილით
და დაიცავს ღმერთის მცნებას,
ახალგაზრდად გარდიქმნება,
მაშინათვე იგრძნობს შვებას!!!

წუთისოფელი—წუთის ხილვაა და ანთებული დიდი ლამპარი,
წუთისოფელი—წუთის სიცოცხლე და მოყოლილი ერთი, ზღაპარი,
წუთისოფელი—ზოგჯერ ტკბილია, მივიწყებული და დიდი ბზარი,
წუთისოფელი—თვით ოცნებაა, აუხდენელი, როგორც სიზმარი.
წუთისოფელში დაბადებული, ყველა „ცოდვილი დედის შვილია,
წუთისოფელი—ტანჯვის კერაა, ვინც კი გასინჯა, მწარე ხილია,
აკურთხა ღმერთმა,
ჩვენი თაობა და მისცა წიგნი სწავლისთვის ყველას,
წუთისოფელში საქმით უჩვენონ, ღმერთს, გ
ადარჩენის, მომავლის ზენა.

ნოლიდან-ნოლამდე!
 სად მოვდიოდი არც კი ვიცოდი,
 სხვის არსებაში ვუცდიდი სანყისს,
 როს ჩანასახში, გამოვჩნდი მყისვე,
 სიხარულისგან, ცლიდნენ ჩემს სასმისს.
 ღმერთის მისიით გავჩნდი ამ ქვეყნად,
 ცა თვარცქველებდა, მზე კი ხარობდა,
 მამასთვის იყო გამონათება,
 აგვისტო იყო, დარი-- დარობდა.
 ხოდა, რას ვამბობ, თუ მიმიხვდებით,
 ჩემი ბავშვობა და სტუდენტობა,
 გარჯა და შრომა არ დამკლებია,
 მამის დაკარგვა ცრემლიანობა.
 შემდეგ ოჯახი და მასზე ზრუნვა,
 ერთურთ გავება, თანაცხოვრება,
 სამი პატარას გაზრდა და აღზრდა,
 დანაშაულის გამოსწორება.
 მისია დიდი, ტვირთი კი მძიმე,
 სულ მოველოდი, დღისა სინათლეს,
 ვასწავლე ბავშვებს დავაფრთიანე,
 მათ ჩემი აღზრდით კი გამიმართლეს.
 წლები კი გარბის, სულმოუთქმელად,
 ბრუნავს სამოთხე ედემის ფერი,
 ვარ აქტიური, ამა ცხოვრებით,
 სიბერე მიჰყრობს, ტიალ -ოხერი.
 და როს გავეჩრები, აღარ ვიქნები,
 ნოლი გახდება პირად-ცხოვრება,
 თუ ზემოთ დამრჩა, რამე ნაწერი,
 ეს, მომავალსაც, ემახსოვრება.
 ნოლიდან-ნოლზე დავა სიცოცხლე,

ყოფნის სიზმარი, გაქრა არყოფნის,
თაობებს მაინც ვემახსოვრები,
მოვლენ, მომიძღვნან გვირგვინი დაფნის.
აი ეს არის რაც არ მახსოვდა,
რომ შემოვედი ამ სამყაროში,
არ ვიცი, როდის გავქრები მისგან,
რომელ წელში და ან, რომელ დროში!!!

ეს ცხოვრება უღმობელი, წუთისოფლის ფანებია,
საიდანაც ცუდს არ ელი, იქ გეღება კარებია,
იყავ ღმერთის მოყვარული და არავის დარებია!
კარგი იყავ და იცხოვრე, რჩეულთ შემადარებია!
ვიცი ღმერთი, გიყვარს ძალზე და მოყვასიც გყვარებია,
ამას ამბობს, შენი სახე და მეტყველი თვალებია,
არ დაგჩაგრავეს, ღმერთი აროს და დავიცავს ფანებია,
არ გასწირავს, კაცის მოდგმას
ღმერთს რა რიგად ჰყვარებია!.

ჩემი ლამაზი სამშობლო,
პირველი შემომქმედია,
აქ, კაცთა მოდგმა დამკვიდრდა,
გაალამაზეს ხედია!
მომრავლდნენ დასალიერზე
და გაიფანტნენ ქვეყნიდან,
ქართული სული დათესეს
და გარდაიქმნენ ერიდან!
უძველეს მიწას ეტყობა,
ადამის მოდგმის კვალია,

ვინ იცის, რა დრო გავიდა,
წლებმა რა წყალი გალია.
ფესვები კი აქ შემორჩა,
უფლისგან ჩანერგილია,
რაც უფრო სიღრმით ჩავდივართ,
ჩვენი მიწები ძველია.
ახლა შევიგნეთ ვინა ვართ,
ფესვების სიღრმის ძალაო,
ძლიერ ვამაყოფთ წარსულით,
ანმყოფი ვცოცხლობთ განაო!!!

ფერიები!

ფერიების გუნდი მოფრინდა და
გულზედ დამაყარეს ცრემლები,
მე მათ დავპირდი, ჩემო სამშობლოვ,
დაგიცავ კალმით, ვერ შეგელევი.
დაგიცავ გულით და სიყვარულით,
სიტყვით დაგიცავ და მომავალით,
ლუციფერები, გულს გაგლიჯავენ,
დრო ჩვენ დაგვიცავს, გარდამავალი.
ოხ, ფერიებო! მეც ვიკარგები,
დროის განმსაზღვრელს ვუფროთხი ძალიან,
ამ სამყაროში, რათ ვარ ეული,
ჩემი აზრისთვის არვის ცალია.
გავკვეთე ცათა მიჯნა და არსი
და მოვიფიქრე, გეგმა ათასი,
მომავლის რწმენა გადავარჩინო,
გული უძგერდეთ, მკერდში ხალას

ბედისწერა!

რად დამჩაგრა ბედისწერამ,
მომიხურა კარები,
აქტიური გვიან გავხდი,
მიყვარს ლექსის ბნკარები.
მუზის სკივრი გულში მიდგას,
ზოგჯერ თავი ეხდება,
და უსაზღვრო ლექსის რითმას,
არ სჭირდება შეხება.
იფრქვევა და იხურება,
სკივრი მონოტოლურად,
მთვარის შუქზე სევდა მოდის,
მზის სხივზე კი დარულად.
მუზა მახრჩობს თუ არ ვწერე,
ყელში სული გუბდება,
ძველი ლექსი მიბერდება,
ახალი კი ხუნდება.
რითმა-რითმას თვით ეწყობა,
აზრი მოდის ხილული,
თეთრ ფურცელზე, შავი ჩავსვი,
ასო-ბგერა ქართული.
რად დამჩაგრა ბედისწერამ,
მომიხურა კარები,
ახლა ვზივარ მარტოკინა,
ცრემლიანი თვალებით!!!

ქართული ანბანი, ენა ჩვენი ნიშნიერებისა, ბიბლიიდან!

- ა--ნაზდად იყო ცა უხილავი და უსახური,
ბ--იოსფეროზე, ფიქრობდა ერთი,ეს იყო ღმერთი.
გ--ანაზოვადა ერთი პლანეტა და იყო სიტყვა ხილული.
დ--აინყო მისი ნახაზის შექმნა, მთელი სიზუსტით.
ე--ფინებოდა მასზე, ღმერთისგან წარმოთქმული, ყოველი არსი.
ვ--ვითარდებოდა თანდათან, ღმერთის განუზომელი მონახაზი.
ზ--ზემთ ირწნოდა სულიწმინდა,ასე იქმნებოდა ბიო-სამყარო.
თ--ვით უხაროდა და მოსწონდა ღმერთს ეს ყოველი.
ი--ის აგრძელებდა სიყვარულით, შექმნა ხმელეთი, წყლები.
კ--არგის კეთებით გამხიარულდა, რადგან მოსწონდა ეს.
ლ--აბირინთში გახვეული, ეს ბიო-სფერო, ქუხდა, გრგვინავდა.
მ--ან თქვა სიტყა და შეიქმნა ტყე, სხვადასხვა ჯიშის, ბალახეული.
ნ--აირ-ნაირი, თევზების ჯიშის წყლისთვის და ცაში ფრინველი.
ო--ო! ეს სამყარო, სულ მწვანდებოდა და დედამიწა ცოცხლობდა.
პ--ირველი ანგელოზი მასთან იყო და ეს იყო სიტყვა.
ჟ--ამი ასახა და ცხოველნი სხვადასხვა ჯიშის შექმნა მინისთვის.
რ--ა მოხდებოდა, თუმის სახიერს შექმნიდა პატრონად მინისა
ს--ახლს შევექმენი, ახლა მჭირდება, ვინც მას მიხედავს.
ტ--ატნობს გახედა, იქ მან ქვიშაში ამოტვიფრა თვის ქანდაკება.
უ--თხრა, შენ კაცად მინდა შეგქმნა ჩემი სახისა და ჩაჰბერა სული.
ფ--ერიც ქვიშისა მისცა მის სხეულს, გააღვიძა და უთხრა.
ქ--ვეყნის პატრონად შენ გასახელებ და კვლავ ჩაფიქრდა.
ღ--ღამით აძინა ადამი, ნეკნისგან შეუქმნა ქალი ევა,მორჩილი.
ყ--ვაოდა ირგვივ სამოთხის ბალი, შუაში კი იდგა აკრძალული ხილი..
შ--ემდეგ რა მოხდა? როს ევა ბაღში სეირნობდა შეცნობისათვის.
ჩ--უმად შეხედა, სამოთხის აკრძალულ ხილს,გველი შენიშნა ხეზე,
ც--ა იყო ლურჯი, გველმა ცდუნება გამოიყენა აცდუნა ევა,არ მოკვდებოდა.
ძ--ლიერი ცდუნებით ევაშ იგემა ხილი, მისცა ადამსაც, და აცდუნა იგიც.
წ--ლები კი არა ნუთი გავიდა, ორივემ იგრძნო ტანთა სიშიშველე.
ჭ--რელი ფოთლებით შეიმოსნენ, იწყეს დამალვა, ღმერთისაგან.
ხ--ილული იყო ღმერთისთვის სამყარო და სამოთხიდან გაყარა .
ჯ--ანითა თქვენითა ირჩენდეთ თავსა, შობდეთ შვილთა ტკივილითა.
ჰ--ოდა ის დამორდა დედამიწას და სამოთხეს მცველები
დაუყენა ანგელოზების სახით.მე შევექმენი ყოველივე სიყვარულით
--და არ ვაპირებ მას რაიმე ზიანი მივაყენოთ, ბრძანა უფალმა,

-მას მერე მოდის, ცოდვა მრავალი, არ შველის არა კაცთა წამალი.
-უფალი ლოცვებს ისმენს ზემოდან, უყვარს კაცნი მართალი.
-უფალი იყოს ჩვენი განმნმენდი, ყველა ცოდვისა მამხილებელი
-მისია ანი, მისია ჰოე! არა ჰყავს მას სხვა შემცილებელი!!!!
-დიდება მამა-ღმერთს და ძეს იესო ქრისტეს, სულიწმინდაში,
ამინ! ამინ! ამინ!

გამოვიძვიძო!

დროა ვიფხიზლოთ გავთვალლოთ,
რა გველოდება წინაო,
გამოდით გარეთ, იმსჯელეთ,
ნუ ზიხართ ტყულად შინაო.
ხვალ რა მოგველის, ვინ იცის,
ქვეყანა თავზე გვემხოვა,
ჩვენს მომავალს თუ, ვერ ავღზრდით,
სულ მალე, ეს შეგვეხება,
გვიანი თავში წაშენას,
სჯობს გასვლა, საღი მსჯელობა,
ქართული სულისკვეთება,
საუბარი და მხნეობა.
გვერდში დადგომა იმედი,
ერთურთის გაზიარება,
გულის კუნჭულის გათბობა,
ქართული სულის ხარება.
დავიცვათ ჩვენი ზნეობა,
და გავძლიერდეთ, ჯინაზე,
მტერია ჩასაფრებული,
მუხთლად, გვაყენებს ყირაზე.

ემი ლამაზი რაჭა, მთებით და წყაროებით,
 ჩემი ბავშვობის დედა, მოგონებებით ვკვდები.
 ბებოს და ბაბუს შრომა, თონის ლავაში თხელი,
 ბელელი სავსე თხილით, არც ერთი თაგვის ხვრელი.
 შრომაში გარჯილები, ხვალი ბარაქა ბევრი,
 იქ მსხლის ქვეშ, უამრავი ღვინისა სავსე ქვევრი.
 ბუგეული თუ ტოლა, იქ ხიმში, ბარეული,
 ისე ძალიან მიყვარს, ზოგჯერ ვარ არეული.
 ველარ ვივინყებ ლამაზ, რიონის ნაპირს, ჭალებს,
 ვაზს რომ ფურჩქნიან მშვიდად, თავ-პირ შეფუთულ ქალებს.
 ოხ, მონატრება დიდი, მარხილზე ჯდომა სახრით,
 ვინ დამიბრუნებს წარსულს, თუნდაც წუთით და წამით.
 კოდზე ავსილი კოკა, წყლის უკმარობა დიდი,
 მზეც იქაური მიყვარს და მიყვარს მისი ბინდიც.
 ნაისხარაზე ავლა, ტყეთა შრიალი თბილი,
 ნაპარი ყურძნის ჭამა, გემრიელი და ტკბილი.
 რაჭა ჩემი დედა, აბანოეთში ზრდილი,
 პატარა როცა ვიყავ, იქ მოვიცვალე კბილი.
 ნოე ბიძიას ლექსი, გულში ჩამწვდომი სიტყვა,
 ბიცო თბილი და კარგი, ვინ მოვიგონო მე სხვა.
 ცრემლები მომდის ვტირი, ჩემი ბავშვობა დამრჩა,
 ის სიყვარული, ზრუნვა, აქ გონებაში ჩამრჩა.
 ძნელია როცა გიყვარს, თან გენატრება მაგრად,
 ვერ დავიბრუნებ წარსულს, რადგან ის უკვე გაქრა!!!

ლექსებს ვწერდი, დავფრინავდი,
ცის სივრცეებს ვწვდებოდი,
ვარსკვლავებზე ვსაუბრობდი,
მთვარის სხივზე ვთბებოდი.
დრო და ხანი უცებ გაქრა,
ყველაფერი წავიდა,
მუზა ისევ სულს შემოძვრა,
ახლა ლექსს ვწერ თავიდან.
რამდენი დრო დამეკარგა,
და რა უამი გაფრინდა,
ახლა ვიგრძენ მოზღვაება,
ვარსკვლავეთის მხარიდან!!!

ბუთა ოჯახი!!

ერთ დაბურულ ტყეში დიდი ხე იდგა, ისე იყო ეს ხე გატოტილი, რომ მთელ სივრცეს სულ ის იჭერდა, ფესვები ღრმად გაედგა მიწაში და თავისი სიძლიერით, ხეთა მეფედ ითვლებოდა.

ხე ძალიან გულმონყალე იყო, მისი ფესურიდან დაწყებული, კენწერომდე დამთავრებული, ათასი ჯურის ცხოველს ჰქონდა ბინა და თავშესაფარი, ფრინველების ბუდეებით იყო დახუნძლული ეს უზარმაზარი ხე, მაგრამ ამის გარდა ამ ხეს ჰქონდა უამრავი ფულურო, სადაც ციყვები, და ბუების ოჯახები

ცხოვრობდნენ ისინი კეთილმეზობლურად და მშვიდად გრძნობდნენ თავს, ერთმანეთს არც კი აწყენინებდნენ.

ბუთა ოჯახს ჰყავდათ ორი პატარა ბუკნაჭო, ბუკა და ბუჭა, ისეთი ფაფუკები, ისეთი ცელქები რომ, ბუ-მშობლები მართო

ვერ ტოვებდნენ, ერთი გაფრინდებოდა საჭმელის მოსაპოვებლად და მეორე პატარებს თვალყურს ადავნიებდა, რათა ფულუროდან არ გადმომხტარიყო და მელიას არ შეესანსლა.

როგორც ვიცით ბუთა ოჯახი, საკვების მოსაპოვებლად ღამით გამოდის ფულუროდან გარეთ და მრავალი სიძნელის მიუხედავად მაინც პოულობს საკვებს და ეზიდება საბუღარისაკენ.

ღამით ტყეში უამრავი, მღრნელი და მცოცავი დაძვრება, ისინიც საკვების ძიებაში არიან და ამას ჰქვია „ბრძოლა არსებობისათვის“. ტყეში ქაოსია, ხან კალია ჩამოხტება ტოტიდან და დაენარცხება მიწაზე, მას პირს დასტაცებს გამოსული ხვლიკი ან რომელიმე მშიერი ბინადარი, იმ ბინადარს კი სხვა მცოცავი გველი ან ჩვენი მშიერი მამა ან დედა ბუ და გაგლეჯილს და ლეშად მყოფს წაანიალებს თავის ბუდეში პატარა ბუკნაჭოებთან.

ჩემო პატარა მეგობრებო, აი ამიტომ არის ტყეში ღამით მართო დარჩენა საშიში, ან იქ ღამის გათევა მეგობრების გარეშე არ შეიძლება. ტყე მშვენიერია დღისით, მზისით, ჩვენ ადამიანები, დღისით კარგად

ვხედავთ, ხოლო ღამით ვიძინებთ, რადგან თვალთახედვა იკლებს და გონება დასვენებას გვთხოვს.

აი, ბუთა ოჯახები კი პირიქით, დღე იძინებს, მათი თვალთახედვა დღისით დაბალია და მხოლოდ ჩრდილებს ხედავენ, ღამით კი ისეთი ხედავა აქვთ, როგორც ჩვენ დღისით.

ხოდა, გავიდა რამდენიმე კვირა, ეს პატარა ბუკნაჭოები გაიზარდნენ და ორთავე მშობლებს დაეწივნენ სიგრძე-სიგანეში,

როგორც კი დაღამდებოდა ოთხივენი ტყეს მოედებოდნენ და ბუ-ბუს ძახილით აიკლებდნენ იქაურობას. ბუკა უფრო მოხერხებული მონადირე დადგა, ცეცხლოვანი თვალებით და

გრძელი კლანჭებით, არ ინდობდა არცერთ მღრნელთა ოჯახებს, სულ განყვითა ტყეში მინდვრის თავგთა ოჯახები,...

აი, ბუჭა კი უფრო სხვა ხასიათის და დამნდობი იყო, ცოტა ზარმაციც და ხათრიანიც, მშობლებს ეცოდებოდა და მამა ბუსმასთან ერთად მიჰყავდა ღამის საპოვარზე,...

ღრო გადიოდა, ბუკა და ბუჭა მომწიფდნენ, ღრო დგებოდა რომ ორთავეს ცალ-ცალკე ოჯახი შეექმნათ, და გადანყვითეს ამ ტყიდან სხვა ტყეში გატურენილიყვნენ საცოლის გასაცნობად, მართლაც წავიდნენ და ძმებიც დაცილდნენ ერთმანეთს, შეხვედრა ერთ-ერთ დიდ მუხასთან დათქვეს.

დაღამდა თუ არ მათთვის უცხო ტყეში, დაინყეს თავმომწონად ბუუუუ-ბუუუუ-ს ძახილი, უცებ მათ ძახილს, ორი მშვენიერი მდედრი ბუკნაჭოები შეეხმიანა, ატყდა ტყეში ბუთა გნისი, ბუკამ უთხრა ძმას ბუჭას, შენ იქეთ გეხმიანება, მე აქეთ-წავალ და მოვანონოთ თავიო, აბა შენ იციო და გატურინდნენ სხვადასხვა მიმართულებით.

ოი, საოცრება, ავერ ღამაში ხატულა ბუკნაჭო, ყურებდაცქვეტილი, მისჩერებია ბუჭას, ის კი მორცხვად თავს ხრის,...

-რა გქვიააა, ეკითხება მშვენიერი არსება ბუჭას, მე, მე, მე ბუჭას

მეძახიან, თავიჩაქინდრა ბუკნაჭო ბუჭამ.

-მე კი ბუკნა მქვია, მართლააა? გაუხარდა ბუჭას.

-ბუკამაც გაიციო თავისი მენყვილე, ბუთანა, უღამაზესი ასული ბუთა ოჯახიდან და დათქმულ მუხასთან მიიყვანა, დაელოდა ძმის გამოჩენას, აი ისინიც მოტურინდნენ და აფრინეს კურიერი, რომ მშობლებისათვის შეეტყობინებინათ მათი დაოჯახების ამბავი და დაელოდნენ ჰასუსს.

კურიერმა ბუთა ოჯახიდან მიიტანა ამბავი, მშობლებს ძალიან გაუხარდა და დიდი სამზადისი გააკეთეს, მეფურად დახვდნენ შვილებს, ყველა იმ დიდი ხის ბინადარი დაპატიჟეს სამეგობლოში!

დაღამდა აანთეს ჩირალდნები და ისე შეეგებნენ, ბუკას და ბუჭას, ბუთანა და ბუკნა მშვენიერი პატარძლები იყვნენ. ყველამ მიულოცა მათ ასეთი ლამაზი დანწყილება და უსურვა დიდი ბედნიერება ამ მშვიდობიან მეგობრულ ტყეში.

გავიდა რამდენიმე თვე და ძმებს ლამაზი ბუკნაჭოები გამოეჩეკათ კვერცხისგან. ტყის ბინადართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ. ტყე ივსებოდა და მრავლდებოდა ათასგვარი ცხოველებით თუ ფრინველებით და მათი მფარველი ბუკნაჭოთა ოჯახის დინასტია იყო, ისინი ღამით სხვა ტყეში მიფრინავდნენ სანადიროდ.

ასე ჩემო პატარებო, მეგობრობის ფასი არაფერია ერთ დიდ ოჯახში რასაც სიყვარული და მეგობრობა ჰქვია!

ეს ლექსი მიუძღვნენ ბია ყარყარაშვილს

რომელიც სოხუმს იცავდა და მტერს არ აძლევდა
გადმოსვლის საშუალებას!!!!

კლდიდან დაშვებულ, არწივს გამსგავსებ,
თვალი მტრისთვის, რომ ცეცხლად გინთია,
სამშობლოს უჭირს, წინა ხაზზე ხარ
და მტერს მუსრს ავლებ ძვირფასო გია.

შენ, უშიშარო, მტკიცე ქართველო,
მრავალ მეობარს, სიტყვით აღანთებ,
წინ მიუძღვები, როგორც ლამპარი,
ბრძანრბას გასცემ; მტერი აკაფეთ!

უძილო ღამეები, სამშობლოს სიყვარული,
ფიქრები უამრავი, კაცური დარდი,
მტერი უღმერთო და კაცი უკეთური,
აბა შენ იცი, მტერს მტრულად დახვდი!

ყველა მეომარი გულში ხატად გიზის,
ყველას ამხნევებ და დღე ასე გადის,
ღმერთო, დაუმოკლვე ჩვენს მტერს სიცოცხლე,
ჩვენ მოგვაშორე სამშობლოს დარდი!
ყარყარაშვილების საფიცარო ხატო,
შემართებით იბრძვი, გსურს რომ გაიმარჯვო,
მიდი,გია მიდი! შენი გეგმით მიდი,
მთელი კავკასია, გახდეს სადარაჯო!
ვერ დაარღვევს ვერვინ, ქვეყნის მთლიანობას,
გადამთიელს მედგრად ჩაურაზოთ კარი,
ჩაფიხუტოთ გულში, ჩვენი მომავალი,
მეტად რომ არ გვაჩნდეს, ჩვენ მონობის კვალი!!!

ბრძოლის რინგი!!!

ჩიტების გუნდი ერთ-ერთს კორტნიან
და არ ინდობენ, ერთურთს ჰაერში,
აგრესიულ, ფრინველთა კორდია,
ერთმანეთს სისხლები აღინეს კაეშნის.
ეს სამყარო კი, ჰაერში, მიწაზე,
დიდია, ვრცელია, ბუნებით დაცული,
მაინც ვერ ეტევიან,ფიქრის ტოტებზე
და კენწეროს კენ მიუწევთ გული.
მათ შესცქერეიან, მოლაღურები,,
მინდვრის ჩიტები, ღობემძვრალები,
გუნდად ჯგუფდება თვით ბელურები,
არწივს გაურბის, მტრული თვალები.
ჩასაფრებელი შორიდან უცქერს,
ორივეს ჟღეფა, გულში უხარვის,
ზურგში კლანჭები ჩასობილი აქვს,
პირში ამოსდებს, რკინის უნაგირს.

ძალაუფლება შეიგრძნეს ადრე,
გემო გაუგეგეს ფრინველთა მართვას,
უჭირთ ტოტების დათმობა ზემოთ,
ვერ აიტანენ, სხვისგან თვის ჩაგვრას.
უძლიერესნი ფრინველთ გავიდნენ,
იქ ბელურების შეკრიბეს ჯარი,
ჩვენსკენ დადევით ერთად ვიბრძოლოთ,
კარგს დაგპირდებით, აგვიბით მხარი.
განთიადისას მღრნელებს დავესხათ,
გამოუშიგნოთ ნანლაღი მყრალი,
ეს მონოდება ჩვენ არ გვეხება,
ზურგი აქციეს, არ მისცეს მხარი.
ჩვენი მოთხოვნა სულ სხვა გვარია,
გვინდა მშვიდობა, ხორბლის ყანები,
რომ არ მოშივდეს ჩვენსა მომავალს,
დღე არ დაგვიდგეს შეუბრალები.
მხარს მას დაუჭერთ, ვინც ერთგულია,
უსუსურ ჩიტთა შემონაკრების,
დავიცავთ, გუნდად სიტყვის ქარტიას,
გვსურს ჩაგირაზოთ, ყველას კარები.
ეს სამყარო ხომ ყველასი არის,
რათა ძალაობთ, დიდი ტოტისთვის?
გაუნაწილეთ, ყველას არგუნეთ,
სიკეთე, სითბო, სიყვარულისთვის.
არ დაისჯებით, ბუმბულ შეგრჩებათ,
გაძლიერდებით სანმისთ ზონაში,
არწივიც მუშტთან, ვერას გახდება,
ჩაეძინება, თვის ნასკლინტარში!!!!



თამარ ხარშილაძე



დავობადე ზამთრის ერთ სუსხიან დილას, დეკემბრის თვეში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში, ქალაქ რუსთავეში. ვინაიდან ჩემი დაბადება ჩემი დის დაუინებელი აკვიატების შედეგი იყო, თამარიც მანვე მისახსოვრა სახელად და ჩემი დაბადებიდან ოთხი წლის შემდეგ საუბედუროდ სამუდამოდ დაგვტოვა.

დედას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა დიდი მწუხარების გამო, ამიტომ ჩემ გაზრდაში ლომის წილი ჩემზე ცხრა წლით უფროს ძმას მიუძღვის. დავამთავრე რუსთავის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ქართული გიმნაზია ჰუმანიტარული განხრით, თუმცა უმაღლესი განათლება ვერსალის უნივერსიტეტის ფრანგულენოვან ფილიალში გავაგრძელე საქართველოში, ინფორმატიკის ფაკულტეტზე.

ხელოვნებისადმი სიყვარული ბავშობიდან მომყვება. სკოლის პერიოდში ვიყავი თეატრალური ფრანგული კლუბის „შიაფების“ აქტიური წევრი და ვიღებდი შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობას. მოგვიანებით, უნივერსიტეტის დამთავრებისას, გადაწყვიტე დიდი ხნის ოცნება ამეხდინა და მიუხედავად ოჯახის წინააღმდეგობისა დავინწყე ლათინო-ამერიკული ცეკვების სამოყვარულო ღონეზე შესწავლა, რაც

საბოლოოდ ჰობში გადამეზარდა. საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით ცეკვის გარეშე მომიწია გატარება სხვადასხვა ცხოვრებისეული მიზეზების გამო, თუმცა ამჟამად, იშვიათად მაგრამ, მაინც ვახერხებ რამდენიმე საათის დათმობას და მომაჯაღოვებელი ენერჯით ტკბობას.

წერა ყოველთვის მიყვარდა. ვწერდი რასაც განვიცდიდი და მანუხებდა. მიყვარდა კითხვა, ფიქრი სხვადასხვა საკითხებზე და დაუსრულებლად ხეტიალი ბუნებაში. მშობლები დაკავებულები იყვნენ, ამიტომ ზაფხულობით სრულ არდადეგებს სოფლად გვტოვებდნენ ბებია-პაპასთან დუშეთის მთებში. იქ გატარებულმა ლამაზმა დღეებმა დიდი გავლენა იქონია ჩემი სამყაროს აღქმისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ამჟამად ვმუშაობ ბანკირის პოზიციაზე, მანუხებს ოცდამეერთე საუკუნის გლობალური პრობლემა - დროის უკმარისობა, თუმცა ვცდილობ ხელოვნების სიყვარულს არ ჩამოვშორდე, ვკითხულობ, ვწერ, ვცეკვავ, ვხატავ, მიხარია... მადლობა ღმერთს რომ მკაცრ, მაგრამ საოცარ სამყაროში ცხოვრების საშუალება მომცა და მომმადლა ნიჭი - მიყვარდეს ადამიანები.

ჩაილიმეგონ გვირილები როცა მე ნაკალ

კესანებს ხვალ ჩემს სიყვარულზე ექნებათ დავა
მელანქოლია მომიტანა ოცნების კიდემ
მალე გარდასულ ზამთარივით ცხოვრება გავა
და სანამ გავა ერთხელ რამე მიაბზე კიდევ.
მიაბზე ქარო, თუნდაც სიზმრად გუშინ რაც ნახე,
მიაბზე, ვიდრე ავსებულა ცრემლით თვალები,
ცას ვარსკვლავებით დაჭორფლია ქათქათა სახე
და მთვარის შუქზე ნაბარბაცდა ზღვა ნამთვრალეები.
თვალებს დახრიან ცისფერთვალა იასამნები

და სურნელების ქარტეხილებს სევდად დაღვრიან,
მეც ამ სტრიქონით ჩემს ტკივილებს ვეხმიანები,
რომელსაც ათას სიბინძურით ვიცი დასვრიან.
ჩაიღიმებენ გვირილები როცა მე წავალ,
ყაყაჩოების აიდებენ წითელ ალმურებს
და თუ ღმერთი გნამს, მომეხვეი მზე სანამ ჩავა,
თორემ დაკარგულს სინანული ვერ დააბრუნებს.

აფეთქდებიან რიჟრაჟები ნუშის კვირტებად

მარტის სიცვლექე აიშლება სულში პეპლებად
და ჟრუნტელად დაეშვება სხივის მკლავებზე,
გაიტაცებენ ღამები თვალებს მძევლებად,
რომეოსავით მონატრებს დილით მთვარეს მზე..
რალას დავეძებ, თუკი ქარებს გონი წაერთვათ,
ცივმა წვიმებმა გადარეცხა ფიქრის ქრონიკა,
მე ახლა უფრო გადამექცა ძილი წვალებად,
ფრენის სურვილმა გარდამსახა პარანოიკად.
სარკმლიდან ქარი შემომძახებს:- გაზაფხულია,
აფეთქდებიან რიჟრაჟები ნუშის კვირტებად,
ქუჩას გახედე, სურნელებით დაზაფრულია
და იმედები აბნევია გულზე მძივებად.
ჯობს დარჩეს წარსულს, თუ რამ ცუდი თავს დამტეხია,
ვერ შეამინებს თავგანწირვას შულლი წარმართთა,
ახლა სიცოცხლე ყველაფერზე უფრო მეტია!..
მზემ გაზაფხულის ჩუტყვავილა სულში დამმართა.

ამაოების გამოძახილი

თუკი ყოველი, რაც კი გვითქვამს, დროებითია,
ამაოების კიდევ ერთი გამოძახილი,
დღეს თუ მიმართვა თვალთმაქცურად წოდებითია,
თბილი სინაზე _ საამებლად ბლაგვი მახვილი,
მაშინ რა შეთქმის, სიტყვებიც თუ პირობითია,
ფერმკრთალდებიან და ქრებიან წარწერებივით,
რომლებსაც ვინმე მეოცნებე ქვიშაზე დაწერს
და გადარეცხავს ზღვის ტალღები ჩანჩქერებივით,
ან კი რა მიკვირს, ვერ იქნა და ვერ გავიზარდე,
მინას ფიქრები ყრმის თვალებით აკვირდებიან,
ჩვილებს არ ძალუძთ სიძულვილი და გულუბრყვილოდ
ყველაზე საშიშ განსაცდელსაც ლალად ხედებიან.
ოდეს დაკარგულ ბავშვობის წლებს ჩემში ვაცოცხლებ,
ვცდილობ ფუნჯებით მუქ შავ ჩრდილებს ფერი დავადო,
ნუ განმიკითხავთ, ნურც დამცინებთ, ნურც გაგაოცებთ
თუ დოგამტური აზროვნება მინდა დავამხო.
თუ ყველა სიტყვას, დამტკბარსა თუ სასტიკად ნათქვამს,
დრო შემოძარცვავს სამოსელს და შინაარსს უცვლის,
მაშინ გამოდის, ფასი არ აქვს თუნდაც ამ ნაჯღაბნს
და ეს მცდელობაც მკვლევლობაა რიგითი ფურცლის!

განშორება

მივდივარ ისე რომ, არ გიხსნი არაფერს,
აღარ ღირს ცრემლებად წარსულის განცდები,
თუკი ოდესმე სიცოცხლედ გინამე,
ახლა უარგყოფ და ვიცი არ ვცდები...
დრო დადგა ცალ-ცალკე ბილიკით სავალი,
მდუმარე ღღეები მზის სხივმა დატოვა,
არასდროს ვყოფილვარ გრძნობებით სანყალი,
უბრალოდ ამრებით სიშორემ დაგვთოვა...
ნოემბრის ქარებმა წაიღეს რაც იყო,
ყველაფერს ივინყებს წყეული დროება,
ჩემი სიყვარულიც, ზეცამდე აწვდილი,
ცეცხლში ჩაინაცრა დაღენილ რტოებად.
ვსუნთქავ და ფილტვებს მიყინავს სიცივე,
დაღვრილი ჩვენს შორის უცხოთა არიად,
არ მხიბლავს რუტინის ერთფერი სიყვითლე,
ვეძებ სამყოფელს, სად ფერთა ღვარია.
ბედნიერ სიცოცხლეს გაურბის რომელი?!
არ მინდა ეჭვმა და დარდებმა დამლიოს,
მივდივარ მე შენგან, ვით ტოვებს პოეტი
მუზების სარეცელს და ხვდება ალიონს.

ლექსი ჩემთან გიხმობს

წვიმა გამეტებით რეცხავს ტროტუარებს,
ვენაგადახსნილი გრგვინავს დედამინა,
ღრუბლებს ტკივილებმა ისე მოუარეს,
უკვე სულერთია მისთვის ცა და მიწა.
ახლა შემოდგომაც ისე მეამიტობს,
ვით ქარს აყოლილი ჭრელი ფოთოლცვენა,
შენი გახსენება ფიქრებს ისე მითბობს,
როგორც თბილ ქვეყნებში მერცხაალს გადაფრენა.
წვიმა სულ არ ინდობს ნაძარცვ ხილის ბაღებს,
მინას წყლის წვეთები ცრემლად დასდენია
და შენს ლამაზ სახეს ცხადში ისე ვხედავ,
თითქოს ჩემს ოცნებას ნატვრა ახდენია.
აღერასს გიპირებენ სველი ხის რტოები,
შენით შემოლილ ქუჩას ეჭვი ერაზმება,
ცელქი წვეთები კი ასე ვნებიანი,
კისერს გიკოცნის და მკერდზე გეტმასნება.
მინდა ჰაერივით ჩემში ჩაგისუნთქო,
შენი გალიმება ახლა მზესაც მიჯობს,
როგორ მჭირდები და როგორ მეშორები,
სულში ქარია და ლექსი ჩემთან გიხმობს.

სანტიმენტალური სონეტი

ფიქრი მანვალეებს, უნდა გითხრა ლექსად რაც მინდა,
თორემ საღამოს ისე უხმობ, თითქოს მწირავდე,
მოგონებები წარსულიდან ისე განვიმდა
არ გადაიღებს ვიცი ახლა მზის ქორწილამდე.
ივლის ტკივილი რუხ ჩრდილებში, იხეტიალეებს,

ლოცვა დააშთობს გამყინავი წლების სიურჩეს,
თბილი ხელები შეიფარებს გაყინულ თითებს
და ფართე მკერდზე დალლილ სხეულს ადგილს მიუჩენს.
ღიახ, დრო არის, რომ გიამბო ყველა განცდილი,
სიცოცხლეს ვაზნის დაეცალა თითქოს მჭიდები,
რამდენ გაზაფხულს აუცრემლა ნამმა ყვავილი,
წვიმს და როგორც მზე დედამინას ისე მჭირდები...
და ახლა, როცა შემოდგომა ყვითელ ვარამს თოვს,
ვგრძნობ, გული ჩემი ემოციებს ჭკუას აღარ სთხოვს.

იმ საღაც არ ხარ

ჩემში ისეთი ქარია ახლა,
როგორც ქუჩაში გზაგასაყართან,
გეძებდი თურმე იქ საღაც არ ხარ
და საღაც შენ ხარ, იქ მე სხვას ვგავარ.
ვკეცავ ჰაერს და ვიდებ ჯიბეში,
იქნებ სიცოცხლეს წამლად დასჭირდეს,
აზრს ველარ ვატევ უკვე სიტყვებში,
სიგიჟე ლამის ლექსად აყვირდეს.
ვიცი! ასეა! მე საზღვარს მიღმა
ჩემი არსება გადავაფრინე
და ტკივილებით დაჩეხილ ცოდვებს
ფარად ღიმილი გადავაფრინე.
გარეთაც ისე აწვიმს ხეივანს,
როგორც ციფერბლატს დროის ჭინკები,
ვხუჭავ თვალებს და ვხედავ ჭეირანს
მოვის პერანგში სისხლის ფითრებით.
სულში იმდენი ფიქრია ახლა,
დავმსგავსებოვარ თმაგაშლილ დალის,

გეძებდი თურმე იქ სადაც არ ხარ
და სადაც მე ვარ იქ ქარი დაჰქრის...

ქარია

ოთახში უხმაუროდ წუთი წუთს მიჰყვება,
დუმილით იტკიებს სიყრუეს აპათია,
გარეთ კი ქარი ქვითინით ამბავს ყვება,
ყველაფერს წყალში ყრის რაც კი რამ აბადია.
რად უნდა! რას უნახოს?! რაც იყო განქარდა!
აღარ ღირს უდაბურ სივრცეში ღალადი,
დროში არსებობა უდროოდ გაქვავდა,
უკვე მენანება წერისთვის ქალაქადიც.
თვალეები ხილულის მიღმა ხედავენ
შეცდომით გაჩეხილ წალკოტის ხეობას,
ფოთლებიც ნუგეშინს ვერაფრით ბედავენ,
ჩალის ფასი აქვს როცა ზნეობას.
დროებას აგიჟებს მოკვდავთა სიმწირე,
ყორნების უხვ ქირქილს არწივის ყეფა სჯობს,
ქარი უმონყალოდ ჰგლეჯს ხეებს სიყვითლეს
და არსებობაც მიჰყვება ეშაფოტს.

თვალეები ლაჟვარდის, ურჩი და უძირო,
უდაბნოს ქვიშებში ნახატი მირაჟი,
შენ ხარ ღამეები ნათევი უძილოდ
და ოცნებების სრულქმნილი ვიტრაჟი.
დავყვები ალერსით ხშირ თმებს და გრძელ კისერს,
თითებით ვისწავლი შენ ყოველ მილიმეტრს,

მოვიკლავ უნიან სიცოცხლის წყურვილს და
დაგიკრეფ კოცნებით ბაგეზე ღიმილებს.
მივყვები დაღლილი სექტემბრის ქუჩას და
ცარიელ ფილტვებში სუნთქვებად მეღვრები,
მე ახლა უფრო სიგიჟედ მსურხარ და
ჩემში მზის სხივის სიჩქარით ვრცელდები.

ვეტრფი სიცოცხლეს, ზეცას ლილისფერს,
მთავრბილებზე ღვინისფერ დაისს,
მწვანეში გაჭრილ კობტა ბილიკებს,
ვარდის სურნელით გაჟღენთილ მაისს,
ვეტრფი სიგიჟეს უბოროტოს, თავგზაარეულს,
სისხლს რომ ძარღვებში დაუყვება ქარიშხალივით,
ლენვას აუტეხს გადარაზულ ყველა დარაბას
და გულს გაგტაცებს უძვირფასეს ნაქურდალივით.
ვეტრფი მოლოდინს მომავლისას, დილას იმედით,
რწმენით აღსავსე მოციმციმე ბრჭყვიალა თვალებს,
აპრილის თოვლად ჩამობარდნილ ოცნების ფეთქვას,
მთელ საუკუნედ გადაქცეულ უტკბილეს წამებს.
ვეტრფი სიყვარულს უანგაროს, ფიქრებით სუფთას,
გრძნობებით გულწრფელს, მოკრძალებით მოქარგულ
სიტყვებს,
ზღვის ჰორიზონტზე ოქროდ გაშლილ სხივების სუფრას,
ჭიქურ მზერაში მოელვარე ეშხიან ტინკებს.
ვეტრფი სიმშვიდეს სულიერს და სიკეთით ნაფერს,
სადღაც შორეთში მყუდროების განაპირებას,
როცა ზაფხული ირგვლივ მხოლოდ სიხარულს აფენს,
როცა მზე ცდილობს კამკამა ცის გადაბირებას.
ვეტრფი სინანულს, ალაღმართალს, ცრემლებს კრთომას,

სხვისთვის ერთ წყენას, თავზე ათჯერ ტკენად გადავლილს,
ვეტრფი უთქმელად, თბილად მზირალ თვალეების წყრომას,
რომ დაგამორცხვებს საყვედურით და არ გადაგლღის.
ვეტრფი ცხოვრებას, გულის ფეთქვას, ფერად განთიადს,
რითმებს დაწყობილს სტრიქონებად სიტყვათა ბნკარით,
ოცნებით მთვრალი გზებს მიყვები ეკალ-ვარდიანს
და გულს მიაბებს პოეზია, ვით წყაროს წყალი.

სიბიჟით შებშლი

ჩემი სიცოცხლე სიზმრებად იქცა
და ოცნებების ქარიშხალს ვებრძვი,
მოვალ იცოდე, შენ თვალეებს ვფიცავ,
მოვალ და ჩემი სიგიჟით შეგშლი.
მომყვება მზე და აპრილის სუნთქვა,
აყვავებული კვირტების თქეში,
ერთმანეთისთვის რაც უნდა გვეთქვა,
ცრემლი დაიტევს თუნდაც ერთ წვეთში.
ვიცეკვებთ რამე ვნებიანს ზღვაზე,
ტალღებს ავუწყობთ ნაბიჯებს თვლაში,
მზერა გაივლის ნერვების ზღვარზე
და დაკარგულ დროს ჩავტევთ ამ წამში.
მე მოვალ ძალზე, ძალზე შორიდან,
თუმც ნაჭრილობევს სულისას ვერ ვშლი,
დაღლილი მაინც ღიმღის მოგიტან,
მოვალ და ჩემი სიგიჟით შეგშლი.

რალაც უფრო დიდი

დაიპარება ბინდი ქალაქში,
ჩუმად დაჰყვება ქუჩებს ხავსიანს
და ვგრძნობ რალაცას, უცნაურს აქვე,
დაუნდობლად რომ მაცლის გასაქანს.
ის უცნაური წააგავს დანტეს,
წააგავს თვალებს მოდილიანის,
წელთაღრიცხვმდე შექმნილ ეტრატებს
და მოსეს ხილვას სინაის მთაზე.
ვგრძნობ, ის აქ არის, სადღაც ჩვენს შორის,
ფურცელს და სტრიქონს შუა მრისხანებს,
ო, ღმერთო, არა, ის ალბათ შემშლის,
ეს აპოლონის ცეცხლი მძვინვარებს.
ეს რალაც უფრო, უფრო დიდია,
დაუოკებელ სულთა წყურვილი,
ზებუნებრივი ძალების ღელვა
და ფანტაზიის გულისტკივილი.
ვგრძნობ, ის აქ არის, სადღაც ჩვენს შორის,
უხილავი და თანაც უსაზღვრო,
ო, როგორ მესმის ტერენტის სუნთქვა
და მჯერა მისი სულ სხვა სამყარო.
სიცივე ქალაქს უსინჯავს მაჯას,
აჩრდილებს ხატავს არამინიურს,
მე კი ისევე ფიქრი მანვალებს
და ჰაერში ვგრძნობ რალაც მისტიურს.

ჩემი ლექსები

ჩემი ლექსები არ ჰგავს ლელიანს,
გადაჭრელებულს მინდვრის ყვავილით,
უფრო ღამის და ბინდის მცველია,
გათენებისას დილის ცვარივით.
ჩემი ლექსები არ დაჭკნებიან
სატრფოს მირთმეულ ყვავილებივით,
ყოველი განცდა დასაბამიდან
გაირინდება აჩრდილებივით.
და თუკი წლები სახეს დააჭკნობს,
სიცოცხლეს წამგლეჯს თითო წვეთობით,
გადავიკითხავ ხარბად სტრიქონებს
და სიჭაბუკით კვლავ გავერთობი.
ჩემი ლექსები არა ჰგავს მიჯნურს,
არც უდარდელა ვინმე იღბლიანს,
ის ალბათ უფრო სულის და ხორცის
დაუცხრომელი ბრძოლის შვილია.

როდესაც ხვდები, რომ სიკვდილზეც უფრო მეტი ხარ
და რომ სიცოცხლეც უძლურია იყოს შენს გვერდში,
ისმენ დამტვერილ რიტორიკას, ხვდები ბრძენი ხარ,
სულელი ბრძენი, დაკარგული დროის ხავერდში.
ველარ გაათბობს სასმლით თრობა ფიქრის სიშიშველეს,
შესაბრაალია არსებობა უფანტაზიოდ,
მე უფრო მეტად მიყვარდება ჩემი სიგიჟე
და ცარიელი ლამეები უმზისაისოდ.
ფანჯრიდან ვისვრი სათითაოდ კარიკატურებს
და ბრაზი მახრჩობს, რომ ცხოვრება სხვების ვითმინე
ემოციებით, რომლებსაც რომ არ იმსახურებს
ანმყო წარსულად გარდაქმნილი, დღეს რომ ვიტკინე.
სასაცილოა, როცა ხვდები, უკვე ყელშია,
სიკვდილ-სიცოცხლემ ზავი დადო ამ ორ განედში
და ამ ტანდემში ისეთივე უსუსური ხარ,
როგორც ვარსკვლავი გალაქტიკის გადმოსახედში.

მზე შემოდგომის

მზე შემოდგომის დაეფინა მიწას ქარვებად,
ოქროს ნისლეებში აბანავენს მთათა მწვერვალებს,
ჩემს ხასიათსაც შეეპარა ფოთოლცვენა და
ყვითელი სენი შეეყარათ ხეებს მთვლემარებს.
დღე შემოდგომის სინელთბილით გაჯერებული
სევდიან ფიქრებს ქარის სუსხით უფრო ახელებს,
მე კი მოხეთქილ მოგონებათ კორიანტელში,
გაცრუებული იმედებით წუთებს ვაჩერებ.
ვემზერ ცის თაღს და გადარუჯულ მთათა ფერდობებს,
ზეცამდე აღის გაძარცვული ხეთა ღალადი,

ვისენებ დღეებს მნიშვნელოვანს, სასახელოებს,
არ დაბრუნდება სამწუხაროდ უკვე განცდილი.
მზე შემოდგომის ვედარ ათბობს უკვე ტკივილებს,
ოქროს ნისლები ეფინება მიწას ქარვებად,
ქარი ყვითელი ფოთლებივით მტაცებს ღიმილებს,
გულს გაფრენილი იმედები ღილად მანყდება.
დღითიდღე ვკარგავ მოსვენებას გზააბნეული
და გული მწყდება დღევანდელიც წარსულს რომ მიაქვს,
როგორ მომწყურდა სიხარული გალალეული
და მელოდიურ მუსიკაზე ცეკვა ზღვის პირას.
სევდიანია შემოდგომა დაღვინებული,
მონყენილობა დამჩნევია ფოთოლთა ვარაყს,
ჩემი ცხოვრება მდინარეა აზვირთებული,
სურს გასცდეს ჯებირს და მიასკდეს ჯიუტად ქარაფს!

დავცარიელდი

დავცარიელდი, დანყვეტილან თმენის ძაფები,
წვიმის წვეთებად წყდება რტოებს სასონარკვეთა,
რეალობისგან ახელილი მტკივა თვალები,
რეკენ ზარები გულსაკლავად, შფოთავს არგვეთა.
მზე აღარ მზეობს, დაჰკარგია ფერი ხალასი
და ბალღამივით მწარე შხამმა სუნთქვა დააშთო,
რაც ახლო იყო, შორი გახდა, უცხო, სხვაგვარი,
ნდობამ ეჭვებთან სასიკვდილო ომი წაავო.
თუ სიჯიუტე დარქმევია ვაცის ღირსებას
და სულ ერთია, რას ჩაიდენ, ურჩად გრაცხავენ,
მაშინ რაღაა ღირებული ამ ქვეყანაზე,
ჩვენი შვილები ცრუ სიმართლით რაღას ნახავენ!
დავცარიელდი, სულს დაანყდა გრძნობის სიმები,
სხეულს წვიმებით ეფერება თბილი აპრილი,

მე ტკივილისგან დაკანრული მტკივა ფიქრები
და მიღედლება მოგონება სისხლად დაღვრილი.

თეთრი მოლანდება

ჩემი ცხოვრება უნდა ჰგავდეს თეთრ მოლანდებას,
მზისფერ ყვავილად გაიშალოს ცისფერ ლაჟვარდში,
ვიცი, ყოველი გათენება წარსულს გაჰყვება,
მაგრამ მე მაინც გადავრჩები ზღვისფერ ზღაპარში.
ჩემი ცხოვრება მონყვეტილი ვარსკვლავის მსგავსად,
გაიელვებს და გაიყოლებს ფიქრებს მრავლისას
და ვინაიდან მიუწვდომელს უფრო ფასი აქვს,
მე ბევრისათვის მიუწვდომელ მზესავით ჩავალ.
ჩემი ცხოვრება უნდა ჰგავდეს თეთრ მოლანდებას,
მინდა მოვასწრო ყოველი დღე სიცოცხლით ტკობა,
ვენა გავუხსნა თქვენს გულებში ჩემს მონატრებას
და სამახსოვროდ გინილადოთ რითმებით თრობა.

დიდი ნაკლი გვაქვს ადამიანებს...

ადამიანებს ერთი დიდი ნაკლი გვაქვს თურმე,
ნიჭიერების შეფასება გვიჭირს ღროეულად,
ოდესღაც ვაჟას დაუნუნეს ფშაური ენა,
გენიოს მთის კაცს სიდუხჭირით ყოფნა მოუხდა.
სიკვდილის მერე გვახსენდება დიდი საქმენი,
მერე ვადიდებთ და გმირების ძეგლებს დავედგამთ,
ასე გვჩვევია, სიცოცხლეში ფულს ვცეთ თაყვანი,
ისედაც მაძღარს დახმარებას გულით აღვუთქვამთ.

სამარცხვინოა ფიროსმანის კიბის ფარდული,
დიდებულ მხატვარს სილატაკე კბილით გაჰქონდა,
სიცოცხლეში რომ ნახატები გროშად გაჰყიდა,
სიკვდილის შემდეგ მუზეუმში კრძალვით დაჰქონდათ...
გულისხმიერი უნდა იყოს ადამანი,
ყველა მოკვდავში უფლის წმინდა ცეცხლი ანთია
და რაკი ჯერაც ყველაფერი არ დაკარგულა,
ერთად დაწვროთ თანადგომის დიდი ქარტია!

ნეტავ შემეძლოს

ნეტავ შემეძლოს, მოვიარო ფეხით სამყარო,
ცის ყველა კიდეს გადავაგლო თვალი მწყურვალი,
ყველა უცნობი, გაუვლელი გზები გაკვავალო
და ყოველ დილას მზე ჩავიკრა გულში მცხუნვარი.
ნეტავ შემეძლოს, გადავკვეთო ყველა საზღვარი,
ვიხეციალო თავისუფალ ველურ ქარებთან,
ოო, რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს ფერისცვალება,
გესტუმრებოდით ცისარტყელის ფერთა გამებად.
მე რომ შემეძლოს გაუქარვო სამყაროს დარდი
და დედამინის ტკივილები სადღაც გავფანტო,
გავიხარებდი, ო, რა რიგად გავიხარებდი,
რომ შემეძლებოდა გადაღლილი მინა გავართო.
ნეტავ შემეძლოს შევერიო უსასრულობას,
ცხოვრებისეულ სიბინძურეს შორს გადავყრიდი,
სიყვარულისთვის მოვხაზავდი საზღვარს უვრცელესს
და თავისუფალ სულებისთვის ტაძარს დავდგავდი,
ნეტავ შემეძლოს... როგორ მინდა, ნეტავ შემეძლოს!..

დაღლილ სხეულში გადაღლილი სული დაეცა,
ეს მერამდენედ ჩაიჩოქა ღონემიხდილმა,
მიმქრალ ოცნებამ იმედების კალო გალენა,
კიდევ ერთ ლექსმა დაიკვნესა მორალმისჯილმა.
ცა ისევ ისე მდუმარეა, როგორც წლების წინ
და არ აპირებს დაარღვიოს ჩუმი წვალეა,
ღამევ, უთქმელო, ჩემი ფიქრი მხოლოდ შენ იცი,
მრავალ განცდათა მოზიარე ვარსკვლავთვალეა.
სარკე რაღაცა უსიცოცხლო თვალეებით მიმზერს
და ჭინიანი ღიმილეებით ინიღბავს სახეს,
ჩემივე თავი, მიკვირს ანკი როგორღა მიძლებს,
თვალეებმაც უკვე მერამდენედ უთქმელად გამცეს.
ყურს ნუ ათხოვებ, სიცოცხლეო, ყველა გარეწარს,
თუმც გაძარცვულხარ, შენი მაინც ისევ მრავალს შერს,
დაღლილ სხეულში გადაღლილი სული დაეცა,
კიდევ შეძლებდა წამოდგომას, მაგრამ აღარ სურს...

ვენური ვალსი

მე მახსოვს, როგორ ვიცეკვეთ ვალსი
იმ უკანასკნელ ახალწლის ღამეს,
ეს იყო ცეკვა ტკივილის, დარდის,
იმ ღამეს სევდა სერავდა სახეს.
ცეკვა, ვით გედის ბოლო სიმღერა,
სისხლს დაჰყვებოდა გრძნობით ძარღვებში,
ო, რა ძნელია, როცა ირეკლავს
ადამიანი სიკვდილს თვალეებში.
გინდა, უშველო, შეცვალო რამე,
სიცოცხლის იქნებ აჩუქო წვეთი,

მაგრამ სიკვდილთან რას გინდა გახდე
სუსტი მოკვდავი, არა ხარ ღმერთი...
მე მახსოვს როგორ კიოდა ქარი,
ნამქერს აყრიდა განცდებად მთვარე,
ოთახში უღერდა ვენური ვალსი
და ჩვენი ცეკვა ითვლიდა წამებს.
იმედი მაინც ოცნებით თვლემდა,
მსურდა, მენამა მომავალ ცეკვის,
რომ მომავალი ახალი წელი
თასს მოგანვდიდა სიცოცხლით შევსილს.
ცეკვაში არსობს ცხოვრების აზრი,
ინყება ღელვით, მთავრდება დალლით
და გადაღლილი შენი თვალებიც
მეთხოვებოდნენ სევდით და ფარვით...
ეს იყო ცეკვა უკანასკნელი,
სიცოცხლემ ბოლო ცეკვად იფეთქა,
ეს იყო ჩვენი ახალი წელი,
წელი დასტურის, რომ დრომ იმეფა.

ლექსად მიაბო

და ვინაიდან ჩემში ისევ ბავშვი ბინადრობს,
მხოლოდ სხეული გმოცვალა დროის დინებამ,
უნდა მოხვიდე ძვირფასო და ლექსად მიაბო,
ბუნებამ ჩემი ქალად ყოფნა რატომ ინება.
კვლავ უშედეგოდ ვერკინები ქარის წისქვილებს,
თავფარავნელი ჭაბუკივით მსურს ტრფობა მკლავდეს,
შენს მოლოდინში წლებად ვფანტავ სულის გვირილებს,
ჩემსკენ სავალი ბილიკები წალკოტს რომ ჰგავდეს.
და ვინაიდან ჩემში ჯერაც ზაფხული ხარობს,
გრძნობებს მზისებრი მხურვალეობა აღმურად დასდის,
უნდა მოხვიდე ძვირფასო და ლექსად მიაბო,
ჩემ ბავშვურ ღელვას მაინც ქალის სურნელი რად სდის.

წვიმას აპირებს

სევდის ქარტეხილს ვერ გაეცა ვერც ეს საღამო,
ტკივილის ფერად შემოასკდა ფიქრებს კვირტები,
რა უსაშველოდ პატარაა ჩემთვის სამყარო,
როცა ედემის ნაყოფივით ვიცი მჭირდები.
თვალწინ კადრები მოგონების ფიფქად კრთებიან
და წლებთან ერთად თოვლის სისქე უფრო მატულობს,
ქვეყნად მოკვდავნი თურმე ხშირად ისე კვდებიან,
ბევრი დაკარგულ ნეკნის ნაწილს ვერცკი ნახულობს.
ღრო ყველაფერს ცვლის ამღვრეული ნიაღვარივით,
ყველა გრძნობას და მოგონებას ცრემლით გარეცხავს,
ცა აირია, შორეული ღრუბელი მენვის,
წვიმას აპირებს, მონატრების წვეთი დამეცა!

უშედგობა თუკი რამ მიიქვამს...

გამაყრუებელ სიჩუმეში მითრევს ნერვები
და გულისტკენებს საფეთქლებთან პულსებად ვითვლი,
გავძალიანდი, მაგრამ მაინც ფსკერზე ვეშვები,
წყლის ნაყვა არის რაც კი მიიქვამს, ანდა აღარ ვოქვი...
მანერა მშვიდი - ცივილური ადამიანის,
ლოიალური შენიშნები, არა სარკაზმი,
რისხვა ჩახშული, საკადრისად თავაზიანი,
მაგრამ შედეგი გამუდმებით მაინც მარაზმი.
ორიოდ სიტყვა შაბლონური, არა ნააზრი,
ერთფეროვანების ფეროვანი დეგრადაცია,
მოვალეობაც რალაც ისე ეტაპობრივი,
რა რომანტიზმი ანდა კიდევ რა ფანტაზია?!
განყვეტაზეა მდუმარების მყიფე ძაფები,
მშვილდივით ყალყბე შემართულა ცეცხლისთვის ნავთი,

ნერვებს იგლეჯავს დრო ნაგვემი ყალბი ფარსებით,
უშედეგოა რაც მითქვამს და მეც ცივი გავხდი.

* * *

ნურაფერს მკითხავ, ნუ მოითხოვ რაიმეს ახსნას,
მომხვიე ხელი, ჩამიღვარე სითბო სხეულში,
არის წუთები, როცა ყოფნას ფიქრი არ უნდა,
ინსტიქტებს მიჰყევ სიჩუმეში, ჩვევად ქცეულში.
ნუ გაიოცებ, ნურც შეიმჩნევ ჩემ დაღლილ თვალებს,
უბრალოდ მოდი, დამიფარე თბილი კოცნებით,
სიტყვა არ დაძრა, ნუ წაართმევ განცდილს სინაზეს,
ნუღარ მოვცდებით ცრუ იმედზე ფუჭი ოცნებით.
მომხვიე ხელი, ჩამიკარი გულში თავნება,
თუმც სევდიანი, მაგრამ მაინც ბავშვურად ანცი
და ჩემს თვალებში ნაპერწკალი არ ჩანავლდება,
თუკი ცხელ ამბორს ჩემს სახეზე არასდროს დაცლი.
ნურაფერს იტყვი, სიტყვებს რალაც სიყალბე დასდევს,
ხშირად სჩვევიათ ნაფიქრალის გაფერმკრთალება,
უხმოდ, უსიტყვოდ, უპირობოდ, გრძნობები მანდე
და შეიგრძენი სურვილების აფერადება.

წვიმისფერია შებინდება დღესაც ქალაქში,
წყლისფერ წვეთებად დაეღვარა ღამეს ცრემლები,
გამოვამწყვდიე სევდის ქარი ისევ სარდაფში,
ილუმპებიან მონყენილად მდგარი ვერხვები,
ხმა ჩაიხლიჩა ყვირილისგან ჩემმა სიჩუმემ
და მდუმარებას ახლა უფრო მკაცრი აქვს სახე,
უკვე რამდენჯერ თავი გასცა ყალბმა სიცრუემ,

ნურვინ ეცდება მოთმინებას დაუგოს მახე.
წვიმისფერია ოთახიც და ჰაერიც თითქოს,
ნესტი გამჭდარა სივრცესა და ჩვენს შორის დროში,
წარსული რალაც გულსაკლავი მუდართით მიხმობს,
რომ ვუნყალობო მოგონება, ვით ორი გროში.
სველია ქუჩა, ნანვიმია ახლა ფიქრებშიც,
გრძნობას ნიაღვრად დასდენია წყენა უღევი,
ციხე-გალავანს საძირკველი თუ არ უმაგრე,
ჩამოიქცევა ქვა-ლოდებად ოდეს ურყევი.
გაუსაძლისი მძვინვარებით კივის სიჩუმე
და დუმილს იქნებ სახიფათო ელფერიც დასდევს,
ღრუბელს კი ნუ ჰკრავ, მიმოფანტე მთის ნიაფივით,
რომ წვიმის შემდეგ გაღვიძება მზის სიცილს ჰგავდეს.

ვერ დაგპირდები

ვერ დაგპირდები, ველარაფერს ვერ დაგპირდები,
ჩემში სიცოცხლე რალაც უცხო სახით ბინადრობს,
დღითიღლე გკარგავ, უფრო შორით მენაპირები,
დღეთა ჩრდილები დაემსგავსნენ სახეს მინათრობს.
ქარი ბარბაცებს, სტვენით დასდევს კიბის რიკულებს,
გრძნობს, განწირულა უსასრულო ხეტიალისთვის
და თუმცა იცის, ოცნებებით თავს რომ იტყუებს,
ყველაფერს დასთმობს თუნდაც ერთი თბილი წამისთვის.
როგორ დაგპირდე, როცა უკვე აღარ მაქვს ძალა,
ჯინში ჩავუდგე ახირებულ სიცოცხლის წყურვილს,
მინდა მზის სხივით მოქარგული დედოფლის კაბა
და ვერ დავარქმევ მოკრძალებულს ამ ლამამ სურვილს.
ველი გაფრენას ღიმილების უცხო მხარეში,
სადაც თავნება ზღვა სიყვარულს ტალღებს მიანდობს
და მე, ძვირფასო, ველარაფერს ვერ დაგპირდები,
რადგან სიცოცხლე ჩემი უკვე სხვაგან ბინადრობს.

შენ მტრედისფერი ხარ განთიადი...

ეს გაზაფხული ისე შეგშვენის,
როგორც სიყვარულს ფიქრები წრფელი,
მოდის სიცოცხლე გამიაპრილე,
გავერთისისხლხორცდეთ, ჩამკვიდე ხელი.
ვინ იცის, იქნებ, სულაც არ მითქვამს,
რარივ მახარებს სიცოცხლე შენთვის,
ამინდს კი არა, ეს გაზაფხული
აღბათ სიგიჟით თავადაც შემშლის.
აფეთქებული ხეთა კვირტები
ქორწინდებიან მზისფერ სხივებზე,
შენ მტრედისფერი ხარ განთიადი
უხვად დაღვრილი ზღვისფერ ნისლეებზე.

ნუ განიკითხავ

ნუ განსჯი იმ სხვას,
როცა მის ნაცვლად არ დაგიდგამს ეკალზე ფეხი,
ნუ განიკითხავ,
როს არ იცი სიმძიმე ჭვრისა,
არ თქვა აუგი,
ნუ დაიღებ ცოდვას არცოდნის,
თუ ბარადა ხარ,
ნუ მოჰყვები ამბავს იმ მთისას...
არ დაიკვებო არასოდეს, რომ იცი უკეთ,
ეშმას არ სძინავს,
არვინ უწყის, რით დაგამარცხებს,
ნუ შეადარებ ნურასოდეს შენ განვლის სხვისას,
რადგან არ იცი ღრომ მისი გზა როგორ დაღარა.
არ გაუზომო სხვას ცხოვრება შენი საზომით,

ყველასთვის სწორად როდი ბრუნავს ეს დედამიწა,
მავანს სიცოცხლე სიკვდილით აქვს გადასაწონი,
ზოგს კი უკვდავყოფს ისტორიის უამთა აღრიცხვა...
ნუ იტყვი ნურას,
თუ ტკივილი სხვისი არ ნახე,
მხოლოდ ღიმილით ნუ განსაზღვრავ ბედნიერებას,
არ დაიჭერო რასაც ნახავ მხოლოდ ცალ მხარეს,
მუდამ როდი წვიმს ისე ძლიერ, როგორც ელდება.
არ თქვა "არასდროს",
თორემ უამი ამ თქმას განანებს,
შენ ხომ იმ გზებით არ გივლია, რაც მან გაკვალა,
მოვა სიკვდილი და სუყველას გაგვათანაბრებს,
ავდარში ტალახს ხშირად ირევს წყარო ანკარავ!

მე სამყაროსგან თავგანწირვა მინდა სხვაგვარი...

ქარის თითები დაცოცავენ თმის ხვეულებში,
ვნება აკვდება მზით დაფერილ ბრონზისფერ სახეს,
როგორც სულები სახლდებიან ჩვენს სხეულებში,
ისე ჩაგიღვრი ჩემ წილ სითბოს, ნუ მაღავ თვალებს.
ქარი ბაგეებს დაუყვება შმაგი კოცნებით,
გულისპირისკენ გაექცევა თვალი საღამოს,
ნუ დაიჩემებ სიამაყეს, ლოდინს მონყენით,
მერყევი ეჭვით ნუ დაკარგავ წუთებს საამოს.
მტრედისფერ ნისლში გახვეულა მზის დასავალი,
თვალწინ გრძელი და მომქანცველი ფიქრის გზებია,
მე სამყაროსგან თავგანწირვა მინდა სხვაგვარი,
ვისთვის სიცოცხლე წუთებია, ვისთვის წლებია!..

თქვენ მეგობარო

მე თქვენ შევეჩვიეთ მეგობარო, ისევ გიკითხეთ,
მინდა გისურვოთ ლამაზი და ნათელი დილა,
ზღვა საზრუნავთან ჭიდილისას რკინის სიმტკიცე,
სალამოს პირზე მყუდროებით გამთბარი ბინა.
მე მახსენდებით მეგობარო უმიზეზოდაც
და არ მჭირდება მოკითხვისთვის ვჩხრიკო საბაბი,
მსურს არასოდეს მეგრძნოს თქვენგან უიმედობა,
თუ შემოგაკლდათ, მე შეგივსოთ სულის საგზალი.
მე მომენტურად მეგობარო თბილი სიტყვებით,
უბრალო რიდით, მოყვასისთვის სიკეთის ფიქრით,
ნატიფი ზრუნვით, მოკითხვით და მიაღწერსებით,
ხმის საამური უღერადობით, უზომოდ მშვიდით.
მე თქვენ დამივიწყებთ მეგობარო, ალბათ ოდესმე,
ვით შემოდგომას ეკარგება ფერებში მწვანე,
ვინ იცის რატომ, როგორც ჩვილი ბავშვი, მოგენდეთ
და თუ ვერ შეძლებთ მომიტრთხილდეთ, ნურც რამეს მავნებთ.
როცა შეგხვდებით მეგობარო სადმე პირისპირ,
რაც კარგი გვახსოვს შევაგებოთ ერთურთს იებად,
გამოგიტყდებით, გიხსენიებთ ლოცვად ძილის წინ
და თქვენთან ვატან ქარს ღამეულ მელოდიადად.

სიწმინდის გინვდი

მათოვს სიჩუმე, როგორც შარშან ათოვდა ბაღებს,
თეთრ ხეთა რიგებს, ზამთრისაგან სიცივით ნაშობს,
მელანქოლია ყოველ ღამით ფანჯარას აღებს
და თოკზე აფენს მოგონებებს, ცრემლისგან აშრობს.
მახსოვს სიგიჟე, სიშმაგით და სიშლეგით კრთომა,
ყოველი დილა ერთად ყოფნის მზით იყო მთვრალი,
ახლა კი ქარებს შეჰპარვიათ ყვითელი კვდომა
და სიმარტოვის ლაბირინთში დაკარგეს კვალი...
დაგეძებ, გნატრობ, გულისწამლებ მოლოდინს ვითვლი,
ვაცოცხლებ წამებს, შენი მზერის სიამით გამთბარს
და ხელისგულით ჩემ დარჩენილ სიცოცხლეს გინვდი,
სიცოცხლეს სადაც შენი სუნთქვა ფილტვებით დამაქვს!

* * *

ღამე ისევ ჩამონვა ჭლექიანი ხველებით,
დროს არ დარჩა წუთები, რომ მოჰხვიოს ხელები,
ჰაერს სუნთქვა შეეკრა, შეშლილი აქვს იერი,
რა მოვკითხო ცხოვრებას, სიცოცხლეა მშიერი.
თვალთმაქცობის პიკია, უსახოთა ჭიდილი,
ეს დოგმათა შიშია, ვიდრე სულის ტკივილი.
რალას უნდა ელოდო, ან რად გინდა იმედი,
თუკი გზააბნეული შიშით შინ ვერ მიხვედი.
ენას ძვალი არა აქვს, ბრბო კი ჭორზე შტერია,
სიმართლესთან ახლოში მილიონში ერთია,
გზას მისდევენ ლანდები ფიქრისფერი ღრუბლებით,
უკვე განვლილ ბილიკებს ნულარ დავუბრუნდებით,
უძილობის კარებთან ღამეები იცდიან,
აქ ყოველთვის ყველაზე ყველაფერი „იციან“.

გრგვინავს ჩემი პროტესტი როგორც რევოლუცია,
რომ მარცხს ვერ გადაურჩა კაცის ევოლუცია,
თვალთმაქცობის პიკია, უსახოთა ჭიდილი,
ეს დოგმათა შიშია, ვიდრე სულის ტკივილი!

* * *

დღეს მოგონება შემაყარა ქარმა სახეში
და ტკივილები ამიწუნა გაშლილ თმასავით,
ვცდილობ, ჩავკეტო ყველა ფიქრი ცივ სამარხებში,
რომ არ კიოდნენ თავანწყვეტილ ქარის ხმასავით.
უკვე განვლილი ისტორია მენვის ჭრილობად,
როგორ განვიცდი, რომ ცხოვრება ასე ყალბია,
ყოველი დილა დავინწყების არის მცდელობა
და ვწერ დრო და დრო, ამის მეტი რა მახადია.
ვტოვებ ჩემს აჩრდილს ბნელ ოთახში და ვიცვამ პალტოს,
ცარიელ სხეულს ვასეირნებ ყოველ საღამოს,
რომ იქნებ ჩემ თავს წუთით მაინც გადავეკარგო
და უსულგულო სიმარტოვე გულუხვად ვფლანგო.

სიკვდილის ველი

ნამებს ხოცავენ სიკვდილის ველზე
წლებით დაღლილი მეგალითები
და დროისაგან უარყოფილი
ქანცგანწყვეტილი პირამიდები.
დრო მუდამ ებრძვის ადამიანებს,
თითქოს ჯავრი აქვს ამოსაყრელი,
რომ ვერ გაუძლო ევამ ცდუნებას.
არსს გვაზიარა გარდაცვალების.
ხოცავენ წუთებს სასაკლაოზე

მემატეიანის მშვიდი თვალები
და დაკოჟრილი თითების რხევით
კვლავ ინერება ჟამი წვალების...
ვხედავ მოხუცთა დაღლილ სხეულებს
და უსიცოცხლო ბავშვთა სახეებს,
ოო, როგორ მიმძიმს, შემშალონ ლამის,
ზღვა უცოდველი სისხლი მაგიჟებს!

ზაფხულის ქარი დანავარდობს ახლა ქუჩაში
და ჩამავალი მზის სხივები ცეკვავენ ტანგოს,
მე ისევ ვხედავ ჩემს ოცნებებს ღრუბლის ქულაში
ცას აყოლილი რომ ევლებს, ზღვებს, ველებს, მთა-გორს.
არ ვიცი ზუსტად რომელია ციფრი საათის,
ოთახს ერთფერი სიჩუმე და სილურჯე ათოვს,
აღარც თავი მაქვს, არც სურვილი ახლა კამათის,
დროს მივაჩიჩე სადავე, რომ სიცოცხლე მართოს.
კედლებზე ახლო მეგობარი აღარ მყავს ვატყობ,
ყველაზე უკეთ მათ იციან რატომ არ ვტირი,
როს ღამენათევ ნატკენ სულზე ღიმილებს ვაწყობ
და რომ ვაჯერებ საკუთარ თავს - არ ვარ დაღლილი.
ფეთქავს დაისი ჰორიზონტზე ოცნების ფრთებით,
თბილი ფერები ჭრიჭინების ხმაზე როკავენ,
მე კი სუყველა შეღამებას იმ ჟინით ვხვდები,
რომ ღიმილები ერთხელ ტკივილს მაინც მოკლავენ...

მოდო, მოგიყვები ამბავს...

მოდო, მოგიყვები ამბავს
რალაც უცნაური გრძობით,
ამბავს სიყვარულზე დარღზე,
გზებზე გათელილზე მტრობით.
მოდო, გავისხენოთ ერთად,
რაც კი გვინახია თვალით,
რამდენს შეგვეშალა ღმერთთან,
რამდენ სწორ ბილიკებს გავცდით...
მოდო, მოგიყვები ამბავს
ემოციებით და განცდით,
როგორ დავიკარგეთ დროში,
წლებით ერთმანეთს რომ ავცდით.
მოდო, გავისხენოთ ისევ,
რაც კი სიხარული გვახსოვს,
ტკივილებისაგან დაღლილს,
კარგის გახსენება მართობს.
მოდო, მოგიყვები ამბავს,
ამბავს ცხოვრებაზე, დარღზე
ლამაზ სიყვარულს რომ ახლავს
და რომ ველარ გაცვლი სხვაზე.

* * *

ასე მგონია იმდენად გიცნობ,
რომ საუკუნის ჯებირებს გავცდი,
მაგ შენი თბილი მიაღერსებით
სიცოცხლის ხალისს პეშვებით მანვდი.
მანძილით მთები კი არ მაშინებს,
ახლოს განცდილი სიშორე მტკივა,

გულიც კი მწყდება, რომ მოლოდინში
ხეს სიცოცხლისას ფოთლები სცვივა...
მე კი, უდაბურ, მტვრიან ქუჩებში
ოქროსთვალეობა ჩრდილივით დავალ,
ჩემს არსებობას ილუზიებში
ბრედბერისეულ ქრონიკად ვლანდავ.
ისე შორსა ვარ მე აქვე მდგომი
და ისე ახლოს გულის ფეთქვასთან,
შენ ოღონდ მთხოვე გამოღვიძება,
ჯინში ჩავდგები ბედისწერასთან!

* * *

უძილობამ შემახსენა თავი,
გარეთ ქარი თავაშვებით დაძრწის,
ირინდება უსიცოცხლოდ წამი
და ნერვები მოთმინებას მაცლის.
ლამე თითქოს ჩაძირულა ფიქრში,
მითრევს სადღაც ემოციის ზღვაში,
სიგიჟეა, როცა გინდა გასვლა,
შენ კი მაინც ძალით ზიხარ სახლში.
მიხმობს ბინდი მისტიური ხმებით
და იღუმალ ფიქრთა ბურუსს მახვევს,
აღბათ მალე ეს სამყარო შემშლის,
რაც აქ ხდება ვეღარ ვარქმევ სახელს.
ქარი აღბათ ჩემი დარდით ბორგავს,
ხვდება როგორ გადამღალა მიწამ,
უფლის მადლით რომ არ მედგას სული,
ფრთებს გავეშლიდი დედმინას ვფიცავ.

* * *

ცხოვრება უეცრად შეწყვეტილ სიზმარს ჰგავს,
ყოფა დღემუდამ ლამაზი როდია,
აქა-იქ ზმანება პეპელას ჩამოჰგავს,
ისე კი უსახო პირქუში ლოდია...
დღე დღეს მიჰყვება, როგორც ნამქერი
მიერეკება ნისლეებს თოვლიანს
და მეფიქრება ის მზე ნათერი,
გამოღვიძების დღე რომ მოიტანს.
მე ჩემი ლექსი ჯერაც არ მითქვამს,
არ მსურს განიბნეს გიჟის სიზმარი,
ვებლაუჭები სიცოცხლეს როგორც
მთის ღიღილოებს დილის ცისნამი.
ცხოვრება მართლაც ჰგავს ღამის ბოდვას,
ხშირად ქაოსურს, ზოგჯერ მშვენიერს,
ქარს გაყოლილი ყოველი სიტყვა,
ვიცი, დრო მოვა, აზრსაც შეიძენს...
დარჩება მზე და დარჩება ლექსი,
და სტრიქონებში გრძნობების ჩქერი,
ნუთო იყურე, ცოტაც მადროვე,
მე ამ სიზმარში სიცოცხლეს ვებრძვი.

* * *

გარშემო იმდენი ხალხი ირევა
და მაინც მარტო ვარ ამ სამყაროში,
თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება,
მაგრამ ვერასდროს გავდივარ ბოლოში.
გაძარცვეულ ხეებსაც სევდა მორევიათ,
ცრემლებად ჰკიდია ნაძვებს ლოლოები,
მინას შეჭირხლული ნიღაბი მოხდენია,
ყინვას დაუსუსხავს ოღრო-ჩოღროები.
იისფერ ფიქრებში მზე დაკარგულა,
დავდევ აჩრდილებს პატარა ბავშვივით,
საღღაც უცნაური სურვილი დაცურავს,
ცელქობს სიჭაბუკე გიჟური მარტივით.
ბუნებას გავუგე, მესმის ჩიტების,
იმ ლოდის ჩურჩულსაც ყური დავუგდე,
საღღაც კედელმა რომ დაიგმინა
ისიც შევიგრძენი, ხალხს ვერ გავუგე!
გარშემო იმდენი ხალხი ირევა
და მაინც მარტო ვარ ამ სამყაროში,
თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება,
მაგრამ ვერასდროს გავდივარ ბოლოში...

პრეპულის
ს ტ უ მ რ ე ბ ი



გამთარი

ნისლი ჩანოლილა ხეობაში,
ახლა რა თქმა უნდა გათოვდება
ვილაც იზივებს ძეობაში,
ვილაც უსათუოდ გათხოვდება.
ფიფქი აცეკვდება ფანჯარასთან,
ფიფქებს ზეცის სუნი ჩამოჰყვება...
კარგი იქნებოდა ამ თოვაში
ვინმე ღვთისნიერთან დამოყვრება.
ვდგევარ ხელგანვდილი, აივანზე,
მხრები სიცივისგან მელუნება...
ხელზე დაბნეული ნამცეცები
ფრთხილად ამიკენკეს ბელურებმა.
ისევ სანამქერე ამინდია,
ნისლი იზრდება და იბერება.
მინდა, მოილხინონ მეზობლებმა,
სივრცე გაახურონ სიმღერებმა!.
გიხმობ ჩემი კოშკის აივნიდან,
ნისლის ნაცრისფერო ბალდახინო,
იქნებ გამაქროლო გაზაფხულთან,
მერე ყვავილივით გამახილო.

მარიამ კოზმანიშვილი

ო, როგორ მიყვარხარ ღმერთო.
იმედო ერთადერთო
ნუგეშო, სიხარულო,
უფალო მხოლოდ ერთო.
ხან მუხლმოდრეკით გვედრი,
ხან ხელაპყრობით ცისკენ...
ყოვლადძლიერო, მსხნელო
დალუპვისაგან მიხსენ.
დიდ სიყვარულის გარდა
მე სხვა არა მაქვს ნდობა
გაუტანლობა ჩემში
ინვევს სულისა კვდომას.
ვიცი ცოდვით ვარ სავესე
და სულს მიმძიმებს ესო...
ნუ წარმწყმედ, შემინყალე
ძეო ღვთისაო იესო.
არ დამივიწყო ღმერთო,
არც განმეშორო გვედრი...
ვერ ავიცილებ ვიცი
რაც არის ჩემი ხვედრი.
დღითი-დღე სიკვდილს ველი,
სიმმრად ვნახულობ დედას...
ჩემისა სულის მსხნელად
ღმერთო-შენ ერთსლა გხედავ.

სამთავრო. 2.VIII.2013
დედა იოანა (მარიამ ნიშნიანიძე)

მე და შენ

მე და შენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს,
მე და შენს შორის დიდი ზღვარია...
შენ სიმაღლისკენ ესწრაფვი თრენას,
მე უფლისაკენ მიმიხარია.
შენ სახელი გაქვს, გადიდებენ,
მე კი არაფრით გამორჩეული...
შენ თავს გიხრიან მონინებით და-
მე ისევ ვრჩები მარტო... ეული...
შენ მერამდენედ იცვალე სახე,
ღირსება შენი გაცვალე ფულზე...
მე უფალზედა ვარ მინდობილი-
დღედაღამ ვზრუნავ არსობის პურზე.
დრო მედროვეა... იმ სიმაღლიდან
მსწრაფლ დაეშვები.. ეს ასე ხდება...
მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ-
აი, ეს არის ჭეშმარიტება.

დედა იოანა (მარიამ ნიშნიანიძე)

დედის გახსენება

ეხლაც ჩამესმის დედის ხმა
ჩემი სიკეთე რომ სურდა-
„პირზე მომდგარსა სიტყვასა,
განა, ყველაფერს თქმა უნდა“?
ცრემლით ვიგონებ... მას შემდეგ
ო, რა დიდი დრო გავიდა...
ნეტავი ჩემი ცხოვრება
დამაწყებინა თავიდან.

დედა იოანა (მარიამ ნიშნიანიძე)

მართა

ზღურბლზე ორმოცდაცამეტი წლის ბავშვი დგას.

- რა მოხდა, ა ივიკო?
- დედას ძინავს...
- მოპირდაპირე ბინაში შევდივარ.
- მართა დეიდა სავარძელში ასვენია. სიმწრისგან მოლ-რეცილ სახეზე სინანულის იერი გადაჰკრავს, მარჯვენა ხელის მუჭში თმები შერჩენია. ივიკოსთვის ებრძოდა სიკვდილს, გავი-ფიქრე და ტელეფონზე ას თორმეტი აკკრიფე...
 - დედა მოკტა? -მეკითხება ივიკო. ხელს ვხვევ ცომივით რბილ მხრებზე, ტახტზე ვსვამ.
 - დედიკომ მითხლა არასოდეს მიგატოვებო, ბლავილს ინყებს და ღორბლს მაისურზე მანმენდს...

ორმოცდაათი წელი შესთხოვდა მართა უფალს, შვილზე ხუთი წუთით გვიან წაეყვანა. ეს უსამართლო სამყარო ყელში მეჩხირება, მახრჩობს...

ინფაქტით გამონწვეული კომა-მეუნება სასწრაფოს ექიმი-
დაუყოვნებლივ სტაციონარში!

-ივიკო, დედა ცოცხალია, ვყვირი...

-ვიცი, დედიკომ მითხლა ალასოდეს მიგატოვებო,
მომენტალურად ბლავილიდან ხარხარზე გადადის...

...

დღეს მართა დეიღამ მურაბა გამომიგზავნა.

მამუკა ესაძე

დღეს ბოლო დღეა, დანერე?-კარებშივე შეკითხება.

მისი დასიებული სახით ვხდები თუ რატომ ვგრძნობ თავს ასე
ცუდად.

ჯერ არა, ეხლა დავწერ, - ვპასუხობ.

რაც აქამდე არ დავინერია, აწი რაღას დანერ შე ცალტვინა,-
მამკობს.

ბიჭო, დამტკიცებულია შენისთანა მჭერმეტყველნი დღეში
ოთხიათას სიტყვას ათრქვევენ და მე ას სიტყვას ვერ დავწერ?!-
ვიღიმები

აი მაგალითად: ჩვენს მარკეტში არაყ „ტროიკაზე“ ფასდაკ-
ლებაა. ხუთი ლარი თაროზე დევს, ხახვი და პური მაგიდაზეა,
ძეხვი-მაცივარში...

აშკარად უსწორდება სახე, გენიოსი ხარ, გაავრძელე-მეუბ-
ნება და გარბის.

რამდენია?-უკვე სამზარეულოშია.

ოცდაორი აკლია, -ვპასუხობ.

აბა მაშინ მარად უკვდავ ხელოვნებას გაუმარჯოს!-ჩააბარი-
ტონა.

რამდენია-მეკითხება კვლავ.
ეგაა რაა!-ვპასუხობ,
ისევ ბახუსი, თორემ შენ რის დამწერი იყავი?-იცინის.
ჩაკანრა!

მამუკა ესაძე

ნინოს

შენი ცხოვრება მძიმე იყო, ფორიანტელი.
ჩემი ცხოვრება - განვლილი მრავალწერტილად.
შენ წერტილს სვამდი.
მე მას ვანგრევდი.
ვანგრევდი ზღურბლებს,
გადარაბულს კარანტინებად.
შენ კი ტიროდი.
ცრემლი წამნამზე, მერე ღანვზე, მერე ლოყაზე...
კლაკნილი იყო შენი ცრემლი
და ჩემი ყოფის მრავალწერტილს გლეჯდა მძიმებად.
დრო კი ილევა.
ბოთლში ღამეც უკვე ილევა...
წერტილი ცრემლით დახლეჩილი მრავალ მძიმებად.
ცრემლიც ილევა შენს თვალებში, ცრემლი ილევა.
მძიმეა ტვირთი... სიყვარული ისე მძიმეა.
მძიმეა შხარას მწვერვალებში მკვდარი არწივი.
მერე ტიროდი ცივ სასთუმალში, ოღონდ მძინარე.
მე ღვინოს ვშლიდი სასულეში მრავალწვეთებად.
გუშინ მოგწერე
და ტექსტის ბოლოს დავსვი წერტილი.
და ეს წერტილი მძიმე იყო,

შენ კი გეგონა
წინადადება ორი მძიმით იყო მარტივი.
დრო კი არ რჩება
და ეს წერტილი ისე მძიმეა,
ვეღარ იშლება შენი ცრემლის მარტივ დინებად.
ღმერთმა ინება და ბოლო ვნება
ვორდის ფურცელის ტყვიაა შუბლში,
ესე მძიმე ბოლო წერტილად.

მამუკა ესაძე

რას შვრები ?
გხატავ...
რატომ ?
რა რატომ..!?
რატომ მხატავ ?..
...უკვდავი რომ ვიყო
..ეგ როგორ ?
საუკუნეების შემდეგ ჩემს ნახატს, რომ განმეხდენ, მე იქ
მოფერებას ვიგრძნობ.., თუ დაზიანდა მეტკინება...
სულია მხოლოდ უკვდავი..!
სწორედ სულს ვაძლევ ნახატს, უღევია...
ძნელია სულის მიცემა.?
როდის როგორ, ზოგს მეტი ხვდება, ზოგს ნაკლები, ზოგსაც,
საერთოდ ვერ..
...შეუძლებელია,სული მთლიანია, რელიგიას
ენინააღმდეგები..!.

ყველა ხელოვანს თავისი რელიგია აქვს, პირადი...ვისაც არ
აქვს, ის ვერ არის ხელოვანი..

მეც იმიტომ დამხატე, შენ რომ იყო უკვდავი..?

..კი, მე შენ ჩემს საარსებოდ შეგქმენი., თუმცა თავად უწყი, ვის
გაახარებ, ძალას მისცემ თუ დაამწუხრებ.., სულია შენში..

..ვა.! ცოცხალი ვარ ?

..აბა როგორ მელაპარაკები ?..

მამუკა მეგრელიშვილი

* * *

რიდეს ირიბად შემოვიხვევ,
რიჟრაჟებს ავშლი,
ნასიზმრალ ღამეს გადავაფენ
შუადღის ზენარს.
მაშინაც ასე თუ მართობდა
სურნელი ვაშლის,
მაშინაც ასე თუ მათობდა
ენქიდუს მზერა,
რატომ აქვს მაინც ტალახს ჩემი
სიცოცხლის ფერი?
რატომ აქვს მაინც ბალახს ჩემი
სიკვდილის გემო?
შუადღეების დაუჩრდილავ,
ჩემ სიყვითლეში
ათასწლეულებს ვამზეურებ
უცხოვ და ჩემო.
მჯერა
(თუმც ჯერ არ) დამიძახებ
მღვრიედ და ხაფად,

მკვლელი მკლავებით მომირკალავ
გზებს და ნაკვალევს,
რომ მწყურვალ სულში
ჩაგელვარო
მათრობელ შხამად,
მლაშე ტალღებად დავეფინო
შენს მზეს, ნაკვალევს.
-რადგან ეს მე ვარ!
უძილობა
და შენი შამხათ,
რადგან ეს მე ვარ -
ვინც შენს ღამეს
ფრთებით ატარებს.

ნინო გაბუნია

მუსიკა

დარბაზი ჩაბნელდა... დუმილი მცირე ხნით
და უცებ ჰაერი ბგერებით იჭრება,
როიალს მიჰყვება რბილი ხმა სიმღერით,
მუსიკა იღვრება უნაზეს რიტმებად.
კლავიშებს ეხება დაღლილი თითები,
შავ კლავიშს თეთრები ვერასდროს ხვდებიან
და სადღაც შორიდან ნატკენი სიმები
საკუთარ სევდიან ამბავზე ყვებიან.
მუსიკა მთავრდება... და ბოლო ნოტები,
დარბაზი უკვე სხვა დუმილით ივსება,
ჰაერში შენივთდა, შედედდა გრძნობები
და ახლა სულის ხმა სიმივით ირხევა.

ნინო ალადაშვილი

სარჩმპი

წინასიტყვაობა

-ანნა გელაშვილი-პოეტი	3
-გიორგი აღნიაშვილი-მწერალი	4
1. გელაშვილი ანნა	5
2. გოგობერიძე ინგა	29
3. დავლაძე მაყვალა	39
4. თევდორაშვილი როდამ	55
5. თოდუა ამირან	77
6. თოფურია მარინა	113
7. კვანჭილაშვილი იზა	132
8. მეგრელიშვილი თეა	163
9. მეტრეველი ნანა	179
10. მურვანიძე ირაკლი	198
11. შენგელია დალი	237
12. ხარშილაძე თამარ	284

კრებულის სტუმრები

- მარიამ კოზმანიშვილი
- დედა იონა (მარიამ ნიშნიანიძე)
- მამუკა ესაძე
- მამუკა მეგრელიშვილი
- ნინო გაბუნია
- ნინო ალადაშვილი

კეთილ სხეულში, სულიც კეთილი,
დგას დიდი მუხა, ცოცხებამილი,
სანდომიანი და ბოზოქარი,
განსხვავებულად მუზააშლილი.
პაციფიკური ქალის უბანში
მუდამ თბილია ნავსაყუდელი,
ყველას სახლი და ყველას მიმღები,
სიცოცხლით სავსე, "ინგას უბანი".

თეა მეგრელიშვილი

